საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.net
№19 (62)
26 მაისი - 2 ივნისი, 2010

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
info@geworld.net

## რამაზ კლიმიაშვილი: სააკაშვილი საქართველოს სპარსეთსა და თურქეთს ჩუქნის

# მაჰათმა განდი და მახათიანი «პოლიტელიტა»

როცა ამ წერილს წაიკითხავდა, პრეზიდენტს უსათუოდ უნდა გახსენებოდა ჩვენი არცთუ შორეული წარსული — XX საუკუნის 20-იანი წლები, როცა ევროპის მოწინავე სახელმწიფოთა „მხოლოდ შეშფოთების“ იმედად თურქეთის პირისპირ და რუსეთის ამარა დავრჩით...
პრეზიდენტს უსათუოდ უნდა გახსენებოდა, თუ როგორ მოუხდათ ქვეყნის დატოვება ნოე ჟორდანიასა და მის თანამოაზრეებს, მთლიანად „პოლიტიკურ ელიტას“;
ამდენი რამის გახსენების შემდეგ, არა მგონია, პატივცემულ სააკაშვილს არ ამოხდენოდა ოხვრა:
— ისევ გაგვყიდეს ამ შობელძაღლებმა!..

მაჰათმა განდისგან განსხვავებით, ჩვენი „ყოვლისშემძლე“, „ნულოვანი ტოლერანტობისა“ და „ყველანი ციხეში“-ს ინიციატორი პრეზიდენტი არა მხოლოდ სუშისა და სხვა ძვირადღირებული კერძების ჭამაშია რეკორდსმენი, არა მხოლოდ ძვირფას სასახლეში ცხოვრობს მეფური განცხრომით, არამედ არც „პროფესიონალიზმით“ ცნობილ მასაჟისტებთან საუნაში ნებივრობას იკლებს და არც არჩევნების გაყალბებას უკადრისობს; ხაზინაშიც დიდი მონდომებით აფათურებს ხელს და პირტიტველა ბიჭების „Без суда и следствия“ დახვრეტაში მხილებულ ჩინოვნიკებსაც „დემოკრატიულად“ მფარველობს.



6

### გენერალი ბრენტ სკოუკროფტი:



### რუსები საქართველოს მიმართ ისევე მოიქცნენ, როგორც ჩვენ - კოსოვოს საკითხში

4

### ლანცეტი თუ ნაჯახი, ანუ ვის დაუჯერებს განწირული პრეზიდენტი?

2

### მოწამვლის შიშით პირველი პირი ოფიციალურ შეხვედრებზეც აღარ სადილობს

8

### ნაცებმა წინასაარჩევნო სლოგანი ყვარყვარე თუთაბერს მოჰპარეს

9

### პოლიციური რეჟიმი უკვე სკოლებშიც დამკვიდრდა

10

### რა ქონებას ფლობენ სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირები?

12

## GOOD BYE, MIKHEIL, GOOD BYE!

14

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო



საავტორო სვეტი

# ეგ რა თქვი, ნათლიმამ?

**თქვა კი არა, აურია: ადგა და ყუმისთავში გავლით მყოფმა, სახელი გადაარქვა მღვიმეს. ხოლო რაც ისტორიის იმ გზაჯვარედინზე თქვა, იმას უცვლელად გაგიმეორებთ, რადგან იშვიათი ნიმუშია არგუმენტირებული ენამჭევრობის. დაკვირვებით წაიკითხეთ — ასეთ მარგალიტებს ღორთა წინაშე არ აბნევენ:**

— ამ მღვიმეს ჰქვია ყუმისთავი, არადა, ეს არის მთები (**მღვიმე მთებია. — ა.ს.**), სადაც პრომეთე იყო ახლომახლო მიბმული (**მთების ახლომახლო ძალღივით იყო, ეტყობა, პრომეთე მიბმული. — ა.ს.**). აი, პარლამენტიდან რომ უყურებ, პარლამენტი სადაც შენდება, იქ არის კავკასიონის უკან არის კედელი, კავკასიონის კედელია ესეთი, დიდი მინდორია ესეთი ტრიალი, იქ ლამაზი პარკი კეთდება შუაში. პარლამენტთან დიდი კავკასიონის ქედი, სადღაც დაახლოებით იქ არი, სადღაც ქვემოთ აი, ეს მღვიმე. ეს არის ქედი, რომელზეც მიბმული იყო პრომეთე, ამიტომ, თქვენი ნებართვით, მე წინასწარ შევათანხმე ბევრ ქუთაისელთან, ამ მღვიმეს, ალბათ, უნდა ეწოდოს პრომეთეს მღვიმე. ეს ბევრად უფრო ადვილად დასამახსოვრებელი იქნება, ვიდრე ის სახელი, რომელიც აქამდე ჰქონდა...“

ეს თქვა და, ეტყობა, მოეწონა, რა კარგად გამომივიდაო და კმაყოფილმა ჩაიხითხითა:

— აი, ნათლიმამაც გავხდი!

ნათლიმამ, ვის გულისხმობდი, როცა განაცხადე, ახლადმონათლული მღვიმის სახელი „უფრო ადვილად დასამახსოვრებელი“ იქნებაო?

რა თქმა უნდა, — უცხოელ ტურისტებს, რადგან, ყოფილი ყუმისთავის მღვიმე სწორედ მათთვის გათვალისწინებული 15-მილიონიანი პროექტი ყოფილა, ისეთივე პროექტი, როგორიც სრულიად საქართველოა თავისი „ვარდების რევოლუციითა“ და პრეზიდენტით.

ისეთივე უკუღმართობა, როგორც „ნათლიმამობა“, რადგან ქართულად ნათლიმამა ნათლულის მამას ნიშნავს (**იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, თბილისი, 1986 წელი, გვ. 350**). აი, ედუარდ შევარდნაძეს მიხეილ სააკაშვილის ვაჟი — ედუარდი რომ მოენათლა, მაშინ იქნებოდა პატივცემული მიშა ნათლულის მამა, ანუ — ნათლიმამა, იმის დედა — ნათლიდედა, იმის, იმის, იმის „ატეც ტოჟე ვოევალ!“

მაშ ვინაა ნათლია? ალბათ, ის „ბევრი ქუთაისელი“, ვისთანაც სააკაშვილმა წინასწარ შეათანხმა ეს რეფორმატორული გადაწყვეტილება და მღვიმეში მიყვანილ სტატისტებს განუცხადა, თქვენის ნებართვითო. რაღაც ვერ ჯდება ნებართვა-შეთანხმების პროცესი თანმიმდევრობის ელემენტარულ ლოგიკაში.

პრომეთეს საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს: ძველი ბერძნების ღმერთების პანთეონის „უგონიერესი ტიტანი, კაცობრიობის კეთილისმყოფელი, ციდან ცეცხლის მომტაცებელი, კაცთა მოდგმის გამომძერწავი და მფარველი, მისთვის წამებული და კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული“... ზოგიერთებს მიბმული რომ ჰგონია.

მაგრამ ქართველებსაც რომ გვყავს ამირანი? პრომეთეს „ბრწყინვალედ ხორცშესხმული დამოუკიდებელი ანალოგი“ (იხ. **აკაკი გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, 1983 წელი, გვ. 425-427**).

მაგრამ ამირანი ვიღაცას თვალში არ მოსდის და ანგრევინებს მის შესანიშნავ ძეგლს სიღნაღის თავზე.

ახლა სახსენებლის პირწმინდად ამოშანთვას ცდილობს. იქნებ, ვიღაცას სურს, მაინც და მაინც კარლ მარქსს დაემსგავსოს, ვისთვისაც პრომეთე უსაყვარლესი გმირი იყო?

**თავმდაბლობამ ცა მოდრიკაო. რაღაც არ ჩანს ჩვენს კაბადონზე საამისო ნიშანი. ხოლო ყუმისთავის მღვიმისთვის სახელის გადარქმევა ძალიან ჰგავს უგვანო ტურისტების მიერ ისტორიული ძეგლების კედლებზე საკუთარი სახელისა და გვარის მიწერას შავი საღებავით.**

* * *

**მორალი: „ეხ, არკადი, გოვორილ ია ტებე, ნე ნადო ეხატ, ნე ნადო ეხატ!..“**

**არმაზ სანებლიძე**

# ლანცეტი თუ ნაჯახი, ანუ ვის დაუჯერებს განწირული პრეზიდენტი?

**მომავალი კვირა საქართველოში, როგორც ჩანს, საკმაოდ დაძაბული იქნება. მოსალოდნელი ხმაურიანი მოვლენების დაკავშირება მხოლოდ 30 მაისის არჩევნებთან, ალბათ, უმართებულოა. მათი პირველწყარო უფრო იმ ყოვლისმომცველ კრიზისშია, რომელმაც ქვეყანა აგვისტოს ომის შემდეგ მოიცვა. ეჭვქვეშ დაყენებული არჩევნების შედეგები და პირგამეხებული კანდიდატები ამ შემთხვევაში მხოლოდ ახალი დეკორაციის როლს შეასრულებენ. რაიმე ტექტონურ ძვრებს მაის-ივნისის მოვლენებისგან, პრინციპში, არ უნდა ველოდოთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შემოდგომაზე ვითარება ისევ დაიძაბება და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ქვეყნის შიდაპოლიტიკური მდგომარეობა და მისი ნაბიჯები საერთაშორისო არენაზე ობიექტურ რეალობასთან შესაბამისობაში არ მოვა.**

## განხეთქილების ვაშლი

როდესაც საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობენ იმაზე, თუ ვის და რატომ სურს მათი მოცილება, უპირველეს ყოვლისა, კრემლს ასახელებენ და ისეთ სურათს ხატავენ, რომ რუსეთის ყველა რესურსი საქართველოში ხელისუფლების დაუყოვნებლივ შეცვლისკენაა მიმართული (როგორც წესი, ამას დროის კონკრეტულ მონაკვეთს, მაგალითად, პოსტსაარჩევნო დღეებს ან ოპოზიციის მიმდინარე აქციებს უკავშირებენ). პირველი კომენტარი, რომელიც ამასთან დაკავშირებით შეიძლება გაჩნდეს, ალბათ, ასეთი იქნება: **ღმერთმა დაიფაროს ისინი ისეთ სიტუაციაში მოხვედრისგან, როდესაც რუსეთი მათ წინააღმდეგ ყველა რესურსს გამოიყენებს, რადგან, როგორც ჩანს, საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ იმაზე, თუ რას მოიცავს ცნება „რუსეთის ყველა რესურსი“, მაგრამ ამჯერად, არა გავლენის ინსტრუმენტარზე, არამედ პროცესის სხვა მახასიათებელზე — დროის ფაქტორზე შევჩერდეთ.**

გასულ კვირას ორ მეცნიერს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში საქართველოსთან დაკავშირებით თავში ერთი და იგივე მეტაფორა მოუვიდა. ერთ-ერთმა მათგანმა, ჟენევის საერთაშორისო ურთიერთობებისა და განვითარების ინსტიტუტის პროფესორმა ანდრე ლიბიხმა „Tribune de Geneve“-ს განუცხადა: „მოსკოვი უნდა დაელოდოს „ქართული ხილის“ დამწიფებას და შემდეგ მოწყვიტოს იგი“. ხოლო ერევანში, კონფერენციაზე „კავკასია-2009“ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და (ისევ და ისევ) საერთაშორისო ურთიერთობების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა ალექსანდრე კრილოვმა შემდეგი რამ თქვა: „კრემლში, როგორც ჩანს, ელოდებიან, თუ როდის ჩამოვარდება თავისით მათ ხელში ქართული ვაშლი“. ლიბიხი „მომწიფებას“ სააკაშვილის წასვლას უკავშირებს, რომელსაც, მისი აზრით, ბევრი არაფერი უკლია. კრილოვი კი მთავარ აქცენტს საქართველოს საგარეო ვალსა და მისგან გამომდინარე ეკონომიკურ კრახზე აკეთებს.

**მეცნიერთა ცხოველი ინტერესი ხილ-ბოსტნეულის მიმართ ჯერ კიდევ ნიუტონის დროიდან არის ცნობილი და გამორიცხული არაა, ხვალ რომელიმე სხვა პროფესორმა „ვაშლის მომწიფების“ წინაპირობად ორივე ხსენებული ფაქტორი დაასახელოს და მესამეც დაუმატოს. იმის შემდეგ, რაც უკრაინასა და ყირგიზეთში მოხდა, რიგი სხვა მოვლენების კვალობაზე, მსოფლიო საზოგადოებასა და მედიასაშუალებებში (იგულისხმება ის ნაწილი, რომელსაც საკითხი ასე თუ ისე აინტერესებს) დაისადგურა დაძაბულმა მოლოდინმა, იმ ნაბიჯებთან დაკავშირებით, რომელიც კრემლმა შეიძლება საქართველოში გადადგას;**

მეტიც, ერთგვარი გაწელილი პაუზის შეგრძნებაც გაჩნდა. გამოქვეყნდა უამრავი წერილი თემაზე „საქართველო როგორც შემდეგი სამიზნე“ და „რუსეთი გავლენის სფეროს იბრუნებს“, თუმცა ამ პერიოდში ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. „ვაშლის თეორია“ (პირობითად ასე ვუწოდოთ) ამ მოლოდინების თავისებური პასუხი გახდა.

**სიტყვამ მოიტანა და, იმ ადამიანების მემუარებში, ვისაც სტალინთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა, ერთი, თითქმის იდენტური მონაკვეთის მოძიება შეიძლება. ყველაზე დიდ შიშს ისინი განიცდიდნენ არა იმ წუთებში, როდესაც იგი საუბრობდა (თუნდაც აკრიტიკებდა მათ), არამედ მაშინ, როდესაც იგი დუმდა, ჩიბუხს აბოლებდა ან მაგიდის სიახლოვეს ჩუმად, ნელი ნაბიჯებით დადიოდა. ასეთ დროს ნებისმიერმა ადამიანმა შეიძლება იფიქროს, რომ ჩამოვარდნილი პაუზა არის მონაკვეთი მისთვის უკვე გამოტანილ განაჩენსა და მის წარმოთქმას შორის და თავში ათასმა ავისმომასწავებელმა აზრმა გაუელვოს.** სტალინი, დიდი ხანია, ცოცხალი აღარაა, თუმცა ამბივალენტური განცდების გამომწვევი, კარგად გათვლილი პაუზა ჩრდილოეთით მდებარე ზესახელმწიფოს არსენალში ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ იარაღად რჩება.

„ვაშლის თეორია“, ალბათ, მხოლოდ პაუზის გამართლებას არ ემსახურება, სავარაუდოდ, იგი გულისხმობს, რომ მიმდინარე პროცესი (პირობითი „მომწიფება“) ბუნებრივი და შეუქცევადია, ხოლო მისი მიმდინარეობა და ვადები, გათვლილი და გააზრებული — მთლიანობაში კი ყოველივე, ლიბიხის და კრილოვის აზრით, საქართველოზე მოსკოვის სრული კონტროლის აღდგენით უნდა დაგვირგვინდეს. ნაწილობრივი კონტროლი ისედაც არ-

## მოკლედ




### აშშ-ის 32 შტატი გაკოტრებულია

**„Economic Policy Journal“-ის ინფორმაციით, ამერიკის შტატების უმეტესობა გადახდისუუნაროა, ფინანსთა სამინისტრო კი მათი დახმარების ჩრდილოვან პროგრამას ახორციელებს.** უმუშევრობის დახმარებით მცხოვრებ ამერიკელთა 60% ამ დახმარებას პირდაპირ ფედერალური მთავრობისგან იღებს, მაშინ, როდესაც 32-მა შტატმა საამისოდ 37,8 მილიარდი დოლარი ისესხა. ამ მხრივ ყველაზე გაჭირვებული შტატების პირველ სამეულშია: კალიფორნია (6,9 მილიარდი), მიჩიგანი (3,9 მილიარდი) და ნიუ იორკი (3,2 მილიარდი).



### პენტაგონს წაასწრეს

**ახალი ომებისათვის ამერიკის მზადების დეტალები ნელ-ნელა ცხადდება.**

როგორც ჟურნალისტებმა გამოიძიეს, 2009 წლის სექტემბერში აშშ-ის ცენტრალური სარდლობის გენერალმა დევიდ პეტრეუსმა მოიწონა საიდუმლო დირექტივა, რომლის თანახმადაც ახლო აღმოსავლეთის, ცენტრალური აზიისა და აფრიკის ქვეყნებში სადაზვერვო ინფორმაციის მოსაპოვებლად ამერიკული სპეცრაზმები იგზავნებიან. ბრძანებაში ნებადართულია დაზვერვა, რომელიც გახსნის გზებს შესაძლო სამხედრო დარტყმებისათვის.



### მერკელი გერმანელებს არცხვენს

**გერმანიის მწვანეთა პარტიის ყოფილმა ლიდერმა იოშკა ფიშერმა ქვეყნის კანცლერი ანგელა მერკელი გერმანიის ეროვნული პრესტიჟის შელახვაში დაადანაშაულა.** ის უკიდურეს უსამართლობად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ბერძნების დახმარებისთვის მთელი ევროპა საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისა და იტალიის მთავრობის მეთაურ სილვიო ბერლუსკონეს უხდის მადლობას. ამ სახსრების გამოყოფისთვის საგადასახადო ტვირთი კი გერმანიის მოქალაქეებს აწევთ. მერკელმა თავისი როლი უბრალო თანხმობამდე დაიყვანა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net



◀ სებობს; თავი დავანებოთ ეკონომიკას, სადაც რუსული კომპანიების როლი ძალიან დიდია და ვარაუდებს იმის შესახებ, თუ რომელი სახელისუფლო ჯგუფი აწარმოებს საიდუმლო მოლაპარაკებებს კრემლთან (ზოგიერთი ვერსიით, თითქმის ყველა), და ისეთ თემას შევეხოთ, როგორიცაა საქართველოს ხელისუფლების „დღის წესრიგის“ კონტროლი, რომელიც ფაქტობრივად მოქმედებების კონტროლს წარმოადგენს. ოფიციალური თბილისის ნაბიჯების (როგორც შინ, ისე გარეთ), დიდი უმრავლესობა სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა რეაქცია კრემლის მოქმედებებზე ან სავარაუდო გეგმებზე. სახელისუფლო პროპაგანდა კი რუსი მაღალჩინოსნების განცხადებების გაშუქებას უამრავ დროს უთმობს და ამით მედვედევს, პუტინსა თუ ლავროვს საქართველოში მთავარ „ნიუსმეიკერებად“ (ახალი ამბების შემქმნელებად) აქცევს. ამ დროს რუსეთის წინააღმდეგ მტრული განცხადებები კი კეთდება, თუმცა რეალურად ეს ორი ქვეყნის პოლიტიკური და საინფორმაციო სივრცის დაახლოებასა და ურთიერთგადაფარვას იწვევს.

## პრიმაკოვის მისია

გასულ კვირას ერთი ფრიად ენერგიული პენსიონერი, კერძოდ ევგენი მაქსიმეს ძე პრიმაკოვი ლატვიას სტუმრობდა. სამი წლის წინათ მისი ვიზიტი ამ ქვეყანაში რუსეთსა და ლატვიას შორის ტერიტორიული დავის დასრულებით (ყოვლად მოულოდნელად) დაგვირგვინდა.

**ამჯერად მისი ყურადღების ცენტრში, სავარაუდოდ, რიგის პორტის მომავალი მოექცა, თუმცა ჩვენ, ალბათ, უფრო ის კომენტარი დაგვაინტერესებს, რომელიც პრიმაკოვმა საქართველოსთან დაკავშირებით გააკეთა. კერძოდ, „Novonews.lv-ის ცნობით, ადგილობრივი ტელეარხისთვის “TV3-ისთვის მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ სთხოვა ლატვიის პრეზიდენტს — ვალდის ზატლერს, გავლენა მოახდინოს მიხეილ სააკაშვილზე, რადგან „მათ მეგობრული ურთიერთობები აქვთ“.**

საინტერესო ეპიზოდია, ერთის მხრივ, ოფიციალური მოსკოვის პოზიცია, სააკაშვილთან ყოველგვარ, თუნდაც ირიბ, კონტაქტს გამორიცხავს; მეორეს მხრივ, პრიმაკოვს (რომელსაც რუსეთის ხელისუფლებაში არანაირ ოფიციალურ პოსტს არ იკავებს და აქედან გამომდინარე გარკვეული შეზღუდვებისგან თავისუფალია) სააკაშვილამდე ზატლერსის დახმარებით რაღაც მესიჯის მიტანა სურს.

ერთი საგულისხმო დამთხვევა — ამ განცხადებამდე რამდენიმე დღით ადრე მეორე არანაკლებ ენერგიულმა პენსიონერმა, კერძოდ ედუარდ ამბროსის ძე შევარდნაძემ „Время новостей“-სთვის მიცემულ ინტერვიუში თქვა: „არის ასეთი დეტალიც: რამდენადაც ვიცი, პუტინმა შესთავაზა გაწაფულ დიპლომატს — ევგენი პრიმაკოვს ქართული საქმეებით დაკავდეს“. გარკვეული რაკურსით, ეს სიტყვები შეიძლება განვხილოთ როგორც მისი ძველი ნაცნობის, პრიმაკოვის (როგორც პოლიტიკოსებს რთული ურთიერთობები ჰქონდათ, პიროვნული თვალსაზრისით კი — სავსებით ნორმალური) მიერ მიღებული რწმუნებების დადასტურება; ადრე პრიმაკოვის ახალ მისიაზე მხოლოდ მედიაში მოარული ვერსიების მიხედვით თუ ვიმსჯელებდით, რომელიც პუტინის ცნობილ სადღეგრძელოს ეხებოდა.

ვალდის ზატლერსი არ არის ის ფიგურა, რომელიც პრიმაკოვს სააკაშვილის ყურამდე რაიმე ულტიმატუმის მიტანისთვის დასჭირდებოდა, ამისთვის სხვა საშუალებები არსებობს და ეს სააკაშვილისთვის არცთუ ცუდი სიგნალი უნდა იყოს. ლატვიის პრეზიდენტის წინა პლანზე წამოწევა ასევე შეიძლება შეიცავდეს მესიჯს ვაშინგტონისთვის, რომ პრიმაკოვის ქართული თამაში მისთვის გამჭვირვალე იქნება და იმ პრინციპებს დაეფუძნება, რომელზეც ორი ზესახელმწიფო შეთანხმდა საქართველოსთან (და ზოგადად პოსტსაბჭოთა სივრცესთან) დაკავშირებით. სააკაშვილს შეუძლია ჩაებას ამ მოლაპარაკებებში ან მათზე უარი თქვას.

**კრემლს კი, თავის მხრივ, პრიმაკოვის მისიის შედეგებიდან გამომდინარე, შეუძლია გვერდზე გადაღოს საიდუმლო დიპლომატიის ლანცეტი და ხელში სხვა, შედარებით მძიმე ინსტრუმენტი აიღოს. ყოველივეს (ამაზე ზემოთ ვისაუბრეთ), ალბათ, ზედმეტი აჩქარების გარეშე გააკეთებს.**

მოსკოვი, ამ შემთხვევაში, შეიძლება შემდეგი მიდგომით ხელმძღვანელობდეს: საქართველოს წინსვლა ნატოსკენ შეჩერებულია, მისი აშშ-ის სამხედრო პლაცდარმად გადაქცევის პოლიტიკა ბლოკირებულია, თბილისის დღევანდელი მოქმედებები რუსეთისთვის რამდენადმე საგრძნობ საფრთხეს არ წარმოადგენს, შესაბამისად სწრაფი, სარისკო მოქმედების აუცილებლობაც აღარ არსებობს, ხოლო საკითხის გრძელვადიანი, საიმედო გადაწყვეტის ფორმულა, კრემლმა შეიძლება თუნდაც „ვაშლის თეორიის“ ფარგლებში მოძებნოს.

რაზე შეიძლება მიანიშნებდეს პრიმაკოვის ფრაზა „გავლენის მოხდენის“ შესახებ? კონკრეტულად რა სთხოვა ზატლერსს: დაიყოლიოს სააკაშვილი რაღაც შეთანხმებაზე, უარი ათქმევინოს გარკვეულ გეგმებზე თუ კიდევ ერთხელ მოუწოდოს, დაფიქრდეს ადრე უარყოფილ წინადადებებზე? მკითხაობა ამ შემთხვევაში უსასრულობამდე შეიძლება, ასე რომ, ჯობს, ახალ ინფორმაციას დაველოდოთ (აუცილებლად იქნება) და ყოველი შემთხვევისთვის კიდევ ერთი ენერგიული პენსიონერის, ჰენრი ლუისის ძე კისინჯერის ცნობილი გამონათქვამი გავიხსენოთ: „დიპლომატია ძალის მოთოკვის ხელოვნებას წარმოადგენს“.

## ბიშკეკის მოდელირება

„ჩვენ ვართ ახალგაზრდა რევოლუციური მთავრობა, ჩვენი გულები ანთებულია რწმენით, ჩვენი ენერგია ბობოქარი ოკეანეა, ჩვენ წინაშე არ არსებობს გადაუჭრელი პრობლემები, დაუძლეველი ბარიერები, მიუწვდომელი მწვერვალები, ჩვენ ვსუნთქავთ საქართველოს სიყვარულით, ვცოცხლობთ მისი გამარჯვების რწმენით და მის გადასარჩენად მზად ვართ, თვალდაუხამხამებლად გავწიროთ თავი. ჩვენ ვართ იდეალისტები და ვართ მაქსიმალისტები“, — მათ, ვინც უკვე სწვდა რეცეპტის ბლანკს და ტაზეპამის გამოწერა დააპირა, შეუძლიათ არ იჩქარონ, რადგან ეს სავსებით ოფიციალური განცხადებაა, რომელიც მიხეილ სააკაშვილმა 2007 წლის 23 ნოებერს „ნაციონალური მოძრაობის“ ყრილობაზე გააკეთა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, თუმცა ერთადერთი „თავგანწირული და თვალდაუხამხამებელი“ რამ, რაც „ახალგაზრდა რევოლუციურმა მთავრობამ“ ამ პერიოდში გვაჩვენა, ალბათ, იყო მისი რბოლა „წითელ ხიდამდე“ („ფორმულა-1“ მონაგონია) 2008 წლის აგვისტოში; რას ვიზამთ, იდეალისტებმა და მაქსიმალისტებმა ასე იციან ხოლმე.

ამ განცხადებაში საკმაოდ კარგად ჩანს ორიენტაცია მოქმედებაზე და არა ფიქრზე, ემოციაზე და არა გათვლაზე, მოკლედ იმაზე, რამაც საქართველო დღევანდელ მდგომარეობამდე მიიყვანა. გამორიცხული არც ისაა, მთელ რიგ გაუაზრებელ მოქმედებებს ადგილი უახლოეს მომავალშიც ჰქონდეს. ამ შემთხვევაში უმჯობესია ბუნდოვანი ფორმულირებები გამოვიყენოთ, რადგან შემდგომ მხოლოდ ეჭვებსა და ვარაუდებზე ვისაუბრებთ. გარკვეულმა ქვეტექსტებმა რიგი პოლიტიკოსების განცხადებებში შეიძლება იმ დასკვნამდე მიგვიყვანონ, რომ ერთ-ერთი სახელისუფლო ჯგუფის წიაღში გაჩნდა გეგმა, რომელიც გულისხმობს არჩევნების კვალობაზე მართული (ან უგუნური) ოპოზიციური ჯგუფების გამოყენებას მასობრივი არეულობის პროვოცირებისათვის და მის შემდგომ ჩახშობას, რაც გაამართლებს თანმდევ რეპრესიებს რეალური ოპოზიციური ძალების წინააღმდეგ და შესაძლებელს გახდის ხელისუფლების გამყარებისთვის ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომელიც ჩვეულებრივ ვითარებაში უბრალოდ წარმოუდგენელი იქნებოდა. თუ მსგავსი გეგმა მართალაც არსებობს, მისი ხორცშესხმა ქვეყანას ძალიან სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის.

როგორც „მესამე სამყაროს“ ისტორია ცხადყოფს, ამ გზაზე შეჩერება შეუძლებელია, ასეთ ნაბიჯებს მხოლოდ ქაოსი და ტერორზე დაფუძნებული დიქტატურის ჩამოყალიბება მოსდევს. შესაბამისად, შეიქმნება უსაფრთხოების ვაკუუმი, დესტაბილიზაციის კერა, რაც უბიძგებს ორივე (!) დაინტერესებულ ზესახელმწიფოს რეგიონულ პარტნიორებთან ერთად, პროცესებში საკმაოდ უხეშად ჩაერიონ. ეს დაქცევისა და დესუვერენიზაციის გარდა საქართველოს არაფერს მოუტანს.

**კარგი იქნება, თუ ეს ვარაუდი მცდარი აღმოჩნდება და ხელისუფლებაში ასეთი სცენარის ამოქმედებისაკენ ხელი არავის წაუცდება.**

**ბოლოს მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და მკითხველს დამოუკიდებლობის დღე მივულოცო. იმედია, გაისად ამ დღესასწაულს გაცილებით მშვიდ ვითარებასა და საზეიმო გარემოში აღვნიშნავთ.**

**დიმიტრი მონიავა**

# რუსეთი თავის «გავლენის სფეროს» აღადგენს

**რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი უკრაინას პირველი სახელმწიფო ვიზიტით ეწვია. ორ ქვეყანას შორის ხუთწლიანი ცივი ურთიერთობების შემდეგ, ეს ვიზიტი მიზნად ისახავდა მოსკოვისადმი ბევრად უფრო მეგობრულად განწყობილ უკრაინის ახალ ხელმძღვანელთან უფრო თბილი ურთიერთობების განმტკიცებას. „რუსეთს, როგორც იქნა, სრულყოფილი უკრაინელი პარტნიორი გაუჩნდა“, – განუცხადა მედვედევმა ჟურნალისტებს.**




ცნობილია, რომ რუსეთი ყოფილი საბჭოთა ქვეყნების საკუთარ ორბიტაზე დაბრუნების საქმეში წარმატებებს აღწევს. 1991 წელს, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, რუსეთი მუდმივად წუხდა დასავლეთის თავდასხმებით მის გეოგრაფიულ „გავლენის სფეროზე“.

რუსეთი, რომელიც სიტუაციით სარგებლობს და ზეწოლის ტაქტიკასაც მიმართავს, მათ შორის პოლიტიკურ, ენერგეტიკულ და სამხედრო ბერკეტებსაც კი იყენებს, საკუთარ გავლენის სფეროს აღადგენს.

**ამის უახლესი მაგალითი უკრაინაა, რომელიც 2004 წელს საქართველოში და მოგვიანებით ყირგიზეთში მომხდარ „ფერად რევოლუციებს“ შეუერთდა.**

თუმცა 2004 წლის შემდეგ, უკრაინის დემოკრატიული ლიდერები სასტიკ შიდა პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაებნენ, ქვეყნის ეკონომიკა კი კორუფციისა და მსოფლიო კრიზისის გამო სერიოზულად დაზარალდა. ამ წლის არჩევნებით ხელისუფლებაში ახალი პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი მოვიდა, რომელიც რუსეთის მიმართ ბევრად უფრო კეთილგანწყობილია. მან უარი თქვა უკრაინის ნატოში გაწევრიანებაზე, ხოლო გასულ თვეში საპორტო ქალაქ სევასტოპოლში რუსეთის სამხედრო-საზღვაო ბაზას იჯარის ვადა 2024 წლამდე გაუგრძელა.

იჯარის გაგრძელების ფასად უკრაინამ რუსეთიდან იმპორტირებულ ბუნებრივ გაზზე 30 %-იანი ფასდაკლება მიიღო. უკრაინამ რუსეთთან ასევე საკუთარი სახელმწიფო გაზის კომპანიის რუსულ კომპანიასთან შერწყმაზეც დაიწყო მოლაპარაკება. ამ გეგმის აქტიური მხარდამჭერი პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინია.

იანუკოვიჩი საუბრობს, რომ მას დაბალანსებული საგარეო პოლიტიკის წარმოება სურს. ამიტომ ის ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობაზე მოლაპარაკებების გაგრძელებას გეგმავს. უკრაინაში ორდღიანი ვიზიტის დროს მედვედევმა ამ ქვეყნის, როგორც „არც ერთ ბლოკში არ შემავალი“ ნეიტრალური სტატუსი აღიარა და განაცხადა, რომ რუსეთის მიერ მის ექვს მეზობელთან ხელმოწერილ შეთანხმებაში უსაფრთხოების შესახებ, კიევისთვის კარი ყოველთვის ღია იქნება.

შესაძლოა ეს საგარეო პოლიტიკისადმი ახალი და ნაკლებად კონფრონტაციული მიდგომაა, რის შესახებაც ცნობილი გახდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მომზადებულ ერთ-ერთ დოკუმენტზე ინფორმაციის გაჟონვის წყალობით.

უკრაინა მისი დამოუკიდებლობის ნაწილს სწირავს, როდესაც რუსეთთან ვალშია და სწორედ ასეთი ვითარებაა ენერგორესურსებთან და სამხედრო-საზღვაო ბაზის იჯარასთან დაკავშირებით.

მოსკოვი კი მისი პერიფერიის ქვეყნებში კვლავაც აქტიურად მუშაობს. აპრილში, რუსეთმა ყირგიზეთის აჯანყებას წაუყრუა, შედეგად კი იქ მოსკოვისადმი უფრო მეგობრულად განწყობილი მთავრობა შეიქმნა. რუსეთს არ მოსწონდა დამხობილი ხელმძღვანელი, რომელმაც ქვეყანაში განთავსებული ის ამერიკული სამხედრო ბაზა შეინარჩუნა, რომელიც ავღანეთის ომში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. რუსეთს ბელორუსია საბაჟო კავშირით მიება, დასავლეთ-ევროპა — მკაცრი ენერგეტიკული ურთიერთობებით, რაც ევროკავშირში განხეთქილებას იწვევს, ასევე აქტიური ზეწოლა ხორციელდება შეერთებულ შტატებზე — ვაშინგტონი იძულენულია ევროპაში ანტისარაკეტო თავდაცვასთან დაკავშირებულ გეგმებს გადახედოს. ეს ყველაფერი ცხადყოფს, თუ რამდენად მტკიცედ მოქმედებს რუსეთი საკუთარ სამეზობლოში.

The Christian Science Monitor

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო



საავტორო სვეტი

# ბუშის ნაჩუქარი ბოტასები

**საკაშვილის რეზიდენციაში Huffington Post-ის კორესპონდენტის — საიმონ შუსტერის ყურადღება ერთმა საგულისხმო ფოტომ მიიპყრო: „ცენტრალურ ადგილას ნახავთ სურათს, რომელზეც ჯორჯ ბუში სააკაშვილს უყურებს, ის კი თეთრი სახლის მდელოზე დგას და მის ტერიერს, ბარნის ეფერება“.**

იმის გათვალისწინებით, რომ მიხეილ სააკაშვილს არაფრისგან დიდი პრობლემების შექმნა ძალუძს, შეგვიძლია შემდეგი ვარაუდი გამოვთქვათ: ბუში, უბრალოდ, ყურადღებით ადევნებს თვალს, სტუმარმა ბარნის რამე ხიფათი არ გადაჰყაროს. დედამიწაზე კი, ალბათ, უამრავი ისეთი ადამიანი ცხოვრობს, რომელიც სააკაშვილს ძაღლს კი არა, აკვარიუმის თევზსაც არ ანდობს.

ისე, რეზიდენციაში კიდევ ერთი საინტერესო ნივთის მოძიება შეიძლება, რომელიც სააკაშვილის დამოკიდებულებაზე ბუშის მიმართ საკმაოდ ზუსტად მიუთითებს. სასახლის მუზეუმში იმ მცირერიცხოვანი სახელმწიფო ჯილდოების გვერდით, რომელიც სააკაშვილმა უცხო ქვეყნების მმართველებისგან (სომხეთი, ლატვია, ესტონეთი) მიიღო, სხვა სამახსოვრო საჩუქრებთან ერთად გამოფენილია ექსპონატი, რომლის შესახებ საგანგებოდ დამზადებული ლითონის ფირფიტა ამაყად გვამცნობს: „სპორტული ქურთუკი და ფეხსაცმელი საქართველოსა და აშშ-ის სახელმწიფო დროშების გამოსახულებით. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის საჩუქარი. 2008 წელი“.

როგორც ჩანს, ქურთუკთან ერთად შარვლის ჩუქებაზე ბუშს გაქანება არ ეყო, თუმცა მთავარი ეს არ არის, ორდენებთან ერთად „სპორტულებისა“ და ბოტასების გამოფენა აზრად, ალბათ, ჯერ არავის მოსვლია. აშშ-ის ყოფილ პრეზიდენტს მადლობა კი უნდა ვუთხრათ იმისათვის, რომ სააკაშვილს აკვალანგი და „პლავკები“ არ უსახსოვრა, რადგან, დიდი ალბათობით, მათაც გამოფენდა; გემოვნება დაუშლიდა თუ სხვა რამ? ერთადერთი გამონაკლისი, როდესაც მაღალი ჯილდოები და ბოტასები ერთ ექსპოზიციაში შეიძლება მოხვდეს, სახელოვანი სპორტსმენების სახლ-მუზეუმებია, თუმცა, როგორც ცნობილია, სააკაშვილს განსაკუთრებული სპორტული მიღწევები არ აქვს, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით ცნობილ გადმოვარდნას ველოსიპედიდან, არანაკლებ სახელოვან დაცემას საციგურაო მოედანზე (ეს ფაქტი საბოლოოდ დადასტურებული ჯერაც არ არის) და დაუვიწყარ გარბენას პეკინის ოლიმპიადის დღეებში; სამწუხაროდ, გორში დამყარებული რეკორდი საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა სააკაშვილს რატომღაც არ ჩაუთვალა.

ქურთუკი და ბოტასები, რომლებიც საეჭვოდ ჰგავს ჩინური მსუბუქი მრეწველობის მორიგ შედევრს, დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია იხილოს ინტერნეტში, მისამართზე:
president.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=246

ამ მუზეუმში, როგორც ცნობილია, ბავშვები დაჰყავთ და, ალბათ, მოწიწებისგან სულგანაბული ექსკურსიამძღოლი აღფრთოვანებით უხსნის მათ, თუ რაოდენ ძვირფასი რელიქვიაა მათ თვალწინ. ჩემი ნება რომ იყოს, ამ ბავშვებს ავტობუსში ჩავსხამდი და ქსნის ხეობაში, ლარგვისში წავიყვანდი, იმისთვის, რომ საკუთარი თვალით იხილონ ის მშვენიერი ადგილი, სადაც ძალიან მძაფრად შეიძლება შეიგრძნო უხილავი კავშირი გამჩენსა და ადამიანს შორის, მაგრამ ასეთი ექსკურსიის მოწყობა ჩემს შესაძლებლობებს აღემატება; 2008 წლიდან მოგზაურობა ახალგორის რაიონში მეტად საშიში გახდა.

ბოტასები და ქურთუკი მუზემში 2008 წლით დათარიღებული ერთადერთი ექსპონატია (ყოველ შემთხვევაში, ხსენებულ ვებ-გვერდზე ასეა). სად არის მთავარსარდლის ლეგენდარული, ოდნავ გახეხილი საბრძოლო მუნდირი? სად არის მისი ისტორიული ბრძანებების ფოტოასლები? სად არის საქართველოს ნაპირებთან მომდგარი, ამერიკელი მოკავშირეების ავიამზიდების გამოსახულება ფერწერულ ტილოებზე ნატურალურ ზომაში? არაფერი, გარდა ბოტასებისა, რომელთა დანახვისას, დამთვალიერებელს შეიძლება მოაგონდეს მხოლოდ ცნობილი შეძახილი „ფორესტ გამპიდან“: Run, Forrest, run! (გაიქეცი, ფორესტ, გაიქეცი!), ან შესაბამისი სცენები „კონკიადან“.

„ესეც შენ დასამშვიდობებელი კოცნა, ძაღლო! ქვრივებისგან, ობლებისგან, ერაყში ყველა მოკლულისგან!“ — იყვირა მუთაზარ ალ ზეიდიმ და ჯორჯ ბუშს ფეხსაცმელი გაუქანა. ამ ეპიზოდის შემდეგ ფეხსაცმლის მწარმოებელი თურქი რამაზან ბაიდანი აშენდა, რადგან ალ ზეიდის მიერ გამოყენებულ მოდელზე პლანეტის სხვადასხვა კუთხიდან ასიათასობით შეკვეთა მიიღო.

მინდა ვთხოვო საქართველოს მომავალ ხელისუფლებას, შესაძლებლობა მისცეს მიხეილ სააკაშვილს, რეზიდენციიდან ბუშის ნაჩუქარი ბოტასები თან წაიღოს. ეს, ალბათ, სიმბოლური და ჰუმანური ნაბიჯი და მისი მმართველობის დამაგვირგვინებელი საუკეთესო დასამშვიდობებელი საჩუქარი იქნება.

**დიმიტრი მონიავა**

---

რამაზ კლიმიაშვილი:

# სააკაშვილი საქართველოს სპარსეთსა და თურქეთს ჩუქნის

**10 მაისს ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კონგრესში დასამტკიცებლად შეიტანა კანონპროექტი სახელწოდებით „ხელშეკრულება 1,2,3“. ეს კანონპროექტი სტრატეგიული შემტევითი იარაღის რაოდენობის შემცირების შესახებ ჯერ კიდევ ჯორჯ ბუშის ბატონობის დროს იყო მომზადებული, მაგრამ 2008 წელს სააკაშვილის ავანტიურის შემდეგ ის კონგრესიდან გამოიტანეს. ამჟამად კი პრეზიდენტმა ობამამ განაცხადა, რომ „ამ ხელშეკრულებისათვის საქართველოში არსებული სიტუაცია აღარ უნდა განიხილებოდეს ხელისშემშლელ ფაქტორად“. ამით ყველაფერია თქმული – სააკაშვილმა თავისი უგუნური საგარეო პოლიტიკით მიაღწია იმას, რომ ამერიკამ საქართველოს ზურგი შეაქცია. მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა.**



12 მაისს ევროკავშირის მთავრობა, ანუ „ევროკომისია“ არწმუნებს მოსკოვს, რომ „ევროკავშირის პოლიტიკა მის აღმოსავლეთ მეზობლებთან დაკავშირებით არ არის რუსეთთან შეჯიბრების ფორმატში.“

ორიოდე დღის წინ ავსტრალიელმა პოლიტიკურმა ექსპერტმა ერიკ უოლბერგმა საინტერესო დასკვნა გამოაქვეყნა: **„ამერიკისა და რუსეთის თანამედროვე ურთიერთობის პარადოქსი ისაა, რომ აშშ ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში უფრო იდეოლოგიზირებულია, ვიდრე საბჭოთა საგარეო პოლიტიკა იყო მთელი მისი არსებობის განმავლობაში.“** ამას მე დავუმატებ იმ ფაქტს, რომ რუსეთი ამჟამად თავის ექსპანსიაზე ზრუნავს არა რაიმე იდეოლოგიის გავრცელებით, არამედ სუფთა ეკონომიკური ბერკეტებით, ისე, როგორც ამას ამერიკა აკეთებდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როგორც უფროსი, ისე უმცროსი ბუშისათვის პრიორიტეტული გახდა ერთპოლუსიანი მსოფლიოს შექმნისათვის ამერიკული ცხოვრების წესის დანერგავა „დემოკრატიული ფასეულობების“ შეფუთვით. აქედან გამომდინარეობდა ის ავად სახსენებელი „ფერადი რევოლუციები“, რომელთა კრახის წინაშე დადგა დღეს მსოფლიო. საბედნიეროდ, ამერიკის ახალმა ადმინისტრაციამ ეს გაითავისა, თუმცა ინერციით ამის ღიად აღიარება ბოლომდე არ უნდა.

## გენერალი ბრენტ სკოუკროფტი: რუსები საქართველოს მიმართ ისევე მოიქცნენ, როგორც ჩვენ – კოსოვოს საკითხში

ობამას ადმინისტრაციამ ბუშისაგან მემკვიდრეობით მიიღო გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისები, მოუგებელი ომები ერაყსა და ავღანეთში, ირანის ბირთვული პროგრამა, სულ უფრო გათავხედებული და აგრესიულად ანტიამერიკულად განწყობილი ლათინოსი მეზობლები და ა.შ. ასეთ სიტუაციაში, როდესაც ამერიკას საქართველო სჭირდებოდა როგორც ირანზე დარტყმის პოლიგონი, თუ არ ჩავთვლით სააკაშვილის მთავარ ფუნქციას – რუსეთის სისტემატური გამღიზიანებლის როლს, ჩვენი ქვეყანა დიდი „სტრატეგიული პარტნიორის“ თვალში სრულიად უფუნქციოდ დარჩა.

თუ გავითვალისწინებთ საქართველოს პრეზიდენტის, რბილად რომ ვთქვათ, ექსცენტრიკულ ფიგურას, რომელიც ობამას აგონებს ერთად აღებულ ახმადინეჯადსა და უგო ჩავესს, ჩვენი ამერიკასთან მომავალი თანამშრომლობა ძალიან დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება, თუნდაც იმ შემთხვევაშიც, როდესაც ახლო მომავალში სააკაშვილის ნაცვლად ქვეყნის პირველ პირად ვინმე გაცილებით ზომიერი და გაწონასწორებული მოვიდეს. **ამერიკამ პრაქტიკულად საჯაროდ აღიარა, რომ ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა რუსეთის გავლენის სფეროა, ხოლო, თუ როგორ აღადგენს ის (რუსეთი) თავის გავლენას (ყირგიზული თუ უკრაინული მოდელით), ეს უკვე ტექნიკის სფეროა.**

**სააკაშვილმა ეს იგრძნო, ამიტომ რა არ გააკეთა, ამერიკაში ობომასთან ან კლინტონთან შეხვედრისათვის რომ მიეღწია, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. მან თითქმის ერთი თვით უპატრონოდ მიატოვა ქვეყანა, რომელსაც ვიცე-პრეზიდენტი არ ჰყავს. მიშამ მისთვის დამახასიათებელი არასერიოზულობით, ვითომ ამერიკელების დასაბოლმად და მათზე „რევანშისათვის“ ირანის პრეზიდენტი მოიწვია საქართველოში ოფიციალური ვიზიტით. ამით ამჯერად უკვე მან დაუსვა საბოლოო წერტილი ქართულ-ამერიკულ „სტრატეგიულ“ თუ საერთოდ რაიმე ურთიერთობას!**

არანაკლებ საინტერესო იყო, ბაქოდან შინ მიმავალი თურქეთის პრემიერ-მინისტრი ერდოგანი ორიოდე საათით რომ მიიპატიჟა ბათუმში, გაურკვეველი დამსახურებისათვის ყელზე ჩამოჰკიდა ბაჯაღლო ოქროს ორდენი და ასე მიმართა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება თქვენს სახლში!“. ბათუმი რომ სააკაშვილმა თურქებს აჩუქა, ისევე როგორც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი — რუსებს, საყოველთაოდ ცნობი- ▶

---

## მოკლედ




### Google ექვემიტანილია

**გერმანიის პროკურატურა კომპანია Google–თან მიმართებაში სერვის „Google Street View“ გერმანული ვერსიის შექმნისას მონაცემთა უკანონო შეგროვების ბრალდებით წინასწარ გამოძიებას აწარმოებს.**

გამოძიებამ უნდა დაადგინოს, წინასწარგანზრახვით განხორციელდა თუ არა დარღვევები. გერმანული ქალაქების გამოსახულებათა გარდა, კომპანია აგროვებდა ცნობებს უკაბელო ქსელების შესახებ და ინახავდა მათი მომხმარებლების IP–მისამართებს, ელექტრონული ფოსტების მისამართებსა და მიმოწერასაც კი.



### იბრძოლო მარტომ

**ამერიკის პრეზიდენტმა ქვეყნის უსაფრთხოების პროგრამაზე საუბრისას აღიარა, რომ აშშ-ს მსოფლიო არენაზე მარტოდმარტოს მოქმედება არ შეუძლია და მსოფლიო საზოგადოებისგან მოწყვეტა აშშ-ისთვის ნაყოფიერი არ გამოდგა.**

ანალიტიკოსებს იმედი ჩაესახათ, ობამა თავისი წინამორბედის ჯორჯ ბუშის პოლიტიკისგან გამიჯვნას იწყებსო. რეალისტებმა კი თანამშრომლობის გაღრმავების ამ მოწოდებაში ნატოს იმ წევრებისადმი გამაფრთხილებელი საყვედური გაიგონეს, რომლებიც ავღანეთის ომში არ მონაწილეობენ.



### მთავრობის 18 მილიონერი

**ბრიტანეთის ახალ მინისტრთა კაბინეტში, რომლის სამმა მინისტრმა პირობა დადო, რომ „რაც შეიძლება სწრაფად“ გაიყვანს ბრიტანულ ჯარს ავღანეთიდან, 18 მილიონერია.**

პირველი ადგილი ტრანსპორტის მინისტრს ფილიპ ჰემონდს და მის 7,1 მილიონ ფუნტ სტერლინგად შეფასებულ ქონებას ერგო. გარემოს მინისტრი კეროლაინ სპელმანი 5 მილიონით მეორე ადგილზეა, სახაზინო კანცლერი ჯორჯ ოსბორნი კი 4,6 მილიონით მესამე ადგილს დაჯერდა. პრემიერი დევიდ კემერონი და მისი 3,4 მილიონი მეექვსე ადგილზე მოხვდა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ ლია. მაგრამ, როდესაც მან თქვა, რომ თურქეთის საზღვრის გადაკვეთისას პასპორტი აღარ იქნება საჭირო, ეს იმის ნიშანია, რომ თურქეთის პროვინციად არა მარტო აჭარა, არამედ მთელი საქართველო მოიაზრება. ერეკლე მეორე კი, ალბათ, საფლავში ტრიალებს...

**რაც შეეხება ევროკავშირს, ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებთან ურთიერთობის პრობლემები აქ, კარგახანია, წარმოიქმნა. საქმე იმაშია, რომ აღმოსავლეთ ევროპის ამ სახელმწიფოებს მართავდნენ ბუშის ადმინისტრაციის ვასალები, რომლებიც ვაშინგტონის ყოველ ბრძანებას თვალდაუხამხამებლად ასრულებდნენ და ეს დიდ გაღიზიანებას იწვევდა ევროკავშირის დამფუძნებელ „დიდ ოთხეულში" (საფრანგეთი, გერმანია, იტალია და ესპანეთი). საქმე ლამის ევროკავშირის გახლეჩამდე მიდიოდა, თან ბებერი ევროპა (როგორც მას უწოდებდნენ) არ მალავდა, რომ 1999 წლიდან ვარშავის პაქტის ყოფილი ქვეყნები ნაჩქარევად იყვნენ ევროკავშირსა და ნატოში მიღებული და რომ მათ ეს ორგანიზაციები მხოლოდ დაასუსტეს.**

მაგრამ ბოლო ორ წელიწადში სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა. ამ ქვეყნებში არჩევნების საშუალებით ხელისუფლებაში მოვიდა ახალი ხალხი, რომელთაც „აღმოაჩინეს", **რომ მათთვის, ერთი მხრივ, ბრიუსელი და სტრასბურგი, ხოლო მეორე მხრივ, მოსკოვი უფრო ახლო ყოფილა, ვიდრე ვაშინგტონი, და არა მარტო გეოგრაფიულად. უკანასკნელი პროამერიკელი და სააკაშვილის დამცველი კი ლეხ კაჩინსკი იყო, რომლის სახელობის პირველი ქუჩაც მსოფლიოში (არა მგონია, მეტი სადმე კიდევ გახსნან, ისევე როგორც ჯორჯ ბუშის. — რ.კ.) უგულავამ ისე გახსნა, რომ რამდენიმე საათიც არ დაელოდა სააკაშვილის ჩამოსვლას.**

12 მაისს ევროკომისიამ გამოაქვეყნა ის დოკუმენტი, რომელიც თავში უკვე ვახსენეთ და რომელიც, ფაქტობრივად, აღიარებს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებზე რუსეთის გავლენის სფეროს არსებობას. ეს არის პასუხი ორი დღით ადრე ჟურნალ „ნიუსვიკში" გამოქვეყნებულ რუსეთის საგარეო პოლიტიკურ კონცეფციაზე, რომლის ავტორად სერგეი ლავროვი მიიჩნევა. ამ დოკუმენტში ლაპარაკია, რომ რუსეთი აპირებს, ძალიან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდეს ევროკავშირთან იმ პირობით, რომ ევროკავშირი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების საქმეებში აღარ ჩაერევა. ეს ჩარევა კი ბოლო პერიოდშიც მინიმალური იყო, მხოლოდ ეფემერული „აღმოსავლეთის პარტნიორობის" ჩარჩოებით შემოიფარგლებოდა და, ძირითადად, ეკონომიკას ეხებოდა.

აქ საინტერესო ის არის, რომ ამ დოკუმენტში ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიც, რომლებიც ნატოსა და ევროკავშირის წევრები არიან, რუსეთის ეკონომიკური გავლენის სფეროს ფარგლებში მოიაზრებიან. უფრო მეტიც, გაზეთ „ნიუ იორკ ტაიმსში" გამოქვეყნებულ სტატიაში ლონდონის დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტის ევროპული რეფორმების ცენტრი ამტკიცებს, რომ ნატო იგნორირებას უკეთებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს და ისინი (აღმოსავლეთ ევროპელები) „იმუქრებიან", რომ ავღანეთში ჯარებს აღარ გააგზავნიან! საერთოდ, აღმოსავლეთ ევროპელ ლიდერებს ეს გრძნობა, რომ ისინი ამერიკამ მიატოვა, ჯერ კიდევ შარშან გაუჩნდათ, ობამას ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ; ახლა კი ამას თვალნათლივ ხედავენ. ის, რომ ევროზონაში არსებული კრიზისის გამო კვლავ დადგა საკითხი ევროკავშირის არა გაფართოების, არამედ დაპატარავების შესახებ, კიდევ უფრო ზრდის მათ შიშს. და თუ ევროკავშირი ორად გაიყო, ამას, ცხადია, მოჰყვება ზუსტად ასევე ნატოს გაყოფაც.

**აი, ნატოს ახალი კონცეფციის პრეზენტაცია კი მოსკოვში გაიმართა და თანაც ზუსტად ამ დღეებში. ამას წინ უძღოდა 9 მაისს წითელ მოედანზე სამხედრო აღლუმში ამერიკისა და ნატოს სხვა წევრთა სამხედრო ფორმირებების მონაწილეობა. პრეზენტაციაზე ქალბატონ ოლბრაიტს, 12-კაციანი ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელს, რომელმაც ეს დოკუმენტი მოამზადა, პესიმიზმის არაფერი ემჩნეოდა. მან, რასაკვირველია, ილაპარაკა ახალ გამოწვევებზე და ნატოს გაუფართოვა ფუნქციები: მისი თქმით, ნატომ რუსეთთან ერთად უნდა არეგულიროს ფასები ენერგომატარებლებზე, ხელში აიღოს ახალი გაზსადენების მარშრუტები (? - რ.კ.) და კონტროლი კიბერსივრცეზე.**

ნატოს ეს ახალი სტრატეგიული კონცეფცია ბარაკ ობამას ახალი ხედვის შედეგია, რომელიც მან ერთი წლის წინ ნატოს სამიტზე გაახმიანა. აქ ნატოს მთავარ ფუნქციად მოყვანილია საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლა. ვინაიდან ტერორიზმი ყველაზე მეტად სწორედ რუსეთს აწუხებს, ამიტომ გამოიკვეთა ნატოსა და რუსეთის ახალი მჭიდრო თანამშრომლობა, ხოლო ნატოს გენერალურმა მდივანმა რასმუსენმა ახლახან ისიც კი თქვა, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენების დროს ნატო-რუსეთის საბჭოს მუშაობის შეჩერება შეცდომა იყო.

ჩვენთვის საინტერესოა ის თავი, სადაც საქართველოა ნახსენები. მათი თქმით, 2008 წლის აგვისტოს მოვლენები ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსისათვის იყო „ჩავარდნა". საკმაოდ ბუნდოვანი ტექსტის ანალიზისას ის დასკვნა უნდა გამოვიტანოთ, რომ ესენიც იმასვე გულისხმობენ, რომ ალიანსს ზეწოლა უნდა მოეხდინა საქართველოზე და არ დაეშვა ეს ომი. როგორც ცნობილია, ამერიკაში ანალოგიურად ადანაშაულებენ კონდოლიზა რაისს, რომ მან ვერ გააჩერა სააკაშვილი! კიდევ უფრო საინტერესოა ის ფრაზა, რომ „ალიანსის ორი პარტნიორი ერთმანეთს დაუპირისპირდა!" ე.ი. არა მარტო საქართველო განიხილებოდა ნატოს პარტნიორად, არამედ — რუსეთიც, რაც ჩვენს ხელისუფლებას ვერ გაუთავისებია. ხოლო ავადმოსაგონარ აგვისტოში ხელისუფლება ხალხს ატყუებდა, რომ სადაცაა ნატო ან ამერიკა დაგვეხმარებოდა.

**ხოლო ვაშინგტონში ალიანსის ამ ახალი სტრატეგიის პრეზენტაციაზე „ამერიკის ხმის" ქართული რედაქციის შეკითხვაზე თანამომხსენებელმა, გენერალმა ბრენტ სკოუკროფტმა მოულოდნელი აღიარება გააკეთა: „რუსები საქართველოს მიმართ ისევე მოიქცნენ, როგორც ჩვენ — კოსოვოს საკითხში". ამით მან, ფაქტობრივად, რუსეთი გაამართლა!!!**

რასაკვირველია, ტრადიციულად კვლავ გახმოვანებულია ნატოს გაფართოების თემა და კვლავ ნახსენებია უკრაინა და საქართველო. უკრაინის აქ დასახელება უკვე აბსურდამდე მიდის, ვინაიდან ქვეყნის ახალმა ხელმძღვანელობამ საერთოდ უარი თქვა ნატოსთან დაახლოების ყოველგვარ სურვილზე, ხოლო საქართველოს წევრობა უკრაინის გარეშე საერთოდ არ განიხილებოდა. ამ სიტუაციაში, თუ სააკაშვილს ასე უნდა საქართველოს ნატოში გაწევრიანება, მას მხოლოდ ის რჩება, რომ საქართველო ნატოს წევრ თურქეთის პროვინციად გამოაცხადოს! ჩაყლაპავს კი ქართველი ხალხი სააკაშვილის ასეთ მორიგ სიგიჟეს, თუ ჩვენ ხალხი გვქვია?

**რა იქნება შემდეგ? როგორც ცნობილია, 15 მაისს „ვაშინგტონ პოსტმა" გამოაქვეყნა ბუშის ადმინისტრაციის წევრის, დევიდ კრამერის სტატია, რომელშიც ის წერს, რომ „ობამას ადმინისტრაციამ არსებითად მიატოვა ქართველები და რუსეთს მათი საზღვრების გასწვრივ შემდგომი პროვოკაციული ქმედებებისათვის მწვანე შუქი აუნთო".**

**ეს ის მაღალჩინოსანია, რომელმაც თავის დროზე სააკაშვილი „აღმოაჩინა" და მაკეინს წარუდგინა. ხოლო „საქართველოს ეროვნული გმირი" და რუსთ მოძულე სენატორი ჯონ მაკეინი ამ დღეებში ობამას დაუპირისპირდა „საქართველოს მიტოვების გამო", საქართველოში ის, რასაკვირველია, მხოლოდ სააკაშვილს გულისხმობდა.**

**გასათვალისწინებელია ისიც, რომ თურქეთმა წინა კვირაში ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ხელშეკრულება გააფორმა, რითაც ძალიან გააღიზიანა ვაშინგტონი. თავის მხრივ, თურქეთშიც სულ უფრო მატულობს ანტი-დასავლური ტენდენციები, რაზეც ჩვენ არა ერთხელ გავაკეთეთ აქცენტი. ამ სიტუაციაში სააკაშვილის დაახლოება ირანთან და თურქეთთან მის ახალ ხედვას ავლენს. მისმა წინა საგარეო-პოლიტიკურმა კურსმა, რასაც „ევროატლანტიკური ინტეგრაცია" ეწოდებოდა, სრული კრახი განიცადა. მაგრამ სახის დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ შეტრიალება მოგვიტანს კი რამე კარგს? თუ ერთი უბედურებიდან მეორეში გადავალთ?**

**დღეს 26 მაისია და ვხედავთ, რომ სააკაშვილი საქართველოს ჩუქნის სპარსელებსა და თურქებს! ზვიად გამსახურდიაც, ალბათ, სამარეში ტრიალებს! თქვენ?**

# «ნაციონალური» სიწუნკე

## გიგი უგულავამ მერის სარეზერვო ფონდიდან „უმწეო" დეპუტატ გიორგი მელაძეს 9 ათასი ლარის ერთჯერადი დახმარება გამოუყო

**გიგი ვარსკვლავთბიჭუნას „მებაღეობაც ეხერხება, პურის ცხობაც, მშენებლობაც..." — ასე ამბობს მამა. მოკლედ, გიგი მეურნეობს, თან ყოველ წუთს გვახსენებს, რომ მასაც და „ნაცმოძრაობასაც" გასაკეთებელი კიდევ ბევრი აქვთ, ოღონდ არა იმ ადამიანებისთვის, ვისაც თავზე აწვიმს და ათოვს, ვინც ნაგვის ბუნკერებიდან აგროვებს საჭმელს, ვინც უმუშევრობით, უსახლკარობით გატანჯულია... არადა, ზუსტად მათთვის არსებობს თბილისის მერის სარეზერვო ფონდი.**

2008 წლის 18 სექტემბერს №965 განკარგულებით, თბილისის „კანონმორჩილმა" მერმა გიგი უგულავამ ორ „უპოვარს" გამოუყო ერთჯერადი დახმარება. ერთი მათგანი მისი ამჟამინდელი მეუღლე, ლელა კილაძეა, ხოლო მეორე — საქართველოს პარლამენტის წევრი, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატი და ყოფილი ვიცე-მერი გიორგი მელაძე. გამოყოფილი თანხა კი 9 277 ლარია.

რა „ფორსმაჟორი" სჭირდათ უგულავას მეუღლესა და ყოფილ მოადგილეს ისეთი, რომ მერის სარეზერვო ფონდიდან დასახმარებლები გახდნენ, ჩვენთვის, უცნობია, სამაგიეროდ ცნობილია „უმწეო" დეპუტატ მელაძის ქონება და შემოსავლები 2007-2009 წლებში.

**2007 წელი**: ნაღდი ფულის სახით მელაძე და მისი მეუღლე მაკა ლაჩაშვილი ერთობლივად 40 000 დოლარს ფლობენ, ხოლო მელაძის მეუღლე ცალკე კიდევ 20 000 ლარს ინახავს; ბანკში სხვადასხვა ანგარიშებზე დაგროვილი აქვთ 14 155 ლარი და 1 330 დოლარი; თბილისის მერის მოადგილეობისას მელაძის შემოსავალმა 63 675 ლარი შეადგინა, მისი მეუღლისამ — 31 906 ლარი; მელაძის მეუღლემ 25 ათას ლარად გაყიდა ავტომანქანა, ხოლო ბინის რემონტზე 20 ათასი დოლარი დახარჯეს. „თი-ბი-სი ბანკიდან" აიღეს ათწლიანი იპოთეკური სესხი — 60 ათასი დოლარი.

**2008 წელი**: მელაძეები 5 ატასი დოლარისა და 35 ათასი ლარის მფლობელი არიან; საბანკო ანგარიშებზე ერიცხებათ 12 619 ლარი და 1 463 დოლარი; „უმწეო დეპუტატის" ხელფასმა მერის მოადგილეობისას 18 593 ლარი, ხოლო პარლამენტის წევრობისას 34 216 ლარი შეადგინა. მისმა მეუღლემ ხელფასის სახით 26 057 ლარი აიღო; შეიძინა 35-ათასდოლარიანი „მიცუბიში პაჯერო", 11 820 დოლარი იპოთეკური სესხის დასაფარავად „თი-ბი-სი ბანკში" შეიტანეს.

**2009 წელი**: მელაძეებს ხელზე 25 000 ლარი და 10 ათასი დოლარი აქვთ, საბანკო ანგარიშებზე — 15 284 ლარი და 1 727 დოლარი; პარლამენტარის ხელფასით შემოსავალი 56 676 ლარი იყო, მისი მეუღლის – 27 177 ლარი. დაფარეს იპოთეკური სესხის ნაწილიც (11 785 დოლარი). 30 000 ლარად შეიძინეს ბინა, 4 ათას ლარად — არასაცხოვრებელი ფართი.

2007 წელს ისინი 3 ბინას ფლობდნენ, 2008 წელს უცებ აღმოჩნდა, რომ გიორგი მელაძის ხუთსულიანი ოჯახი უბინაოა. დეკლარაციაში ეს გრაფა ცარიელია, როგორც ჩანს, გიგი უგულავამ თანხაც ამიტომ გამოუყო.

2009 წელს კი ძველი ბინები კვლავ სოკოებივით „აღმოცენდნენ" და მათ ნუსხას მიემატა აგლაძის ქუჩაზე (50%-იან მფლობელობაში) საცხოვრებელი ბინა და კომერციული ფართი.

2009 წელს მელაძის შვილებთან — 18 წლის სერგისთან და 11 წლის ნიკოლოზთან „თოვლის ბაბუა" (გ. მელაძის პენსიონერი პროფესორი მამა სერგო მელაძე) მისულა და შვილიშვილისთვის ნუცუბიძის პლატოზე, გაზაფხულის ქუჩა №1-სა და №7-ში 562 და 161 კვ/მ ფართის საცხოვრებელი სახლები და 300 და 208 კვ/მ მიწის ნაკვეთები უჩუქებია. საინტერესოა, არა? ქვეყანაში, სადაც პენსიონერებს საკუთარი პენსია წამლისა და პურის ფულად არ ჰყოფნით, გ. მელაძის მამა ასეთი საჩუქრების გაკეთებას ახერხებს?!

დღეისათვის, მელაძეების ოჯახი ოფიციალურად ოთხ საცხოვრებელ ბინას, ორ საცხოვრებელ სახლს, ორ მიწის ნაკვეთს და ერთ კომერციულ ფართს ფლობს. მათი საბაზრო ღირებულება დეკლარაციაში მითითებული არ არის, ისევე, როგორც ის დახმარება, რომელიც თბილისის მერმა გიგი უგულავამ ასეთ „უმწეო" დეპუტატს სარეზერვო ფონდიდან გამოუყო.

აი, ასეთია „ნაციონალური საქმე", ლაპარაკის ნაცვლად რომ აკეთებენ და თან ყოველ წუთს ცინიკურად გვახსენებენ — გასაკეთებელი კიდევ ბევრი გვაქვსო.

www.forumi.ge

## მოკლედ



# ბლერი გადადგა

**აშშ-ის ეროვნული დაზვერვის მეთაური ადმირალი დენის ბლერი თანამდებობიდან ისე გადადგა, რომ საამისო განცხადებაში ობამას მის ადმინისტრაციაში მუშაობისთვის სავალდებულო მადლობაც კი არ გადაუხადა.**

პრეზიდენტიც დიდსულოვნად დათანხმდა, ბლერის გაუთავებელი კონფლიქტები ობამას ადმინისტრაციის თანამშრომლებთან და თეთრ სახლში მისი შესუსტებული ავტორიტეტი, კარგა ხანია, ყველას ყელში ამოუვიდა.

გარდა ამისა, ბლერი ცსს-ს შეფ ლეონ პანეტთანაც დამარცხდა.



# ჩე გევარას დამჭერი დააპატიმრეს

**ბოლივიურმა სასამართლომ შიდა პატიმრობა მიუსაჯა ბოლივიური ჯარის გადამდგარ გენერალს, გარი პრადო სალმონას, რომელიც იმ სპეცნაზის რაზმის ხელმძღვანელი იყო, რომელმაც 1967 წელს ჩე გევარა დაატყვევა და დახვრიტა.** მას ბრალად ედება კავშირი დაქირავებულთა დაჯგუფებასთან, რომელიც 2009 წელს ბოლივიის პრეზიდენტის, ევო მორალესის წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობდა. პრადომ აღიარა, რომ პოლიციის მიერ მოკლულ დაჯგუფების ლიდერს, ედუარდო როჟა-ფლორესს იცნობდა, მაგრამ შეთქმულების თაობაზე არაფერი იცოდა.



# გამწარებული დეტროიტი

**დეტროიტის მერმა დეივ ბინგმა განაცხადა, რომ წარმოდგენა არ აქვს, როგორ უნდა გაუმკლავდეს ქალაქში გამეფებულ ძალადობას.**

ბოლო დროს ქალაქში მკვლელობები იმდენად მომრავლდა, რომ პოლიციისათვის სალანძღავი სიტყვები აღარ ჰყოფნით; განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერთ-ერთმა პოლიციელმა შემთხვევით შვიდი წლის გოგონა მოკლა.

ქალაქის მერი ამბობს, რომ მოსახლეობის ასეთი თავაშვებულობა მათი ფინანსური მდგომარეობის უკიდურესად გაუარესებამ განაპირობა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მაჰათმა განდი და მახათიანი «პოლიტელიტა»

**მერობისთვის მებრძოლ ცხრავე კანდიდატს უკვე საქმეც გამოელია და მახათიც, ამაში თავად დარწმუნდებოდით, გასულ კვირას სასტუმრო „თბილისი მერიოტში“ გამართულ ფესტივალს რომ დასწრებოდით, სადაც ჩვენმა „ბედოვლათმა“ კანდიდატებმა თავიანთი სლოგანებისა და პლაკატების „მარათონი“ მოაწყეს.**
**ერთი შეხედვით, ამაში საგანგაშო თითქოს არაფერია; მაგრამ, მეორეს მხრივ, ჩნდება ლოგიკური კითხვა, რა „ესლოგანებათ“ და „ეპლაკატებათ“ ამ დალოცვილებს, როცა მთელი მსოფლიო იმაზე ლაპარაკობს, რომ საქართველო უფსკრულის პირასაა და სულ მალე კაცობრიობის ისტორიის ბნელ ქარაფებში განუტევებს თავის მრავალტანჯულ სულს...**

რა დროს ფესტივალი, სლოგანი ან ლექსია, როდესაც მსოფლიოს გავლენიანი პოლიტიკოსები, მათ შორის ისინი, ვინც არცთუ დიდი ხნის წინათ სააკაშვილს დემოკრატიის ლამპრად მოიხსენიებდა, დღეს ისეთ შეფასებებსა და განცხადებებს აკეთებენ, უნდა ვგოდებდეთ — ვაი, საცოდავო საქართველო... რატომ უნდა ვგოდებდეთ? ახლავე მოგახსენებთ:

### გაგვყიდეს ამ შობელძაღლებმა...

მარშალის ფონდის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ადრე ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციაში ევროპისა და ევრაზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე დევიდ კრამერი გავლენიან ამერიკულ გამოცემა „ვაშინგტონ პოსტში“ შავით თეთრზე წერს: „დაახლოებით თოთხმეტი თვის წინათ ამ გაზეთის ფურცლებიდან მე ყველას ვაფრთხილებდი აშშ-სა და რუსეთს შორის „დიდი გარიგების“ შესახებ, რომლის მიღწევაც ობამას ადმინისტრაციას „გადატვირთვის“ ფარგლებში სურს. სტატიას ერქვა „გარიგება, მაგრამ არა დიდი“. მაგალითად, მე მაწუხებდა ის, რომ ობამას ადმინისტრაცია პრინციპის „რუსეთი უპირველეს ყოვლისა“ გამო მოსკოვის მეზობლების საზიანოდ იმოქმედებდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი კიდევ უფრო უარესადაა. ახლა ისინი მოქმედებენ პრინციპით: „რუსეთი და მხოლოდ რუსეთი“ და ბედის (ანუ რუსეთის. — ავტ.) ანაბარა ტოვებენ რეგიონის დანარჩენ ქვეყნებს (მათ შორის საქართველოს).

...სხვა საქმეა კონგრესში „შეთანხმება-123“-ის ხელახლა შეტანა იმის აღნიშვნით, რომ აშშ-ს რუსეთთან საქართველოს საკითხთან დაკავშირებით სერიოზული უთანხმოება აქვს. ამის ნაცვლად „პირდაპირ“ ითქვა, რომ საქართველოს სიტუაცია ამიერიდან რუსულ-ამერიკული ურთიერთობების განვითარების გზაზე დაბრკოლებას აღარ წარმოადგენს და ამით ადმინისტრაციამ ქართველები ფაქტობრივად ბედის ანაბარა დატოვა“.

ავტორი აქვე დასძენს: „ობამა და სხვა ამერიკელი მაღალჩინოსნები აცხადებენ, რომ რუსეთის „გავლენის სფეროებს“ არ აღიარებენ, მაგრამ მათი მოქმედება თუ უმოქმედობა სიტყვებზე უფრო ხმამაღლა ლაპარაკობს“.

აგაშენა ღმერთმა; მოკლედ, ამ წერილში ყველაფერი იმდენად ცხადად, გასაგებად და, რაც მთავარია, გულწრფელადაა ნათქვამი, რომ ჩვენი და ჩვენი ბედოვლათი პოლიტიკანების მხრიდან ამის არ შესმენა ან „პირველი ხარისხის“ სიყრუის ნიშანი იქნება, ან იმ მოღალატეობრივი პოლიტიკის ერთგულების გამოხატულება, რომელსაც სააკაშვილი და მისი „ნაცმოძრაობა“ დღემდე უშეცდომოდ ატარებს.

სააკაშვილის მამობილ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციის ყოფილი მაღალჩინოსანი პირდაპირ გვეუბნება: „თქვენ გამო აუტკივარი თავის ატკივებას არ ვაპირებთ, ჩვენი პრობლემებიც გვეყოფა და სხვისი, ანუ ამერიკის დახმარების იმედად კრემლთან ძიძგილაობას საბოლოოდ შეეშვითო. კაცმა გულწრფელი და სასარგებლო რჩევა მოგვცა (თან გაგვაფრთხილა). შევისმენთ? — მეტ-ნაკლებად ვიხეირებთ! არ შევისმენთ და, მოგეხსენებათ, „ჯანდაბა“ იმხელა „სივრცეს“ მოიცავს, ჩვენ კი არა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, სხვა ჩვენისთანა პროამერიკულ სატელიტ „ფსევდოდემოკრატიულ“ რეჟიმსაც უპრობლემოდ დაიტევს.

არა მგონია, კრამერის ზემოხსენებული წერილი ხელისუფლების წარმომადგენლებს წაკითხული არ ჰქონდეთ და, სიმართლე გითხრათ, არც ის მგონია, რომ მისი მნიშვნელობის გააზრება არ შეეძლოთ.

**როცა ამ წერილს წაიკითხავდა, საქართველოს პრეზიდენტს უსათუოდ უნდა გახსენებოდა ჩვენი არცთუ შორეული წარსული — XX საუკუნის 20-იანი წლები, როცა ევროპის მოწინავე სახელმწიფოთა „მხოლოდ შეშფოთების“ იმედად — თურქეთის პირისპირ და რუსეთის ამარა დავრჩით...**

**პრეზიდენტს უსათუოდ უნდა გახსენებოდა, თუ როგორ მოუხდათ ქვეყნის დატოვება ნოე ჟორდანიასა და მის თანამოაზრეებს, მთლიანად „პოლიტიკურ ელიტას“.**

**ამდენი რამის გახსენების შემდეგ, არა მგონია, პატივცემულ სააკაშვილს არ აღმოხდენოდა ოხვრა: ისევ გაგვყიდეს ამ შობელძაღლებმა!..**

დიახ, ბატონებო, გაგვყიდეს და უფრო მეტიც — თითქმის ერთი საუკუნის შემდეგ მათ ლამის იუველირის სიზუსტით გაიმეორეს ისტორია, რითაც არა მარტო გვაზარალეს, არამედ ორი რამ (რასაც შეიძლება ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებთ) დაგვიმტკიცეს: **ერთი ის, რომ ჩვენ ჭკუას ვერასოდეს ვისწავლით; და მეორე — ამდენი ხანი სულ ტყუილად გვიბრძოლია იმ „დასავლური ფასეულობებისთვის“, რომლებმაც ჩვენი ეროვნული სული ლამის დაასამაროს. ამით პრობლემის სირთულე ერთიორად იზრდება, რადგან, როცა ჩვენი „ყიდვა-გაყიდვის აქტი“ საბოლოოდ გაფორმდება, დავინახავთ, რომ დაბრკოლებას არა მხოლოდ არასწორი პოლიტიკური კურსი გვიქმნის, არამედ — ის უკუღმართი დაღიც, რაც „ძვირფასმა“ დასავლეთმა ამ არცთუ ისე ხანგრძლივი ურთიერთობის მანძილზე ჩვენს ეროვნულ თვითშეგნებას დაასვა.**



მგონი, ამას მიშა პრეზიდენტი, დიდი ხანია, მიხვდა, მაგრამ ჯიუტად არ იმჩნევს. თუმცა გუნდის წევრებს ნერვული დაძაბულობის ფონზე რაღაცრაღაცები წამოსცდებათ ხოლმე. ყველაზე ხშირად ეს საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ (გრიშა) ვაშაძეს ემართება და, თუ რატომ, ამასაც აქვე მოგახსენებთ:

### ჩაგვიშვეს ამ შობელძაღლებმა, ანუ, გრიშა ბიძია, ჭამე თუ არ ჭამე?

რამდენიმე დღის წინათ საქართველოში ოფიციალური თუ არაოფიციალური ვიზიტით პოლონეთის ყოფილი პრეზიდენტი ალექსანდრე კვასნევსკი იმყოფებოდა. როგორც საინფორმაციო საშუალებებმა გვაუწყეს, შეხვედრები მრავლად გაიმართა და, ბუნებრივია, პარტნიორი ქვეყნის ყოფილ პირველ პირს ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრიც შეხვდა. რაზე ისაუბრეს ვაშაძემ და კვასნევსკიმ, დიდად არავინ დაინტერესებულა, მაგრამ დატოვა თუ არა ამ უკანასკნელმა საქართველო, თავის პირველივე საჯარო განცხადებაში შეხვედრის ისეთი დეტალი გაახმაურა, რამაც, შეიძლება ითქვას, ფარდა ახადა ჩვენი ხელისუფლების დღევანდელ მდგომარეობას: **„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო რუსეთთან წინაპირობების გარეშე დიალოგისთვის მზადაა“,** — აი, რას გაუსვა ხაზი ბატონმა კვასნევსკიმ თავის განცხადებაში... (მისი თქმით, ამის თაობაზე მას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გრიგოლ ვაშაძე ესაუბრა). და ეს მაშინ, როდესაც რუსეთთან არათუ უწინაპირობო, ნებისმიერი ფორმის კონტაქტიც კი სააკაშვილისა და მისი გუნდის საჯარო განცხადებებში ქვეყნის ღალატად არის მიჩნეული. დააკვირდით, რა გამოვიდა — მიშა სხვებს ტუქსავს, ეს მოღალატეები ოკუპანტ რუსებთან მოლაპარაკებებს მართავენო, ამ დროს კი, კვასნევსკის თუ დავუჯერებთ, მინისტრი ვაშაძე მზადაა, საქართველოს სახელით რუსეთთან წინაპირობების გარეშე დასხდეს მოლაპარაკების მაგიდასთან.

უნდა ვივარაუდოთ, რომ კვასნევსკიმ საჯაროდ განაცხადა ის, რაც მას ვაშაძემ კონფიდენციალურად უთხრა, ანუ ალექსანდრემ გრიშა „ჩაუშვა“. სწორედ ამიტომ, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდაძემ საპასუხო განცხადებაში კვასკნევსკის სიტყვები უარყო და თავის მართლებისას ლამის ქოში უკუღმა ყარა. ქოშის უკუღმა ყრის გამო კი გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ვაშაძეს კვასნევსკისთან შეხვედრის დროს იაღლიში მოუვიდა. ამ იაღლიშის „არსი“ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს ბედოვლათ მინისტრს გათვალისწინებული არ ჰქონდა რუსეთთან დიალოგის საკითხზე მისი მოსაზრებების საჯაროზე გამოტანა. კვასნევსკიმ კი, რომელსაც ბატონმა ვაშაძემ, ეტყობა, გული გადაუშალა, ნათელი მოჰფინა მის პოზიციას და ამით ერთგვარი უხერხულობის მომენტი შეუქმნა მთლიანად „ნაცმოძრაობას“.

მიიღო თუ არა ამ ბავშვური გულუბრყვილობისთვის ვაშაძემ „ვარდოსან მამამთავართაგან“ „პოუშამი“, ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა „ნაცმოძრაობის“ ბურჯები თავიანთ იდეებს, მრწამსს ღალატობენ. გახსოვთ, რამდენიმე ხნის წინათ გიგი უგულავამ რა განცხადება გააკეთა „ნიუსვიკთან“ ინტერვიუში: **მზად ვართ, ტერიტორიების დაბრუნების სანაცვლოდ, „ნატოში“ შესვლაზე უარი ვთქვათო...** თუმცა უგულავას ეს განცხადება, ასე თუ ისე, მაინც საჯაროდ გაკეთდა და ეს არც თვითონ უარყოფია კატეგორიულად. აი, ვაშაძეს კი ისეთი იაღლიში მოუვიდა (ან იქნებ არც მოსვლია), რაც, მე ვიტყოდი, დამწყებ პოლიტიკოსსაც შეიძლება არ ეპატიოს. ამიტომაც წინამდებარე წერილის სათაური (გრიშა ბიძია, ჭამე, თუ არ ჭამე?) ნამდვილად რიტორიკულია და თავისთავად პასუხსაც შეიცავს. ასე რომ, ბატონო გრიგოლ, შეგიძლიათ, კითხვა უპასუხოდ დატოვოთ, ისედაც ვიცით, რომ კვასნევსკიმ ვეებერთელა... გაჭამათ (ცუდი არაფერი იფიქროთ). ახლა მთავარია, ეს „ვეებერთელა“ კარგად მოინელოთ. ამისთვის კი, აუცილებელია, ლექსიკონიდან ამოიღოთ სიტყვები: მეხუთე კოლონა, მოღალატეები, რუსეთის აგენტები, ქვეყნის მტრები და ასე შემდეგ. ამას თუ არ იზამთ, მერწმუნეთ, სხვა თუ არავინ, თქვენივე თანამოაზრეები ამოგაძრობენ მაგ „ტვინთან მოურჩე“ ენას, რომელმაც სულ ახლახან გაგყიდათ, ალბათ, თქვენთვის აწ უკვე ავადსახსენებელ კვასნევსკისთან...

ჰო, მართლა, მტრები ვახსენე და ბარემ აქვე ერთ მეტნაკლებად საინტერესო თემასაც შევეხები.

რუსული მედიით გავრცელდა ინფორმაცია, რომ ცხინვალის რეგიონში დისლოცირებულ რუს სამხედროებს საქართველოს არმიის ამჟამინდელი შემადგენლობის, შეიარაღების, საბრძოლო გამოცდილებისა და მომზადების გავლილი პროგრამების შესახებ საინფორმაციო ბუკლეტები დაურიგდათ. ამ ფაქტს საქართველოში, რა თქმა უნდა, გამოხმაურება მოჰყვა და შესაბამისად, განცხადებებიც უხვად მოვისმინეთ. კონკრეტული განცხადება არ მომყავს იმიტომ, რომ ხელისუფლების თითოეულმა წარმომადგენელმა ამ თემაზე, როგორც ყოველთვის, ერთი და იმავე სიტყვებით, ერთი და იმავე ტონითა და გამომეტყველებით ისაუბრა. ანუ ყველამ ერთხმად აღნიშნა, რომ ეს ბუკლეტები ემსახურება საქართველოს მტრების, დამაქცევრების ინტერესებს...

თქვენი არ ვიცი და მე პირადად, როცა ამ ყველაფერს ვისმენდი, ჩემს თავს კიდევ ერთხელ ვკითხე: ვინ არის ჩვენი უპირველესი მტერი, ის, ვინც მიზეზთა და მიზეზთა გამო (რაც კიდევ ცალკე საკითხია) იარაღით გვიპირისპირდება, თუ ის, ვისაც ქვეყნის საჭეთმპყრობელობა ვანდეთ და დღეს უფსკრულისკენ მიგვაქანებს?.. პასუხი თქვენთვის მომინდვია, ძვირფასო მკითხველო, თუმცა ვისაც სჯერა, რომ ჩვენი პრობლემების სათავე რუსეთია, შევეცდები, დავარწმუნო, რომ საქართველოს ერთადერთი მტერი ჰყავს და მისი დანახვა რეალურად თუ გვინდა, ჩრდილოეთისკენ ტყუილად ვიყურებით...

### ამას გვიმალავდით? ანუ ვინ შეჭამა თოფი...

...დიახ, რაც უნდა დიდხანს და დაჟინებით მივაჩერდეთ ჩრდილოეთს, რეალურ მტერს ვერასოდეს დავინახავთ, რადგან იგი (რეალური მტერი) აქვე, ხელის გაშვერაზეა. აბა, რა მოსატანია რუსეთის მტრობა იმ უბედურებასთან, რაც „ნაცებმა“ ხელისუფლებაში მოსვლის დღიდანვე სრულიად ქართველობას დაატეხეს თავს. უსამართლობას, ქუჩაში დახვრეტებს, ძალაუფლების უზურპაციასა და უამრავ სხვა „მსხვილმანს“ რომ თავი დავანებოთ და გადავხედოთ ხელისუფლების წარმომადგენელთა ქონებრივ დეკლარაციებს, ანუ კარგად აღვიქვათ, თუ რამდენი წაგვლიტეს ამ გაუმაძღრებმა.

აი, მაგალითად, ვანო მერაბიშვილის ოჯახს სხვადასხვა ბანკში შვიდი ანგარიში აქვს: „ბანკ ქართუში“ — 119,822,81 ლარი; „საქართველოს ბანკში“ — 11.025 დოლარი და 2.386 ევრო, „რესპუბლიკა ბანკში“ — 7.806 ლარი; „თი-ბი-სი ბანკში“ — 297 დოლარი, ამასთან მერაბიშვილს გასულ წელს ხელფასის სახით ანგარიშზე 46.708 ლარი დაერიცხა, ხოლო მის მეუღლეს, თამარ მერაბიშვილს კი, რომელიც მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის შეხვედრების კოორდინატორია, — 15.853.63 ლარი. მისივე ანგარიშზეა „ბანკ ქართუში“ 1134 დოლარი და „თი-ბი-სი ბანკში“ 2825.08 ლარი. გარდა ამისა, მერაბიშვილების ოჯახს აქვს უძრავი ქონება — საცხოვრებელი სახლი თბილისში და 800 კვ.მ ფართობის საცხოვრებელი სახლი ახალციხეში.

მოკლედ, ეს არის და ეს... მგონი არც თქვენ დაიჯერეთ, ძვირფასო მკითხველო, რომ ეს დეკლარაცია სრულყოფილია. მიუხედავად იმისა, რომ მასში „ყოველივე არს დამალული“ მერაბიშვილის ქონება, მაინც საკმაოდ შთამბეჭდავია. თუმცა ჯერ სად ხართ, ახლა პატივცემულ ნიკოლოზ რურუას ქონებრივ დეკლარაციას გავეცნოთ.

მაშ ასე, მის ოჯახში საბანკო ანგარიში მხოლოდ ბატონ რურუას აქვს; კერძოდ, მის დეპოზიტზე 300 ათასი დოლარი ირიცხება, ხოლო დეკლარაციის შევსების მომენტში მას მხოლოდ 15.000 დოლარი აღმოაჩნდა.

სამაგიეროდ მისი ძმა, გიორგი რურუა ცხრა საწარმოს პარტნიორია. ესენია: შპს „ჯეოვეია“, შპს „ბესტი“, შპს „აზიური“, შპს „გრანდი“, ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ შპს „პროგრეს-ჯგუფი“, შპს „ჰორეკა-2010“, შპს „ჯი.დი.ინვესტ გრუპი“, შპს „ჟოკეი კლუბი“ და შპს „თბილისის იპოდრომი“. აღნიშნული ორგანიზაციებიდან გიორგი რურუას შემოსავალი გასულ წელს მხოლოდ სამი მათგანიდან ჰქონდა. კერძოდ შპს „ჯოვეია“-დან მან 80.676.74 ლარი მიიღო, შპს „ჯი.დი.ინვესტ გრუპიდან“ — 15000 ლარი, ხოლო შპს „ჟოკეი კლუბიდან“ — 55.995 ლარი. დეკლარაციის თანახმად, ნიკოლოზ რურუას ოჯახში ძვირადღირებული მოძრავი ქონებაც მხოლოდ გიორგი რურუას ეკუთვნის. კერძოდ, 2008 წლის ჯიპი „ტოიოტა ლენდ კრუიზერი“... (შეგიძლიათ, არ დაიჯეროთ).

რაც შეეხება დანარჩენ მინისტრებს, დეკლარაციის მიხედვით, გასულ წელს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრ კობა სუბელიანს ხელფასის სახით 98.040 ლარი დაერიცხა, საგარეო საქმეთა მინისტრ გრიგოლ ვაშაძეს — 86.430 ლარი, შრომის, ჯანმრთელობისა და სოც. დაცვის მინისტრ ალექსანდრე კვიტაშვილს — 91,195 ლარი, გარემოს დაცვის მინისტრ გოგა ხაჩიძეს — 78.420 ლარი, სოფლის მეურნეობის მინისტრ ბაკურ კვეზერელს — 76.000 ლარი, ხოლო თავდაცვის მინისტრ ბაჩო ახალაიას — 70,865 ლარი... ჰო, მართლა, მინისტრებიდან გასულ წელს ყველაზე მაღალი ხელფასი ფინანსთა მინისტრ კახა ბაინდურაშვილს დაერიცხა — 106.062 ლარი, რითაც მან, შეიძლება ითქვას, დღემდე არსებული ყველა „რეკორდი“ „პირწმინდად“ მოხსნა...

აი, ასე გამოიყურება იმ ქვეყნის ხელისუფლების მაღალჩინოსანთა ქონებრივი დეკლარაცია, რომლის მოსახლეობის სულ ცოტა სამოცი პროცენტი მაინც მშიერი და გაუბედურებულია. აი, ვინ არის ჩვენი უპირველესი მტერი და დამაქცევარი... და ეს მაშინ, როდესაც საარსებო მინიმუმი საქართველოში 127 ლარია, ხოლო პენსია საშუალოდ 80 ლარი, მასწავლებლის ხელფასი კი — (ასევე საშუალოდ) 250 ლარი... შეადარეთ ეს ციფრები ერთმანეთს და დამეთანხმებით, რომ მტერი, პირველ რიგში, არა კავკასიონის ქედს იქით, არამედ აქვე, მაღალი და თბილი კაბინეტების რბილ სავარძლებში უნდა ვეძებოთ!

თავად განსაჯეთ, თუ რა უფრო დიდი შვება იქნებოდა ქართველი ერისთვის, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ რუსეთის ოკუპანტად მიჩნევა და მორიგი შეშფოთების გამოთქმა, თუ ის, რომ ხელისუფლების სათავეში არ ჰყავდეს გაუმაძღარ ხელისბიჭთა მავნებლური ბანდა?!

**სიტყვა მეტისმეტად გამიგრძელდა, მაგრამ აქვე მოკლედ მოგახსენებთ იმის შესახებ, თუ რატომ ვუწოდე ხელისუფლების წარმომადგენლებს მავნებელთა ბანდა და რატომ დავარქვი წერილს — „მაჰათმა განდი და მახათიანი პოლიტელიტა“.**

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩვენს მინისტრებს უცხოელი მოქალაქე, ჯორჯ სოროსი უხდიდა ხელფასებს. ისინი ჯორჯ ბუშის „ხელგაშლილი“ ადმინისტრაციისგანაც სოლიდურ ფინანსურ დახმარებას იღებდნენ „ერთგული სამსახურისა“ და ანტიეროვნული საქმიანობისთვის, მუსიკას კი, მოგეხსენებათ, ყოველთვის ის უკვეთავს, ვინც ფულს იხდის.

**ამ სოროსის მიერ ხელფასგადახდილი „ნაცების“ ნაწილი დღეს ოპოზიციაშია და „სააკაშვილის“ შეცვლას „ცდილობს“. ამით იმის თქმა მინდა, რომ დღევანდელი ხელისუფლება და ოპოზიციის ძალიან დიდი ნაწილი, ქართული პოლიტელიტა ერთი ქსოვილისგან, ერთი ძაფით არის ნაკერი და ძუძუც ერთი აქვთ ნაწოვი.**

რაც შეეხება „მახათიანებს“. ტვინის გახურების კოეფიციენტიდან გამომდინარე, ჩვენი ძვირფასი პრეზიდენტი, ხშირად ადარებს ხოლმე თავის თავს გამოჩენილ პოლიტიკურ ფიგურებს — ხან ნაპოლეონ ბონაპარტს, ხან უინსტონ ჩერჩილს, ხან ჯორჯ ვაშინგტონს და ხანაც დავით აღმაშენებელს. მათ შორის თავის სატელევიზიო გამოსვლებში მან ადრე ერთი-ორჯერ მაჰათმა განდიც ახსენა და თავი, ასე ვთქვათ, მის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ სამართალმემკვიდრედ წარმოგვიდგინა... სხვა საკითხია, ვინ რამდენად სერიოზულად აღიქვა მისი ეს ქადაგება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ისეთებიც იქნებიან, ვისაც გულუბრყვილოდ სჯერა, რომ სააკაშვილი მართლა მაჰათმა განდია; თუმცა გულუბრყვილობა იქით იყოს და, ისტორიას თუ გადავხედავთ, ამ უკანასკნელსა და „ნაცების ბელადს“ შორის განსხვავების მეტს ნამდვილად ვერაფერს ვიპოვით. ასე მაგალითად: **საყოველთაოდ ცნობილია, რომ განდი თანამემამულეების გვერდზე, საერთო საცხოვრებელში თავმდაბლად ცხოვრობდა, ატარებდა ინდურ ტრადიციულ ტანისამოსს. ამასთან, იგი ცდილობდა, თავი შეეკავებინა ყოველგვარი ხორციელი სიამოვნებისგან; მან სათავე დაუდო არაძალადობრივი ბრძოლის მეთოდებს და ქვეყანა დამოუკიდებლობამდე მიიყვანა, რის გამოც დღეს იგი ინდოეთში „ერის მამად“ იწოდება...**

მაჰათმა განდისგან განსხვავებით, ჩვენი „ყოვლისშემძლე“, „ნულოვანი ტოლერანტობისა“ და „ყველანი ციხეში“-ს ინიციატორი პრეზიდენტი არა მხოლოდ სუშისა და სხვა ძვირადღირებული კერძების ჭამაშია რეკორდსმენი, არა მხოლოდ ძვირფას სასახლეში ცხოვრობს მეფური განცხრომით, არამედ არც „პროფესიონალიზმით“ ცნობილ მასაჟისტებთან (მაგ.: როგორიც დოქტორ დოტია) საუნაში ნებივრობას იკლებს და არც არჩევნების გაყალბებას უკადრისობს; ხაზინაშიც დიდი მონდომებით აფათურებს ხელს და პირტიტველა ბიჭების „Без суда и следствия“ დახვრეტაში მხილებულ ჩინოვნიკებსაც „დემოკრატიულად“ მფარველობს.

**გარდა ამისა, განდი ამბობდა: „კორუფცია და ფარისევლობა არ უნდა იყოს დემოკრატიის გარდაუვალი შედეგი“. სააკაშვილმა კი ერთიც და მეორეც სახელმწიფოებრივი პოლიტიკის დონეზე აიყვანა და არსებული რეალობის განუყოფელ ნაწილად აქცია...**

**სხვა განსხვავებებსაც რომ შევეხოთ, „ინდოეთის მამასა“ და „ნაცმოძრაობის მამას“ შორის საუბარი მეტისმეტად შორს წაგვიყვანს, ამიტომ ისღა დამრჩენია, კიდევ ერთხელ შევახსენო ხელისუფლებას და გაოპოზიციონერებულ ყოფილ ნაცებს, ანუ ჩვენს ძვირფას პოლიტელიტას, რომ სააკაშვილის ჯორჯ ვაშინგტონთან, დავით აღმაშენებელთან და მით უფრო, მაჰათმა განდისთან შედარებისას, ერთ ხელში წყლით სავსე, სულ ცოტა, ოცლიტრიანი ბოცა მაინც უნდა ეჭიროს პირის გამოსარეცხად, მეორეში კი — გავარვარებული მახათი იმ ორგანოში გასაყრელად, რომლითაც ჩამოკიდება ჩვენს „მამაც პრეზიდენტს“, როგორც ჩანს, ადრე თუ გვიან, მაინც არ ასცდება მისივე აღვირახსნილობით განრისხებული ქართველობისგან...**

**ჯაბა ჟვანია**

# დაადებს თუ არა ხელს მალაზონია დავით კირკიტაძეს?

**ამ დღეებში „ენერჯი ინვესტის“ გენერალური დირექტორი გენო მალაზონია დააკავეს. მას ბრალი ოთხი მუხლით წაუყენეს. როგორც პროკურატურამ დაადგინა, სახელმწიფოს მალაზონიას გამო 70 მილიონის ზარალი მიადგა. მალაზონიას დაკავებამდე ერთი დღით ადრე მისი საკალათბურთო გუნდი „ენერჯი ინვესტი“ საქართველოს ჩემპიონი გახდა, ხოლო უფრო ადრე — საფეხბურთო გუნდი „ოლიმპი“. ალბათ, ხვდებით, რომ ერთი პატარა რეგიონისთვის ეს თანხა იმდენად დიდია, რომ რეგიონის „მაყურებლის“ „დაუკითხავად“ ამ თანხას მალაზონია მარტო ვერ დახარჯავდა. არავისთვის უცნობი არ არის, რუსთავში გამართულ ბევრ სპორტულ ღონისძიებას სპონსორობას მალაზონიას „ენერჯი ინვესტი“ რომ უწევს. დაასახელებს თუ არა მალაზონია მხარის გუბერნატორს დავით კირკიტაძეს და „შეუდგა თუ არა წყალი“ რუსთავის „მაყურებელს“?**



მალაზონია, როგორც გითხარით, ქვემო ქართლში გამართული, პრაქტიკულად, ყველა სპორტულ-კულტურული და სანახაობითი ღონისძიების დამფინანსებელი საწარმოს — „ენერჯი ინვესტის“ გენდირექტორია. ყოველგვარი მუხტმაძიებლობის გარეშე ისმის ლოგიკური შეკითხვა: დაასახელებს თუ არა მალაზონია კირკიტაძეს, როგორც სამხარეო ღონისძიებების მთავარ დამკვეთს?

ცნობილია, რომ საფეხბურთო კლუბ „ოლიმპისა“ და საკალათბურთო გუნდ „ენერჯი ინვესტის“ ჩემპიონობა და მათთვის ძვირადღირებული ბაზების შექმნა (რაც თავისთავად ურიგო სულაც არ არის), ამასთან, უცხოელი ლეგიონერების ჩამოყვანა, დიდ თანხებს მოითხოვს.

დღეს რომელიმე საფეხბურთო ან საკალათბურთო გუნდი დამოუკიდებლად არსებობას შეძლებს, მითუმეტეს, თუ ლეგიონერებს იძენს და ჩემპიონობაზეც აქვს პრეტენზია? კირკიტაძის ფეხბურთით გატაცების ამბავი საქვეყნოდაა ცნობილი. ამასთანავე რუსთავის საკალათბურთო გუნდი „ენერჯი ინვესტი“ გამორჩეულია იმით, რომ მაღალანაზღაურებადი კალათბურთელები და რამდენიმე ლეგიონერიც ჰყავს, საქართველოში ფეხბურთელებს მაღალ ხელფასებს ვერ აძლევენ და კალათბურთელისთვის რამდენიმე ათასის გადახდა, ცოტა არ იყოს, საეჭვოა. მოკლედ, დაერია თუ არა მერაბიშვილი ფარულად ამ „სასტავს“, ჯერჯერობით უცნობია. ფაქტია, რომ მალაზონია „თავისუფლების ინსტიტუტის“ ყოფილი წევრია და მისი დაკავების შემდეგ აქტიურად ლაპარაკობენ ძმებ კოდუებზე, თუმცა კონკრეტულად მალაზონიასთან რა აკავშირებთ, არ ამბობენ. „ენერჯი ინვესტის“ გენდირექტორის დაკავების შემდეგ, ტელევიზიების ეთერში გასულ სიუჟეტებში კოდუები ახსენეს. ეს აჩენს ეჭვს, რომ კრიმინალისტური სამსახურის ამჟამინდელი შეფი დიდხანს „ვერ“ გაჩერდება ამ თანამდებობაზე და მასაც „სასწავლებლად“ მოუწევს წასვლა.

1996-1997 წლებში მალაზონია „საქართველოს გაერთიანებული ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მრჩეველი იყო. იყო შავი ზღვის საერთაშორისო კომერციული ბანკის ვიცე-პრეზიდენტი, 1999-2000 წლებში საქართველოს სახელმწიფო საბაჟო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე. მუშაობდა შსს-ში, იყო ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი, ეკონომიკის, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის მოადგილე, ქონების მართვის მინისტრის მოადგილე; სააქციო საზოგადოება „ენერჯი ინვესტის“ ხელმძღვანელი 2004 წლიდანაა, თანამფლობელია თბილისში არსებული ღამის კლუბ „ბამბარუმის“.

## მალაზონია ფინანსური გადასახადებისთვის თავის არიდების ბრალდებითა და მაქინაციებისთვის დააკავეს. მართალია, იგი ახლა დუმილის უფლებას იყენებს, მაგრამ სავარაუდოა, მალე ალაპარაკდება და იმასაც იტყვის,

## 70 მილიონი ვისთან ერთად დახარჯა და მასაც თან გაიყოლებს.

**სტადიონი ერთია, თამაში კი, როგორც ჩანს, ბევრს სურს. შესაძლოა, ესაა მორიგი ხმაურიანი დაჭერა წინასაარჩევნოდ და „პოლიტიკური ცოდვების“ ჩამორეცხვა, იმის გაპიარება, თუ როგორ ებრძვიან სამოხელეო დანაშაულს, შემდეგ კი ყველაფერი თავის კალაპოტში ჩადგება.**

ის, რომ ამ სააქციო საზოგადოებაში „ბარდაგი“ იყო, საიდუმლო არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მალაზონია ნაცმოძრაობის სამხარეო „ფრთებთან“ წარმატებულად ახერხებდა მეგობრობას, სწორედ ამიტომ იყო ის ხელშეუხებელი აქამდე. მალაზონიას ამ ფრთას კი „მაგარი ჩაასიფათეს“.

**მოკლედ, თუკი მალაზონია ალაპარაკდება, არ არის გამორიცხული, რომ „ნაცების ორდენოსანი“ მსაჯების ცემა-ტყეპაში შემჩნეული გუბერნატორიც გაუყენონ „კუდიგორის“ გზას.**

**მაგდა კლდიაშვილი**

## მოკლედ



# ამერიკის ვალმა 13 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა

**ამ დღეებში ამერიკის სახელმწიფო ვალს 13 ტრილიონამდე სულ რაღაც 13 მილიარდი აკლდა. მაგრამ მაისის ბოლო კვირაში ფინანსთა სამინისტრომ 140 მილიარდზე მეტი ღირებულების ობლიგაციების გაყიდვა დაიწყო და ეს „დანაკლისი“ უკვე გადაიფარა.** 14-ტრილიონიანი მომდევნო მნიშვნელოვანი ზღვარიც სულ მალე იქნება დაძლეული — ნოემბრის არჩევნებზე დემოკრატებს საბოლოოდ აღგვიან პირისაგან მიწისა და კანონით დადგენილი დავალიანების 14,3-ტრილიონიანი მოცულობა 2011 წლის იანვარში კიდევ ერთხელ გაიზრდება ახალი რესპუბლიკური უმრავლესობის მიერ. მართალია, ამის გამო მათ სახელოვანი გამარჯვების შემდგომ რეიტინგის შემცირება ელით, მაგრამ ეს დაბრკოლებად ვერ ჩაითვლება. დაახლოებით იმავე პერიოდში, მას შემდეგ, რაც გაზეთები გადაჭრელდება სათაურებით, რომ აშშ-ის სახელმწიფო ვალმა საერთო შიდა პროდუქტის 100%-ს გადააჭარბა, ობლიგაციების მცველები ღრმა ძილიდან გამოიღვიძებენ და მათი შემოსავლიანობის უკანასკნელ იმედსაც წყალს გადაუწურავენ. მაისის პირველი სამი კვირის მანძილზე 397 მილიარდი დოლარის ვალის რეფინანსირება მოხდა. ჰიპერსტაგფლიაციური ბომბის საათი სულ უფრო ხმამაღლა წიკწიკებს.



# სანქციები ევროპულად

**ევროკავშირის ქვეყნების ფინანსთა მინისტრები ფინანსური დისციპლინის გამყარების ზომებზე შეთანხმდნენ.**

**ქვეყნებს, რომლებიც ბიუჯეტის დეფიციტის ზღვარს გადააცილებენ, სანქციები ელით.**

სამწუხაროდ, არ ვრცელდება კონკრეტული ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა სანქცია უნდა დაეკისროს ქვეყანას, რომელსაც ფინანსურად იმდენად მძიმე მდგომარეობა ექნება, რომ საკუთარი ბიუჯეტის დეფიციტსაც ველარ შეავსებს.

# დამფრთხალმა სააკაშვილმა საკუთარ თვითმფრინავში 12-მილიონიანი უსაფრთხოების სპეციალური კაფსულა ჩააყენებინა



**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერის განცხადებით, ინგლისის დედოფალმა ელისაბედ II-მ სულ რამდენიმე თვის წინათ, 64 წლის ასაკში მისცა თავს უფლება, საკუთარი თვითმფრინავი შეეძინა, რომელიც 18 ადამიანს იტევს, მანამდე დედოფალი სამთავრობო თვითმფრინავით გადაადგილდებოდა და ამ გადაადგილების დაფინანსებასა და თვითმფრინავით სარგებლობის უფლებას პარლამენტს სთხოვდა. ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტმა ზეთანამედროვე თვითმფრინავი ჯერ კიდევ 2005 წელს შეიძინა თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტით, ახლახან კი კატინის ტრაგედიით შეშფოთებულმა თავისი თვითმფრინავი ე.წ. კაფსულით აღჭურვა და, თუკი მის სიცოცხლეს ჰაერში საფრთხე დაემუქრება, „კაფსულის“ საშუალებით ის გადარჩება. რამდენი გვიჯდება პრეზიდენტის ფუფუნებაში შენახვა, ამაზე „ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, სოსო შატბერაშვილი გვესაუბრება.**

## სააკაშვილის თითო «მივლინებაზე» ბიუჯეტიდან საშუალოდ 300 ათასი იხარჯება

— მიხეილ საკაშვილი გახლავთ ის პრეზიდენტი, რომელმაც 2004 წელს საჯაროდ განაცხადა: მე უცხოეთში ვიზიტებით ვივლი ჩვეულებრივი, ჩარტერული რეისებითო და რამდენიმე ასეთი რეისი კიდეც განახორციელა. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ, როდესაც ის „მოქალაქეთა კავშირის“ ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ, შევარდნაძეს პირდაპირ უთხრა ერთ-ერთ სხდომაზე: ჩვენ არ ვართ ის ქვეყანა, სადაც მინისტრები თუ სხვა თანამდებობის პირები უმაღლესი კლასის უცხოური მანქანებით დადიოდნენ, კეთილი ინებონ და იაფფასიან, რუსულ მანქანებზე გადაბრძანდნენო. პრეზიდენტად არჩევის შემდეგ კი, როცა მან მინისტრთა კაბინეტი წარადგინა, განაცხადა: ჩემი მინისტრები და ჩემი მთავრობა ყველაზე არაკორუმპირებული იქნება და მერე არ აღმოჩნდეს, რომ ვინმეს მდიდარი ნათესავი გამოუჩნდეს და მისგან ნაწყალობევი მანქანებითა და ბინებით მოიწონონ თავიო. ამ განცხადებებიდან ერთი წლის თავზე, 2005 წელს, მან შეიძინა ბომბარდირის ტიპის თვითმფრინავი „ჩელენჯერი N240W“. ამ თვითმფრინავს აწყობენ მხოლოდ და მხოლოდ მილიარდერებისთვის უცხოეთში, მისთვის გადაქაჩულია 100 მლნ ლარი თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტიდან. თვითმფრინავის შიდა ინტერიერი უმაღლესი დონის ფუფუნებაა თავისი კინოდარბაზებით, საკონფერენციო დარბაზებით, სამუშაო კაბინეტით, რელაქსაციისთვის სპეციალური ოთახებით, სადაც ტრენაჟორებია განლაგებული, მარმარილოთი მოპირკეთებული სველი წერტილებით და მრავალი სხვა ფუფუნების საგნით. ერთადერთი, რაც არ არის ამ თვითმფრინავში, საცურაო აუზია. ამ თვითმფრინავით მოგზაურობისას იგი ძალიან ბევრს ხალისობს, როდესაც უცხოეთში დაბრძანდება, გადის რელაქსაციას და ერთობა ამ თვითმფრინავით. მოგეხსენებათ, მას თან დაჰყვება ნახევარი საპარლამენტო უმრავლესობა, სხვადასხვა შემადგენლობით და მათთანაც კარგად ერთობა პრეზიდენტი.

**— გარდა გასართობი საშუალებებისა, თქვენი განცხადებით, პრეზიდენტმა ახლახან უსაფრთხოების დაცვის საშუალებებზეც იზრუნა.**

— დიახ, მის თავზე შეიყარა შავი ღრუბლები, პოლონეთის პრეზიდენტის ტრაგედიის შემდეგ, რომელსაც ჩვენ ძალიან განვიცდით.

**როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, სააკაშვილი თავისუფლად ველარ მოგზაურობს თავისი თვითმფრინავით. საკვებსაც შეზღუდულად იღებს. არამარტო სახინკლეებში და პიცერიებში აღარ დადის (ცნობილია, რომ მას, სადაც მოშივდებოდა, იქ აჩერებდა კორტეჟს და ხინკალს, პიცებს, მწვადს შეექცეოდა), მეტიც, ოფიციალურ შეხვედრებზეც კი საჭმელს პირს არ აკარებს. მან შემოიღო დეგუსტატორის შტატი, ანუ ჰყავს დეგუსტატორები. ჯერ მათ გაასინჯებს და შემდეგ თვითონ შეექცევა საკვებს. ასე იქცეოდნენ მონარქები გასულ საუკუნეებში.**

ველარც თავისი სასახლის ღია ვერანდაზე ვარჯიშობს თავისუფლად და დახურულ სპორტულ დარბაზებში გადაინაცვლა, რომლებიც ტყვიაგაუმტარი მინებით აღჭურვა. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ თვითმფრინავი აღჭურვა სპეციალური „კაფსულით“. კაჩინსკის ტრაგედიის მსგავსად, ღმერთმა დაიფაროს და, თუ მის თვითმფრინავს საფრთხე დაემუქრა, ის პირადად გადარჩება, რადგან ამ „კაფსულას“, რომლის დამონტაჟებაც ქვეყნის ბიუჯეტს დაუჯდა 12 მლნ ლარი, ნებისმიერ შემთხვევაში, შეუძლია პრეზიდენტის გადარჩენა.

**— პრეზიდენტი საკმაოდ ბევრს მოგზაურობს, რა უჯდება ქვეყნის ბიუჯეტს მისი მოგზაურობები?**

— თითო მივლინება, საშუალო სიშორის ქვეყანაში, ევროპაში ან ქუვეითის შეიხთან სტუმრობა — 200-250 ათასი ლარი, აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ ამ თვითმფრინავის შენახვა ძალიან ძვირი ჯდება, რადგან, რაც უფრო ძვირია თვითმფრინავი, მით უფრო ძვირია მისი მომსახურება. რაც შეეხება იაპონიის იმპერატორთან სტუმრობასა და სამხრეთ ამერიკასა და შეერთებულ შტატებში მოგზაურობას, ამ შემთხვევაში გაცილებით დიდ თანხებზეა საუბარი, დაახლოებით 400 ათას ლარამდე. აქვე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენ გვყავს ყველაზე მოგზაური პრეზიდენტი და იგი ჩერდება ისეთ სასტუმროებში, სადაც მხოლოდ და მხოლოდ მილიარდერები ჩერდებიან. მაგალითისთვის გეტყვით, როდესაც საბერძნეთში ჩატარდა ოლიმპიური თამაშები, მან მცურავ კუნძულზე დაიდო ბინა. შუა ზღვაში, წყალში ტივტივებს ეს სასტუმრო და ერთი ადამიანი დღეში 4000 ევრო ჯდება. იქ სააკაშვილს ახლდა დაცვა და თავისი ამალა, დაახლოებით ათი-თორმეტი ადამიანი, ანუ დღეში 40-45 ათასი ევრო ჯდებოდა პრეზიდენტი და მისი ამალა ქვეყნის ბიუჯეტისთვის. შარშან მისი მეუღლე, სანდრა რულოვსი, თავის შვილებთან და დედ-მამასთან ერთად, ფლორიდაში ბრძანდებოდნენ დასასვენებლად და ცხოვრობდნენ სასტუმროში, სადაც ერთი დღე 12 ათასი დოლარი ჯდება. იყვნენ ხუთნი, დაახლოებით ერთი თვე (5 ჯერ 12 ათასი გავამრავლოთ 30-ზე). ამის შემდეგ ეს ოჯახი კარიბის ზღვაში წყალქვეშა მოგზაურობითაც დატკბა. პრეზიდენტს და მის ოჯახს ფუფუნება ნამდვილად არ აკლია და მთელი ქვეყნის ბიუჯეტი, განსაკუთრებით პრეზიდენტის ფონდი, რომელიც 40 მლნ-ს შეადგენს, მას ვერ ამოწმებს ვერც კონტროლის პალატა და ვერც სხვა მაკონტროლებელი, ხმარდება პრეზიდენტის პირად კეთილდღეობას.

**— ეს ფონდი, წესით, უნდა იყოს საჯარო, მოგითხოვიათ ინფორმაცია ხარჯების შესახებ?**

— დიახ, ინფორმაცია საჯარო უნდა იყოს, მაგრამ რამდენჯერაც მივმართეთ პარლამენტს, მოგვივიდა ინფორმაცია, რომ ეს ფონდი დახურულია. ამ დროს ყველას გვახსოვს, რომ შევარდნაძის ფონდის საჯაროობაზე როცა იყო საუბარი (ის საჯარო იყო ნამდვილად), სააკაშვილს არა ერთხელ უთქვამს, რომ პრეზიდენტი არამიზნობრივად ხარჯავს ფულს, ის განსაკუთრებულად დიდი კორტეჟით სარგებლობს. როდესაც საკრებულოს თავმჯდომარე იყო, მე მაშინ საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე გახლდით. მახსოვს, მან სხდომაზე დააყენა წინადადება, რომ აეკრძალოს შევარდნაძის დაცვას მისი კორტეჟის გადაადგილების დროს თავისუფლების მოედნის გადაკეტვაო. ის საუბრობდა აღშფოთებული და ბევრს ეგონა, რომ მართლაც აღშფოთებული იყო, თურმე მას შურდა მისი წინამორბედის და როცა თვითონ გახდა პრეზიდენტი, უარესები გააკეთა. უფრო დიდი კორტეჟით დაბრძანდება. შევარდნაძის ვიზიტების დროსაც საკმაოდ აღშფოთებული გახლდათ ბატონი სააკაშვილი, ამბობდა, რომ მისი თვითმფრინავით მოგზაურობა საკმაოდ ძვირი უჯდებოდა ბიუჯეტს, თუმცა დაახლოებით იმის მესამედი ჯდებოდა შევარდნაძის ვიზიტი, რაც სააკაშვილის ვიზიტი ჯდება. მას ამალაც ნაკლები ჰყავდა და ბოჰემურ ცხოვრებას ნამდვილად არ ეწეოდა. მიხეილის მაშინდელი აღშფოთება ყოფილა მხოლოდ და მხოლოდ თვალთმაქცობა. როგორც კი პრეზიდენტი გახდა, გადაეშვა ისეთ ფუფუნებაში, რომლის მსგავსი არც ინდოელ რაჯებს თუ მაჰარაჯებს, არც ქუვეითის შეიხებს, არც მსოფლიოში ცნობილ მილიარდერებს, არც ევროპელ მონარქებს ჰქონიათ.

**სხვათაშორის, მის ფუფუნებაზე მეტყველებს ისიც, რომ 60-მილიონიანი ხიდი ააშენა, რადგან მისი ვერანდიდან გადმოხედვისას სურდა, ასეთი ხიდი დაენახა, იმ დროს, როცა სხვა ხიდები სავალალო მდგომარეობაშია და შეკეთებას საჭიროებს. აღარაფერს ვამბობ ხალხის სოციალურ მდგომარეობაზე. 60-მილიონიანი საცალფეხო ხიდი არავის სჭირდება საქართველოში, სააკაშვილის გარდა.**

ასევე მან აიშენა ხუთი რეზიდენცია საქართველოში — კახეთში, ქართლში, სამეგრელოში, ბათუმში, იმერეთში. წეროვანის რეზიდენციაზე განაცხადა, რომ მიუსაფარ ბავშვებს გადასცა, თუმცა ეს ტყუილია. მსგავსი ფუფუნებით არ უცხოვრია არც ერთ მონარქს.

ინგლისის დედოფალმა, 64 წლის ელისაბედ მეორემ, რამდენიმე თვის წინათ გადაწყვიტა, შეეძინა თვითმფრინავი, მანამდე ის სამთავრობო თვითმფრინავით სარგებლობდა და სთხოვდა პარლამენტს, ნება მიეცა და დაეფინანსებია თვითმფრინავით სარგებლობა და მომსახურება. მისი თვითმფრინავის შეძენა 7 მლნ ფუნტი სტერლინგი დაჯდა, ანუ გაცილებით უფრო იაფი, ვიდრე სააკაშვილის თვითმფრინავია. ინგლისის დედოფლის თვითმფრინავში მხოლოდ 18 ადამიანი ეტევა, საკაშვილის თვითმფრინავში კი — 50. სხვათაშორის, ბოლო დროს ალაპარაკდნენ, რომ სააკაშვილმა უნდა შეიძინოს გაცილებით უფრო მაღალი დაცვითი ტექნოლოგიებით აღჭურვილი თვითმფრინავი.

**— როგორც ჩანს, სააკაშვილი სერიოზულად არის შეშინებული, თქვენი აზრით, ის შიგნიდან ელოდება საფრთხეს თუ გარედან?**

— თუნდაც ის ფაქტი, რომ მან დეგუსტატორის შტატი შექმნა თავის დაცვაში, შეცვალა და ახალი კადრებით დააკომპლექტა დაცვა (ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, სრულიად ახალი სახეებია მის გარშემო), დაამატა 20-25 პერსონა. ცხადია, ეს იმაზე მეტყველებს, რომ ის ძალიან შეშინებულია.

ვფიქრობ, ორივე საფრთხილოა. თუ გავითვალისწინებთ, რომ თავისი გუნდის წევრებს ძალიან ხშირად ცვლის: პრემიერ მინისტრებს, მინისტრებს, პრესცენტრს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელობას, ერთადერთი შეუცვლელი არის ვანო მერაბიშვილი, რადგან, როგორც თავად თქვა, ის არის ხერხემალი ხელისუფლებისა, გამოდის, რომ დანარჩენებს არავის ენდობა. ძალიან კარგი გამოცდილება მიიღო, როცა თხასავით გაყიდა თავისი აღმზრდელი ედუარდ შევარდნაძე და ძალიან კარგად იცის, რომ იგივე შეუძლია გაუკეთოს, მაგალითად, უგულავამ. **ამიტომაც არის, რომ უგულავასთან საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვს სააკაშვილს. ყველაზე მეტად გარედან ელის საფრთხეს, თვითონ სააკაშვილი ისტერიულად გაჰკივის, ჩემი ჯერი დადგაო.** ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენ ნამდვილად არ ვუსურვებთ მას, რაიმე ტრაგედიაში ან ცუდ ამბავში გახვევას, ჩვენ მისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეები ვართ მხოლოდ, მაგრამ ყველაზე კარგად თვითონ იცის, რა შეიძლება მოჰყვეს რუსეთის იმპერიასთან მის ასეთ დატაკებას. ქვეყნისთვის რაც მოჰყვა, ეს უკვე ვნახეთ, ახლა კი შეიძლება მას პირადად მოუწყონ რამე.

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

# მონამლვის შიშით შეპყრობილი საქართველოს პრეზიდენტი საჭმელს ოფიციალურ შეხვედრებზეც აღარ მიირთმევს

# ნაცებმა წინასაარჩევნო სლოგანი ყვარყვარე თუთაბერს მოჰპარეს

**წინასაარჩევნოდ ყველა პარტია და კანდიდატი საარჩევნო სლოგანებს ირჩევს და მათი საშუალებით ცდილობს ამომრჩევლის „გულის მოგებას". ვის როგორ გამოსდის ეს და რამდენად შედეგიანი სლოგანები აქვთ, ამას საქართველოს კვალობაზე დიდი მნიშვნელობა არ აქვს. არჩევნები ხომ მაინც ყალბდება?! ხელისუფლებამ, წლებია, ვერ „ააშენა სოფელი", მაგრამ მაინც გვეუბნებიან, რომ „გასაკეთებელი კიდევ ბევრია", და კიდევ „ითხოვენ" დროს ქვეყნის უფრო მეტად დაქცევისათვის.**
**თუ რა კურიოზი შეემთხვა „ნაცმოძრაობის" ერთ-ერთ ქუთაისელ მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატს, ვის სლოგანს იყენებს ირაკლი ალასანია და როგორია საერთოდ საარჩევნო სლოგანების ახალი ვერსიები, ქვემოთ გაგაცნობთ.**







ქუთაისში ერთ-ერთ უბანში მოსახლეობასთან შეხვედრისას მაჟორიტარ დეპუტატობის კანდიდატს ერთმა ქალბატონმა უთხრა:

— აი, გენაცვალე, მე უკვე 2 კბილი გავიკეთე.

— კარგია, გიხდებათ, — მოუწონა კანდიდატმა.

— კი, კარგია, მაგრამ „გასაკეთებელი კიდევ ბევრია"... — ენამოსწრებულად უპასუხა ქალბატონმა.

ახლა ამ ამბავს ქუთაისში ანეკდოტად ყვებიან.

„ნაცების" ამ სლოგანზე სხვაგანაც ხუმრობენ.

— დიდი მადლობა, მანქანა რომ გამიკეთეთ, — მიმართავს ხელოსანს მანქანის პატრონი, — ესე იგი ეშველა ჩემს მანქანას.

— გასაკეთებელი კიდევ ბევრია! — მიუგო ხელოსანმა.

„ნაციონალების" სლოგანი ზოგიერთმა მოქალაქემ დემოგრაფიული პრობლემების გადასაწყვეტადაც გამოიყენა.

ცხრაშვილიან მამას ეუბნებიან:

— რა კარგია, ამდენი შვილი რომ გყავს...

—გასაკეთებელი კიდევ ბევრია! — უპასუხა კაცმა და სადინებელში შევიდა.

არანაკლები განხილვის თემა გახდა ქრისტიან-დემოკრატების საარჩევნო სლოგანი: „დენი — 10 თეთრი, გაზი — 5 თეთრი, წყალი — უფასო" და რამდენიმე ვერსიაც გაჩნდა: „ ღვინო — 10 თეთრი, ლუდი — 5 თეთრი, გრიგოლია — უფასო". ქდმ-ს „საარჩევნო" სლოგანში შეგიძლიათ დუდუკის არჩევაც, გრიგოლიას ნაცვლად და სურვილის შემთხვევაში მათი პარტიის რომელიმე წევრიც მოყვება „უფასოდ" ან „პოსლეზე". ქდმ-ს (ქვემძრომ-დემაგოგთა მოძრაობა) სლოგანი კოჯრის ტყის ზღაპარს უფრო ჰგავს.

რაც შეეხება ირაკლი ალასანიას სლოგანს — „ჩვენ შევცვლით", გაურკვეველი ფრაზაა, რაღაცნაირი გასაშუალოებული და, რასაც გინდა, იმას მიაბამ. ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ამერიკამოვლილ კანდიდატს მეტი ფანტაზია არ ეყო და პირდაპირ ბარაკ ობამას საარჩევნო სლოგანი გადმოაქართულა.

საინტერესო ფრაზით გამოჩნდა ნიკა ივანიშვილი — „თბილისი ჩემი სახლია". რომ მოუნდეს ერთ დღეს და გვითხრას, „დაახვიეთ" ახლა ყველამ ჩემი სახლიდან, საკუთარ სახლში, რასაც მინდა, იმას ვიზამო, მაშინ სად მივდივართ?

გოგი თოფაძის „მოვდივართ საქმით, გპირდებით საქმეს" „მოვდივარ საქმით, დაგტოვებთ გალიმებულს" ჩაენაცვლა.

დავუბრუნდეთ „ნაცების" სლოგანს: „გასაკეთებელი კიდევ ბევრია". ეს ფრაზა აღებულია ფილმიდან „ყვარყვარე", როდესაც დოდო აბაშიძე ბორძიკით კითხულობს ტექსტს: „ბოლო დროს ცოტა რამ არ გაკეთებულა, მაგრამ კიდევ ბევრია გასაკეთებელი, — მდინარეზე ხიდია დასაბოგირებელი"...

საბოლოო ჯამში არც ერთი სლოგანი არ იწვევს ნდობას, ღიმილის მომგვრელია და არასერიოზული. ასე რომ, ბატონებო, ჯერ — საქმე, შემდეგ — პიარი!

**მაგდა კლდიაშვილი**

# მიშა ქალაქს მიდიოდა, რა მიჰქონდა, რა მოჰქონდა



**გასულ კვირას ავლაბრის მეტროს ფასადზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა და თბილისის მერობის კანდიდატმა გიგი უგულავამ ვერტიკალური ბაღი გახსნეს. ბაღის გასაშენებლად სპეციალურად საფრანგეთიდან ლანდშაფტის არქიტექტორი პატრიკ ლანი ჩამოიყვანეს. ბაღი 4 400 ძირი ნერგით 107 კვ.მ.-ზეა გაშენებული. ეს სიამოვნება კი თბილისელებს სულ რაღაც 68 000 ევრო დაუჯდათ.**




„მართალია, დღეს ეს ბაღი ისე ლამაზად არ გამოიყურება, მაგრამ ერთ თვეში საოცრება იქნება. ესაა ყველაზე თანამედროვე ტექნოლოგია მსოფლიოში. იმდენი უბედური კედელი დაგვიტოვა ძველმა ეპოქამ, იმდენი სიმახინჯე, რომ ყველაფერს ვერ და არც დავანგრევთ. ამიტომ უნდა გავალამაზოთ, გავამწვანოთ, ავაყვაოთ და ასე მაინც გადავფაროთ ის, რაც ათწლეულების მანძილზე ნადგურდებოდა," — განაცხადა სააკაშვილმა.

**დაუსრულებელი ობიექტების ზარზეიმით გახსნა ჩვენი პრეზიდენტისთვის, რომლის ერთ-ერთი მეტსახელი შადრევან პირველიც გახლავთ, ნამდვილი ჰობია. იქ, სადაც რამდენიმე მცირე ოპიექტი უავგუსტესმა სამჯერ და ოთხჯერ გახსნა, ასეთი საინტერესო ბაღი ნამდვილად „იმსახურებს" (სულ ცოტა) ორჯერ პრეზენტაციას, მაგრამ საინტერესოა, უღირს თუ არა თბილისს ეს „ზეაშვერილი" ბაღი 68.000 ეროდ? თანაც უნდა ვივარაუდოთ, რომ სხვა საზეიმოდ გახსნილი „შადრევნებივით" არჩევნების დასრულებისთანავე ეს ბაღიც ხმელი მცენარეების გროვად იქცევა, რადგან მთავარი ჩვენი პრეზიდენტისთვის გახსნის ცერემონია, ანუ პიარია, თორემ მოვლა-პატრონობა, როგორც წესი, მისი ახირებების ნუსხაში არ შედის.**

მაგალითისთვის შორს წასვლა არ დაგვჭირდება, ყველას კარგად გვახსოვს, ცოტა ხნის წინათ გარეგანათების ბოძები ქოთნის ყვავილებით რომ მორთეს და ცენტრალურ მაგისტრალებზე სპეციალური საყვავილე კონსტრუქციები განათავსეს. ყვავილები ერთ კვირაში დაჭკნა, რადგან არავის მოსვლია აზრად მათი მოვლა-პატრონობა და ეს რკინის კონსტრუქციები გამხმარი ყვავილებითურთ არასასიამოვნო სანახაობად იქცა. ეს პროექტი კი თბილისის მერიას 420 000 ლარი დაუჯდა.

ბევრ თბილისელს დღესაც ძაღლის ნაკბენივით ახსენდება რიყეზე აშენებული ლითონის რაღაც მექანიკურ-გასართობი ავლაბრის ბაღივით ზეაშვერილი ატრაქციონი, რომელიც არაერთხელ გაიჭედა და შიშით შიგ აღარავინ ჯდებოდა, რის გამოც მოკლე დროში თქვენი ჭირიც წაიღო და ასეულ ათასობით დოლარიც თან გაიყოლა.

ახლა სწორედ იმ ნანგრევის მეზობლად შეუნელებელი ტემპით იგება ახალი გასართობი საოცრება — „შუშის ხიდი", რომლის მსგავსი, პრეზიდენტ სააკაშვილის თქმით, მთელ დუნიაზე არ მოიძებნება. არ გაგვიკვირდება, თუკი ერთ მშვენიერ დღეს ამ უნიკალურმა ნაგებობამაც ვეღარ დააკმაყოფილოს ქვეყნის მბრძანებელთა ევროატლანტიკური გემოვნება — ხიდი დაანგრიონ და მასთან ერთად დახარჯული მილიონებიც მტკვარში გადაუძახონ.

განა ასე არ მოიქცნენ, როცა მავანს გმირთა მოედანზე ესტაკადის აშენების იდეა მოეძალა, რამაც იქ ადრე აგებული, პრეზიდენტის ოცნებით ნალოლიავები შადრევანი შეიწირა, რომელსაც თბილისელებმა სიყვარულით „ბენდუქიძის ოყნა" შეარქვეეს?

**შადრევნებს არა უშავს, ის მაინც არ დაკარგულა, აი, სპორტის სასახლესთან ასევე დიდი ზარზეიმით გახსნილი ყინულის მოედანი კი, რომელიც მერიას 40 მილიონი დაუჯდა, სად გაქრა, არავინ იცის.**

სააკაშვილის ახირებები ბიუჯეტს ძალიან ძვირი უჯდება, ჩვენი ქვეყნის საგარეო ვალი კი უკვე იმდენი დაგვიგროვდა, რომ ოპტიმისტური გათვლებით თითოეულ ოჯახს საშუალოდ 8 ათასი ევრო მართებს. არადა, სწორედ საგარეო ვალით, კრედიტებით შენდება „სუპერთანამედროვე შუშის ხიდიც" და ესტაკადაც, რომელმაც ვაკე-საბურთალო ერთმანეთთან უნდა დააკავშიროს.

**სააკაშვილის პირადი ახირების გარდა, სხვა ვერაფრით ავხსნით იმას, რომ შუშის ხიდის მშენებლობა ჯერ დასრულებული არაა, მისი გახსნის ცერემონია კი სააკაშვილმა უკვე ჩაატარა და 6 მაისს ექსტრემის მოყვარულ დამთვალიერებლებს ხიდზე ასვლის უფლება პირადად მისცა. დღეს მიმდინარე სამუშაოების გამო ხიდი მოსეირნეთათვის დახურულია და, ალბათ, კიდევ ერთი „საზეიმო" გახსნის ცერემონიასაც მალე ვიხილავთ.**

„ქართველი ხალხის ეროვნული ერთიანობის დღეს სიმბოლურად ვხსნით არა მარტო ორი სანაპიროს, არამედ წინა და მომავალი თაობების დამაკავშირებელ ხიდს, რომელსაც ვერავინ ჩატეხს," — განცხადა ხიდის გახსნის პირველ ცერემონიაზე პრეზიდენტმა სააკაშვილმა, თუმცა არავინ იცის, ხუთ თვეში აშენებული ამხელა კონსტრუქცია რამდენადაა უსაფრთხო და საიმედო. ისე, თუ გაკეთება იყო, ისეთ ადგილას მაინც გაეკეთებინათ, სადაც ხიდი მართლაც საჭიროა, მაგრამ ამ შემთხვევაში უავგუსტესი საკუთარი რეზიდენციის შუშის გუმბათიდან ხიდის მშვენიერებით ვეღარ დატკბებოდა.

ფულის მორიგი უაზრო ხარჯვა იყო პრომეთეს ძეგლიც, რომელიც თავდაპირველად თამარ მეფის ხიდთან იდგა. ძეგლის დადგმა 3 მილიონ ლარამდე დაჯდა. მოგვიანებით ის ბორჯომის პარკში წაიღეს და დემონტაჟში კიდევ ფული გადაიხადეს.

როგორც ჩანს, ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობა ისეთ დონეზეა, აღარ ვიცით, ფული რაში დავხარჯოთ, ხელისუფლება კი, ჩვენ რომ არ შევწუხდეთ, ასეთ პროექტებში ფულის გადაყრით ფიქრს გვიადვილებს.

**უფრო მეტიც, ამჯერად პრეზიდენტი მორიგ სიურპრიზს გვიმზადებს ყვავილების საათის სახით, რომელიც ევროპის მოედანზე უნდა დაამონტაჟონ. სამუშაოები ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ 100.000 ლარი უკვე დახარჯულია. ეს თანხა, სანამ საათი სრულყოფილ სახეს მიიღებს, ერთიათად გაიზრდება.**

ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო და, თუკი სააკაშვილი ხელისუფლებაში 2013 წლამდე დარჩა, აუცილებელი გახდება, დავადგინოთ ადგილები, სადაც მხოლოდ პრეზიდენტის ახირებაზე დაყრდნობით ახალი მშენებლობების დაწყება აიკრძალება, რადგან თანამედროვე ნაგებობების მშენებლობა ძველ თბილისს არ უხდება, არქიტექტურულადაც გაუმართლებელია და ძველი ქალაქის იერსაც ამახინჯებს, უავგუსტესს კი ასეთი კონსტრუქციების წამოჭიმვის დილიხორი რატომღაც სწორედ ავლაბრის რეზიდენციის გარშემო უჩნდება.





**თეო ტაბატაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# პოლიციური რეჟიმი უკვე სკოლებშიც დამკვიდრდა

**„კუკარაჩა, ეგ არი, უბნის რწმუნებული ვარო, ქურდების ხორველა ვარო, შავი ჭირი ვარო, ახალგაზრდობის აღმზრდელი ვარო, შენ ვისი გამზრდელი ხარ, შენ თვითონ პრიუტში გაზრდილო, შენა?!“ — ასე საყვედურობდა დეიდა მართა ვოროშილოვის ორდენით დამშვენებულ უბნის ინსპექტორს. პრიუტში არ გაზრდილან, მაგრამ პოლიციის აკადემიაში სამკვირიანი მოსამზადებელი კურსების გავლის შემდეგ ხელისუფლებამ მანდატურებს მომავალი თაობის უსაფრთხოება და აღზრდა მიანდო. ეს ადამიანები კომუნისტებისდროინდელი უბნის რწმუნებულის უფლებებით აღჭურვეს და გამოსაცდელად რამდენიმე სკოლაში შეიყვანეს. მანდატურებიც თავიანთი მოვალეობის შესრულებას შეუდგნენ და, როგორც ირკვევა, საკმაოდ წარმატებულად. მათ არქივში უკვე ინახება რამდენიმე ხელწერილი, დაახლოებით იმავე შინაარსის, როგორიც კუკარაჩამ დააწერინა ახალგაზრდებს: „მე, დუდუ დობორჯგინიძე, პიონერულ სიტყვას ვიძლევი, არამც თუ მოვწევ პაპიროსს ჩემს სიცოცხლეში, არამედ არც კი გავიხედავ პაპიროსისკენ, დედას ვფიცავარ, მამას ვფიცავარ, ყველას ვფიცავარ“.**

## მანდატურები მოსწავლეებს ზოგჯერ უხეშად ელაპარაკებიან და ხელის ფათურით ჩხრეკენ



## «გარეთ ცხვრები და შიგნით ტურები, სკოლას იცავენ მანდატურები»

ისეთი შემთხვევაც დაფიქსირდა, როდესაც უფროსკლასელებს მობილურ ტელეფონებში „ბრიტვა“ აღმოუჩინეს. ერთი სიტყვით, შეიძლება ითქვას თანამედროვე ახალგაზრდების აღზრდა კუკარაჩასეული დიდაქტიკით ხდება. კუკარაჩა უბნის ინსპექტორი იყო და ამიტომ რევოლვერიც ჰქონდა და ტყვიებიც, მანდატურების უფლებამოსილება კი გაცილებით შეზღუდულია, ვიდრე უბნის ინსპექტორებისა და პოლიციის სხვა თანამშრომლების, მაგრამ მათი აღჭურვილობა ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდება. იმაზე არავინ კამათობს, რომ ახალგაზრდებს ზოგჯერ მკაცრი ხელი სჭირდება (არა — პირდაპირი გაგებით), ამიტომ სკოლაში „დუბინკით“ აღჭურვილი მანდატურის შეყვანა მაინცდამაინც არ უნდა იყოს გამართლებული.

ტელევიზიით გასულ სარეკლამო რგოლებს თუ ვერწმუნებით, სკოლებში იდეალური სიტუაციაა: მანდატურები ბავშვებს პრობლემების მოგვარებაში ეხმარებიან, მათთან ერთად სკოლის სპორტდარბაზშიც თამაშობენ, წაჩხუბებულ მეგობრებს არიგებენ. კარგია, თუ მანდატური და მოსწავლეები დამეგობრდებიან, მაგრამ რეალობა სრულიად განსხვავებულია. ამას მოწმობს ერთ-ერთი მოსწავლის მიერ მანდატურებისადმი მიძღვნილი ლექსიც, რომელიც გაზეთ „ვერსიაში“ გამოქვეყნდა:

**„რატომ ჰგონიათ**
**კონტაქტურები?**
**სულაც არა ვართ**
**მოხარულები,**
**აქ რომ არიან მოარულები,**
**ყალბი ღიმილით**
**მოხატულები,**
**ყურმოდებულნი,**
**მოპარულები.**
**სიშტერით**
**სახე მოკალმულები“**
**და ანგარებით**
**მოწამლულები,**
**გამორჩენაზე**
**გადასულები,**
**ვიღაცა**
**პატრონდაკარგულები,**
**დავიმორჩილოთ უნდა,**
**გულები,**
**თორემ „ბუნ! ბუნ!“**
**და პატრულები.**
**ბარემ მოგვიშვან**
**თოფის ლულები.**
**შეხედავ თითქოს**
**მანდატურები,**
**ჯოხივით წელში**
**გამართულები,**
**რაცია ჯიბით**
**დამალულები,**
**„როჟაზე“ სიბრძნე**
**გადაკრულები,**
**მეგობრულ ღიმილს**
**დანატრულები,**
**უმადლოები, უმადურები,**
**პირდაპირ გეტყვით,**
**დადასტურებით,**
**იდიოტების ნახალტურები,**
**გარეთ ცხვრები და**
**შიგნით ტურები**
**სკოლას იცავენ**
**მანდატურები“.**

იმ რამადენიმე სკოლაში, სადაც ეს პროგრამა ამოქმედდა პრობლემებიც წარმოიშვა. განათლების საკითხებში ექსპერტ **მანანა ნიკოლაიშვილის** განცხადებით, მისთვის ცნობილი გახდა, რომ მანდატურებმა რამდენიმე მოსწავლეს ფულადი ჯარიმა დააკისრეს.

„პოლიციური რეჟიმის დამკვიდრება სკოლაში მიუღებელია, — აცხადებს მანანა ნიკოლაიშვილი. სკოლებიდან მივიღე ინფორმაცია, რომ მანდატურები „დუბინკებით“ არიან შეიარაღებულნი. ეს უდიდესი კანონდარღვევაა, რაში სჭირდებათ „დუბინკები“? როცა მათ ამის ტარების უფლებას აძლევენ, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი გამოყენების უფლებაც მიანიჭეს. მშობელმა და მასწავლებელმა რომ სცემოს ბავშვი, აკრძალულია და მანდატურს რა უფლება აქვს? ბავშვების ცელქობა და ურთიერთშორის კამათი აღმზრდელობითი პროცესია და ის სკოლის დირექციამ უნდა დაარეგულიროს, არა — პოლიციურმა სტრუქტურამ.

კიდევ ერთი, საკანონმდებლო დონეზე ჯერ არ არის დამტკიცებული მანდატურების უფლებამოსილება. „საკანონმდებლო მაცნეში“ არ გამოქვეყნებულა ნორმატიული აქტი მანდატურების შესახებ და, შესაბამისად, არ არის კანონით განსაზღვრული, რა აღჭურვილობა უნდა ჰქონდეს მანდატურს. მე ეს დოკუმენტი ვერ მოვიძიე“.

„საქართველო და მსოფლიოსთვის“ ცნობილი გახდა ისიც, რომ მანდატურების პროგრამის ამოქმედებიდან რამდენიმე დღეში №24 სკოლის მანდატურებს და მე-11 კლასის მოსწავლეს შორის კონფლიქტი მოხდა, რასაც ბავშვების პროტესტი მოჰყვა. როგორც ერთ-ერთმა პედაგოგმა გვიამბო, მასწავლებელმა მეთერთმეტე კლასელი მოსწავლე გაკვეთილიდან იმიტომ გაუშვა, რომ თავს ცუდად გრძნობდა და აუცილებლად უნდა ეჭამა საჭმელი. მანდატურებმა კი გაკვეთილის დროს გარეთ მყოფი მოსწავლე რომ დაინახეს, კლასში დაბრუნება მოსთხოვეს. ბიჭი ცდილობდა, აეხსნა მათთვის, თუ რატომ იყო გარეთ. ამ საუბარში ერთ-ერთი პედაგოგიც ჩაერია და ბავშვი სასწავლო ნაწილთან წაიყვანა, რის გამოც შენიშვნა მიიღო და მკაცრად გააფრთხილეს, რომ, როდესაც მანდატური ბავშვს შენიშვნას აძლევს, მასწავლებელს უფლება არ აქვს, ჩაერიოს. თუმცა ეს პედაგოგებისთვის თავიდან არავის უთქვამს, როდესაც მანდატურები წარუდგინეს. როგორც მოსწავლეები ამბობენ, ზოგჯერ მანდატურები მოსწავლეებს უხეშად ელაპარაკებიან და უფლებების გადამეტებით, ხელის ფათურით ჩხრეკენ.

ეს გაუგებრობები, ალბათ, იმიტომ წარმოიშვა, რომ მანდატურების ქცევის შინაგანაწესი ჯერ სკოლებისთვის არ წარუდგენიათ და მათ მხოლოდ ზოგადი წესები გააცნეს, სასკოლო ცხოვრებას კი უამრავი ნიუანსი ახლავს და, ეშმაკმა დეტალებიდან რომ არ ამოყოს თავი, ყველაფერი ზედმიწევნით უნდა იყოს განსაზღვრული; მით უმეტეს, რომ საქმე მოზარდებს ეხება. როგორც გავარკვიეთ, არც განათლების სამინისტროსა და არც რომელიმე სხვა სამთავრობო სტრუქტურაში არ შექმნილა უწყება, რომელიც მხოლოდ მანდატურების მუშაობას გააკონტროლებს. ამ ეტაპზე „მანდატურთუხუცესობა“ განათლების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსმა შეითავსა. „საქართველო და მსოფლიო“ შეეცადა, მისგან მიეღო ინფორმაცია მანდატურთა წესდების შესახებ, მაგრამ აბონენტი, როგორც მოსალოდნელი იყო, „მომსახურების ზონიდან გასული“ აღმოჩნდა, სამინისტროს პრესცენტრმა კი, როგორც ყველა სახელმწიფო უწყებაში, ვერ (თუ არ) შეძლო ამ საკითხზე ინფორმაციის მოწოდება, შესაბამისად ჩვენთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა მინისტრის ბრძანება მანდატურების ქცევისა და აღჭურვილობის შესახებ.

განათლების სამინისტროს ნებართვის გარეშე მანდატურები ჟურნალისტებთან ღიად საუბრისგან თავს იკავებენ, პირად საუბარში კი აღნიშნავენ, რომ მათი აღჭურვილობა მხოლოდ რაციისგან და დეტექტორისგან შედგება, რომელიც, ლითონისა და ცივი იარაღის, ასევე, სიგარეტის აღმოჩენაში ეხმარებათ. ოფიციალური დოკუმენტის სახით კი მათგან მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების ის ნაწილი მივიღეთ, სადაც მხოლოდ მანდატურების უფლება-მოვალეობებია განსაზღვრული.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მანდატურებთან იდეალური ურთიერთობა არც პედაგოგებს აქვთ. სკოლაში მათ „გარეშე პირებად“ აღიქვამენ თუნდაც იმის გამო, რომ მანდატურების სახელფასო ანაზღაურება მასწავლებლის ხელფასს დაახლოებით ორჯერ აღემატება.

**მარინა კილაძე** (ისტორიის მასწავლებელი): „ჩვენ ათ ლარზე და ზოგჯერ საერთოდ ანაზღაურების გარეშეც გვიმუშავია. ეგ არაფერი, მაგრამ ეს მასწავლებლების შეურაცხყოფა და მორალური დეგრადაციაა. ძალაუფლება ვისაც აქვს, ის არის ყველაფერი“.

სახელფასო ანაზღაურებაში დისბალანსის არსებობას აპროტესტებს **მანანა ნიკოლაიშვილიც:** „მსოფლიოში არც ერთ ქვეყანაში არ აქვს პედაგოგს ისეთი სამარცხვინო ანაზღაურება, როგორც საქართველოში. მაშინ, როდესაც მასწავლებელს (ყველაზე საუკეთესო შემთხვევაში) უხდი 250-300 ლარს და მანდატურს 800 ლარს, რას ჰგავს ეს? სკოლაში მანდატურის შეყვანით მასწავლებლის, დირექტორისა და საერთოდ, მთელი დირექციის ავტორიტეტი ნულამდე ეცემა. ორკვირიანი გადამზადების შედეგად მიღებული გამოცდილებით აღჭურვილ ადამიანს როგორ შეიძლება ანდო მომავალ თაობაზე ზრუნვა?! სკოლა ეს ისეთი ორგანოა, რომლის მუშაობის სპეციფიკა ორ კვირაში არ ისწავლება“.

**ნანა ლაღაძიშვილი**

## მოკლედ



### პრეზიდენტი „გვასულელებს“

**პრეზიდენტი სააკაშვილი არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ სუბიექტებს „მოსახლეობის გასულელებაში“ ადანაშაულებს.**

ეს ოპოზიციის მხრიდან გაკეთებული წინასაარჩევნო დაპირებების პრეზიდენტისეული შეფასებაა. მისი დასრულებისთანავე კი თავად შეუდგა ოპოზიციისა და ხალხის გასულელებას და წარბშეუხრელად დაასკვნა: „ნაციონალური მოძრაობის“ მთავარი პოლიტიკური კაპიტალი ის არის, რომ ის მოსახლეობას არასოდეს ზედმეტს არ დაპირდება, არათუ ტყუილს ეტყვის“.



### დემოკრატია „სოციალ-დემოკრატიულად“

**„სოციალ-დემოკრატების“ განმარტებით, „დემოკრატია არის არა არჩევა, რადგან არ ვიცით, არჩეული როგორ მოიქცევა, არამედ — გადარჩევა“.** როგორც ჩანს, ისინიც ჩვენი პრეზიდენტივით „გასულელებულად“ მიიჩნევენ საკუთარ ხალხს და შესაბამისად მოძღვრავენ, მართალია, არ იცით, ვინ უნდა აირჩიოთ, მაგრამ არჩევნებზე მაინც წადით, „არ აქვს მნიშვნელობა, რომელ არასახელისუფლო ძალას დაუჭერთ მხარს, მთავარია, რომ თქვენი პოზიციით ამ მმართველობისადმი უნდობლობას გამოხატავთ“.



### სოფიო ვერცხლის ქუჩაზე დარდობს

**„ვიდრე ხელისუფლება საარჩევნო პიარით არის დაკავებული, შესაძლოა, ძველი თბილისის ისტორიული უბანი ისტორიის საკუთრება გახდეს“**, — ისე გულამოსკვნით შეიცხადა სოფიო ხორგუანმა ვერცხლის ქუჩის მდგომარეობა, თითქოს დანარჩენი თბილისი პარიზში ცხოვრობს და ხალხი ამაზე ხვეწნით არ დაიღალა. მაგრამ სოფიო ახლა გახდა კანდიდატი და ამომრჩევლების პრობლემებმაც ახლა შეაწუხა. ჰოდა, აფრინა კიდეც წერილი ადგილობრივ გამგეობებსა და ქალაქის მერიის კეთილმოწყობის სამსახურში.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გაძვირდების

**რამდენიმე დღეა, საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტმა გაავრცელა ცნობა, რომ 2010 წელს საქართველოში ყველაზე მეტად განათლება გაძვირდა; გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, განათლების ფასი 47%-ით გაიზარდა. პარადოქსია, მაგრამ ამ ცნობის მიუხედავად, განათლების საპარლამენტო კომიტეტი ქვეყანაში განათლების გაძვირებას უარყოფს და უტიფრად აცხადებს, თითქოს სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები იმის მაჩვენებელია, რომ წლეულს შარშანდელთან შედარებით სახელმწიფომ განათლების სფეროს დაფინანსებაში გაცილებით მეტი ფული ჩადო.**



არადა, ჯერ კიდევ რევოლუციის გარიჟრაჟზე ვარდის სურნელით გაბრუებულმა მთავრობამ ქვეყნის ერთ-ერთ წამყვან პრიორიტეტად განათლება დაასახელა. მაშინ ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც კი ყველაზე ძვირადღირებულ ფასიან ფაკულტეტზე გადასახადი მხოლოდ 1500 ლარი იყო, დღეს კი ამავე უნივერსიტეტში ყველაზე არაპოპულარულ ფაკულტეტზე გადასახადი, სულ მცირე, 2000 ლარს შეადგენს. აქედან გამომდინარე, გაუგებარია, რაში გამოიხატება განათლების პრიორიტეტულობა, მაშინ, როდესაც უკანასკნელ წლებში ბევრმა აბიტურიენტმა, სასწავლო დაწესებულებაში ჩაბარება სწორედ სწავლის გადასახადის გაზრდის გამო ვერ შეძლო.

ქვეყანაში რომ განათლება პრიორიტეტული არაა, სხვა პროცესებმაც ცხადყო. ახლახან ვერტიკალური ბაღის გასაშენებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაუნანებლად გამოიყო 68 000 ევრო. ასევე ბიუჯეტიდან გამოყოფილი 12 მლნ 500 000 ლარი შუშის ხიდის მშენებლობას შეეწირა, მაშინ, როცა ერთი საშუალო კონტიგენტის მქონე უნივერისიტეტის წლიური ბიუჯეტი ამ თანხებთან შედარებით მოკრძალებულად გამოიყურება. მაგალითად სოხუმის უნივერსიტეტში, სადაც დღეისათვის 2500 სტუდენტი სწავლობს, ბიუჯეტი დაახლოებით 5 მლნ ლარს შეადგენს. სახელმწიფოსთვის პრიორიტეტი განათლება რომ იყოს, ამ ხიდებისა და ბაღების მშენებლობას ცოტა ხნით გვერდზე გადადებდა და შეეცდებოდა, ამ ბიუჯეტით აბიტურიენტთა გრანტები უზრუნველეყო, ყოველწლიურად ასე რომ ამცირებს. თუნდაც ერთი უნივერსიტეტი რომ შეიქმნას სახელმწიფოს სრული დაფინანსებით, ესეც მნიშვნელოვანი პროგრესი იქნებოდა განათლების სფეროში და ამით მაინც გაამართლებდნენ თავიანთ ამბიციურ განცხადებებს.

„დღეს საქართველოში განათლების მიღება მხოლოდ ცოდნითაა შესაძლებელი და არა ნაცნობობითა და მეგობრობით“, „განათლების რეფორმა ძალზე წარმატებულია“, „განათლება არის ის, რაც ქმნის საქართველოს მომავალს, ჩვენი ქვეყნის მთავარ სიმდიდრესა და ღირსებას“. ეს იმ ლოზუნგთა არასრული სიაა, რომელსაც პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებებში ხშირად ვისმენთ. ფაქტები კი სხვა რამეზე მეტყველებს.

პრეზიდენტი და განათლების სამინისტრო იმით იწონებს თავს, რომ უმაღლეს სასწავლებლებში კორუფცია „აღმოფხვრილია“. ამის ფონზე კატასტროფულად გაზრდილ სწავლის საფასურზე, ანუ „გაპრავებულ კორუფციაზე“ არავინ საუბრობს. როდესაც განათლების სფეროში გარკვეული სახის რეფორმები გატარდა კორუფციის აღმოსაფხვრელად, ალბათ, არავინ ფიქრობდა, რამდენად შეესაბამებოდა სწავლის ხარისხი იმ გადასახადს, რომელსაც სტუდენტებს უნიშნავდნენ. გასაგებია, რომ ხარისხიანი განათლების მისაღებად საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან მეტი ფინანსური რესურსის გაღებაა საჭირო, რათა, თუნდაც კვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლები ლექციის წასაკითხად მოიწვიოს. მაგრამ უმაღლესი სასწავლებლების უმრავლესობის საგანმანათლებლო საქმიანობა ბიზნესადაა ქცეული და სწავლის გაძვირება მხოლოდ „ბიზნეს-განმანათლებელთა“ ჯიბეზე აისახება და არა — მიღებული განათლების ხარისხზე. შეიძლება ვინმე შეგვეკამათოს, თუ აბიტურიენტი ნიჭიერია, მას შეუძლია საგრანტო დაფინანსება მოიპოვოსო. კი, გვესმის, მაგრამ გრანტის მოსაპოვებლად მოსწავლეს მარტო სკოლაში მიღებული განათლება, სამწუხაროდ, არ ჰყოფნის. მშობელს კი რეპეტიტორებისთვის გადასახდელი თანხა ხშირად არ აქვს. რა ქნას ახალგაზრდამ, რომელსაც ცოდნის მიღება უნდა? ეჭვი მაქვს, რომ ამ კითხვაზე პასუხი არც პრეზიდენტს აქვს, არც განათლების სამინისტროს და არც პირადად მისტერ შაშკინს.

მოსახლეობის შეძლებულ ნაწილს, რომელსაც სოციალური პრობლემები არ აწუხებს, ისედაც შეუძლია საკუთარ შვილებს ნებისმიერ წარმატებულ უცხოურ უნივერსიტეტში ასწავლონ. საუბარი სოციალურად დაუცველი ფენის ახალგაზრდებზეა, რომლებსაც არც საზღვარგარეთ სწავლის მიღების ფინანსური შესაძლებლობა და არც რეპეტიტორებთან მომზადების საშუალება აქვთ.

შეიძლება ევროპის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში სწავლის გადასახადი, მართლაც ნაკლებია, მაგრამ თუ საზოგადოების შემოსავალსა და ხელფასების რაოდენობას გავითვალისწინებთ, სწავლის წლიური გადასახადი მათ ბიუჯეტს ნამდვილად არ შეესაბამება. საშუალოდ, სტუდენტი რომ წელიწადში 2500 ლარს გადაიხდის, დაამთავრებს და სამსახურზე ოცნებაში რამდენიმე წელს უიმედოდ გაატარებს, ბოლოს კი საზღვარგარეთ გაიქცევა ვინმე მოხუცის მოსავლელად ან ძიძად სამუშაოდ — „განათლების პრიორიტეტულობაზე“ ნამდვილად ზედმეტია საუბარი.

იმაზე არავინ ფიქრობს (ან ფიქრობს და არც არაფერს აკეთებს), ასე თუ გაგრძელდა, ჩვენს ქვეყანას უბადრუკი მომავალი ელის. საქართველო „მომავალ ბოგანოთა სამყოფელი“ იქნება. მოქალაქეთა უმრავლესობის ერთადერთი საქმიანობა სხვათა მომსახურება ან მათხოვრობა იქნება. საკუთარ ქვეყნაში რომ სხვისი მოსამსახურეები ვიქნებით, ეს ფანტაზიის ნაყოფი არაა. თუ რამ ღირებული არსებობდა ქვეყანაში დღეს ყველაფერი უცხოელი ინვესტორების ხელშია. რატომ იზრუნებს ხელისუფლება განათლების დონის ამაღლებაზე? სხვათა მოჯამაგირეობისთვის განწირული ერისთვის წერა-კითხვის ცოდნაზე მეტი არცაა საჭირო. ამისი მკაფიო მაგალითია ერთ-ერთი ყოფილი მინისტრის გამოთქმული მოსაზრება: „რა გვინდა საშუალო სკოლისგან? ასწავლოს ბავშვებს ერთ-ერთი უცხო ენა და კომპიუტერის ხმარება“. აბა, უცხოელ შეფებს მათთვის გასაგებ ენაზე ხომ უნდა ვესაუბროთ?!

**ლილი მიროტაძე**

# დემურ ანთია: უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ დაქირავებული, საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით შეგულიანებული ანტიქრისტეები ზუგდიდში საჯარო ორგიებს მართავენ

**ბოლო ჟამს საქართველოში შემოჭრილ და ფეხმოკიდებულ სექტათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ღვთისმგმობელი და აგრესიული „იეღოვას მოწმეთა“ სექტაა. ძალიან მომრავლდნენ იეღოველები ზუგდიდშიც. რამდენიმე თავშეყრის ადგილი გაიჩინეს. ენგურქაღალდკომბინატის დასახლებაში მშენებარე ეკლესიის გვერდით კი გრანდიოზულ სასახლეს იშენებენ, რის გამოც ადგილობრივ მოსახლეობასა და იეღოველებს შორის მრავალჯერ მოხდა შეხლა-შემოხლა. ზუგდიდში მიმდინარეობს ხელმოწერების შეგროვება. მოსახლეობა მოითხოვს იეღოველთა სასახლის მშენებლობის შეჩერებას. საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების სამეგრელოს რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე დემურ ანთია, რომელიც იეღოველთა პარპაშის აღკვეთის მომხრეა, „საქართველო და მსოფლიოს“ თავის მოსაზრებებს უზიარებს.**

— არ მინდა ამ სატანისტური დაჯგუფების წარმატებების ზოგად ფაქტორებზე ახსნა-განმარტებით ვინმე გადავღალო, მაგრამ გავბედავ და იმაზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას, რისთვისაც ასე თავგამოდებით ილვწიან ეს ცოდვის შვილები. ესაა: ქართული ეროვნული ცნობიერების ალმოფხვრა, ერის სულიერად დაკნინება, ქრისტიანული წარსულის დავიწყება, ოჯახური ტრადიციული ღირებულებების გაუფასურება, სატანური ცნობიერების დამკვიდრება, რაც ქართულ სახელმწიფოს საბოლოო განადგურებამდე მიიყვანს. სატანური სექტების შემოსევები ფრონტის ერთ-ერთი ხაზია, იმ გლობალური ომისა, მასონური სახელმწიფოები და კერძოდ, ამერიკის შეერთებული შტატები რომ აწარმოებენ დამოუკიდებელი სახელმწიფოების მიმართ.

**— ბატონო დემურ, თქვენ ყოველთვის გამოირჩეოდით აქტიური ქმედებით იეღოველების წინააღმდეგ, საჯაროდ ამხელდით მათ და ეწეოდით მოსახლეობის გათვითცნობიერებას, მაგრამ ამ ბოლო პერიოდში რატომღაც არ ჩანს თქვენი აქტიურობა, რატომ?**

— მე ყოველთვის შეურიგებელი ვიქნები იეღოველების მიმართ. მარტო ვერაფერს გავხდები, აუცილებელია საზოგადოების გააქტიურება და სწორედ ამისთვის, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებისთვის ვქმნი ნიადაგს. ჩვენ შეგვიძლია და გვევალება, რომ დავიცვათ ჩვენი ეროვნული ინტერესები. უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ დაქირავებული, საქართველოს ხელისუფლების მხარდაჭერით შეგულიანებული ანტიქრისტეები საჯარო ორგიებს, ე.წ. კონგრესებს მართავენ და ეს ხდება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, სადაც ქრისტეს გულისთვის ერთ დღეში ასი ათასი ქართველი ეწამა. ეს ხდება იმ კუთხეში და იმ ქალაქში, სადაც დედაღვთისას წმიდა კვართი ინახება და ამის შემდეგ კიდევ გვიკვირს, ამდენი უბედურება რომ გვატყდება თავს. აბა, გავიხსენოთ ათი წლისწინანდელი ზუგდიდი. მაშინ, 2000 წლის აგვისტოში, სატანისტების ძალისხმევას — ზუგდიდში ჩაეტარებინათ კონგრესი, წინ აღუდგა მოსახლეობის სამართლიანი რისხვა და თავდადება მამულისა და სარწმუნოებისთვის. დღეს კი ყოველგვარი ანტიეროვნული და ანტიქრისტიანული საქმიანობის წამახალისებლად და მფარველად დღევანდელი ხელისუფლება გამოდის. ჩვენ ვალდებულნი ვართ, დავიცვათ ჩვენი ღირსება. გვახსოვდეს, რომ ტკბილია ქრისტესათვის თავგანწირვა; როგორც პავლე მოციქულმა ბრძანა, „კაცთ ერთხელ უწერიათ სიკვდილი და მერე სამსჯავრო“.

**— ბატონო დემურ, როგორია ჩვენთან დემოგრაფიული მდგომარეობა?**

— თავზარდამცემია ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიული მდგომარეობა, რომელიც ერის ყოფნა-არყოფნის საკითხს უკავშირდება. ქვეყანა დატოვა 1.5 მილიონმა ჩვენმა მოქალაქემ. შობადობის კლების შედეგად შემცირდა 4 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა. 1989 წელს მათი რიცხოვნობა მთლიანი მოსახლეობის 8.6 % შეადგენდა; დღეისათვის კი 5 %-მდე შემცირდა. ერში ანტიქრისტიანული, არამართლმადიდებლური, არაქართული ცხოვრების წესის დანერგვით მტერი ყოველნაირად ცდილობს ჩვენს მოდუნებას, მორალურად და ზნეობრივად გახრწნას.

**— ბატონო დემურ, თქვენ 2008 წლის აგვისტოში, ომის შემდეგ დაგიჭირეს და ერთი წელი ციხეში გაგატარებინეს იარაღის უკანონო შენახვის ბრალდებით. რა მოხდა სინამდვილეში?**

— აგვისტოს ომის შემდეგ ჩვენი ხელისუფლების უგუნური პოლიტიკის გამო, რომელმაც ქვეყანა დანგრევამდე მიიყვანა, გადაწყვეტილი იყო ზუგდიდში ყველა ოპოზიციური ძალის შეკრება; უნდა მომხდარიყო ოპოზიციური ძალების გართიანება, ვამზადებდით ნიადაგს კონფერენციის ჩასატარებლად. ჩვენი სატელეფონო საუბრებიდან, ეტყობა, ხელისუფლებისთვის ყველაფერი ცნობილი იყო, ამიტომ საჩქაროდ დამაკავეს. ღამით პოლიციელები შემომივარდნენ სახლში, ვითომ იარაღი აღმომიჩინეს და ერთი წელიც მომისაჯეს. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, კონფერენციაც არ ჩატარებულა.

**— მინდა ისეთ მტკივნეულ საკითხსაც შევეხოთ, როგორიცაა ქართულ-რუსული ურთიერთობა...**

— პასუხი არის მარტივი და კონკრეტული: ჩვენ ნებისმიერ ქვეყანასთან უნდა გვქონდეს ნორმალური ურთიერთობა, რუსეთთან კი, როგორც მეზობელთან, ეს აუცილებელია. უნდა ვიცოდეთ, რომ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის გარეშე, საქართველოში არც სიმშვიდე იქნება და ვერც ვერასოდეს მოვიპოვებთ ტერიტორიულ მთლიანობას.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# რა ქონებას ფლობენ სახელმწიფოს მაღალი თანამდებობის პირები?

**საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების დიდი ნაწილი რევოლუციამდე სიღარიბის ზღვარს მიღმა იყო. 2004 წლიდან დღემდე მათ ქვეყანაში ვერ მოახერხეს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის მდგომარეობის გაუმჯობესება, სამაგიეროდ საკუთარი ფინანსური მდგომარეობა საგრძნობლად გაიუმჯობესეს. თუნდაც რომ დავიჯეროთ, ქვეყანაში კორუფცია აღარ არსებობს, ჩინოვნიკები ბიზნესიდან წილებს არ იღებენ და ა.შ. მათ მაღალი ხელფასები და პრემიების მიღების ზედმეტი თავისუფლებაც დაეხმარებოდათ „მდგომარეობიდან გამოსვლაში". დეკლარაციების მიხედვით, მათი ქონებრივი მდგომარეობის შეფასება, ალბათ, გულუბრყვილობა იქნებოდა, მაგრამ მაინც გადავხედოთ ჩინოვნიკების მიერ შევსებულ ძველ და ახალ დეკლარაციებს.**



სააკაშვილის რუხ კარდინალად წოდებული **ზურაბ ადეიშვილი,** რომელმაც ქვეყნის მრავალი მაღალი პოსტი გამოიცვალა და ამჟამად იუსტიციის სამინისტრო აბარია, დეკლარაციაში უთითებს ბინას ცაგერის ქუჩაზე, რომელიც 80 კვ.მ ფართობისაა. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა და მეტი ძვირფასი უძრავი თუ მოძრავი ქონება დეკლარაციის მიხედვით ადეიშვილს არ გააჩნია, მათ შორის — არც ავტომანქანა. საერთოდ, აღსანიშნავია, რომ ავტომანქანები ჩინოვნიკების დეკლარაციებში, ძირითადად, არ გვხვდება. ისინი ფეხით ნამდვილად არ გადაადგილდებიან, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტი აძლევთ საშუალებას, თავიანთი ძვირადღირებული მოთხოვნები დაიკმაყოფილონ — სამსახურებრივი მანქანები შეიძინონ და საკუთარი სახსრები დაზოგონ. ადეიშვილი ფულად თანხას 6000 დოლარს უთითებს. როგორც აღვნიშნეთ, მიმდინარე წლის დეკლარაციაში მეტი არაფერია. ხელფასის სახით იუსტიციის მინისტრობისას აუღია 42 480 ლარი. საინტერესოა, რომ ასევე მშვენიერ ადგილას მოკალათებულ მის მეუღლეს, მაია მესხიშვილს, რომელიც საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტია, ხელფასის სახით 35.193 ლარი აუღია და არც მას ჰყავს საკუთარი ავტომანქანა და არ აქვს რაიმე ძვირადღირებული ნივთი, რომლის შეტანაც დეკლარაციაში გახდებოდა შესაძლებელი. ადეიშვილი ხარჯვის ნაწილში საკუთარ დეკლარაციაში მხოლოდ მკურნალობის თანხებს უთითებს. მას მკურნალობა 6000 დოლარი, ხოლო მის მეუღლეს 3500 დოლარი დაუჯდათ. საინტერესოა, რატომ არ სარგებლობენ დაზღვევით ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალნი.

ჩვენ ზურაბ ადეიშვილის 2004 წლის დეკლარაციასაც გადავხედეთ. მაშინ მას 45 ათასი ლარის ღირებულების ბინა ჰქონდა, 12.000-დოლარიანი ავტომობილი ჰყავდა. ხოლო მის საკუთრებში მითითებული იყო ფულადი თანხა 9000 დოლარი და საკრედიტო ბარათიდან მოხსნილი 200 დოლარი.



**გიგი უგულავას** ძველი დეკლარაციებიდან, მარტო უძრავი ქონება კი არა, ოჯახის წევრებს და მეუღლესაც კი ამოულია. მისი დეკლარაცია ფულად თანხით — 20 000 და 185 ლარით და წლის განმავლობაში აღებული ხელფასით — 93 456 ლარით შემოიფარგლება. 2006 წელს კი უგულავა დეკლარაციაში პირველ მეუღლეს, მშობლებს, ძმას, ძმისშვილსა და რძალსაც კი უთითებდა და დეტალურად აღწერდა მათ შემოსავლებს. ასევე უთითებდა მამის სახლს ცხუმის ქუჩაზე (120 ათასი ლარის ღირებულების). ძმის სახლს სოფელ ლავრის ხევში, ფულად თანხას „თი ბი სი" ბანკში — 24 454 ლარსა და 963 ცენტს, ასევე 13.142 ლარს და 315 და 2.101 დოლარს. მისი პირველი მეუღლის ავტომანქანას „ოპელვიტას", რომელიც 5000 ლარი ღირდა. ყველაზე სამარცხვინოდ კი უგულავას დეკლარაციაში გამოიყურებოდა ოჯახის წევრთა ჩამონათვალი, რომელშიც საკუთარი სახელისა და გვარის გასწვრივ ქალაქის მერს ეწერა: თვითონ.



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, **დავით ტყეშელაშვილი,** ახალი დეკლარაციის მიხედვით, ფლობს ბინებს დიღმის მასივში (75 კვ.მ), რამიშვილის ჩიხში (115 კვ.მ), აგარაკს ამბროლაურის რაიონის სოფელ ხვანჭკარაში (132 კვ.მ), მიწის ნაკვეთს ამავე რაიონში (800 კვ.მ.); ფულად თანხას — 6000 ლარს, ხოლო მეუღლეს, ნინო ტყეშელაშვილს აქვს — 4500 ლარი. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრად მუშაობისას ხელფასის სახით აუღია 72.562 ლარი; რეგიონული მართვის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატში მუშაობისას — 3.540 ლარი. ტყეშელაშვილს 2005 წელს 2015 წლამდე ვადით აუღია სესხი 20.000 დოლარი და მინისტრის გასავალში მხოლოდ ამ სესხის დაფარვის თანხაა მითითებული — 4.899 დოლარი. აღსანიშნავია, რომ ტყეშელაშვილის დეკლარაციიდან გამქრალია 2006 წელს მის დეკლარაციაში შეტანილი ბინა ჭავჭავაძეზე, 80.000 ლარის ღირებულების. მინისტრს და მის მეუღლეს, დეკლარაციის მიხედვით, ავტომანქანა არ ჰყავთ, ეს წყვილიც, ალბათ, სამსახურებრივ მანქანებს სჯერდება. 2006 წლის დეკლარაციაში კი ტყეშელაშვილი უთითებს ავტომანქანა „ფორდს", რომლითაც ის იმ დროს სარგებლობდა და 5000 დოლარი ღირდა, მეუღლის „ჰონდა ცრვ-ს" (8000 დოლარი, გ.წ. 1997), ასევე, ავტომანქანის ყიდვას 1850 დოლარად, ხოლო მეუღლე — ავტომანქანის გაყიდვას 2 000 დოლარად და ყიდვას 3.900 დოლარად. ასევე აღსანიშნავია, რომ ტყეშელაშვილს 20.000 დოლარი კი აუღია კრედიტით, მაგრამ ამავე დროს ანგარიშზე უდევს 17.708 ლარი; ასევე უცხოურ ბანკებში — 13.182 და 1 008 დოლარი. ხელფასის სახით ტყეშელაშვილს 2006 წელს 17.708 ლარი მიუღია, ხოლო აშშ სამთავრობო ორგანიზაცია IKEX-სასწავლო პროგრამის დასაფინანსებლად 14.190 დოლარი მიუციათ მისთვის.

მეუღლე რომ არ ჰყავდეს, ყველაზე გაჭირვებული იქნებოდა საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი.** იგი 2010 წლის დეკლარაციაში უთითებს სანდრა რულოვსის ბინას (154 კვ.მ. ფართობით) ბარნოვზე, იმავე მისამართზე მანსარდს (164 კვ.მ.); სახელფასო ანგარიშზე 29.021 ლარს, მიმდინარე ანგარიშზე 34.479 დოლარს და 33 ევროს. ხოლო სანდრა რულოვსის ანგარიშზეა 30.000 დოლარი და 60.000 ევრო. სააკაშვილის ხელფასით მიღებული თანხა შეადგენს 59.000 ლარს, სანდრა რულოვსის ჰონორარი — 1 000 ევროს. 2005 წლის დეკლარაციაშიც სანდრა რულოვსის ბინას უთითებდა პრეზიდენტი, ოღონდ მანსარდის გარეშე. არც მაშინ ჰყავდა ავტომანქანა პრეზიდენტის ოჯახს. მათი შემოსავლები კი ასეთი იყო: მიხეილ სააკაშვილი — 21.000 ევრო, 9.000 ლარი. სანდრა რულოვსი — 2.000 დოლარი. სააკაშვილის ხელფასმა 2005 წელს შეადგინა 33.789 ლარი, დანამატმა — 32.530 ლარი, მივლინებებმა კი — 14.633 ლარი. საჩუქრების გრაფაში პრეზიდენტი წერდა, რომ ყველა მისი საჩუქარი ატარებს ოფიციალურ ხასიათს და არის სახელმწიფოს საკუთრება.



საინტერესოა, ენერგეტიკის მინისტრის, **ალექსანდრე ხეთაგურის** დეკლარაცია. 2006 წელს ხეთაგური 1994 წელს გამოშვებული, 2 200-დოლარიანი „ფორდ ესკორტით" სარგებლობდა; 18-თვიანი სესხი ჰქონდა გაკეთებული 18 პროცენტად 2500 დოლარზე. ასევე გამოყენებული ჰქონდა ოვერ დრაფტი. მინისტრის პირველ მოადგილედ მუშაობისას ხელფასის სახით მიიღო 25.179 ლარი, პრემია — 10.950, გრანტი — 1.514 ლარი. მის მეუღლეს, ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თანამშრომელს — 9.368 ლარი. 2010 წელს ხეთაგურის დეკლარაციაში ჩნდება ბინა ძოწენიძის ქუჩაზე (162 კვ.მ.), ავტოფარეხი (18 კვ.მ.), ავტომანქანა „მერსერეს ბენც ე-350" (გ.წ.2006), „მერსედეს ბენც ც-240" (გ.წ. 2002), საბარათე ანგარიშზე — 4345 ლარი, 120 დოლარი. მეუღლეს კი 800, 1 003 ლარი და 50 დოლარი აქვს. ენერგეტიკის მინისტრობის დროს ხეთაგურის შემოსავალმა შეადგინა 85.153 ლარი, მეუღლის შემოსავალმა — 85.989 ლარი, მივლინების თანხამ — 11.910 ლარი. აღსანიშნავია, რომ არც ამ წყვილს შეუძენია ძვირადღირებული ნივთი მიმდინარე წლის მანძილზე. 2007 წელს ხეთაგურს ბინის შესაძენად აღებული აქვს 111.200 დოლარის კრედიტი და გასავალში მინისტრი მხოლოდ აღნიშნული კრედიტის დაფარვის თანხას — 20.268 დოლარს უთითებს. ასევე კრედიტით აქვს შეძენილი ავტომანქანა. 2008 წელს აღებული 16.000-დოლარიანი კრედიტი მინისტრმა 2014 წლამდე უნდა დაფაროს. მიმდინარე წელს კი ამისთვის 17064 დოლარი გადაუხდია.

ხეთაგურის მსგავსად, კრედიტებით სარგებლობდა 2005 წელს თავდაცვის ამჟამინდელი მინისტრი ბაჩო ახალაია. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის პოსტზე მუშაობის პერიოდში იგი დეკლარაციაში უთითებს ბინას წინამძღვრიშვილის ქუჩაზე — ღირებულება 50.000 ლარი, საბარათე ანგარიშს — 200 ლარს, კრედიტს 3.000 დოლარს, ასევე 1.000 დოლარს 2005 წლის ნოემბრიდან სამი წლის ვადით. ამავე პერიოდიდან აქვს 1 980-ლარიანი და 600-დოლარიანი კრედიტი მის მეუღლეს — ირინა ჰეიბელს, რომელსაც 2000 წელს გახსნილ ანაბარზე 5 000 ევრო უდევს. 2010 წლის დეკლარაციაში ახალაიას მეუღლე 70 კვ.მ ფართის ბინას ფლობს გოთუას ქუჩაზე, ბაჩო ახალაიას კი 20 კვ.მ ფართობის სარდაფი შეუძენია წინამძღვრიშვილზე. ახალაიას ხელფასით აღებული თანხა შეადგენს 70.865 ლარს.

თუ 2007 წელს სოფლის მეურნეობის მინისტრი **ბაკურ კვეზერელი** დეკლარაციაში მამის 100-ათასლარიან სახლს უთითებდა ქავთარაძის ქუჩაზე, ასევე მიწის ნაკვეთს ონის რაიონის სოფელ გლოლაში დედამისის სახელზე (10.000 ლარის ღირებულების), 2010 წლის დეკლარაციაში მხოლოდ მეუღლის 115 კვ.მ ფართობის ბინა ჩნდება ნუცუბიძის პლატოზე; ასევე — ავტოფარეხი (32 კვ.მ) მეუღლის სახელზე; მეუღლის მანქანა „მერსედეს ბენც მლ 350". კვეზერელი საკუთარ სახელზე მხოლოდ ნაღდ ფულს — 16.000 ლარსა და 12.000 დოლარს, მეუღლის საკუთრებაში კი 8.500 ევროს უთითებს. კვეზერელის ხელფასი წლის განმავლობაში 76.000 ლარს შეადგენს. ახალგაზრდული ცენტრების კავშირის დირექტორის მეუღლის კი — 18.984 ლარს. კვეზერელიც სახელმწიფო ავტომანქანით სარგებლობს.



საკუთარი სახლი კი აქვს, მაგრამ, სხვა მხრივ, დეკლარაციის მიხედვით, კვეზერელივით ცოლის ხარჯზე ცხოვრობს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე **კოტე კუბლაშვილი.** იგი ახალ დეკლარაციაში უთითებს სახლს ვაჟა-ფშაველას გამზირზე (55 კვ.მ.), მეუღლის, მარინა მესხის კუთვნილ ბინას პეკინზე (190 კვ.მ.), 1500 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე, მიწის ნაკვეთს ოზურგეთის რაიონის სოფელ შრომაში. კუბლაშვილის წლის შემოსავალი ხელფასის სახით 122.867 ლარია, 3 885 ლარი მიუღია წიგნების რეალიზაციიდან. მისი მეუღლის წლის მანძილზე მიღებული ხელფასი, (იგი სსიპ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდში მუშაობს) 46.780 ლარია; ჰონორარის სახით აუღია 5.892 ლარი. მიუხედავად იმისა, რომ კოტე კუბლაშვილის შემოსავალი ბევრად აჭარბებს მეუღლის შემოსავალს, უძრავი ქონების ნასყიდობა — 7.000 დოლარი მის მეუღლეს ეკუთვნის, ასევე 2300 ლარი დაუხარჯავს მესხს ბავშვის ავეჯის შესაძენად. ამ წყვილის საკუთრებაში არსებული ფულადი თანხები ასე გამოიყურება: კოტე კუბლაშვილი 9.000 ლარი, 10.300 დოლარი; მარინა მესხი — 2 000 ლარი, 18.500 ევრო.

2007 წლის დეკლარაციაში უძრავ ქონებასა და ფულად თანხას შორის დიდი განსხვავება არ არის. 2007 წელსაც თურმე მარინა მესხი ზრუნავდა სახლის მოწყობაზე. მას შეუძენია 4.000-დოლარიანი როიალი, 4.500 ლარის ღირებულების ავეჯი მისაღები ოთახისთვის და 2.200 ლარის ღირებულების ავეჯი სასადილო ოთახისთვის.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მაღალი თანამდებობის პირებს პრემიების თავისუფალი სისტემა აქვთ. შესაბამისად, თუ მათ მიერ წლის მანძილზე მიღებულ თანხებს გადავხედავთ განსხვავებულ სურათს მივიღებთ. იმ ჩინოვნიკთაგან რომელთა დეკლარაციებსაც გადავხედეთ, აღმოჩნდა, რომ ყველაზე მაღალი ანაზღაურება ჰქონია კოტე კუბლაშვილს — 122.867 ლარი, თუმცა მას ხელფასიც განსხვავებული აქვს. მინისტრებს შორის კი სახელფასო თანხები ასე გადანაწილდა. ყველაზე მაღალი ანაზღაურებით პირველ ადგილზეა ნიკოლოზ რურუა (98.910 ლარი), II ადგილზე — კობა სუბელიანი (98.040 ლარი), III ადგილზე — გიგი უგულავა (93.456 ლარი), IV ადგილზე — ალექსანდრე ხეთაგური (85.153 ლარი), V ადგილზე — გოგა ხაჩიძე (78.420), VI ადგილზე — ბაკურ კვეზერელი (76.000 ლარი), VII ადგილზე — დავით ტყეშელაშვილი (72.562 ლარი), VIII ადგილზე — ბაჩო ახალაია (70.865 ლარი), IX ადგილზე — მიხეილ სააკაშვილი (59.000 ლარი), X ადგილზე — ვანო მერაბიშვილი (46.708 ლარი), XI ადგილზე — ზურაბ ადეიშვილი (42.480 ლარი).

**სოფო გელაშვილი**

# 5+5=10

## ანუ ორგზის «ნაცები»

**ამაზე უარესი რაღა იქნებაო, ამბობდა ლამის მთელი ქვეყანა და ედუარდ შევარდნაძეს „წადი, წადის“ ეძახდა. გამოხდა ხანი და „ამაზე უარესი“ მთელ ქვეყანას ცხვირ-პირში მოხვდა.**

დღევანდელი ვითარება, მენტალური თვალსაზრისით, დიდად არ განსხვავდება 7 წლის წინანდელისგან. განსხვავება არის, რა თქმა უნდა, მაგრამ არა კონცეპტუალური. დღეს აღარ საუბრობენ იმის შესახებ, რომ ოღონდ სააკაშვილი წავიდეს და, თუ გინდ, ნოღაიდელი მოვიდესო თავის ძიძიგურ-დავითაშვილიანად ან თუნდაც ნებისმიერი სხვა წარმომადგენელი ჩვენი უძვირფასესი, უნეტარესი და სულზე უტკბესი ოპოზიციისა. ყველამ კარგად იცის, რომ ნაგავი ერთიანი იქნება, თუ ორად გაყოფ და სხვადასხვა სახელს დაარქმევ, მისი შინაარსი ამით არ იცვლება. ამიტომაცაა, რომ სრულიად ოპოზიციის ჯამური რეიტინგი ამ ეტაპზე ნაციონალების რეალური რეიტინგის მესამედი თუ იქნება, ისიც ოპოზიციის დაკვეთით ჩატარებულ კვლევებში.

გამოსავალი?

გამოსავალი ყველაზე ჭკვიანმა „ოპოზიციონერმა“, ვანო მერაბიშვილმა იპოვა და პოლიტიკურ-ჟურნალისტურზნეობრივ გვამს, გიორგი თარგამაძეს ახალი სიცოცხლე შთაბერა. ჭკვიანურადაც გათვალა – ქართველებს უყვართ ყალბი პატიოსნების პათეტიკით გაბერილი „დედა ენაცვალოს“ პოლიტიკოსები. სწორედ „ფარისეველ-დემოკრატებს“ აქვთ ხელისუფლების შემდეგ ყველაზე მაღალი რეიტინგი (და არა მხოლოდ ნოდიასნაირების მიერ ჩატარებულ კვლევებში) და მნიშვნელოვნად უსწრებენ მთელ დანარჩენ ოპოზიციას, ერთად აღებულს.

ეს რეიტინგები გაყალბებულიაო, იტყვის მავანი.

ნეტავ ასე იყოს, ჩემო ტკბილო და მურაბა ადამიანებო. მაგრამ ვაი, რომ, თუ ადამიანს აქვს უნარი, თვალებში ალალი გამომეტყველება დაიყენოს და ილაპარაკოს ის, რისი მოსმენაც შენ გსურს, მორჩა – მისი თაყვანისმცემელი და მხარდამჭერი ხდები. საქართველოში ხომ დაავადებათა შორის შიზოფრენიის შემდეგ მეორე-მესამე საპრიზო ადგილებს სკლეროზი და სიბეცე იყოფენ და, ცოტა თუ აანალიზებს, ხოლო ვინც აანალიზებს, იმას სკლეროზი ავიწყებს, რა ბინძური გზით ავიდა ესა თუ ის ადამიანი ზევით, რამდენ გვამზე გადაიარა, რამდენი ვაზელინი დახარჯა და რამდენჯერ მიჰყიდა ეშმაკს სული. მერე რა მოხდა, ახლა ხომ ეგეთი აღარ არის და შეხედე, რა პატიოსნად ლაპარაკობსო, “ მოაზროვნე თხის თვალებით გეტყვიან მისი მხარდამჭერები.

მაშ, ასე! ოღონდ „ნაცები“ წავიდნენ და, ვინც გინდა, მოსულა, თუ გინდ „ფარისევლები“?

თუ ვითარებას რეალურად შევხედავთ, ნაცები კი წავლენ, მაგრამ „ფარისევლების“ მოსვლისა რა მოგახსენოთ, თუ ეს ვანომ არ მოინდომა, მაგრამ საუბარი ამ შემთხვევაში ქართველების გონებრივი შესაძლებლობების შეფასებაზეა და არა იმაზე, რეალურად ვინ მოვა, **ვინ** კი ვერასდროს ვერ მოვა. როგორი იქნება საქართველო ე. წ. ჟურნალისტების პარტიის ხელში, იქნება კი ის „ნაცების“ საქართველოზე უკეთესი?

ვერანაირად ვერ იქნება და აი, რატომ.

„ნაცები“, ჩემი მათდამი „თბილი“ დამოკიდებულების მიუხედავად, ხელისუფლებაში მოდიოდნენ: ა) გარეშე ძალების დავალებათა შესასრულებლად და ბ) საკუთარი არასრულფასოვნების კომპლექსის დასაძლევად და ამ მიზნით ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად. ამ ორში, ვგონებ, უფრო მნიშვნელოვანი მაინც მეორე მიზეზი იყო. მათ შორის ნამდვილად იყვნენ ჭკვიანი ადამიანები, რომლებიც, მართალია, ზნეობასთან მწყრალად იყვნენ, მაგრამ პრაგმატული და გონივრული აზროვნების დეფიციტს ვერ დააბრალებდი. არც თამაშობდნენ – არჩევნებამდე ორი კვირით ადრე ბოლნისსა და ბათუმში ჩასვლა და იქ გამართული „ჟამი ქვათა სროლისა“ ნათელი მესიჯი იყო ყველასთვის, ვისაც ტვინის ხნულები მთლად გადაგლესილ-გასწორებული არ ჰქონდა; მოდიოდა გარედან მხარდაჭერილი აგრესიული და ყველაფერზე წამსვლელი ძალა, არც იმას ცდილობდნენ, საკუთარი თავი მთლად ფრთიან ანგელოზებად წარმოედგინათ.

ჰალსტუხიანი ხვლიკი კი სხვა ტაქტიკით მოდის. ის უმანკოა, უცოდველი, ყველაფერში კომპეტენტური, რომის პაპზე უფრო მეტადაა კათოლიკე (დედა-ეკლესია არ ითხოვს მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას და თარგამაძე ვის დაეკარგა??); იმდენად გამბედავია, რომ საპარლამენტო ტრიბუნიდან პრეზიდენტს ბდღვირს ადენს... და ეს ის ხვლიკი ხომ არაა, ასლანს რომ გადაბრუნებულ სიტყვას ვერ უბედავდა, ბადრი პატარკაციშვილს რომ ზურგში დანას ურტყამდა, მერაბიშვილდონაძის კომპანია „ეკო-ფუდისგან“ პარტიისთვის დაფინანსებას რომ იღებდა და სააკაშვილს საპარლამენტო არჩევნებს რომ „უპრავებდა“?

და საერთოდ, ვინმე უფიქრდება, ხვლიკი ხომ ხვლიკია და მის პარტიაში საერთოდ რა ხალხია შეკრებილი?

გიორგი ახვლედიანს გონებრივი მონაცემები და „ბაგაჟი“ შუბლზე აწერია და დიდი დაფიქრებაც არ სჭირდება, ლევან ვეფხვაძე ჟვანიას გამოზრდილი კიდევ ერთი „გამოჩენილი ქართველი მოღვაწეა“, ნიკა ლალიაშვილს ლატის კარგი მასწავლებელი ჰყავდა უშიშროების მინისტრ ვალერი ხაბურძანიას სახით, ხოლო მთლად პატარა ზაზა გაბუნია თარგამაძემ კონკურენტი პარტიისგან 100 000 ლარად შეიძინა. ყველაზე ანეკდოტური პერსონა მთელს ამ კორდებალეტში კი მაგდალინა ანიკაშვილია, რომელსაც ასე უყვარს ხოლმე თქმა: „ჩვენ, პოლიტიკოსებს...“ მაგდალინა, მართლა პოლიტიკოსი გგონია, ჩემო კარგო, საკუთარი თავი?

როცა ქალბატონმა მაგდალინამ ჯერ კიდევ პატარკაციშვილის სიცოცხლეში „ტელეიმედიდან“ გამოქცეული ვირთხების კოჰორტასთან შეერთება გადაწყვიტა, მივიდა „იმედის“ მაშინდელ გენდირექტორ ბიძინა ბარათაშვილთან და თავისი გადაწყვეტილება შეატყობინა. ამ ამბავში აღსანიშნავი ისაა, რომ მივიდა... მეუღლესთან ერთად. ბევრს ახსოვს მაშინ ბიძინა ბარათაშვილის გაოგნებული სახე – მარტო რომ მოსულიყო, ვცემდი თუ რა იყოო?!

აი, ასეთი „პოლიტიკოსების“ ხელისუფლებაში მოსვლა კარგი იქნება თუ არა, იმან განსაჯოს, ვისაც აზროვნების უნარი ჯერ კიდევ შერჩენია და ხვდება, კარგია თუ არა, როცა ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს ფულის გარდა ამ ცხოვრებაში არაფერი აინტერესებს.

5 „ნაცების“ საარჩევნო ნომერია, მოგეხსენებათ. ჰოდა, გაამრავლეთ ორზე და მიიღებთ „ფარისეველ-დემოკრატების“ საარჩევნო ნომერს. ხოლო ის, თუ რამდენჯერ უარესები არიან ისინი თვით „ნაცებზე“ (ორჯერ თუ ორნახევარჯერ), მომავალი გვიჩვენებს.

# მიშას ზღაპრები

**სწავლა სიბერემდეო, ნათქვამია.
ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ მსოფლიოს ხალხთა საბავშვო ლიტერატურა იმდენად ყოვლისმომცველი და თეთრი ლაქების გარეშე იყო, რომ თითქმის შეუძლებელი მეგონა, ამ სფეროში რაიმე ახლის თქმა.
ყოველი ჩვენგანი კითხულობდა ბავშვობაში იაპონურ თუ ჩინურ, ჩეხურ თუ კიდევ სხვა ქვეყნების ზღაპრებს, ვიმდიდრებდით ცოდნას და ვიფართოვებდით თვალსაწიერს.**

ამ მხრივ არც ქართული ზღაპრები მოიკოჭლებდა და მე პირადად დღემდე სიამოვნებით მახსენდება „დაჩის ზღაპრებიც“, „ნაცარქექიაც“ და ვინ მოთვლის რამდენი ავი თუ კარგი პერსონაჟი ზღაპრული სამყაროდან.

მაშინ, რა თქმა უნდა, არ მესმოდა, რომ ყოველი ქვეყნისა თუ ხალხის ზღაპრები თავისი ხალხის მენტალიტეტსა და წარსულს ასახავდა, ხოლო გამოგონილი და ირეალური მათში ყოველთვის საოცარი სიზუსტით ასახავდა ნამდვილს. ყოველივე ეს მოგვიანებით გავაანალიზეთ, როცა ასაკისა და ცოდნის მატებასთან ერთად ისიც გავაცნობიერეთ, რომ არც ჩვენი თანამედროვეობა მოიკოჭლებდა მეზღაპრეთა რაოდენობის მხრივ.

არ ვგულისხმობ მხოლოდ გურამ პეტრიაშვილს, რომელიც ნამდვილად მეზღაპრე იყო, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. სამწუხარო და სატირალი ის იყო, რომ თანამედროვე რეალობაში მეზღაპრეთა ფუნქცია პოლიტიკოსებმა იტვირთეს. თანაც, იმდენად შევიდნენ როლში, რომ ძირითადი საქმიანობა (პოლიტიკოსობა) საერთოდ გვერდზე გადადეს და მხოლოდ ზღაპრების თხზვას მიჰყვეს ხელი.

კომუნისტებს რომ არ დავემსგავსო, რომლებიც სამოცდაათწლიანი მმართველობის შემდეგაც კი ყოველთვის და ყველაფერში მეფის რუსეთის 1913 წლის დონეს ედრებოდნენ და ყოყოჩობდნენ, აი, 1913 წელთან შედარებით რა მაღალ დონეზე ვართო, მეც გამოვტოვებ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდს, თუმცა მის დროსაც შეიქმნა ერთი ზღაპარი, რომელიც ღირსეულ ადგილს დაიკავებდა მსოფლიოს ხალხთა ლიტერატურაში, ვინმე რომ ამ საკითხით სერიოზულად დაინტერესებულიყო – ვგულისხმობ წინასაარჩევნო დაპირებას 1 000 000 (ერთი მილიონი) სამუშაო ადგილის შექმნის შესახებ. რა ნაცარქექია, რის ბაყბაყ დევი...

შემდეგი ზღაპარი, თუმცა ნაკლები მაშტაბისა (მაინც მოსწავლე იყო მისი და ჩამორჩებოდა ოსტატს ყველაფერში), ასევე, წინასაარჩევნო იგავი იყო საქართველოში მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდის თაობაზე. ასე რომ, ქართული ხალხური ზღაპრების „შემოქმედთა“ რიგში ზურაბ ჟვანიამაც დაიკავა დამსახურებული ადგილი.

მაგრამ, როგორც პორუჩიკ რჟევსკის შესახებ შექმნილ ერთ-ერთ ანეკდოტშია ნათქვამი, „შემდეგ მოვიდა რჟევსკი და ისეთი გარყვნილება დაიწყო...“.

მიშა სააკაშვილი პიროვნებად და ზრდასრულ მამაკაცად ხომ ვერ ჩამოყალიბდა და ვერ შედგა, პოლიტიკოსად ხომ მთელი მსოფლიო აღარ აღიქვამს უკვე, ქვეყნისა და ერის ლიდერად ხომ თვითონაც აღარ მიაჩნია თავი (ოდესმე თუ მიაჩნდა, ნეტავ), მაგრამ, რაც სააკაშვილმა ქართული ლიტერატურისთვის გააკეთა, რა ოტია იოსელიანი და რის გურამ პეტრიაშვილი, ჰანს-ქრისტიან ანდერსენის დონეზე გავიდა კაცი უკვე. ერთი პერიოდი კი გაჩნდა ეჭვი, რომ სააკაშვილი ასტრიდ ლინდგრენობას უმიზნებდა და ამიტომ იყო, რომ სულ ჰაერში იყო და არის კიდეც გამოკიდებული კარლსონივით, მაგრამ ლინდგრენის დონე, ანდერსენთან შედარებით, მაინც მოკრძალებულად გამოიყურება. ჩვენ კი ყველაფერში ყველაზე მაგრები უნდა ვიყოთ.

საბავშვო ლიტერატურაში პირველი განაცხადი გამოჩენილმა მეზღაპრემ მიხეილ სააკაშვილმა მაშინ გააკეთა, როცა იუსტიციის მინისტრობიდან გადადგა და ოპოზიციონერი ვარო, განაცხადა. ეს იყო მისი პირველი ლიტერატურული ნაბიჯი. შემდეგ კიდევ რამდენიმე მცირე მასშტაბის ზღაპარი უძღვნა მშობლიურ ლიტერატურას. ნათელი იყო, რომ ახლოვდებოდა ფუნდამენტური, კონცეპტუალური შედევრის შექმნის მომენტი და მანაც არ დააყოვნა – ყველას გვახსოვს სააკაშვილის მიერ ბავშვებით სავსე ბათუმის ცირკში მოთხრობილი „ზღაპარი ბოროტი ასლანის შესახებ. მართალია, ცოტათი კი გამოვიდა ჟანრის ჩარჩოებიდან და ისეთი ბოროტი ძალა დახატა აბაშიძის სახით, ქართული ზღაპრების დევები და ჯადოქრები უმანკო კრავებად მოგვეჩვენა, მაგრამ, საერთო ჯამში, ახალი და მნიშვნელოვანი ზღაპარი ნამდვილად შეიქმნა.

როცა ამ საკითხით (სააკაშვილის მეზღაპრეობით) საქართველოს მწერალთა კავშირი დაინტერესდება, დარწმუნებული ვარ, სერიოზული მუშაობა ჩატარდება მისი მემკვიდრეობის შესასწავლად (თუ, რასაკვირველია, იმ პერიოდისთვის საქართველოში ქვა ქვაზე მაინც იქნა დარჩენილი) და საბავშვო ლიტერატურა ბევრი საინტერესო ზღაპრით გამდიდრდება. მსოფლიო პენკლუბიც ღირსეულ პატივს მიაგებს ჩვენს ახალ მეზღაპრეს, რომელიც პოლიტიკოსად, სამწუხაროდ, ვერ შედგა.

დღეს მაინც გვინდა, ერთი ახალი ზღაპარი შემოგთავაზოთ, რომელიც მეზღაპრე მიხეილ სააკაშვილმა ხალხმრავალ ლიტერატურულ საღამოზე წაიკითხა. გაუგებრობის გამო ამ ლიტერატურულ საღამოს რატომღაც საპარლამენტო უმრავლესობასთან პრეზიდენტის შეხვედრა ერქვა. სულ აურია ამ პრეზიდენტის პრესსამსახურმა, შეხვედრას და ლიტერატურულ საღამოს ერთმანეთისგან ველარ არჩევს...

ზღაპარს „სიტყვის თავისუფლება საქართველოში“ ერქვა. თურმე ნუ იტყვით, საქართველოში სიტყვის ისეთი თავისუფლება მძვინვარებს, მსოფლიოს დღემდე რომ არ დასიზმრებია. დამოუკიდებელი მედიასაშუალებები იფურჩქნება, სახელისუფლო მედია, როგორც კლასი, გადაშენდა, ჟურნალისტები პოლიციელებზე გავლენიანი არიან, ხოლო პრესის თავისუფლების რეიტინგებში ყველას არა თუ გადავუსწარით, მეორე წრეზეც კი წავედით უკვე.

მოგეხსენებათ, ზღაპრის ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება ის არის, რომ აუდიტორიამ, ანუ ბავშვებმა (საპარლამენტო უმრავლესობა სხვა ასაკისაა, თუ რა? ) ყველაფერი დაიჯერონ და მისით (ზღაპარში მონათხრობი „რეალობით“) იცხოვრონ. ამ შემთხვევაში მიზანი, ეჭვგარეშეა, უმაღლეს დონეზე იქნება მიღწეული. აბა, სხვაგვარად როგორ? საპარლამენტო უმრავლესობა (ჩვენი მომავალი თაობა) არ დაიჯერებდა, რომ საქართველოში მედია თავისუფალია?!

ან კი ვითომ რეალობა სხვანაირია?! რა, ბოლო წლების საქართველოში რომელიმე ტელეკომპანია დახურეს? სადმე ნიღბიანი სპეცრაზმელები შევარდნილან და ფეხმძიმე გოგონები მუცლით მიწაზე დაუწვენიათ? რომელიმე ჟურნალისტისთვის ოდესმე უბატონოდ ხმა გაუციათ? გაზეთები დაუხურავთ? ან იქნებ, რომელიმე ჟურნალისტს უცხოეთში პოლიტიკური თავშესაფარი მოუთხოვია?

არც მსგავსი შემთხვევები მომხდარა როდესმე, არც მოდელირებული სირობა გაუკეთებია პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილ უფროსს თავის თანამზრახველებთან ერთად, არც მიცვალებულისთვის „აუხევიათ“ ტელევიზია (რასაც, სხვათაშორის, მოროდიორობა ჰქვია) და არც სოდი თუ კუდი აკონტროლებენ რომელიმე მედიასაშუალებას. ეს ყველაფერი გეჩვენებათ; ხოლო, თუ გაინტერესებთ, როგორია რეალობა, შედით ინტერნეტში და მოისმინეთ გამოჩენილი ქართველი მეზღაპრის მ. სააკაშვილის ზღაპრების კრებულის აუდიოვერსიები: „სიტყვის თავისუფლება საქართველოში“, „ამბავი მიშას ლაშქრობისა, ანუ როგორ მოუგო საქართველომ რუსეთს ომი“ და სხვ. მიგნება არ გაგიჭირდებათ.

რაც შეეხება რეიტინგებს, რომლებიც პრესის თავისუფლებას ეხება, ისინი მეტ-ნაკლებად ობიექტურად ასახავს მდგომარეობას, ამიტომაცაა, რომ ამ რეიტინგებში საქართველო მხოლოდ ისეთ ქვეყნებს უსწრებს, რომლებშიც ეროვნული სუფრის მთავარ დელიკატესად მოხარშული ჟურნალისტის ხორცი ითვლება.

**P.S. ზოგიერთი თქვენგანი, ალბათ, შეამჩნევდა ფილარმონიასთან დამონტაჟებულ უზარმაზარ სარეკლამო მონიტორზე გამოჩენილ ახალ რეკლამას – ახალი წიგნი გამოვიდაო. საუბარია ზღაპარზე, რომელსაც დაახლოებით ასე ჰქვია: „თხუნელა, რომელსაც უნდოდა გაეგო, ვინ უქნა თავზე“.**

**რას იზამ, ასეთია ახალი რეალობა. ადრე დაჩის ზღაპრები იყო, ბებია იაგო და გველი გარინჩა იყო (ბაბა იაგა და გველი გორინიჩი), მოხუცი ხოტაბიჩი და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი შედევრი, რომელსაც დღევანდელი ბავშვებიც სიამოვნებით კითხულობენ, თუ, რასაკვირველია, ვინმემ უთხრა და აჩვენა, რომ არსებობს მართლა კარგი ზღაპრები, რომ საბავშვო ლიტერატურა არ შემოიფარგლება მხოლოდ სააკაშვილის „ბოროტი ასლანითა“ და რომელიღაცა მღრღნელით, რომელსაც ის აინტერესებდა, ვინ უქნა თავზე. თხუნელა, ბოლოს და ბოლოს, გაარკვევს, რაც აინტერესებდა. აი, ჩვენ როდის გავარკვევთ? რატომ გვსიამოვნებს და ვითმენთ, როცა თავზე გვიშვებიან?!**

გვერდი მოამზადა **სალვადორ დვალმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# Good bye, Mikheil, good bye!

**იმ დროს, როცა მსოფლიო გლობალური დათბობის შედეგებით ითრგუნება, საქართველოში გამყინვარების ჟამი დგას. არაადეკვატური ქვეყანაა.
სრული გამყინვარებაა მსოფლიო თანამეგობრობაში საქართველოს მიმართ. სააკაშვილი კი რატომღაც გარუჯული დადის.
ესეც არაადეკვატურობის ნიშანია.**

## საქართველო შინ მარტო დატოვეს

EURASIANET.org

**ასე გადმოქართულდება Eurasia.Ner.org საიტზე გამოქვეყნებული რეპლიკის სათაური — ერთგვარი კანიოს პროლოგი როჯერო ლეონკავალოს ოპერისთვის „ჯამბაზები“ — „ მაშ, ასე — ჩვენ ვიწყებთ!“.**




ჩვენც ვიწყებთ, მაგრამ სხვისი თვალით დანახული ჩვენი დღევანდელი საქართველოს გაჯამბაზების ამბის თხრობას.

კეთროვანივით ერიდებიან ჩვენს უპირველეს ლიდერს ან, უკეთეს შემთხვევაში, ცხვირწინ კარს მიუკეტავენ, როგორც უსაქმურ და მომაბეზრებელ პროვინციელ ნათესავს.

**„მართლაც გახდა საქართველო ვაშინგტონის საწყალი ნათესავი, რომელიც საათობით იცდის თეთრი სახლის მისაღებში, ვიდრე იქ წვეულებაა. ამ დასკვნამდე მიდის TIME-ის რეპორტიორი The Hubbinton Post-ში და იმაზე მიგვანიშნებს, რომ ობამა და სხვა დასავლელი ლიდერები სააკაშვილის მიახლოებისას საათს დახედავენ და რუსეთის პრეზიდენტთან, დიმიტრი მედვედევთან შეხვედრაზე გარბიან“,** — ნათქვამია Eurasia.Net.org. საიტზე.

მარტო ეს რომ იყოს!

დაუფარავად დაგვცინიან: რუსეთთან ბირთვულ საკითხებზე თანამშრომლობით დაკავებული ვაშინგტონიო, ქირქილებენ, საქართველოს პირველი ასოს (**სანის**) წარმოთქმასაც კი გაურბის. ხოლო, თუ წარმოთქვამს, „კონტექსტი ყოველთვის ისეთი არ არის, როგორსაც თბილისი ისურვებდა. მაგალითად, **10 მაისს ობამამ დაუფარავად განაცხადა, რომ საქართველო დაბრკოლება აღარ არის აშშ-რუსეთის ბირთვულ თანამშრომლობაზე შეთანხმებისთვის“.**

დაბრკოლებადაც აღარ მივაჩნივართ, არათუ — პარტნიორად, მით უფრო — სტრატეგიულ პარტნიორად.

მთლად ნუ გადავწურავთ წყალს: თეთრი სახლი დრო და დრო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერ განცხადებებს, რა თქმა უნდა, აქვეყნებს. „თუმცა ბევრი ქართველისთვის ეს იგივეა, რაც ფეისბუქის მეგობრის ფოტოზე კომენტარის მიწერა, მასთან მოსალხენად შეხვედრის ნაცვლად“, — ესეც — ინტერნეტსარკაზმი ამერიკულად.

მაგრამ რაღა სარკაზმია და მაღლიდან ყურება, როცა წყალქვეშაა უზარმაზარი აისბერგი, რომლის მხოლოდ ხილული ნაწილია ბარაკ ობამას განცხადება და რომელთან შეჯახებაც სააკაშვილის „ტიტანიკს“ ისე ჩაძირავს, რომ მისი ხელისუფლების ვირთხები გაქცევას ვერ მოასწრებენ.

თუ უკვე არ უშველეს თავს.

THE HUFFINGTON POST

## ობამას ღალატს საქართველოსადმი გარკვეული აზრი აქვს

**სხვა გზა არ გვაქვს, ამ ჩიქორთულად ნათარგმნით უნდა დავკმაყოფილდეთ. ნუ გამოვეკიდებით მაინც და მაინც ადეკვატურობას. ატეხილია ერთი ამბავი მასმედიაში: უღალატა თუ არა აშშ პრეზიდენტმა საქართველოს, როცა განაცხადა, რომ რუსეთთან შეთანხმების დასადებად ჩვენ ამერიკისთვის არავითარ დაბრკოლებას არ წარმოვადგენთ.**



ათასნაირად ატრიალეს ცალკე საიმონ შუსტერის ამ წერილის სათაური, ცალკე — აშშ პრეზიდენტის სახელი და გვარი.

ვიღაცამ თავზე ნაცარი დაიყარა, ვიღაცამ (ერთმა ქართველმა ტელეპოლიტოლოგმა, რომელსაც აშკარად ეტყობოდა სააკაშვილის ფანობა) დაგვაიმედა — კონგრესისადმი ობამას მიმართვაში საქართველოს ხსენება ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყანა ამერიკისთვის მნიშვნელოვანიაო(?!).

არადა, **აშშ პრეზიდენტის განცხადება იყო პოზიციის დაფიქსირება, რომელიც გვიდასტურებს, რომ ობამას ადმინისტრაციამ ჩვენზე ხელი ჩაიქნია. ყოველ შემთხვევაში, რუსეთთან ურთიერთობის მოგვარების პროცესში ჩვენს პრობლემებს ამერიკა დაბრკოლებად არ აღიქვამს.**

მაინც რატომ გვეგონა, რომ სამყაროს ჭიპი ვიყავით და ყველა, უწინარესად, ამერიკა, რომლის მზეს ვიფიცებდით, „დემოკრატიის შუქურის“ ჩაქრობას არავის გააბედვინებდა?

გვეგონა კი იმიტომ, რომ ამაში დარწმუნებული იყო მიხეილ სააკაშვილი და ამასვე გვიჭედავდა ტვინში თანამემამულეებს.

ამის ნიშნები წერილის ავტორმა პრეზიდენტის სასახლეში იმ ფოტოგამოფენასავით მოწყობილი ოთახის გავლისას შენიშნა, რომლის კედლებზე ბუშის ადმინისტრაციის მთავარი ფიგურების ექსპოზიცია იყო მოწყობილი: **„...ოთახი იმ უბის წიგნაკს წააგავს, რომელიც საყოველთაო სახილველად გადაუშლიათ, იმის სიმბოლოდ, თუ სად ილებს სათავეს სააკაშვილის თავდაჯერების წყარო, მაგრამ ამ კედლებზე ობამას ადმინისტრაციის წარმომადგენლების სურათებს ვერ აღმოაჩენთ...“**

ფოტოკამერების წინ სააკაშვილთან პოზიორობა კი არა, საერთოდ გაემიჯნა ობამას ადმინისტრაცია საქართველოს პრეზიდენტს.

საიმონ შუსტერი წერს: **„როგორც ჩანს, ობამამ ჩათვალა, რომ დამალვას აზრი აღარ აქვს. საქართველოს გაცვლა რუსეთზე თეთრი სახლის ოფიციალურ პოლიტიკად იქცა“.**

მას შემდეგ, რაც ავტორი სააკაშვილის ავტორიტეტის დაცემის ერთ-ერთ მიზეზს — „იმედის“ „შოკისმომგვრელ გადაცემას“ — უარყოფით რაკურსში დეტალურად განიხილავს და შეცდომად მიიჩნევს პრეზიდენტის პოზიციას — „ქართველი ხალხისთვის ამ გადაცემის ნახვა სასარგებლო იყო“, ასკვნის: **„მას სახიფათო სპექტაკლებით რუსეთის გახელება სურს. ეს იმას ნიშნავს, რომ მას როგორც პოლიტიკოსს რუსეთის აგრესიის იდეა ასაზრდოებს, რადგან თავს იმ ერთადერთ ადამიანად წარმოაჩენს, რომელსაც დასავლეთთან თავისი კონტაქტებისა და იმ ადამიანების მეშვეობით, რომლებიც მის ოფისში „წარჩინებულთა დაფაზე“ არიან წარმოდგენილები, ძალუძს ამ საფრთხის მოგვარება... თუ პოლიტიკურ საფრთხეს იგრძნობს, ის თავის მოკავშირეებს რუსეთთან კონფრონტაციისკენ უბიძგებს“.**

ახლა კი გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ამ ციტატიდან გამომდინარე დასკვნას, რომელსაც ვარაუდი პრაქტიკულ ჭრილში გადააქვს: „...მას მერე, რაც ევროკავშირის გამოძიებამ დაასკვნა, რომ 2008 წლის ომში პირველი გასროლა სააკაშვილის ბრძანებით მოხდა, ამ ვარაუდს სულ უფრო მეტი რამ ადასტურებს. **ეს გიჟური რისკი იყო, მაგრამ სააკაშვილი ამაზე წავიდა და აშშ და მისი მოკავშირეები ბირთვულ სუპერსახელმწიფოსთან კონფრონტაციაში თითქმის ჩაითრია“.**

საიმონ შუსტერი ერთ საინტერესო ფაქტს იხსენებს: **დანიილ კუნინმა,** რომელიც სააკაშვილის უახლოესი მრჩეველი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გახდა, „რუსეთთან კატასტროფული ომის შემდეგ... ქართული პროექტისგან დისტანცირება იწყო“.

„თუ კუნინმა, — ხაზს უსვამს ავტორი, — დახლოებულმა კაცმა, რომელმაც რამდენიმე წელიწადი საქართველოს მთავრობას შესწირა, სააკაშვილისგან გამიჯვნა გადაწყვიტა, რატომ უნდა უერთგულოს მას ობამამ?“

ამიტომ, და ეს არის ამ პუბლიკაციის კვინტესენცია, „ფაქტი ერთია — **სააკაშვილმა დაადასტურა, რომ შეერთებული შტატებისთვის იგი იმპულსური, უფრო მეტიც, არაპროგნოზირებადი და სახიფათო პარტნიორია. ობამა, როგორც ჩანს, ამას გულისხმობდა, როცა კონგრესს იმ განცხადებით მიმართა“.**

## აშშ რუსეთის მეზობლებზე უარს ამბობს

The Washington Post



**„ვაშინგტონ პოსტში“ დევიდ კრემერის ამ წერილს უფრო სხვა სათაური მოუხდებოდა: „აშშ-მა რუსეთის მეზობლებზე ხელი აიღო“.
ავტორი, როგორც ბუშის ადმინისტრაციის ყოფილი ჩინოვნიკი (ბუშის ადმინისტრაციაში ევროპისა და აზიის საკითხებში სახელმწიფო მდივნის თანაშემწედ მუშაობდა), კრიტიკულადაა განწყობილი ახალი ადმინისტრაციის მიმართ; წერს, რომ მას ყოველთვის აწუხებდა ის, რომ „ობამას ადმინისტრაცია პრინციპის — „რუსეთი უწინარეს ყოვლისა“ გამო, მოსკოვის მეზობლების საზიანოდ იმოქმედებდა.**

მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი კიდევ უფრო უარესადაა: **ახლა ისინი მოქმედებენ პრინციპით — „რუსეთი და მხოლოდ რუსეთი“ და ავიწყდებათ, მეტიც, ბედის ანაბარა ტოვებენ რეგიონის დანარჩენ ქვეყნებს“.**

ესე იგი, ბუშისა და მისი „პროექტისადმი“ — სააკაშვილისადმი კეთილგანწყობილი კრამერი დარწმუნებით ამბობს, რომ ახალმა ადმინისტრაციამ მკვეთრად შეცვალა პოლიტიკა და თავისი სატელიტების გამო რუსეთთან ურთიერთობის გამწვავების ხასიათზე სულაც არ არის. მაგრამ ეს ავტორიც კი არ ღალატობს ობიექტურობას და აღნიშნავს, რომ, თუ ადრე რუსეთს საქართველოში ერთადერთი სამხედრო ბაზა ჰქონდა გუდაუთაში და ისიც გასაუქმებლად იყო გამზადებული, **„მას შემდეგ, რაც რუსეთი საქართველოს თავს დაესხა, ყველაფერი გაუარესდა... ახლა საქართველოს ტერიტორიაზე მას გაცილებით მეტი სამხედრო და საბრძოლო მასალა აქვს“.**

გაუარესების მიზეზი ცნობილია. მაგრამ ობამა და სხვა მაღალჩინოსნები სულაც არ აპირებენ სხვისი დანთებული კოცონიდან შიშველი ხელებით გამოიღონ ნაკვერჩხლები. მათ სხვა მიზანი ამოძრავებთ, რის გამოც საყვედურობს კრამერი ახალ ადმინისტრაციას, მაგრამ ფაქტს აღიარებს — **აშშ რუსეთისკენ ილტვის.**

ისინიო, წერს ავტორი, „არ აღიარებენ რუსეთის უფლებას „გავლენის სფეროს“ შესახებ, მაგრამ მოქმედება (ისევე, როგორც უმოქმედობა) განცხადებებზე მეტს მეტყველებს. არსებობს მოსაზრება, რომ ობამა თავის „მეგობარსა და პარტნიორ“ დიმიტრი მედვედევს ნებისმიერი სხვა ქვეყნის მეთაურზე ბევრჯერ შეხვდა და მასთან ხშირად ურთიერთობს“.

**ის დროა, რომ ობამაც იმ მოღალატეთა სიაში ჩავწეროთ, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის ხელმძღვანელობასთან კონტაქტის გამო კრემლის აგენტებად და საქართველოს მტრებად ჰყავს გამოცხადებული.**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# საქართველოს ოცნება ნატოზე

Eurasia Review
News and Analysis

**„ევრაზია რევიუში“ — მაიკლ ჩეჩირეს წერილის დედააზრი ასეთია: საქართველოს ოცნება ნატოს წევრობაზე ოცნებად დარჩა, ან, უფრო კატეგორიულად თუ ვიტყვით, ოცნებას აზრი დაეკარგა. ჯერ კიდევ 15 წლის წინათ განაცხადა საქართველოს იმდროინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, რომ ნატოს კარს მივუკაკუნებთო. მივუკაკუნეთ.**



ახალმა რეფორმატორებმა დიდი ბრახაბრუხი ატეხეს. გამოაღეს ის კარი ალიანსის წევრებმა და, რაც დაინახეს, სასწრაფოდ მიხურეს ისევ.

ნატოში გაწევრების პროცესი პოლიტიკური რიტუალია, მიაჩნია პუბლიკაციის ავტორს, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა, როცა **„22 აპრილს ტალინში, ნატოს შეხვედრაზე, ჩრდილოატლანტიკურმა ბლოკმა ერთ ციდა და დანაწევრებულ ბოსნიას და ჰერცოგოვინას ალიანსის წევრობის სამოქმედო გეგმა („მაპი“) მიანიჭა“.**

ეს ის „მაპია“, რომელიც ჯიბეში გვედო, გვეგონა, მაგრამ დარჩა ჰორიზონტივით მიუწვდომელი.

ბოსნიის ნატოში გაწევრება მხოლოდ დროის საკითხია, რადგან ის ქვეყნები, რომლებსაც თავის დროზე „მაპი“ მიანიჭეს, დღეს ალიანსის წევრებად გვევლინება.

„ბოსნია, — წერს მაიკლ ჩეჩირე, — როგორი ღირსებებიც გინდა გააჩნდეს მას, ძალიან რთულია, უფრო ადეკვატურ კანდიდატად ჩაითვალოს, ვიდრე საქართველო, რომლის წვლილი ISAF-ის ძალებში მნიშვნელოვნად ჭარბობს ამ სფეროში ბოსნიის მიღწევებს. დღეს დაახლოებით 1000 ქართველი სამხედრო მონაწილეობს ავღანეთის როგორც აღდგენით სამუშაოებში, ისე სამშვიდობო ოპერაციებში და, ამასთან, ამ ქვეყანას, ბოსნიისგან განსხვავებით, არც ერთი გაფრთხილება არ მიუღია. ბოსნია კი ათჯერ გააფრთხილეს“.

**ავტორი ამტკიცებს, რომ „ნებისმიერი ობიექტური კრიტერიუმით, როგორც სამხედრო, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით, საქართველოს „მაპი“ ბოსნიაზე გაცილებით ადრე უნდა მიეღო“.**

**მაგრამ არ მიუღია. არ მისცეს. რა მიზეზით?**

პოლიტიკური ანალიტიკოსების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ჩვენი ქვეყნის ნატოში გაწევრებას მოსკოვი ბლოკავს. თუ დავაზუსტებთ, — საქართველოა მიზეზთა-მიზეზი, ანუ — რუსეთთან მისი კონფრონტაციული დამოკიდებულება 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ: **„უდავოა, რომ ნატოს არ აქვს განსაკუთრებული სურვილი, საკუთარ რიგებში მიიღოს ისეთი წევრი, რომელსაც რუსეთთან სამხედრო კონფლიქტის აჩრდილი მუდმივად თან სდევს“,** — მიიჩნევს წერილის ავტორი და ამიტომ საქართველოს თვლის „კონფლიქტად, რომელიც ნებისმიერ დროს შეიძლება აფეთქდეს“.

უფრო მეტიც, საეჭვოა, ნატომ იჩქაროს თავის რიგებში ისეთი სახელმწიფოს მიღება, „რომელსაც იგი რუსეთზე დამოკიდებულად მიიჩნევს“.

მაშ, სადაა გამოსავალი?

ავტორის აზრით, საქართველოს ორიენტირება ნატოს ოპერაციებსა და მის მმართველ სტრუქტურებთან „ოპერატიულ თანხვედრაზე“ საკმარისი არ არის ალიანსში შესასვლელად.

იგი გვირჩევს, რომ „ამის ნაცვლად **საქართველოს შეიარაღებული ძალები ხაზგასმით და ცალსახად უნდა იყოს ორიენტირებული საკუთარი ტერიტორიის დაცვაზე... მართალია, საქართველო გამალებულ შეიარაღებაში რუსეთს ვერასოდეს აჯობებს, მაგრამ მას შეუძლია თავდაცვა იმ დონემდე მაინც გააძლიეროს, რომ მოსკოვისთვის ასეთი (აგრესიის) გადაწყვეტილების მიღების დროს დაბრკოლება გაცილებით ძლიერი იყოს“.**

ასეთია „ქორების“ რჩევა, რომელიც, საეჭვოა, მიიღოს სააკაშვილმა, რადგან მას სრულიად საწინააღმდეგო მიზანი ამოძრავებს — ნატოს ხელმძღვანელობა დაარწმუნოს საკუთარ ლოიალობასა და შეუცვლელობაში, მოიპოვოს მხარდაჭერა და რამენაირად მიაღწიოს 2013 წლის მიჯნას.

საქართველოს თავდაცვის გაძლიერება, საერთაშორისო სამხედრო ექსპერტების აზრით, გულისხმობს შეიარაღებული ძალების არა მხოლოდ რაოდენობრივ ზრდას, არამედ თავდაცვითი სისტემების ჩამოყალიბებას და ახალი ფუნქციური შესაძლებლობების მოპოვებას, ქვეით ძალებზე აქცენტირებიდან ფაქტობრივად არარსებულ სამხედრო-საჰაერო ძალებზე ყურადღების გადატანასა და სახსრების ამ მიმართულებით წარმართვას.

აქვთ თუ არა ამის უნარი და სურვილი მთავარსარდალსა და თავდაცვის მინისტრს, ეს სხვა საკითხია.

# გიჟი მაკეინი — ობამას ალტერნატივა

**საქართველოს და, განსაკუთრებით, საქართველო-რუსეთის პრობლემა უცხოურ პრესაში შიდაპარტიული „გარჩევების“ დროსაც იჩენს თავს, როგორც უარყოფითი რამ სიდიდე, ნეგატივიზმის განსაკუთრებული გამოვლენა, კარგისა და ცუდის გასარჩევი განზომილება.**



ამის ერთ-ერთი მაგალითია **დანიელ ლარისონის** წერილი **„კამერონი და საქართველო“,** რომელიც **The Americsan Conservative**-ში გამოქვეყნდა. ავტორი პოლიტიკურად შეუთავსებელი მოწინააღმდეგეების — **კამერონისა** და **დენ მაკარტის** დაპირისპირების ფაქტს ამ უკანასკნელის პუბლიკაციის ჭრილში განიხილავს.

დენ მაკარტი წერს: „ის, რომ კამერონს გონივრული განსჯის აშკარა დეფიციტი აქვს, საგანგაშოა... შარშანწინდელი ზაფხული იყო, როცა **კამერონი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის დროს თბილისში ჩავიდა და განაცხადა, რომ საქართველო სასწრაფოდ ნატოში უნდა მიეღოთ...** მიუხედავად იმისა, რომ იმ დროს ბევრი ჩვენგანი ვარაუდობდა, შემდეგ კი ეს დამოუკიდებელმა დამკვირვებლებმაც დაადასტურეს, რომ საქართველო მართალი არ იყო, კამერონის სიტყვები, თუ იგი არ ხუმრობდა, ნიშნავდა, რომ **იგი მზად იყო კოლგსტრიმის გვარდია** (დიდი ბრიტანეთის არმიის ერთ-ერთი უძველესი გვარდიული პოლკი. — ა.ს.) **სამხრეთ ოსეთში საბრძოლველად და იქ დასაღუპად გაეგზავნა“.**

ამითო, ასკვნის ავტორი, კამერონი გორდონ ბრაუნის (იმ დროს ინგლისის პრემიერ-მინისტრი) მემარჯვენეების გულის მოგებას შეეცადა.

ეს კი, ლარისონის აზრით, ნიშნავს შემდეგს: **„საქართველოს ნატოში მიღებისკენ მოწოდება იმ დროს, როცა საქართველოს წევრობის თემა პოლიტიკურად წარმოუდგენელი გახდა, არა მხოლოდ უგნური, არამედ აშკარად უადგილო იყო. საქართველოს ნატოში გაწევრების შანსი 2008 წლის აგვისტოში მოკვდა ისე, რომ არასოდეს არ გაცოცხლებულიყო... ბუქარესტში გაცემულმა პირობამ, რომ საქართველოს ალიანსში მიიღებდნენ, სააკაშვილი გაათამამა. მან კონფლიქტის ესკალაცია მოახდინა და რუსეთი საპასუხო ქმედებაზე გამოიწვია“.**

კიდევ ორი ციტატა იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი დამოკიდებულება ჩამოყალიბდა აშშ ადმინისტრაციაში სააკაშვილის მიმართ და ნატოში საქართველოს მიღების პერსპექტივის თაობაზე.

**The Americsan Conservative** წერს:

**„...რუსეთის აგრესიის მიმართ ობამას ხანმოკლე კრიტიკის შემდეგ, პრაქტიკაში მისი ადმინისტრაცია სააკაშვილის მიმართ ცხადად გულგრილია და გაცილებით კონსტრუქციულია რუსეთთან ურთიერთობაში.**

**ობამა-ბაიდენის ალტერნატივა იყო ნამდვილად გიჟი მაკეინი — „ჩვენ ახლა ყველანი ქართველები ვართ!“**

და ბოლოს:

„ბრიტანეთსა და ამერიკაში პარტიების უმრავლესობის **კონსესუსი ნატოს გაფართოებასა და მასში საქართველოსა და უკრაინის მიღებასთან დაკავშირებით, რასაც ობამაც ემხრობოდა, მოძველდა და უადგილო აღმოჩნდა განვითარებული მოვლენების გამო“.**

განვითარებულ მოვლენებში მიმომხილველები (**მაიკლ სკოტი, „რეიტერი“)** ძირითადად „ფერადი რევოლუციების“ უსახელო დასასრულს გულისხმობენ: „ვითარება, როცა სამივე „ფერადმა“ რევოლუციამ, რომლებშიც მასობრივმა პროტესტმა უკრაინის, საქართველოსა და ყირგიზეთის ხელისუფლებებში პროდასავლური მთავრობები მოიყვანა, მთლიანად შეიცვალა ან სერიოზულად შეირყა“.

დასკვნა მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: დასავლეთმა საქართველოზე ხელი აიღო. **Reuters-ის** მიერ გამოქვეყნებულ წერილში **„კრემლი ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოებს იბრუნებს, დასავლეთი თანახმაა“ მაიკლ სკოტი წერს:**

**„საქართველოს დასავლელმა მოკავშირეებმა დიდწილად მიატოვეს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, 2008 წელს მისი დამღუპველი მცდელობის შემდეგ, ძალით დაებრუნებინა აჯანყებული რეგიონი — სამხრეთ ოსეთი, რასაც რუსეთთან ომი და საქართველოს კატასტროფული სამხედრო მარცხი მოჰყვა“.**

რუსეთისადმი დასავლეთის დამოკიდებულების შეცვლა აშშ-ის ახალი პრეზიდენტის არჩევამ და ვაშინგტონის პრიორიტეტების შეცვლამ გამოიწვია: „მოსკოვი იმ საკვანძო მოთამაშედ იქცა, რომლის ჩართვაც გლობალური დიპლომატიის წესრიგში აუცილებელი გახდა, **იგი აღარ განიხილება „ცივი ომის“ ეპოქის მტრად,** რომლის შეკავებაა საჭირო“ (**მაიკლ სკოტი**).

„დასავლეთში ნელ-ნელა მიხვდნენ, რომ რუსეთის პროვოცირებას პოზიტიური შედეგები არ მოსდევს, — ამბობს **ლიპმანი**, — ჩვენ შეგვიძლია რუსეთთან უკეთესი ურთიერთობით ვისარგებლოთ“.

**რატომ არ გვინდა ჩვენ, საქართველოში, ვისარგებლოთ ამ ურთიერთობით ჩვენი უმწვავესი პრობლემების გადასაწყვეტად, გაუგებარია.**

## ბოლოთქმა

**აი, ასეთია ის მთავარი აქცენტები, რითაც გამოირჩევა მოცემული პერიოდის უცხოური პრესა, რაც, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ანტირუსული ტენდენციები გაქრა მასმედიიდან. არა.**

**მაგრამ უეჭველია, რომ რუსეთის წინააღმდეგ მიმართული პუბლიკაციები, ეს თემა საერთოდ, ტოპმიმართულებად აღარ მიიჩნევა, მეორე პლანის მასალების რიგში ჩადგა.**

**ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში რუსეთის გავლენის აღდგენა-გაძლიერებას, ცხადია, დასავლეთი არ მიესალმება, მაგრამ რეალობას ადეკვატურად აღიქვამს და ასევე გადმოსცემს. „რეიტერი“ ასეთ განზოგადებულ დასკვნას გვთავაზობს:**

**„ანალიტიკოსები და დიპლომატები უკრაინას, ყირგიზეთსა და საქართველოს იმ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებად ასახელებენ, სადაც რუსეთმა დასავლეთის გავლენა ძველ ნიშნულამდე დაიყვანა, თუმცა პირად საუბრებში ობამას გარემოცვა ბუშის ეპოქის რუსეთთან კონფრონტაციის პოლიტიკას შეცდომას უწოდებს. ასეთი სენტიმენტები იმ განწყობას ეხმიანება, რომელიც კონტინენტურ ევროპაში სუფევს, სადაც რუსეთთან მიმართებაში პრაგმატიზმს ემხრობიან, რაც ევროპელებს სარფიანი საქმიანი შესაძლებლობების გამოყენების საშუალებას აძლევს და ამ ფონზე ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის პრობლემები იგნორირებულია“ (მაიკლ სკოტი).**

**მიმომხილველები ასეთ დასკვნას შემდეგი მაგალითებით ასაბუთებენ:**

**„ბელორუსი, რომელსაც შარშან დასავლეთთან ფლირტი ჰქონდა, ისევ მოსკოვს მიუბრუნდა...**

**უკრაინაში ახლახან არჩეულმა ლიდერმა ვიქტორ იანუკოვიჩმა უკრაინაში (ყირიმში) რუსეთს სამხედრო-საზღვაო ფლოტის ყოფნის ვადა 25 წლით გაუგრძელა გაზის ღირებულების 30 პროცენტიანი ფასდაკლების სანაცვლოდ“ („რეიტერი“).**

**იმოწმებენ საქართველოს მაგალითსაც, კერძოდ, ჩვენი ოპოზიციის ლიდერებმა „უკვე იმოგზაურეს მოსკოვში პუტინთან მოლაპარაკებაში ნიადაგის მოსასინჯად“.**



**ორი წლის წინათ რუსეთის ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა განაცხადა: „ჩვენ ვიმუშავებთ იმისთვის, რომ გავაფართოოთ ჩვენი კავშირები იმ ერებთან, რომლებთანაც ტრადიციულად ახლოს ვიყავით... თუ ეს ყველას არ მოსწონს, მე ვერაფერს გავხდები“.**

**არ მოსწონთ, მაგრამ აღიარებენ, რომ ასეა და რახან ვითარება შეიცვალა, როგორც ჭეშმარიტი პრაგმატიკოსები, რუსეთთან ურთიერთობას კორექტირებას ამჯობინებენ. მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებზეა ლაპარაკი.**

**P.S.** კანიოს დაკარგული სიყვარულის ისტორია ტრაგიკულად რომ დამთავრდა, ცნობილია.

მიმოხილვა მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# წინასაარჩევნო სიზმარი, ანუ ხომ გითხარი, გაფრინდება-მეთქი, შე გალსტუკიანო!

**საარჩევნო მარათონი გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. დატრიალდნენ „სა-მერო“ და სადეპუტატო კანდიდატები. ზოგი რას ეცა, ზოგი — რას. თუ სადმე ნედლი და გამხმარი ტოტი მოიხელთეს, კამერების წინ რგავენ — ნახეთ, რა სამამულე „რქა“ ვარო! ერთს ბართან ერთად პლაკატიც გაუდვია მხარზე — „შინ, საქართველოვ!!!“ (ალბათ, „წინ“ უნდოდა დაეწერა, თუმცა მერე რა... „შ“ და „წ“ ძმები თუ არა, ბიძაშვილები მაინც არიან).**


კადრი ფილმიდან „შერეკილები“

...არა, მე რამ გამაჩინა ასეთი უგერგილო?! — არსად არ ვიყრი კენჭს დევიზით: „სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს“ (ელოდე!).

ეგ კი არა, კაცი ვზერდები და სიზმრის ნახვას ვერ გადავეჩვიე. გეუბნებით, რა!

გუშინ საღამოსაც ტელევიზორის წინ ჩამძინებია და დემოკრატიულ სიზმარი ვნახე:

ორი ცნობილი სამთავრობო „სახე“ საუბრობს:

**— შენ გადი მერად, შენ...**

**— რავა შენ ჩემზე ნაკლები ხარ?** — არ ეპუება მეორე, — შენ გითმობ.

**— კაი, თუ ძმა ხარ, რა დროს ჩემი მერობა და დეპუტატობაა, სად შემიძლია ამ გაჭირვებული ხალხის თავკაცობა და ფულების თეთრება, მოვკვდი, დევიღალე...**

**— ვახტანგიას რო ვთხოვოთ?! არ დადგება ვითომ მერად?**

**— არა მგონია, კაცი პატიოსან ცხოვრებას დაუბრუნდა, რად უნდა შენი მერობა და დეპუტატობა, ისედაც მშვენიერი სამსახური იშოვა — „როკ-ენ-როლს“ ასწავლის ბებია-ბაბუებს მოხუცთა თავშესაფარში.**

**— რა ხალხი ხართ თქვენ!** — გაბრაზდა პირველი, — **მერობა აღარავის გინდათ, საკრებულოს თავმჯდომარეობა აღარავის გინდათ, დეპუტატობა აღარავის გინდათ და შევატოვოთ, აბა, მარტო გიგის და მიშას ეს ქვეყანა?! რავა, იმათ აწყენთ ვითომ დასვენება?** (რა სულელური გამოგონებაა სიზმარი!).

გაკვირვებულს რაღაც ყვირილი შემომესმა და გამომეღვიძა.

ტელევიზორი ყოფილა:

— დიახხხ! — იჭაჭება ერთი კანდიდატი პირველ არხზე, — მე ავაშენებ ამ ქვეყანას, მე დავასაქმებ ხალხს! შემოხაზეთ ჩემი ნომერი და მე ვიცი მერე!

გაბეზრებულმა პულტი ავიღე და „რუსთავი 2“-ზე გადავრთე. იქ უარესია!

— მე შემოვიერთებ დაკარგულ ტერიტორიებს სულ მთლიანად, ეს ტერიტორიები ქართველი ერის კუთვნილებაა! დიახ, მე დავუბრუნებ დაკარგულ მიწებს ქართველ ხალხს და, თუ საჭირო იქნება, ჩემს მშობლიურ სოფელსაც ხალხის სამსახურში ჩავაყენებ! — გაჰკივის კისერზე ძარღვებდაბერილი კანდიდატი, — შემოხაზეთ ჩემი ნომერი ბიულეტენში და თქვენს ბედს ძაღ...

„იმედზე“ გადავრთე. ვიღაც თავტიტველა, ჩაზმანულ-ჩაგალსტუკებული სადეპუტატო, ვიღაც ინკოგნიტო ბებიის სანახავად მისულა საავადმყოფოში, ცალ ხელში ეტიკეტით კამერისკენ მოშვერილი „პეპსი-კოლა“ უჭირავს, მეორეში — კარამელი „ბარამბო“ და ბებიას ეხვევა — ოღონდ შენ იყავი კარგად და ამისთანა რაცხეებს კიდევ მოგიტანო, პირდება.

— შენ იყავი, ბებო, კარგად, — ჩიფჩიფებს გაკვირვებული ბებია, სულაც არ იცის, რომ მისი მომნახულებელი დეპუტატობაზე ჩალიჩობს, მაგრამ ნობათის ხათრით ლოცავს და ლოცავს ციდან მოვლენილ ნუგბარებიან „ქველმოქმედს“. კამერები „გახურებული“ მუშაობენ.

ასე იცის არჩევნებმა! შენ გააღე პირი და უყურე მოკლემეტრაჟიან სიზმრებს! — დავამუნათე ჩემი თავი, მაგრმ მეორე დილით მაინც გადავწყვიტე ქალაქში გავლა.

...ავტობუსის გაჩერებაზე ვდგავარ. ფეხებთან გასრიალებული „ჯიპი“ დამიტორმუზდა — **დაჯექიო.**

ეს ჩემი მეზობელია — ბათო ხვიჩიტაშვილი.

მანქანაში ჩავჯექი და ნარნარად მივსრიალებთ ახალდაგებულ ასფალტზე.

**— როგორ ხარ, ჯიგარ?** — მეკითხება ბათო.

**— ვარ, რა.**

— **არ იყრი კენჭს?**

— **რა კენჭს?**

— **პარლამენტში ან მერიაში.**

**— არა, კაცო, რას ამბობ, შენ! შენ იყრი?**

**— მე კი... მერიაში ვიყრი კენჭს, თუ მერობას არა, მაჟორიტარობას მაინც გავარტყამ; აბა, ვიჯდე უსაქმოდ სახლში? ა, ჩემი პლაკატი.**

„მე დაგასაქმებთ თქვენ სათითაოდ!“ — ეწერა პლაკატზე ყურებამდე გაღიმებული ბათო-მეზობლის სურათის ქვეშ.

**— საღოლ!** — შევაქე, — **კი მაგრამ, ვთქვათ და მართლა გახდი მაჟორიტარი, მერე რაღას შვები, როგორ დაასაქმებ ამომრჩევლებს?**

ბათომ თავი მოიფხანა...

**— ჯერ გავხდე და... მერე ვიცი.**

**— რა იცი, რა, კაცო?! დაუშვათ მოგადგა ის ამომრჩეველი, — აგირჩიე, ბატონო, მოგეცი ხმა და ჰა, დამასაქმე ახლაო, რას ეუბნები?**

**— დავასაქმებ.**

**— როგორ, კაცო, როგორ?**

**— ჩემს „ჯიპს“ გავარეცხინებ და დასაქმება არ იქნება?**

**— კაი და მეორე მოგადგა.**

**— იმას, მეორე სმენაში გავარეცხინებ.**

**— ქალი რო მოგადგეს?**

**— იმას ბინას დავალაგებინებ, ცოლი მაინც არ მილაგებს.**

**— კაი და ხელფასს რომ მოგთხოვს, საიდან უხდი?**

**— შენ პლაკატს დააკვირდი?** — კითხვა შემომიბრუნა ბათომ.

**— კი.**

**— მერე იქ არ წერია, დაგასაქმებთ-თქო?! თუ ძმა ხარ, ხელფასს მოგცემთ-თქო, წერია სადმე?**

სულელივით გადავიხარხარე. რა გამოლევს მოხერხებულ ხალხს ჩვენში.

**— აქ გამიჩერე,** — ვუთხარი ბათოს და მანქანიდან გადმოვედი კოლმეურნეობის მოედანზე.

**— ჩემი ნომრის შემოხაზვა არ დაგავიწყდეს, ტო!** — დამაწია ბათომ.

**— აბა, რა...**

იქვე ბაღში ხანში შესული ქალი და კაცი შევამჩნიე. ბორდიურზე ჩამომსხდარიყვნენ და ალვარლვარებდნენ ცრემლებს.

**— რა გაგჭირვებიათ, ქრისტიანებო?** — ამომიჯდა გული.

**— უცნობი...** ქვედა ტუჩი აუკანკალდა მოხუცს. უცნობი!

**— რა უცნობი?** — რაღაც ცუდად მენიშნა.

**— რა უცნობი და უცნობი, — მიხსნის ქალი სლუკუნით, — უცნობი არ იცი, გრეჩიხა?! უმცროსი უცნობი როა...**

**— რა მოუვიდა, კაცო?** — მეცა ელდა.

**— ჯერ არაფერი.**

**— აბა?**

**— რა და, — დაიწყო კაცმა, — ტანკების ხმა არ გესმის ახლა შენ?**

**— კი, თითქოს.**

**— თითქოს კი არა, მთავრობა საალლუმოდ ემზადება, რეპეტიციას გადიან.**

**— მერე უცნობი რა შუაშია?**

**— რა შუაშია და ამას წინათ გაზეთში წევიკითხე, პატარა გრეჩიხა წერდა: „სულ მარტო რო დავრჩე, მოვკვდები და ამათ 26 მაისს პარადს არ ჩავატარებინებო!“, ესენი მაინც აპირებენ და, უცნობს რომ რამე დაემართოს, პარადი გვიშველის მერე ჩვენ?!** — აზლუქუნდა ქალი.

**— ხო,** — ისევ ადუღდა კაცი, — **არა, რა ეალლუმებათ, გეკითხები?! ამათ რომ ვაკვირდები, მგონი, მართლა ჯერათ, რუსეთს რომ ომი მოვუგეთ აგვისტოში, — შემომტირა ისევ მამაკაცმა სლუკუნით.**

**— რა მოხდა ახლა,** — ვცადე დამშვიდება, — **ხომ ხედავ, რა გზები დააგეს, რა ცათამბჯენებს აშენებენ ქალაქში.**

**— ჩვენს მტერს და დუშმანს დეებზაროს გული ისე, რარც ჩემი სახლია დაბზარული ნახალოვკაში, მიწისძვრის შემდეგ დანგრევის პირასაა მთელი სახლები გარეუბნებში, ესენი ცენტრში აშენებენ უზარმაზარ სასახლეებს. მე კი, რამდენი ქარი დაუბერავს და წვიმა წამოვა, გული მისკდება, არ დაიშალოს სახლი და შიგ არ მოვყვე.**

**— კი მაგრამ, ხომ დადიოდა მიწისძვრით დაზარალებულთა კომისია?**

**— იყო ჩვენთანაც, რად გინდა მერე, დაათვალიერეს ჩემი დაჯღვარკული და დაბზარული სახლი. ნწუ, ნწუ, ნწუო, გადააქნიეს თავი, ცოტაც გოუძელი და გიშველით რამესო, 7 წლის წინ იყო ეს...**

**— მანამდე რა ვქნა, მანამდე-მეთქი?**

**— რა უნდა ქნა, დაჯექი და უყურე ტელევიზორსო და წავიდნენ.**

**სარკოზის ოჯახი ააშენოს ღმერთმა. იმან გვიშველა აგვისტოში, თვარა მოწინააღმდეგის 2-3 გამანადგურებელს, ისე, ტყულა, დაუბომბავად, მწყობრად რომ გადაეფრინათ ნახალოვკის თავზე, ჩვენი სახლებიდან ნაცარი და აგური დარჩებოდა, მეტი არაფერი და ტაიტის მიწისძვრა „ბასტი-ბუბუდ“ მოგვეჩვენებოდა.**

**— აბა! ეს წვიმაც და ქარიც რომ აღარ გვეშვება!** — ვთქვი მძიმედ.

**— ხო და ვეკითხები ჩვენს მერს,** — ისევ აღელდა მოხუცი, **— თუ თოვს, თუ წვიმს და ქარი არწევს ჩვენს ქოხებს, ილიკო-ილარიონისა არ იყოს, შენ რა გიხარია, შე აბდალა, რო ყვირი — ავაშენე ქვეყანაო?!**

გულდამდუღრული გავეცალე აქვითინებულ მოხუცებს და გულში ვფიქრობ: „არა, ეს შუშის ხიდი რაღა იყო?!“. ჩემი ერთი პარლამენტარი ახლობელი კბილებით იცავს ხიდის იდეას. ამასწინათ შემომიღრინა:

— შე უტვინო, რა ეკლად გესობა ეს შუშის ხიდი, არ იცი, საქართველო ტურისტების ქვეყნად რომ უნდა ვაქციოთ?

— მერე, ხიდი რა პრიორიტეტია? — არ შევეპუე მაშინ.

— შე შტერო, იტალიელების აშენებულ ხიდზე თუ არ გაიარგამოიარა ჩამოსულმა ტურისტმა, აბა, მარტო „ბორჯომითა“ და მანდარინით გავაოცებთ და მოვიზიდავთ? ა, ახლა, რომ ნახავენ ამ ახალ ხიდს, გადაირევიან, წავლენ თავიანთ ქვეყნებში და ისევ მოუნდებათ ჩამოსვლა; „ნეტა იმ ხიდზე“ გაგვატარა კიდო ერთხელო“.

— მერე?

— მერე თავის შვილებსა და შვილიშვილებს ჩამოიყვანენ, მერე ისინიც ჩამოიყვანენ მომავალში კიდე შვილებსა და შვილიშვილებს და მთელი თბილისი ტურისტებით გაიტენება.

— კი... მაგრამ ჩვენ სად წავიდეთ, ზღვისპირეთი რომ ტურისტებით გაივსება და აღმოსავლეთ საქართველოც?

— თქვენ... ზესტაფონისა და თერჯოლის თვალუწვდენელ სტეპებში ჩასახლდით, არაფერი გიჭირთ, მთავარი სტუმარია.

* * *

რა მაგის პასუხია და ამასწინათ ერთმა პატიოსანმა კაცმა წინადადება წამოაყენა, ნარკომანიასთან ბრძოლის თვალსაზრისით ტესტები ჩავატაროთ პარლამენტში, ვნახოთ ვინ კეთილი სულია, ვინ — ავიო.

პრეზიდენტმა აიტაცა ეს იდეა — პირველს მე ჩამიტარეთ ტესტი და მერე დანარჩენებსო, ახლა გამოჩნდეს თეთრი და შავიო, მაგრამ, როგორც უმეტეს შემთხვევაში ხდება, იდეა მიაყურისბაკიშეს. ხან რამ „შეუშალათ“ ხელი და ხან რამ, მაგრამ იდეა მაინც ცოცხლობს. ადრეც შეამოწმეს უმაღლესი ორგანოს წარმომადგენლები „ნარკოტესტით“, მაგრამ მაშინ შარდის ანალიზები მოითხოვეს. დატრიალდნენ ბიჭები, ზოგმა სიდედრის ამღვრეული შარდი მიიტანა ბოთლით (სიდედრები ნაკლებად ნარკომანობენ საქართველოში), ზოგმა მეზობლისგან იყიდა მამასისხლად. ზოგმა მეზობლის ბებიას გამოართვა სესხად და, მოკლედ, ასე გავიდნენ მაშინ ფონს.

ახლა ძალიან მძიმედაა, ძმაო, საქმე. შარდს აღარ ენდობიან და ახალი ტექნოლოგიით, პირდაპირ თმის ღერიდან ავლენენ წამლის მომხმარებელს. პარლამენტართა დიდ ნაწილს „სუპერელდა“ ეცა, ჩაცვივდნენ საგონებელში. ვისაც თმა არ ჰქონდა თავზე, სიამოვნებით დათანხმდნენ შემოწმებას. ხამუშ-ხამუშ, ნელ-ნელა და შეუმჩნევლად დანარჩენებმაც გადაიხოტრეს „ნულზე“ ჭკვიანი გოგრები (მაინც მოდაშია სექსუალური თავიო) და ისინიც დამშვიდდნენ, მაგრამ ჩვენი პარლამენტარების დადებითი მხარე ისაა, რომ გვიან, მაგრამ მაინც, ხვდებიან ხოლმე რაღაცას.

ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც მიხვდნენ, რომ თავის გადახოტვრა ბევრს არაფერს უშველიდათ, რადგან თმა და თმის ღერები სხეულის სხვა ადგილებშიც მოეძებნებათ.

ადრე, კომუნისტების დროს აბანოში მექისეებს ჰქონდათ ჰიგიენური ფხვნილი, „ტარო“ ერქვა. გახსნიდი თბილ წყალში, წაისვამდი თმიან ადგილებში და 10 წუთში რომ ჩამოიბანდი ამ ფაფისებურ მასას, მთელი თმა, ბეწვი და ბანალი მოჰყვებოდა.

ახლა ეს ფხვნილი აღარ შემხვედრია, მაგრამ საქმეს დასჭირდეს და ჩვენი პარლამენტარები მაგასაც იშოვიან. იშოვიან და ჰოი, როგორი სიხარბით შეიზილავენ ბანჯგვლიან ადგილებშიიიი!

მერე რა მოხდება?

მერე მოხდება ის, რომ რაღაც 24 საათში, მთელ პარლამენტში წამლად ვერ იშოვნით თუნდაც ერთი ღერი თმის მქონე პარლამენტარს. მე ხომ ვიცი ამათი ოპერატიულობის ამბავი?! წარბებსა და წამწამებსაც არ დაიტოვებენ წამლად. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რა მოხდება:

ჩაცმულებს რა უჭირთ, მაგრამ ზღვის სეზონი რომ მოვა და ესენი არდადეგებზე წავლენ, მაშინ უნდა შეხედოთ ცალი თვალით, პლაჟზე რომ გაიხდიან და გაპუტული ალბინოსებივით რომ დაიწყებენ ერთმანეთის თვალიერებას („ვისი ხარ, ბიჭო მალხაზო, დაურჩი დედაშენსაო“). თუმცა თავის გადარჩენისთვის ეგ კი არა, ნებისმიერი ხერხია მისაღები და დასაშვები.

ასე რომ, კარიერის მძებნელებს ვაფრთხილებ — „ტაროს“ შეძენა არ დაგავიწყდეთ!!!

* * *

გუშინ ტელევიზორში ერთი მთასავით მერობის კანდიდატი გულდაწყვეტილი ამბობდა — კუკავას ხალხმა ჩემს პლაკატებზე გადააკრა თავისიო.

გადაირია კუკავა — ცილისწამებაა, მე ამის დედა ვატირე, ცილის წამება, თუ არა გჯერათ, ჯერ მე შემხედეთ, მერე — იმ კაცს, როგორ დაფარავს ჩემი პლაკატი სიგრძე-სიგანით ამხელა კაცის პლაკატს, ქალალდია, ბოლოს და ბოლოს, რეზინა ხომ არაა, რომ გაწელოო?!

მოკლედ, ხალხი კი ემზადება ახალი წელივით, მაგრამ დიდიან პატარიანად ყველა საგონებელშია ჩავარდნილი — „ე მანდ, ჩვენ კი ვემზადებით საარჩევნოდ, მაგრამ ე ჩვენი პრეზიდენტი რომ ორი თვე ამერიკაში იყო „დაკარგული“, ერთიც ვნახოთ, დაკრას ფეხი და გაგანია არჩევნების დროსაც გავარდეს სადმე — ხომ დახოცავენ კანდიდატები ერთმანეთსო“.

მინდა დაგამშვიდოთ, ჩემო გულუბრყვილო ქართველებო: ჯერ ერთი პრეზიდენტი არსად დაკარგულა, ამერიკაში გახლდათ, თანაც იმიტომ დააგვიანდა, რომ საქმეები ჰქონდა: „ნაჩალსტვა ნე აპაზდივაეტ, ნაჩალსტვა ზადერჟივაეტსია“, არ გაგიგონიათ? იმიტომ დააგვიანდა, რომ, როგორც სოსო შატბერაშვილმა გვამცნო, უსაფრთხო „კაფსულას“ „იკერავდა“.

ეს ფრენის დროს უსაფრთხო „კაფსულა“ ადვილი მოსარგებია? დრო და „პრიმერკები“ არ უნდა? ამხელა „კაპსულის“ მორგებისთვის ორი თვე რა დიდი დროა?! ადრე ვერცხლის ქუჩაზე სომეხი პარტნოი არტურა ოთხი თვე კერავდა ჩემს კოსტუმს, ბოლოს და ბოლოს.

სამაგიეროდ პრეზიდენტი იფრენს უსაფრთხოდ, ბოლოს და ბოლოს, პრეზიდენტია და უნდა იფრინოს; აბა, ხომ არ იხოხებს?

**და სულ ბოლოს, სკეპტიკოს ქართველებს მინდა მივმართო: „ხომ გითხარი, გაფრინდება-მეთქი, შე გალსტუკიანო!!!“**

**ახლა კი ღამე ნებისა, ჩემო კარგებო.**

**მართალია, ბევრი ვწერე, მაგრამ „საწერი კიდევ ბევრია“, ანუ „შინ, საქართველოვ!“**

**მურმან მერკვილიშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ორი ღამე რადისონში,

## ანუ როგორ „ზრუნავს“ უგულავა დემოგრაფიაზე

**მერიის მიერ დაფინანსებული რა ღონისძიება არ ახსოვს ქართულ საზოგადოებას, მაგრამ ის, რაც გასულ კვირას იყო, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებს. „ორი ღამე რადისონში“ — ასე დაარქვა საჩუქარს პირველი არხის ჟურნალისტმა ქეთი ბოჯგუამ, რომელიც „მასმოდა 2010“-ში მონაწილეობდა და რომელმაც აღნიშნული საჩუქარი მერიისგან მიიღო. ღონისძიება, რომელშიც ტელევიზიის წარმომადგენლები მონაწილეობენ, უკვე რამდენიმე წელია, ტარდება.**

წლეულს იგი თბილისის ზღვაზე, კომპლექსში მოეწყო და მასში 55 ჟურნალისტი მონაწილეობდა. ცერემონია დაჯილდოებითა და „თუ საიდში“ წვეულებით დასრულდა. ჟურნალისტებს სპონსორებმა, რომელთა შორის მერიაც იყო, ორიგინალური სურვილები აუსრულეს. პირველი არხის ჟურნალისტმა ქეთი ბოჯგუამ თავის საჩუქარზე ასეთი განმარტება გააკეთა:

**„იმის გამო, რომ წინასაარჩევნო პროცესში ასე ვიღლებით და რაღაც-რაღაცებს ვერ ასწრებს ცოლ-ქმარი, იმიტომ, რომ ღამე მუშაობაც უწევს, ამიტომ ვითხოვე ორი ღამე „რადისონში“ ცოლ-ქმრული მოვალეობისთვის. ამისრულეს, რისთვისაც დიდი მადლობა, შედეგი 9 თვის შემდეგ იქნება“.**

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ მისი კომენტარის მიხედვით, ქეთი ბოჯგუას დროის პრობლემა ჰქონია და არა — ცოლ-ქმრული მოვალეობის შესასრულებელი ადგილის, მაგრამ სურვილი ორიგინალური უნდა ყოფილიყო და ჟურნალისტმაც მეუღლესთან ერთად განმარტოება მოისურვა. რამდენად ეთიკური იყო მისი სურვილი, კომენტარის მოსმენა თავად ბოჯგუასგან გვინდოდა, მაგრამ მან ამ თემაზე საუბარი არ ისურვა. „რადისონში“ ნომრების ფასი 250 დოლარიდან 700 დოლარამდე მერყეობს. ამ ფაქტის იურიდიული შეფასება თინა ხიდაშელს ვთხოვეთ:



— რა შეფასება უნდა გავაკეთო, აქ იურიდიული პრობლემა არ არის, თუ აქვს მერიას ასეთი კონკურსებისთვის დაწესებული პრიზები. თუმცა ვფიქრობ, რომ ქალაქის ბიუჯეტს კონკურსებში რომ პრიზები აწესოს, ამის ფუფუნება არ აქვს. აქ უფრო მეტად ჟურნალისტური ეთიკის პრობლემაა, ვიდრე სამართლებრივი.

**— წინასაარჩევნო პერიოდში ასეთი ღონისძიების დაფინანსება მერიის ბიუჯეტიდან არის თუ არა საარჩევნო კოდექსის დარღვევა?**

— საარჩევნო კოდექსის დარღვევა არ არის, რადგან ეს წინაწარ იყო გათვალისწინებული ბიუჯეტში, მოგეხსენებათ, ეს ღონისძიება წინასწარ დაიგეგმა და გათვალისწინებული იყო ბიუჯეტშიც, იგი რამდენიმე წელია, ტარდება და ამდენად არჩევნებს ვერ დავუკავშირებთ. პრობლემა ის არის, რომ ბიუჯეტი უაზროდ იხარჯება.

**ამასთან შედარებით რა მოსატანია, მაგრამ აღნიშვნას მაინც იმსახურებს ის ფაქტი, რომ ჟურნალისტების გულის მოგება გიგი უგულავამ ჯერ კიდევ ახალი წლის დღეებში დაიწყო. მან ტელევიზიების საინფორმაციო სამსახურის უფროსები და ჟურნალისტები, რაიონის გამგებლებთან ერთად, 17 იანვარს ვაკეში, რესტორან „სენატში“ დაპატიჟა. ცხადია, ამ სუფრას უგულავა საკუთარი ჯიბიდან არ აანაზღაურებდა.**

ამავე რესტორანში უმასპინძლა უგულავამ ავტობუსის მძღოლებსა და მეტროს თანამშრომლებს და, ალბათ, არც ამ სუფრის ღირებულებას აანაზღაურებდა საკუთარი ჯიბიდან, რადგან ასობით სტუმრის გამასპინძლება ამ რესტორანში უგულავას ხელფასს ბევრად აღემატება. ქვეყნის ბიუჯეტი კი ასეთი სახის ღონისძიებებზე რომ არ უნდა იხარჯებოდეს, ალბათ, სადაო საკითხი არ არის. **თუმცა გიგი უგულავას დედაქალაქის ბიუჯეტი აშკარად საკუთარი ჰგონია, რადგან მას არამარტო გასართობ თუ წინასაარჩევნო კამპანიებში ხარჯავს, რამდენჯერმე საცოლესაც (ამჟამად უკვე ცოლს) კი გაუნაწილა. 2009 წლის 1 აგვისტოს მას ბიუჯეტიდან 480 ლარის ფინანსური დახმარება გამოუყო. მანამდე კი, როგორც „ხალხის პარტიის“ ლიდერი კობა დავითაშვილი აცხადებს, უგულავამ სარეზერვო ფონდიდან 11,600 ლარი ჩაურიცხა თავის მეუღლეს — ლელა კილაძესა (რომელიც მერიის აპარატის უფროსის მოადგილე გახლდათ) და მეგობარს, დეპუტატ გიორგი მელაძეს. როგორც დავითაშვილმა აღნიშნა, იმის სანაცვლოდ, რომ პრეზიდენტს ამაზე რეაგირება არ მოეხდინა, თბილისის მერისგან 116,000 ათასი ლარი მიიღო საჩუქრად დედამისის, გიული ალასანიას შავი ზღვის უნივერსიტეტისთვის.**

**სოფო გელაშვილი**

# შეუდარებელი ტექნიკისა და ფასების ბუმი — «ტექნო ბუმი»



**მას შემდეგ, რაც თებერვლის ბოლოს „თიბისი ბანკმა“ „ელიტ ელექტრონიქსის“ 55 პროცენტის აქციების უსაფუძვლო უფლებით, მენეჯმენტის ცვლილება მოახდინა, კომპანიის 180-მა თანამშრომელმა პროტესტის ნიშნად სამსახური დატოვა. მათი განცხადებით, მიუღებელი იყო ის ღირებულებები და დამოკიდებულება, რა გზითაც „თიბისი ბანკი“ „ელიტ ელექტრონიქსის“ მითვისებას ცდილობდა. საკითხთან დაკავშირებით დავა ამჟამადაც გრძელდება, თუმცა ერთმა ჯგუფმა გადაწყვიტა, თავიანთი გამოცდილება და ცოდნა ახალი კომპანიის შექმნას მოახმარონ და წარმატებები მოიპოვონ. ვესაუბრებით კომპანია „ტექნო ბუმის“ ხელმძღვანელს — ეთერ ქოქოლაძეს.**

**— ცნობილია, რომ „ელიტ ელექტრონიქსთან“ დაკავშირებით სასამართლო პროცესები ამჟამადაც მიმდინარეობს. ამ ახალი კომპანიის შექმნით აქცენტი მთლიანად „ტექნო ბუმის“ ბაზარზე დამკვიდრებაზე ხომ არ გადავა თუ პარალელურად „ელიტ ელექტრონიქსისთვისაც“ იბრძოლებთ?**

— ამჟამად ახლადშექმნილ **„ტექნო ბუმის“** კომპანიაში 120 თანამშრომელი მუშაობს, ეს ის ხალხია, ვინც საქართველოში ერთ-ერთი წარმატებულ მაღაზიათა ქსელი შექმნა, ახლა კი **„ტექნო ბუმის“** დაფუძნება გადაწყვიტა. ამ ახალი ბრენდის სახელწოდებით თბილისსა და ბათუმში ოთხი მაღაზია გაიხსნება. პარალელურად, რა თქმა უნდა, ბრძოლას ძველის დასაბრუნებლად გავაგრძელებთ, რადგანაც ამჟამად აქციების 70 პროცენტი ანზორ ქოქოლაძეს ეკუთვნის, ხოლო „თიბისი ბანკი“ 55 პროცენტის აქციების მართვის უფლებით ყველანაირი გზით ცდილობს კომპანიის დასაკუთრებას, მაგრამ ამის უფლებას ჩვენ არ მივცემთ.

ვინაიდან სასამართლო პროცესები გაიწელა, ვიდრე სამართლიანობა იზეიმებს, ჩვენ გადავწყვიტეთ ბიზნესის რამდენიმე მიმართულებით ჩამოყალიბება. მათ შორის ერთ-ერთია **„ტექნო ბუმი“,** რომელიც იმ ხალხმა შექმნა, ვინც, ფაქტობრივად, არაფრისგანააშენა საქართველოში ერთ-ერთი წარმატებული მაღაზიათა ქსელი. სწორედ ამ ადამიანებს, რომელთაც სერიოზული პრაქტიკა და გამოცდილება აქვთ ბიზნესში, ახალი კომპანიის შენება და მართვა არ გაუჭირდებათ, მიუხედავად იმისა, რომ „თიბისი ბანკი“ მენეჯმენტის ჩანაცვლებას სწორედ ამ გუნდის სისუსტით ხსნიდა.

**— როგორ ფიქრობთ, ხომ არ გაგიჭირდებათ ახალი კომპანიის მართვა და კონკურენციის გაწევა თუნდაც იმავე „ელიტ ელექტრონიქსთან“, რომელსაც ახალი მენეჯმენტი აქვს?**

— მართალია, ძალიან მტკივნეული იქნება ჩვენთვის, ვიყოთ ჩვენივე კომპანიის კონკურენტი, მაგრამ ამ ეტაპზე, გვინდა ეს თუ არა, კონკურენციის გაწევა მაინც მოგვიწევს. რაც შეეხება მენეჯმენტის სისუსტეს, გეტყვით, რომ ძლიერი და სუსტი ცარიელი სიტყვებით არ ფასდება, ამას საზოგადოება შეაფასებს საქმიდან გამომდინარე. საქართველო იმდენად პატარაა, რომ ყველამ ყველაფერი იცის, ამიტომ ამაზე საუბარი ზოგჯერ უხერხულია. მთავარი შენებაა! უკვე აშენებულის მართვა მარტივია. ჩვენ ბედნიერები ვართ იმით, რომ ბრძოლა შეგვიძლია და კვლავ ვაშენებთ ახალ კომპანიას. ასევე, საზოგადოებას მინდა მადლობა ვუთხრა მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. მჯერა, რომ ახალი ბიზნესის განვითარებას შევძლებთ.

**— რა არის „ტექნო ბუმის“ მთავარი სტრატეგია ამ ეტაპზე?**

— ეს იქნება მაღაზიათა ქსელი, რომელიც საყოფაცხოვრებო ტექნიკით, ასევე, მობილურებისა თუ კომპიუტერების როგორც საცალო, ასევე, საბითუმო გაყიდვებზე იქნება ორიენტირებული. რაც შეეხება კომპანიის სტრატეგიას, ის სახელწოდების შესაბამისია — **აქ იქნება ტექნიკის დასახელებისა და შეუდარებელი ფასების ბუმი!** ადამიანს, რომელიც ნებისმიერი დასახელების ტექნიკის შეძენას გადაწყვეტს, ეცოდინება, რომ **„ტექნო ბუმში“** ყველაზე დაბალი ფასებია და მას გადამოწმება აღარ დასჭირდება სხვა მაღაზიებში. ჩვენ ამას დაბალი დანახარჯითა და მომწოდებლებისგან უკეთესი პირობების მიღებით, მათი მხარდაჭერით მივაღწიეთ. ფასის გარდა, **„ტექნო ბუმი“** მომსახურების ხარისხითა და სიახლეებით იქნება გამორჩეული.

**— ხომ არ ყოფილა პრობლემები მომწოდებლებისგან „ელიტ ელექტრონიქსში“ განვითარებული მოვლენების გამო?**

— არც ერთ ბრენდთან არ გვქონია პრობლემა, პირიქით, გაგვიგეს და სწორედ მათ მიერ გამოყოფილი სასაქონლო კრედიტებით შევძელით ქსელის გახსნა.

**— რომელი ბრენდებია ამჯერად თქვენს ქსელში წარმოდგენილი?**

— ცალ-ცალკე აღარ ჩამოვთვლი, რადგან უამრავი ბრენდია აქ წარმოდგენილი. პროდუქციის ნაწილი მივიღეთ, ნაწილი გზაშია, ნაწილზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს.





რაც შეეხება „ბოშის“ ფირმას, ხელშეკრულების თანახმად, წლის ბოლომდე „ელიტ ელექტრონიქსთან“ ექსკლუზიური უფლება აქვს. ის ჩვენი დიდი ხნის პარტნიორია და მასთან ურთიერთობა მოგვიანებით, მომავალი წლიდან გვექნება.

მინდა ასევე საზოგადოებამ იცოდეს, რომ **„ტექნო ბუმი“** მალე შემოიტანს **ბაზარზე ისეთ ბრენდებს, რომლებიც საქართველოში ჯერ არ არის!!!**

**— როგორც ჩანს, გუნდმა მუშაობა რამდენიმე მიმართულებით დაიწყო, თუ არის თქვენს მუშაობაში ბატონი ანზორ ქოქოლაძე ჩართული?**

— ანზორ ქოქოლაძე „ჯეო ჯგუფს“ ხელმძღვანელობს და ამავე დროს „ელიტ ელექტრონიქსის“ დასაბრუნებლადაც იბრძვის, ძალიან დაკავებულია, ამიტომ „ტექნო ბუმში“ მისი საქმიანობა მხოლოდ კონსულტაციებითა და რეკომენდაციებით შემოიფარგლება.

**— ბანკებთან თუ თანამშრომლობთ?**

— ყველა ბანკთან ვთანამშრომლობთ, გარდა „თიბისისა“, რადგანაც ის არასაიმედო პარტნიორი აღმოჩნდა.

**— და ბოლოს, რას ჰპირდებით მომხმარებელს?**

— ტექნიკის ბრენდების ნამდვილ ბუმს ყველაზე დაბალ ფასად, ასევე, ბევრ სიახლესა თუ სიურპრიზს. აქვე გეტყვით, რომ ჩვენ დავბრუნდით — „ტექნო ბუმი“ ძველი პარტნიორია ახალი ტექნოლოგიებითა და შეუდარებელი ფასებით.

ესაუბრა
**ეთერ კასრელიშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

წერილი მეორე



# ომმა, შეიძლება, გუგულივით გადაგვიფრინოს

**პირველი წერილი, რომელიც ამ თემას ეძღვნებოდა, მთავრდებოდა ასე: „ეს-ესაა გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბრაზილიის პრეზიდენტისა და თურქეთის პრემიერ-მინისტრის მაჰმუდ აჰმადინეჯადთან თეირანში შეხვედრისა და მოლაპარაკების შედეგად თითქოს სასიკეთოდ შეიცვალა ირანის ბირთვული პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ვითარება. არის ეს სერიოზული შემობრუნება თუ დროებითი შეთანხმება, მალე გაირკვევა“. („საქართველო და მსოფლიო“ №18, „ომმა, შეიძლება გუგულივით გადაგვიფრინოს“). მალე გაირკვევა, რომ, სამწუხროდ, მდგომარეობის „სასიკეთოდ შემობრუნება“ (მიხეილ სააკაშვილის შეფასება) არ შედგა, status-quo უცვლელია: აშშ-ირანის დაპირისპირების სიმწვავე არ შენელებულა, ომის მახვილი ქარქაშში არ ჩაუგიათ.**



## სალამ, ბატონო მაჰმუდ!

რატომ აღმოჩნდა უდღეური „სასიკეთო შემობრუნება?“ ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საამისოდ ნაბიჯები პრაქტიკულად არ გადაუდგამთ. იქნებ, პირიქითაც იყოო (?!).

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ერდოღანმა, რომელიც განაწყენდა იმით, რომ ევროკავშირში მისი ქვეყნის მიღების პერსპექტივა უფრო ეფემერულია, ვიდრე რეალური, ზურგი აქცია დასავლეთს და სახით ირანისკენ შებრუნდა, შეუთანხმდა (ბრაზილიის პრეზიდენტის თანდასწრებით) ახმადინეჯადს, რომ გამდიდრებულ ურანს ირანიდან სხვა ქვეყანაში, კერძოდ, თურქეთში გაიტანენ.

მიხეილ სააკაშვილმა ეს შეთანხმება „დიპლომატიურ გმირობად“ შეაფასა და რეჯეპ ტაიპ ერდოღანს ოქროს საწმისის ორდენი ჩამოჰკიდა კისერზე. მაგრამ სულ რაღაც ორ დღეში გაირკვა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ბარაკ ჰუსეინ ობამა უკმაყოფილო დარჩა თურქეთის ამგვარი აქტივობით, რაც გამოხატა კიდეც ერდოღანთან ტელეფონით საუბრის დროს (**რამაზ კლიმიაშვილი**).

წინდაუხედავმა სააკაშვილმა კი მაჰმუდ ახმადინეჯადი საქართველოში მოიწვია.

არაადეკვატურობის კიდევ ერთი გაელვება ამ გაზაფხულზე.

ირანის პრეზიდენტი უწინაც ჩამოსულა საქართველოში და, თავისთავად, ამაში უცნაური და მიუღებელი არაფერია, მაგრამ მაშინ ჩვენი პრეზიდენტიც სხვა იყო და ირანისაც — რაფსანჯანის პოლიტიკა ამჟამინდელივით აგრესიული და კონფრონტაციული არ ყოფილა. მაშინ სხვა ქარები ქროდა საერთაშორისო ურთიერთობათა სივრცეში. **ახმადინეჯადთან გაშინაურება და მისდამი ლოიალური დამოკიდებულების ხაზგასმული დემონსტრირება ირან-შეერთებული შტატების ჯერჯერობით გამოუცხადებელი ომის ფონზე, ვერავინ დაგვარწმუნებს, რომ თავიდან აგვაცილებს აგრესიას (რომელი მხრიდანაც გინდა მოდიოდეს)**. და, სხვათა შორის, ვერ გაუხანგრძლივებს დღევანდელ ჩვენს რეჟიმს არსებობის ვადას, რისი ფარული იმედითაც, სავარაუდოა, გადადგა მიხეილ სააკაშვილმა ნაბიჯი, რომელიც აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ჩარჩოებიდან აშკარად ამოვარდნილია.

## სააკაშვილს არაფერი უშველის, „ჯიჰადს“ კი ვერ ავცდებით

იმაზე, თუ როგორ ილესება თანამედროვე დამოკლეს მახვილი, წინა პუბლიკაციაში ვილაპარაკეთ, როცა აშშ-ის შეიარაღებული ძალების მზადებაზე ერთგვარი წარმოდგენა შევუქმენით ჩვენს მკითხველებს.

შეიარაღებული კონფლიქტის წარმოების პირველი სცენარის განხორციელების, ანუ ირანის წინააღმდეგ შეერთებული შტატების საჰაერო-კოსმოსური ოპერაციის შედეგად, ვარაუდობენ, რომ განადგურდება ირანის ბირთვული კომპლექსი და მინიმუმამდე შემცირდება სპარსეთის ყურეში ამერიკელთა დაჯგუფებისა და ისრაელის წინააღმდეგ საპასუხო დარტყმის ძალა და შესაძლებლობა. ხოლო კონფლიქტის შემდგომი მიმდინარეობა დამოკიდებული იქნება ირანის ხელმძღვანელობისა და სულიერი ლიდერების გადაწყვეტილებაზე.

პრინციპული პოლიტიკური გადაწყვეტილება კი, დამკვირვებელთა აზრით, ორგვარი შეიძლება იყოს.

**პირველი**: აღიარონ დამარცხება, დაემორჩილონ ამერიკელების ულტიმატუმის მოთხოვნებს და დაიწყონ მოლაპარაკების პროცესი გაეროს უშიშროების საბჭოს ეგიდით, როგორც ბელგრადის შემთხვევაში იყო;

**მეორე**: მოუწოდონ ქვეყნის მოსახლეობას „წმინდა ჯიჰადისკენ“ ამერიკელი აგრესორების წინააღმდეგ.

**დამარცხების აღიარება, ერთი შეხედვით, ყველაზე უფრო რაციონალური და მისაღები ჩანს,** რადგან იმ ვითარებაში, როცა პირველი სცენარით გათვალისწინებული ოპერაციის შედეგად ირანის ეროვნული ინფრასტრუქტურის ყველა ელემენტი განადგურდება, დაბომბვისა და სარაკეტო დარტყმების გაგრძელება ქვეყნის უცილობელ ეკონომიკურ კოლაფსსა და მშვიდობიანი მოსახლეობის უდიდეს, არნახულ მსხვერპლს გამოიწვევს.

ნეგატიური შედეგები აშკარაა, მაგრამ, საეჭვოა, რომ ირანის ხელმძღვანელობამ მიიღოს ასეთი გადაწყვეტილება, რადგან ეს უმწვავესი შიდაპოლიტიკური დაპირისპირების მიზეზი შეიძლება გახდეს.

**გამორიცხული არ არის, რომ მოსახლეობის უმრავლესობამ კაპიტულაცია ეროვნულ შეურაცხყოფად და თავის მოჭრად აღიქვას, ერის ღირსების დამცირებად, რაც რეჟიმის საფუძველს ისე შეარყევს, რომ, სავსებით შესაძლებელია, აღგავოს კიდეც.** კაპიტულაციის შესახებ გადაწყვეტილებას მხარს არ დაუჭერს არმია და სასულიერო მოღვაწეთა დიდი ნაწილი. ამას მოჰყვება საზოგადოებრიობის გახლეჩა და დანაწევრება, პოლიტიკური ქაოსი, რაც სამოქალაქო ომის უპირველესი წინაპირობაა.

ნეგატიური პროცესები, როგორც ყველგან და ყოველთვის, აქაც ჯაჭვური რეაქციის პრინციპით განვითარდება. **ცენტრალური ხელისუფლების დასუსტებით, დაუყოვნებლივ ისარგებლებს სეპარატისტული მოძრაობები, დამოუკიდებლობის მოთხოვნით აქტიურად და პრინციპულად გამოვა ქვეყნის ქურთული და აზერბაიჯანული რეგიონები.**

ბუნებრივია, რომ მოვლენათა ამგვარი განვითარება ხელს არ მისცემს ირანის სულიერ ლიდერებს და ისინი მართლმორწმუნეებს **„წმინდა ომისკენ“ მოუწოდებენ. ეს ომი არც ირანის საზღვრებში ჩაიკეტება და არც მხოლოდ აშშ-ის წინააღმდეგ ტერაქტების მოწყობით შემოიფარგლება. მსოფლიო პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ამ „წმინდა ომში“ ჩათრეული აღმოჩნდება აშშ-ის მეგობარი ან შტატებისადმი ლოიალურად განწყობილი ქვეყნები, უწინარესად ისინი, რომლებიც თავს ამერიკის პარტნიორებად თვლიან.**



ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ ომის გუგული საქართველოს მშვიდობიანად გადაუფრენს?!

**ირანისკენ გადადგმული ნაბიჯი (პრეზიდენტის საქართველოში მოწვევა) „წმინდა ომისგან“ ქვეყნის დაცვის არავითარ გარანტიას არ იძლევა. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ორიენტაციას ამერიკაზე არავინ აუქმებს; მეორეც, დასჯის დახვეწილ მექანიზმს ორივე მხარე ფლობს და ჩვენ ან მგელი შეგვჭამს, ან — მგლისფერი ძაღლი.**

უეჭველად!

„წმინდა ომისკენ“ მოწოდება და ირანის საპასუხო დარტყმები იმის მანიშნებელი იქნება, რომ პირველი სცენარით გათვალისწინებული სტრატეგიული მიზნები, რომლებიც ქვეყანაში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლასა და რეგიონში აშშ-ის მთავარი მოწინააღმდეგის განადგურებას ითვალისწინებდა, მიუღწეველი დარჩა.

## ახალი მსოფლიო კრიზისის ზღვართან

დაპირისპირების ესკალაცია გაგრძელდება.

ირანი მაქსიმალურად გამოიყენებს ყველა იმ შესაძლებლობას, რაც ამერიკის საჰაერო თავდასხმის შემდეგ გადარჩება; მათ შორის, საშუალო სიშორის რაკეტებს სპარსეთის ყურეში აშშ საზღვაო დაჯგუფების ხომალდებზე და ერაყში სახმელეთო დაჯგუფების წინააღმდეგ დარტყმის განსახორციელებლად. ხოლო ახლახან გამოცდილ რაკეტებს, რომლებიც შორ მანძილზე განლაგებული ობიექტების დასაბომბადაა გამიზნული, ისრაელის წინააღმდეგ მიმართავს.

**იმ შემთხვევაში, თუ ეს რაკეტები აღჭურვილი იქნება ქიმიური ქობინებით, აშშ დაუყოვნებლივ გამოიყენებს ბირთვულ იარაღს ირანის სამხედრო და სამრეწველო ინფრასტრუქტურის მიწასთან გასასწორებლად. ატომური ბომბი რომ იარაღია „საზღვრების გარეშე“, ჩემგან არავის ესწავლება, ისევე, როგორც ის, თუ რა საშიშროებას შეიცავს ირანის ცაში ატყორცნილი უზარმაზარი რადიაქტიული სოკოები მეზობელი საქართველოსთვის.**

ამერიკაა შორს, თორემ ჩვენ ამავე რეგიონისანი ვართ.

ვარაუდობენ, რომ აქამდე საქმე არ მივა.

ღმერთმა ქნას!

გლობალური საშიშროების შემცველია სარაკეტო დარტყმები (ვისი მხრიდანაც გინდა იყოს) გაზისა და ნავთობის ინფრასტრუქტურაზე სპარსეთის ყურეში, საუდის არაბეთის, კუვეიტის, ბახრეინის, ერაყის გაზისა და ნავთობის რესურსებზე, ეს ყველაფერი, ორმუზდის სრუტის ბლოკირებასთან ერთად, **უმწვავეს მსოფლიო ენერგეტიკულ კრიზისს გამოიწვევს.**

თუ მოვლენები ასე განვითარდა, გაეროს უშიშროების საბჭოს წევრი სახელმწიფოები დაუყოვნებლივ მოითხოვენ ირანის წინააღმდეგ საომარი ოპერაციის შეწყვეტას. ბევრი მიმომხილველი ფიქრობს, რომ აშშ მართლაც შეწყვეტს ანტიირანულ საომარ კამპანიას. მაგრამ მოსახდენი მომხდარი იქნება და ცეცხლის შეწყვეტა უკანმიდევნებული ლამპარის ეფექტივით იქნება ან საფენებივით — გარდაცვლილისთვის.

ვთქვათ, მართლაც შეწყდა ომი და ირანის ხელმძღვანელობა მართლაც დაჯდა გაეროს მოლაპარაკების მაგიდასთან. მაშინ იგი უეჭველად მოითხოვს აშშ ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანას რეგიონიდან და მიღებული ზარალის კომპენსირებას.

ვთქვათ, გაეროს უშიშროების საბჭომ დააკმაყოფილა ირანის მოთხოვნა და მიიღო შესაბამისი რეზოლუცია. ჩვენ საქართველოში კარგად ვიცით, რომ ომით დაპყრობილი ტერიტორიებიდან აგრესორის გაყვანა, რაგინდ მკაცრი იყოს გაეროს რეზოლუცია, პრაქტიკულად შეუძლებელია.

კიდევ ერთი ვთქვათ: **აშშ-ის მიერ ირანის მოთხოვნათა შესრულება ობამას ადმინისტრაციის სრული კრახის მანიშნებელი იქნება მისთვის უმნიშვნელოვანეს რეგიონში, რასაც უაღრესად ნეგატიური ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები მოჰყვება ამერიკისთვის და დანარჩენი მსოფლიოსთვის.**

შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების რეგიონიდან წასვლას ისლამური სამყარო დასავლეთზე გრანდიოზულ გამარჯვებად აღიქვამს, რაც უფლებას მისცემს უკარნახოს მას თავისი პირობები და მოთხოვნები.

**ასეთი პერსპექტივა ამერიკას გულზე რომ არ დაეხატება, ცხადზე უცხადესია. ამიტომ იგი განაგრძობს საჰაერო კოსმოსურ ოპერაციას და გადავა ირანთან ომის მეორე ოპერაციის განხორციელებაზე, რომლის დროსაც, საეჭვოა, რომ ვინმემ დაიცვას ჰუმანიტარული მოთხოვნები და რომელიც გაცილებით გამანადგურებელი და სისხლისმღვრელი იქნება პირველთან შედარებით.**

არმაგედონი არა, მაგრამ — რაღაც მსგავსი ამისა. თანაც ჩვენს სამეზობლოში, თანამედროვე შეიარაღებისთვის სულ ახლოს, ხელის გაწვდენაზე.

**არმაზ სანებლიძე**,
უცხოურ პრესაში გამოქვეყნებული მასალების მიხედვით

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ახალი უფსკრული მსოფლიო ეკონომიკისთვის



**პიარის სპეციალისტებს მშვენივრად აქვთ გაცნობიერებული, თუ რა ძალა აქვს ადამიანისგან ხატის შექმნას და რამდენად ძლიერი იარაღია ის საზოგადოებაზე ზემოქმედების მოსახდენად. ამის ნათელი მაგალითია ბოლო დროს სტალინის პიროვნების საწინააღმდეგოდ გააქტიურება. როგორც ჩანს, ლიბერალებს ისე ეშინიათ სტალინის, როგორც „ეშმაკს — საკმევლის“.**



გამარჯვების დღის წინა პერიოდში საზოგადოებრივი აზრის „გამორეცხვის“ მთავარი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ დიდ სამამულო ომში სტალინის, როგორც ლიდერის, როლი დაეკნინებიათ. ამასთან, ლიბერალების ნება რომ იყოს, მხოლოდ სტალინზე არ შეჩერდებოდნენ, მოგებული ომის დამსახურებას საბჭოთა ხალხსაც ჩამოართმევდნენ და 1943 წლის ცივ ზამთარს დააბრალებდნენ. **ანტისახელმწიფოებრივებს ესაჭიროებათ უსახური, ულიდერო საზოგადოება, რომელსაც საკუთრებას, სულერთია, რომელი „ვაუჩერის“, პრივატიზაციით წაართმევენ. თუ არ არის ლიდერი, აღარც პასუხისმგებლობაა არც წარმატებაზე და არც დამარცხებაზე. თავისუფლად შეიძლება, ყველაფერი თავად ხალხის სურვილით ჩამოიწეროს.**

**საერთაშორისო არენაზე ხატების წინაშე შიში საკმაოდ კარგად გამოიხატა მაშინაც, როდესაც ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ჩადრი აკრძალეს. თვითიდენტურობა არ აწყობს განვითარებულ კაპიტალისტურ სამყაროს, სისტემა კაპიტალისტური წარმოების პროდუქციის მომხმარებელთა მხრიდან კაპიტალიზმის (და არა უფლის) წინაშე თანასწორ „შიშველ“ მორჩილებას ითხოვს.**

ამაში ნამდვილად თანასწორნი არიან კაპიტალოფილები, ეს აშშ-ის მიმართ რწმენაა. ხატების ძლევამოსილების გამომხატველი კიდევ ერთი ნათელი მაგალითი სწორედ ის დამოკიდებულებაა, რომელიც მრავალს ამერიკის, USD-ის მიმართ აქვს.

მაგრამ ცისქვეშეთში მუდმივი არაფერია. **დაუნდობელი სინამდვილე იმაში მდგომარეობს, რომ აშშ-ში ხელისუფლების მთელი სტრუქტურა — ბანკებითა და პოლიტიკოსებით დაწყებული და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დასრულებული — ტყუილისა და თაღლითობის სისტემის ნაწილია.** იმის შესახებ, თუ როგორ ითაღლითეს ამ თამაშში, ჟურნალისტი მარკ ეიმსი წერს და ათობით მაგალითიც მოჰყავს.

თუ გაინტერესებთ, როგორ ცხოვრობენ ამერიკაში, ლიზა პეკს ჰკითხეთ. ის ალაბამას შტატის ჯეფერსონის ოლქში გზებისა და ტრანსპორტის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე იყო, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს აცნობეს, რომ მასაც და ათასობით მის კოლეგასაც საკუთარი ხარჯებით უნდა დაესვენათ. ეს პოსტკრიზისული ამერიკის ახალ ცხოვრებასთან მათი პირველი შეხება იყო. აღმოჩნდა, რომ ოლქის დავალიანება 5 მილიარდს აჭარბებდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ოლქში სასამართლოები, ციხეები და პოლიციის განყოფილებებიც კი უნდა დაკეტილიყო, რომ უოლ-სტრიტის ბანკებისთვის ვალის გადახდა შესაძლებელი გამხდარიყო.

როდესაც ბირმინგემის საყოფაცხოვრებო სამსახურები ბოლომდე გაიყვლიფა, პეკი ოჯახს უმუშევართა კვირაში 260-დოლარიანი დახმარებით არჩენდა. ამ თანხის მეოთხედი პირდაპირ მიდიოდა სამედიცინო დაზღვევაში, რომელსაც ოლქი აღარ ანაზღაურებდა. განუწყვეტლივ რეკავდნენ ბანკების თანამშრომლები, რომლებიც თავადაც უარეს დღეში იყვნენ. „ხანდახან ღამის ორ საათამდე ტელეფონზე ვეკიდე, რომ ადამიანებისთვის თავის მოკვლა გადამეფიქრებინა. ზოგიერთი დაოჯახებული მამაკაცისთვის ბინის წართმევა და გაკოტრება ძალიან მძიმე გადასატანი იყო, ყოველ ღამე ტირილით ვიძინებდი“, — ამბობს პეკი.

**შუალედურ არჩევნებამდე ერთი თვით ადრე, ოქტომბერში, სპეციალური ამერიკული ერთეული „ორგანიზებული რეაგირების ძალები“ მთელი ამერიკის ტერიტორიაზე განლაგებისთვის მზად იქნება და საამისოდ პრეზიდენტის ბრძანებას დაელოდება. თუ ობამა ბრძანებს, ეს ძალები მთელ ამერიკას მოიცავენ, რათა ჩაახშონ მოსახლეობის მღელვარება, აკონტროლონ ბრბო ან გაუმკლავდნენ მასობრივ მოწამვლებსა და ქაოსებს, რაც, შესაძლოა, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიოლოგიური, ბირთვული თავდასხმების შედეგად გაჩნდეს. მაგრამ მთავარი დანიშნულება აქ სამოქალაქო პროტესტების ჩახშობაა.**

**ზოგიერთი ამეიკელისთვის „ხატება“ ინგრევა. ფედერალურმა რეგისტრმა აჩვენა, რომ 2009 წლის ბოლო კვარტალში ამერიკის მოქალაქეობასა და აშშ-ში მუდმივი ცხოვრების უფლებაზე 502-მა ამერიკელმა განაცხადა უარი. ეს ყველაზე დიდი მაჩვენებელია ამერიკის მოქალაქეობის არსებობის ისტორიაში; მიზეზი — ქვეყნის ეკონომიკა.**

**ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი ნურიელ რუბინი აცხადებს, რომ უახლოესი 12 თვის განმავლობაში აშშ-ში უმუშევრობა 9,7%-იან მაჩვენებელს არ ჩამოსცდება. „დასაქმების დაბალი დონის მომსწრენი ხანგრძლივი დროით ვიქნებით“.**

იგივე რუბინი დარწმუნებულია, რომ უზარმაზარ აისბერგს მხოლოდ წვერი გამოუჩნდა საბერძნეთის სახით. ვალების კრიზისი ელის არა მხოლოდ პორტუგალიას, ესპანეთსა და ირლანდიას. უდიდესი საფრთხის წინაშე დგანან ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების კავშირის ქვეყნები, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატებიც.

**„New York Times“-ის სტატიაში „ევროპული ვალების აბლაბუდა“ მოცემულია ევროპის ქვეყნების სავალო ურთიერთდამოკიდებულების გრაფიკი. ძალზე ცუდად აქვს საქმე საფრანგეთს. მისი მხოლოდ იტალიასა და ესპანეთს 731 მილიარდი დოლარი მართებთ. თავის მხრივ, ესპანეთი პორტუგალიის მთელი დავალიანების მესამედის მფლობელია (პორტუგალიას ესპანეთისა 58 მილიარდი დოლარი მართებს) და ამავე დროს გერმანიის ვალი აქვს 238 მილიარდი დოლარის ოდენობით.**

**ესპანეთის მთელი დავალიანება 1,1 ტრილიონ დოლარს აჭარბებს და ამ დროს ქვეყანაში უმუშევრობა 20%-იან ნიშნულს ასცდა. თანხის მიხედვით ყველაზე დიდი ვალი იტალიას აქვს — 1,4 ტრილიონი დოლარი. მხოლოდ საფრანგეთისადმი იტალიის ვალი საფრანგეთის საერთო შიდა პროდუქტის 20%-ს უტოლდება. ამ ფინანსური აბლაბუდის ფონზე ევროკავშირის საბჭომ ფინანსთა მინისტრების დონეზე მიიღო გადაწყვეტილება, შეიქმნას საერთოევროპული ანტიკრიზისული ფონდი 750 მილიარდი ევროს მოცულობით. ევროკავშირის ამ ინიციატივას მარტივად შეიძლება თამაშის სახელი „ვინ მოასწრებს სკამზე დაჯდომას“ ეწოდოს.**

მრავალი ქვეყნის ლიდერი შეშფოთებულია უკვე არა საბერძნეთის, არამედ ევროპის მდგომარეობით. გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა საბერძნეთისთვის გაწეულ დახმარებას ევროზონის ქვეყანაში შექმნილ განსაკუთრებულ სიტუაციაზე რეაქცია უწოდა. ფინეთის ფინანსთა მინისტრმა განაცხადა, რომ საბერძნეთის ფინანსური პრობლემები ესპანეთსა და პორტუგალიაზეც გავრცელდება. საბერძნეთის ფინანსურმა კრიზისმა შეიძლება ბულგარეთი, რუმინეთი და სერბეთიც შეიწიროს. ამგვარი განცხადებით გამოვიდა პრესკონფერენციაზე ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პრეზიდენტი ტომას მიროვი. მისი თქმით, ამას აღნიშნულ ქვეყნებში განთავსებული მრავალი ბერძნული ბანკი განაპირობებს.



ევროპის ცენტრალურ ბანკშიც ანალოგიურად შიშობენ, რომ საბერძნეთს ესპანეთი და პორტუგალია მიჰყვება. საბერძნეთის ფინანსური კრიზისი, მისი დეფოლტი და მოვლენების ამგვარად განვითარების შედეგები მსოფლიოში სულ უფრო მეტ შეშფოთებას იწვევს. მსოფლიო მსოფლიო ეკონომიკას დარდობს.

**„ინვესტორებს ყველაზე მეტად ესპანეთი ადარდებთ, რადგან 2009 წელს ევროზონის საერთო შიდა პროდუქტის 8,5% სწორედ ესპანეთმა შექმნა. საბერძნეთის შემთხვევაში ეს მაჩვენებელი 2%-საც ვერ აღწევდა, პორტუგალიაზე კი ევროზონის საერთო შიდა პროდუქტის 1,5%-იც ვერ მოდის. ამიტომ ისეთი შედარებით მსხვილი ეკონომიკის ქვეყნები, როგორიც ესპანეთია, ფინანსურ სამყაროში სხვადასხვა სახის შეშფოთებას იწვევს“, — განაცხადა ეკონომიკის პროფესორმა პიტერ ოპენგეიმერმა.**

ისრაელის ბანკის მმართველი სტენლი ფიშერი ამბობს, რომ ევროპის ეკონომიკური კრიზისი ისრაელსაც ემუქრება. ისრაელის საკანონმდებლო ორგანოს ფინანსური კომისიის სხდომაზე გამოსვლისას ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელმა ბრძანა, რომ ამ კრიზისს საერთაშორისო სავალუტო ფონდი წინასწარმეტყველებდა, მაგრამ სათანადოდ ვერ აფასებდა მის მასშტაბებს.

**ქვეყნის ცენტრალური ბანკის განცხადებაში ნათქვამია, რომ ავსტრალიის ეკონომიკის გამყარება, რაც მომავალ ორ წელიწადში, სავარაუდოდ, საშუალო წლიურ ტემპს გადააჭარბებდა, შესაძლოა, ევროპული ვალების კრიზისს ემსხვერპლოს.**

ევროზონის კარდინალური რეფორმირების გარეშე ევროს კრახი რომ გარდაუვალია, ამას ნობელის პრემიის ლაურეატი, პროფესორი ჯოზეფ სტიგლიციც აცხადებს. „ევროს გაქრობა ელის, თუ ევროკავშირი თავის ამჟამინდელ ინსტიტუციონალურ პრობლემებს არ მოაგვარებს“, — განაცხადა მან ბრიტანულ ბი-ბი-სი-სთან ინტერვიუში.

**საერთაშორისო სავალუტო ფონდის ხელმძღვანელი დომინიკ სტროს-კანი მსოფლიო ეკონომიკის კრიზისის ახალ ფაზაში შესვლას არ გამორიცხავს. ამ ახალ ფაზას კი მსოფლიოს მთელი რიგი ინდუსტრიული ქვეყნების უპრეცენდენტო სახელმწიფო დავალიანებები წარმოშობს.**

**კაპიტალის ბაზრებს უკანასკნელი 100 წლის მანძილზე უდიდესი კრიზისი ელის. ამას უმსხვილესი საინვესტიციო კომპანიის „ევოლუშენ სექიურითის“ ექსპერტები აცადებენ. ევროკავშირი უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილი ყველა ქვეყნის ვალების მომსახურებას თავს ვერ გაართმევს. დეფოლტები გარდაუვალია.** „ახლა სახელმწიფო ვალის პრობლემებს ევროპის მრავალი ქვეყანა განიცდის. ყველაზე მძიმე მდგომარეობა ბერძნებს, ესპანელებს, პორტუგალიელებსა და იტალიელებს აქვთ. ყოველ შემთხვევაში, ასე აცხადებენ სარეიტინგო სააგენტოებისა და „ევოლუშენ სექიურითის“ ექსპერტები. ევროკავშირს დამატებითი ზომების მიღება მოუწევს, რათა ბაზრებზე შემდგომი ჩავარდნები თავიდან აიცილოს. მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალი ევროპის ცენტრალური ბანკისადმი მიმართვა და მისი მხრიდან პრობლემური ქვეყნების სახელმწიფო ობლიგაციებში სახსრების მიმართვა იქნება. მაგრამ, შესაძლოა, ფული ყველას არ ეყოს“, — ამბობს nettrader.ru–ს ანალიტიკოსი ბოგდან ზვარიჩი.

**ამასობაში ბერძნული გაფიცვა ქაოსში გადაიზარდა: გადამწვარ ბანკში, სულ მცირე, სამი ადამიანი გაიგუდა, გადასახადების გაზრდის საკითხის განხილვისას პარლამენტში შევარდნის მსურველები ცრემლსადენი გაზის გამოყენებით შეაჩერეს. გადასახადების გაზრდა საბერძნეთს მართლაც არ უშველის: მათი გადაუხდელობა იქ უკვე, კარგა ხანია, მოსახლეობის ცხოვრების წესად იქცა. მდიდარი ბერძნები თავიანთ აქტივებს ლონდონში უძრავი ქონების შეძენით აზღვევენ.** ბრიტანეთის დედაქალაქში ძვირადღირებული სახლების შეძენით ბერძნები თავიანთ ფულს საკუთარი ქვეყნის პრობლემებისგან იხსნიან. ამის თაობაზე „Knight Frank“-ის ლონდონის ოფისი იტყობინება.

**მაგრამ სუვერენული დეფოლტები კიდევ არაფერია, ევროკავშირს უფრო ღრმა უფსკრულში გადაჩეხვის საფრთხე ემუქრება. ჯერ კიდევ 1918 წელს ოსვალდ შპენგლერმა გამოაქვეყნა ფილოსოფიური ნაშრომი სახელწოდებით „ევროპის დაისი“. მასში ევროპული კულტურის მომავლის საკითხი დგას.**

უნდა აღინიშნოს იაპონიის ბანკის გადაწყვეტილება, ფინანსურ სისტემას 2 ტრილიონი იენი მიახმაროს.

ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ირი საიდუმლოდ ეწვია პეკინს. ექსპერტები ირწმუნებიან, რომ მის ქვეყანას ეკონომიური დახმარება ესაჭიროება და ირი მსოფლიოში თავისი უკანასკნელი მოკავშირის — ჩინეთის იმედადაა. მაგრამ არავინ იცის, რა ელის თავად ჩინეთს. ინვესტორი მარკ ფაბერა აცხადებს, რომ უახლოესი ერთი წლის მანძილზე მისი ეკონომიკის ტემპი შენელდება და შესაძლოა უარესიც დაემართოს. ამ განცხადების საფუძველი საფონდო და სასაქონლო ფასების დაწევით ქვეყნის უძრავი ქონების ბაზარზე უკვე კარგა ხნის წინ დაწყებული საპნის ბუშტების გაბერვაა. ხატების ძლიერება მთელს მსოფლიოში სახეზეა.

*business-gazeta.ru*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

მამა გიორგი სხირტლაძე:

# საქართველოს სულიერი დრამა სახარებისეულ დრამას მოგვაგონებს

**„დღეს იბრძვიან არა ტერიტორიების, არა გარეგნული რეგალიების, არა ფულისა და ქონების, არამედ ადამიანთა გულების, მათი სულების მოპოვებისთვის. ეს უხილავი ბრძოლაა და ცოდნის დიდ სიღრმეებს მოითხოვს,“— განაცხადა ჩვენთან საუბრისას იოანე ღვთისმეტყველის ტაძრის დეკანოზმა, მამა გიორგი სხირტლაძემ. მამა გიორგის ტაძარში ვეწვიეთ და ვთხოვეთ, განემარტა, არის თუ არა რელიგია მასების სამართავად შექმნილი, რა არის რჯული, როგორი სულიერი კავშირია ღმერთსა და ადამიანს შორის და რა როლი შეასრულა მართლმადიდებელმა ეკლესიამ ქართველი ერის ფორმირებში.**



— კაცობრიობის ისტორიაში არსებობს უნიკალური წიგნი ბიბლია. ეს ღვთის მიერ მოცემული სწავლებაა, ანუ ღვთის სიტყვაა, საღმრთო სჯულია. ასევე საღვთო სჯული ის ღვთივგამოცხადებული სიბრძნე და ცოდნაა, რომელიც ღმერთმა საცხოვნებლად მოგვცა. წმიდა წერილი და წმიდა გარდამოცემა მართლმადიდებლურ საღვთო გამოცხადებაში ერთიანდება და ის ცხოვრების წესია, ის სულიერი ნორმებია, ის სწორი მსოფლმხედველობა და მსოფლშეგრძნებაა, ის სწავლება და დოქტრინაა, რომელიც ადამიანის სულს აცხოვნებს. ყველა რჯულს, ყველა სწავლებას არ შეუძლია ადამიანის სულის ცხოვნება. მხოლოდ და მხოლოდ ღვთივგამოცხადებულ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას. ვინც ამ სჯულს შეიმეცნებს და არ დაბრკოლდება, ნათელს იღებს და ეზიარება, ცხონდება.

**— ეკლესიის ისტორიის ცალკეული მკვლევარი საღვთო სჯულს ადამიანური ფანტაზიის ნაყოფად მიიჩნევს. მამაო, რით დასტურდება მისი ჭეშმარიტება?**

— საღვთო გამოცხადება ცოდვილი ადამიანის მიერ გადმოცემული სწავლება არაა. ადამიანური სწავლებები მეტ-ნაკლებად არაჟამგრძელია, დეფორმაციას ექვემდებარება და ადამიანს მადლის მიღების, ცოდვების მიტევების, ღვთის ხატად და მსგავსად ჩადებული გრძნობის რეალურ შეგრძნებას ვერ აძლევს. ჭეშმარიტების დამადასტურებელი პირველი ისაა, რომ არავინ არავისთვის ჯვარს არ ცმულა, მკვდრეთით არ აღმდგარა, ზეცად არ ამაღლებულა, ჯოჯოხეთიდან არ ამოუყვანია მიცვალებულთა ცოდვილი სულები. ასევე, არც ერთ რელიგიურ ლიდერზე არ ყოფილა თაობების წინასწარმეტყველებები, ერთმანეთისთვის უცნობი, უცხო, სხვადასხვა საუკუნეებში მცხოვრები ადამიანების მიერ დაწერილი. სახარების მთელი ფაბულა, მთელი სიუჟეტი ძველ აღთქმაშია ნაწინასწარმეტყველები.

არც ერთი რჯული, მართლმადიდებელი სარწმუნოების გარდა, სრულ, ამომწურავ და ფუნდამენტალურ პასუხებს არ იძლევა სწორად დასმულ კითხვებზე. ამის დასტურია თუნდაც ქრისტეს სამმაგი მსახურება (საწინასწარმეტყველო, სამღვდელმთავრო და სამეუფეო, ანუ საღმრთო), რომელიც მკვდრებს აღადგენდა, ბრმებს თვალებს უხელდა, კეთროვნებს, მუნჯებს, ყრუებს კურნავდა. ამის უამრავი თვითმხილველი და უამრავი მტკიცებულება არსებობს.

**— საქართველო 15 საუკუნეზე მეტია, მათლმადიდებელი ქვეყანაა. რა როლი შეასრულა ამ რწმენამ ქართველების, როგორც ეთნოსის ფორმირებაში, მისი კულტურისა და სულიერი ფასეულობების ჩამოყალიბებაში?**

— ყოველი ინდივიდუუმის ცხოვრებაში ილუზიური, მცდარი წარმართული, გამრუდებული, ბნელი სწავლებებიდან ჭეშმარიტ ღვთივგამოცხადებულ მართლმადიდებლურ მოძღვრებაზე გადასვლა იმ კეთილ ცვლილებებს იწვევს, რასაც ჩვენ წარმატებას ვუწოდებთ. ადამიანს, ქრისტიანული გაგებით, ბედნიერს ხდის. მასში ხდება სულიერი, სამშვინველისეული და ფიზიკური ჰაბიტუსის გაუმჯობესებასაც კი. თითეული ინდივიდუუმი მოიქცევა რა და ღმერთს შეიმეცნებს, მიემსგავსება ქრისტეს. მიემსგავსება რა ქრისტეს, შეუძლებელია, რომ იგი ბოროტი, ავი, წარუმატებელი, დაბრკოლებული, სულიერად თუ ფიზიკურად უძლური დარჩეს და ხელი არ მოემართოს. პირიქით, მას ანგელოზი მფარველობს და მისი სულიერი იმუნიტეტი იმდენად ძლიერდება, სულიერი პოტენციალი იმდენად ფართოვდება, რომ ნებისმიერ დაბრკოლებას ღვთის მადლით გადალახავს.

თუკი ჩვენი ერის ცხოვრებას გადავხედავთ, შეუძლებელია, ადამიანმა ვერ დაინახოს ღვთის ყოვლისშემძლე განგებულების მისტიკური მოქმედება, დრამა, რომელიც ამ ერის ჩამოყალიბების პროცესში მტკივნეულ, წინააღმდეგობებით აღსავსე, ბოროტებასთან ბრძოლის მეტამორფოზებში და ამავე დროს ღვთისმშობლის წილხვედრობასა, უფლისა და წმიდა გიორგის მფარველობაში აისახება. ზოგჯერ ეს სულიერი დრამა სახარებისეულ დრამასაც კი მოგვაგონებს, ქრისტეს ბრძოლას ფარისევლობასთან, ბოროტებასთან და ბნელეთის ძალებთან. ჩვენი ერის გამოწრთობისა და სულიერი განწმედის ზოგჯერ წარმატებული და ზოგჯერ წარუმატებელი, მაგრამ მაინც ღვთაებრივი განგებულების განსაკუთრებული ზედამხედველობისა და მზრუნველობის ქვეშ მყოფობას ააშკარავებს ჩვენი ისტორია. შუქ-ჩრდილი ქმნის ფორმას მხატვრობაში, შუქ-ჩრდილი ქმნის სივრცობრივ აღქმას სამგანზომილებიან სივრცეში, ასევე შუქ-ჩრდილი, ანუ წარმატება-წარუმატებლობა გვაძლევს ზოგად წარმოდგენას ჩვენი ერის სულიერ მეტამორფოზაზე. რა თქმა უნდა, ეს ერთი შეხედვით ძნელია, დაინახო, ამისთვის დიდი სულიერებაა საჭირო, მაგრამ

ჩვენი მართლმადიდებელი ეკლესიის სამღვდელოება პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ს ხელმძღვანელობითა და კურთხევით ადამიანთა მოსაქცევად იბრძვის. გამარჯვების მისაღწევად ყოველთვის მიდიოდა ცხადი თუ დაფარული მუშაობა იმ ველზე, რომელსაც სულიერი ბრძოლის ველი ჰქვია, ანუ იბრძოდნენ და დღესაც იბრძვიან არა ტერიტორიების, არა გარეგნული რეგალიების, არა ფულისა და ქონების, არამედ ადამიანთა გულების, მათი სულების მოპოვებისათვის.

როგორც პავლე მოციქული ეფესელთა მიმართ ეპისტოლეში ამბობს, ჩვენი ბრძოლა არის არა ხილული, არამედ — უხილავი. ეს მართლმადიდებლური ცოდნისა და ხედვის დიდ სიღრმეებს მოითხოვს და, თუ ჩვენ უცოდინარები დავრჩებით, საკუთარ თავს უნდა დავაბრალოთ ყველაფერი და არა — ვინმე სხვას.

**— მამაო, დღევანდელ საზოგადოებას აკლია სულიერი ცოდნა?**

— ნებისმიერ შემთხვევაში, სულიერი ცოდნით კმაყოფილი არ უნდა ვიყოთ. ის, რასაც ჩვენ ცოდნას ვეძახით, რაც გვაქვს, ყოველთვის ცოტაა იმასთან შედარებით, რაც არ ვიცით. ჩვენ ვიცით და გვწამს მართლმადიდებლური სარწმუნოების დოქტრინა, მაგრამ ეს კმაყოფილებას კი არ უნდა იწვევდეს ჩვენში, არამედ უფრო — მეტ სურვილსა და ძალისხმევას, რათა მივემსგავსოთ იმ სტანდარტებს, რასაც ჩვენ სარწმუნოება გვასწავლის. ეს მხოლოდ და მხოლოდ აპრიორული ინტელექტუალური და სპეკულატიური ცოდნა არაა, რომელიც კვანტური მექანიკის, რომელიმე ფილოსოფიური ან მათემატიკური დისციპლინის მსგავსი იქნებოდა. ეს არ არის ცოდნა მკვდარი კანონებისა. ეს არ არის ცოდნა იმ მექანიკური პროცესებისა, რომლებიც ფიზიკურ სამყაროში არ წყდება. ეს არის ცოცხალი ცოდნა ღვთაებრივი რეალიების მოქმედებისა და სამყაროში ქრისტეს მიერ აღსრულებული სიყვარულის მსხვერპლის კანონის მოქმედებისა, რომლის ძალიან ფაქიზი ცხადი თუ დაფარული მექანიზმები ჩვენი სარწმუნოების ზრდის პირდაპირპროპორციულად უნდა აღვიქვათ; წინააღმდეგ შემთხვევაში, ყოველთვის გარკვეულ დაბრკოლებებს წავაწყდებით.

**— მრავალმა ადამიანმა სახარება ზედმიწევნით კარგად იცის, მაგრამ ამ ცოდნას მართლმადიდებლობის წინააღმდეგ იყენებს, რატომ?**

— შეიძლება ადამიანმა იცოდეს ყოველივე, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს სიკეთეს. ყველა სიბრძნე სიკეთე არ არის. ბოროტმა სულებმაც იციან ყველაფერი, რაც დასაბამიდან შეიქმნა, მათ შორის — ადამიანთა სულების ცდუნებისა და მათი დაღუპვის მზაკვრული მექანიზმები. ადამიანურ და დემონურ სიბრძნეზე მაღლა ღვთაებრივი სიბრძნე დგას. ამიტომ ღვთაებრივი სიბრძნე ეს არის სწორი დოქტრინა, სწორი სწავლება, რომელიც გამოდის წმიდა წერილიდან და წმიდა გარდამოცემიდან. თუმცა იგივე წმიდა წერილისა და ჯვრის, ქრისტეს სახელის გამოყენებაც შეიძლება ბოროტი მიზნებით, თუნდაც შავ მაგიაში, მკითხაობაში, შელოცვებში, ჯადოქრობასა და ადამიანისთვის ზიანის მომტან რიტუალებში. საუფლო ლოცვაც კი „მამაო ჩვენო“ გამოიყენება რაღაც დესტრუქციისა და სულიერი ინტოქსიკაციის შეტანაში, თუკი მას სხვანაირად წავიკითხავთ. ღმერთმა ყველაფერი კეთილად შექმნა და თქვა: „ყოველივე კეთილ არს.“ ჩვენ შეგვიძლია ეს გამოვიყენოთ სულის საცხოვნებლად და ღვთის სადიდებლად ან პირიქით. საღმრთო სწავლება უკუღმა გაიგო და არასწორ, ილუზიურ პოზიციაში დავრჩეთ ღვთის, მოყვასისა და თუნდაც საკუთარი თავის წინაშე. ასეთი ადამიანი, ადრე თუ გვიან, იმ უარყოფით შედეგებს იმკის, რასაც თავად იწვევს და გენერირებს.

ღმერთს არავის დასჯა, არავის წარწყმედა არ სურს („არა მნებავს სიკვდილი ცოდვილისა, არამედ მოქცევა და ცხოვრება მისი“), მაგრამ თუ ადამიანს არ ნებავს მოქცევა და ცხოვნება, ღმერთი არ აძალებს. მოუწოდებს, მაგრამ არ ძალადობს. არსებობს მონისა და დაქირავებულის სიყვარული, მაგრამ უფალს შვილობრივი, უანგარო სიყვარული უნდა, რადგან ბიორობოტად და მონად ღმერთს ადამიანი არ შეუქმნია.

**— როცა ნების გაუკუღმართებაზე და ნების არასწორად გამოყენებაზე ვსაუბრობთ, მაშინ თავისუფალ არჩევანთან გვაქვს საქმე, მამაო?**

— ეს არასწორ არჩევანთან და თავისუფალი ნების არასწორ რეალიზაციასთან არის დაკავშირებული. ბოროტება სხვა არაფრია, თუ არა გარკვეულ პიროვნებათა (ხილული თუ უხილავი) მცდარი, ღვთის საწინააღმდეგო პოზიცია. ის, რაც ადამიანს ღვთის ხატად მიეცა, მსგავსებაში უნდა მოახდინოს მისი რეალიზება და, როდესაც ამ მსგავსებას ამრუდებს, შემაძრწუნებელ და საზარელ შედეგებს ვიღებთ როგორც ცალკეულ ინდივიდუუმებში, ასევე — მთელ ერში.

**— როდის დგება განსაცდელის ჟამი ერის ცხოვრებაში?**

— ერი არაა რაღაც გაქვავებული სხეული, საზოგადოებრივ ცხოველთა მექანიკური სოციოლოგიური ორგანიზმი; ეს ცოცხალი ღვთის ქმნილებაა, ღვთის ხატად და მსგავსად ქმნილ ინდივიდუუმთა ერთობა, რომელიც განღმრთობის პროცესს უნდა ექვემდებარებოდეს. ამიტომ, როდესაც ერში მადლი აღარ ტრიალებს, იწვევს სტაგნაციისა და დესტრუქციის ისეთ პროცესებს, რომლებიც ადამიანებს შორის გაუცხოებასა და აგრესიას იწვევს.

თუ დააკვირდებით, ადამიანებს შორის გაუცხოება და აგრესია იმდენად დიდ მასშტაბებს იძენს, რომ ისინი არა მარტო მტერს ებრძვიან, არამედ მოყვარესაც ვეღარ არჩევენ მტრისაგან. ამ შემთხვევაში იხეგება გზა და ერში მადლი ვეღარ მოედინება. როგორც გაყინულ მდინარეში — ყინული, თუ არ ააფეთქე, ისე წყალი თავისუფალ დინებას ვერ დაიწყებს, ასევე ღვთაებრივი პედაგოგიკით, ჩვენთვის მიუწვდომელი განგებულებით მადლის დინების გახსნის პროცესები რომ დაიწყოს, ადამიანთა ჯგუფებისთვის ან ერისთვის ამა თუ იმ სახით განსაცდელების, ანუ დამსჯელი ანგელოზების მოვლენა ხდება. თუ თქვენ გადახედავთ იოანე ღვთისმეტყველის აპოკალიფსს, დაინახავთ ოთხ მხედარს, რომლებსაც საშინელი განსაცდელები მოაქვთ დედამიწის მცხოვრებლებისთვის. შეუძლებელია, იოანე ღვთისმეტყველის აპოკალიფსი წაიკითხო და მშვიდი და წყნარი დარჩე. საზარელი და საშინელი მოვლენები არის წინ მოსალოდნელი, თუ სულიერად მზად არ ვიქნებით, სულიერ სტაგნაციას, ცოდვის ძილსა და სიბრმავეს მივეცემით, სინანული და მართლმადიდებელ სარწმუნოებაში ნასწავლი დიდი სიყვარული არ გვექნა, შენდობისა და ცხოვრების საზრისის გაცნობიერების პროცესები არ დაიწყება. თუ ამ ყველაფერს ადამიანი მეტ-ნაკლებად არ გააცნობიერებს, არავის არ ვუსურვებ, რა შეიძლება დაემართოს. ადამიანებისთვის და ერისთვის ეს დიდი საფრთხის მატარებელია. შეიძლება ითქვას, შავი ხვრელია, რომელიც ყველაფერს იწოვს და ადამიანები, რომლებიც დღესაც კი სულიერ სიბნელეში არიან, ამ ხვრელში ვარდებიან. მართლმადიდებელი ეკლესია ყოველთვის ცდილობდა და დღესაც ცდილობს დაეხმაროს ადამიანებს, ზეციდან უფლის მიერ გამოწვდილი ხელი ადამიანის ხელს შეაერთოს.

მართლმადიდებელმა ეკლესიამ ზღვა სისხლი დაღვარა, რომ ჩვენთვის შეურყვნელად და გაუმრუდებლად შემოენახა ღვთაებრივი სიბრძნე და ჩვენგან მხოლოდ და მხოლოდ ამ სიბრძნის გაცნობიერებას და სწავლებას ითხოვს. თუ ესეც გვეზარება, მაშინ ნუ ვიტყვით, რატომ მოგვევლინა განსაცდელიო?

**— მამაო, თქვენ ახსენეთ, რომ დღეს ადამიანთა გულებზე ნადირობენ, რატომ?**

—ადამიანის ცენტრი გულია. გული ის სულიერი ორგანოა, რომელიც არა მარტო ფიზიკურ სიბრტყეზე არეგულირებს ადამიანის ორგანიზმს და მთავარ მამოძრავებელ ფუნქციას ატარებს, არამედ მასში წყდება ადამიანის დამოკიდებულება ღვთისა და მოყვასისადმი. გული არის ღვთაებრივი სიბრძნის წყარო. გული ირჩევს, გონება ეთანხმება და ავრცობს ამ არაჩევანს. ამიტომ ეს არის ღვთის ნების გამომრჩეველი ორგანო. გულის განწმედის პროცესი უდევს საფუძვლად მართლმადიდებელი ეკლესიის ასკეზას; დაწყებული იესოს ლოცვიდან, ეფრემ ასურის ლოცვით დამთავრებული ყველაფრის თავი და ბოლო არის „გული წმიდა დაბადე ჩემთანა, ღმერთო, და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა“, ანუ როდესაც გული განწმედილია, ჩვენი სხეულიც მთლიანად განიწმიდება. გამომდინარე აქედან, ყველაზე მთავარი ადამიანის გულის მოგებაა. როგორც კი შეიბილწება გული, წონასწორობისა და თავისუფლების ხარისხი, რეალობის აღქმის უნარი, მაშინვე დესტრუქციული და ბნელი ძალების გამარჯვება ხდება. ამიტომ ადამიანთა გულებზე მიდის ბრძოლა და ეს განსაკუთრებული ბრძოლაა, რადგან გული ოქროს შუალედში ვერ იქნება, ან უნდა განიწმიდოს, ან შეიბორკოს. გული ან შავია, ან — თეთრი, რუხი ვერ იქნება.

**— დღეს განსაკუთრებული სულიერი და ფიზიკური საფრთხეებია ჩვენს ცხოვრებაში და როგორ შეუძლია ეკლესიას ამ საფრთხეების თავიდან აცილება?**

— თუ ადამიანს ორი ნიჩაბი აქვს: ლოცვისა და მარხვის, რწმენისა და ცოდნის, ამ შემთხვევაში ის სწორ მიმართულებას აიღებს და ინფორმაციის ნიაღვარში ლავირებას მოახერხებს. თუ ერთი ნიჩაბი აღარ აქვს, წინ ვერ წავა, უკეთეს შემთხვევაში, ადგილზე იტრიალებს ან თავპირს დაიმტვრევს. ამიტომ სულიერი ინტოქსიკაციისგან ჩვენი ერთადერთი იმუნიტეტი არის მართლმადიდებლური ცოდნა, აზროვნება, მეტყველება და ქმედება.

**ნათია ქადაგიშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დაუვიწყარი შეხვედრები მოსკოვში

**წინასწარ გვინდა, შევნიშნოთ, რომ, რაც ჩვენი პატარა ჯგუფის წევრებმა მოსკოვში ჩასვლის პირველივე წუთიდან იქ ყოფნის მთელ პერიოდში ვიხილეთ და განვიცადეთ, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, რის გადმოცემასაც ამ წერილში, ჩვენი დიდი სურვილის მიუხედავად, ალბათ, ვერ შევძლებთ.**

## მოსკოვმა დიდ სამამულო ომში გამარჯვების 65 წლის იუბილე ღირსეულად აღნიშნა





რუსეთში დიდ სამამულო ომში გამარჯვების 65 წლის იუბილე ნამდვილად საერთოსახალხო დღესასწაულად იქცა, ამ სახელოვან იუბილეს საქართველოს 6-კაციანი დელეგაცია (დ. იაკობაშვილის, შ. ბუაძის, ს. მირზოიანის, ლ. რომანოვას, რ. დარსაძისა და დელეგაციის ხელმძღვანელ ლ. ომიაძის შემადგენლობით) თბილისის „რუსული კლუბის“ პრეზიდენტის, ნ. სვენტიცკისა და „რუსეთში ქართველთა კავშირის“ პრეზიდენტის, ბატონ მ. ხუბუტიას ინიციატივითა და ხელშეწყობით დაესწრო. მოსკოვის აეროპორტშივე იგრძნობოდა რუსი მოქალაქეების მეტად თბილი, გულწრფელი და კეთილი დამოკიდებულება ჩვენდამი, რასაც განუწყვეტლივ ვგრძნობდით იქ ყოფნის დროს ქუჩაში, თეატრში, სკოლაში, რესტორანში თუ სხვაგან. სრულიად უცნობი ადამიანები ქუჩაში გვაჩერებდნენ, ღიმილით გვესალმებოდნენ, გვთხოვდნენ, ფოტოსურათების გადაღებას და მოწიწებით გვიხდიდნენ მადლობას იმისათვის, რომ სამშობლო დავიცავით, და ჩვენ რომ არა, დღეს მათ ასეთი მშვიდი ცხოვრება არ ექნებოდათ. განსაკუთრებით თვალშისაცემი იყო მოსწავლე-ახალგაზრდობის საოცრად გულწრფელი დამოკიდებულება დიდი სამამულო ომის ვეტერანებისადმი. ყველანი აღფრთოვანებით, ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ „თქვენ დაიცავით სამშობლო და ჩვენი მომავალი“. სამწუხაროდ, ჩვენთან, საქართველოში, ახალგაზრდობისგან ასეთ სიტყვებს იშვიათად თუ გაიგონებთ.

**მეტად ამაღელვებელი და ამავე დროს დამაფიქრებელიც იყო მოსკოვის დიდების ხეივანში „Поклонной горы“-ზე მემორიალის „ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ ერთად ვიყავით“ საფუძველში ქვის ჩადების ცერემონიალზე ყოფნა.**

აქ ქ. ქუთაისში „გამარჯვების მემორიალის“ ვანდალური აფეთქების ფირი რამდენჯერმე უჩვენეს. ჩვენ იქ მყოფი ქართველები სინდისის ქეჯნას განვიცდიდით და უხერხულად ვგრძნობდით თავს ამ მართლაც ველური აქტის გამო. მეტად არასასიამოვნო მოსასმენი და საქართველოსთვის შეურაცხმყოფელი იყო ცერემონიალის წამყვანის განცხადება იმის თაობაზე, რომ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა მსგავსი რამ. ქუთაისში განხორციელებული ეს საშინელება იყო საქართველოდან დიდ სამამულო ომში წარგზავნილი 300 ათასზე მეტი დაღუპული მებრძოლის ნათელი ხსოვნის შეურაცხყოფა. ამ შავ ლაქას ჩვენი ქვეყანა ვერასდროს ჩამოირეცხავს. მემორიალის „ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩვენ ერთად ვიყავით“ საფუძველში ქვის ჩადების ცერემონიალის გახსნაზე სიტყვით გამოსულმა რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვ. პუტინმა, მოსკოვის მერმა ი. ლუჟკოვმა და რუსეთში ქართველთა კავშირის პრეზიდენტმა მ. ხუბუტიამ ილაპარაკეს საქართველოდან ომში წარგზავნილთა და დაღუპულთა გმირობაზე, მემორიალის მნიშვნელობაზე ქართველი და რუსი ხალხის მეგობრობის განმტკიცებაში.

**დაუვიწყარი იყო კრემლის ყრილობათა სასახლეში დიდი სამამულო ომის მონაწილეთა შეხვედრა. აქ დამსწრეთ ამაღელვებელი სიტყვით მიმართა ქ. მოსკოვის მერის მოადგილემ, რომელმაც ვეტერანებს ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე უსურვა. ცრემლის გარეშე შეუძლებელი იყო იმ ჯოჯოხეთური ომის ეპოპეის ამსახველი კინოკადრების ხილვა, რომელმაც ვეტერანებს ომისდროინდელი ბატალიები გაახსენა.**

მეტად შთამბეჭდავი იყო დიდ სამამულო ომში გამარჯვების 65 წლისთავისადმი მიძღვნილი სამხედრო პარადი, რომელიც რუსეთისათვის ჩვეული ორგანიზებულობით ჩატარდა და რომელმაც ნათლად წარმოაჩინა რუსეთი, როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი სამხედრო პოტენციალის მქონე ქვეყანა. პარადზე, დემონსტრირებული იყო რუსეთის არმიის უახლესი სამხედრო ტექნიკა. პარადი გრანდიოზული იყო იმითაც, რომ მასში მონაწილეობდა ამერიკის, ევროპისა და დსთ ქვეყნების წარმომადგენლები. დასანანია, რომ დათვალიერებაში საქართველო წარმოდგენილი არ იყო. სამხედრო პარადმა ნათლად დაგვანახვა, რომ საქართველოს არავითარ შემთხვევაში არ უნდა აწყობდეს ამ გიგანტ სახელმწიფოსთან სამხედრო კონფლიქტია.

ჩვენმა მოსკოველმა მასპინძლებმა ყველაფერი იღონეს, რათა მოსკოვში ჩვენი სტუმრობა საინტერესო და ღრმაშინაარსიანი ყოფილიყო. დავათვალიერეთ მოსკოვის ღირსშესანიშნაობანი, განსაკუთრებით აღსანიშნავია მოსკოვში მიმდინარე გრანდიოზული მშენებლობანი; დაუვიწყარი შეხვედრები გვქონდა მოსკოვის ქართული სკოლების მოსწავლეებთან და პედაგოგებთან (დირექტორები: ანა კერესელიძე და დალი მაქაცარია).

ვისაუბრეთ საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე. მისასალმებელია, რომ სკოლები კეთილმოწყობილია, უზრუნველყოფილია თანამედროვე სასწავლო ტექნიკით. მოსკოვის შესაბამისი რაიონების განათლების ორგანოები ყურადღებას არ აკლებენ მათ და დიდ დახმარებას უწევენ როგორც სასწავლო-მეთოდური მასალებით, ისე მატერიალურადაც. ორივე ქართული სკოლის დირექტორები მადლიერებას გამოხატავდნენ „რუსეთში ქართველთა კავშირის“ პრეზიდენტის, ბატონ მ. ხუბუტიას მისამართით, საუბრობდნენ მის ქველმოქმედებაზე ქართული სკოლებისადმი.



გულის ამაჩუყებელი იყო შეხვედრა მოსკოვის №223 ქართული სკოლის მოსწავლეებთან და პედკოლექტივთან. დაგვათვალიერებინეს სკოლის მუზეუმი, სასწავლო კაბინეტები, ჩვენთვის სპეციალურად სკოლის ანსამბლმა „არაგვმა“ გამართა კონცერტი, რომლის რეპერტუარი მთლიანად ქართული იყო. კონცერტს ჩვენთან ერთად ესწრებოდა ცნობილი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე, რომელიც ასევე მოიხიბლა სკოლის მოსწავლეთა მხატვრული შემოქმედებით. მართლაც, სიამაყის გრძნობით ივსები, როცა რუსეთში ისმენ შენი მშობლიური ქვეყნის ჰანგებს. ამ სკოლებში ნამდვილად ქართული სული სუფევს. მოწიწებით ეპყრობიან და უფრთხილდებიან ქართულ კულტურულ ფასეულობებს; რა თქმა უნდა, იყო ურთიერთმიმართვები, რომლებიც ცხოველი ინტერესით ისმინებოდა. მოსკოველებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა მოსკოვისთვის ბრძოლების მონაწილის, ჩვენი ჯგუფის წევრის — დავით იაკობაშვილის მოგონებები. მართალია, ჩვენი მოსკოვში ყოფნა მხოლოდ 5 დღეს გაგრძელდა და სულ „ცაიტნოტში“ ვიმყოფებოდით, მაგრამ ჩვენი ძვირფასი მოსკოველი თანამემამულეების წყალობით ძალიან დიდი შთაბეჭდილებებით დავბრუნდით. რაც მთავარია, ვიგრძენით რუსი ხალხის კეთილი დამოკიდებულება ქართველებისადმი. ყველა მათგანი, ვისთანაც კი შეხვედრა გვქონდა, გამოთქვამდა სურვილს ჩვენს შორის ურთიერთობის აღდგენისა და განმტკიცებისათვის.

დასასრულ, გვინდა, ჩვენი მოსაზრება გამოვთქვათ საერთო რუსული საზოგადოებრივი ორგანიზაციის „რუსეთში ქართველთა კავშირის“ თაობაზე, რომელიც იმ ქვეყანაში ნამდვილად დიდ ქართულ საქმეს აკეთებს.

**გარდა მრავალი საქველმოქმედო საქმიანობისა, „რუსეთში ქართველთა კავშირი“ (პრეზიდენტი მ. ხუბუტია) დიდ მუშაობას ეწევა ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან ქართველ და რუს ხალხებს შორის მეგობრული კავშირის აღდგენისა და განმტკიცებისათვის, რომლის გარეშე ჩვენ, ქართველებს, მშვიდი ცხოვრება არასდროს გვექნება.**

ასევე მადლიერების გრძნობით გვინდა აღვნიშნოთ „რუსეთში ქართველთა კავშირის“ პრეზიდენტის, ბატონ მიხეილ ხუბუტიას ჩვენდამი გამოჩენილი დიდი ყურადღება ჩვენი ჯგუფის მოსკოვში ვიზიტისას.

განსაკუთრებით მადლობელი ვართ ბატონ ნუგზარ ჯიმშელეიშვილის, ქ-ნ ნონა მატუასა და ყველა მათი თანამშრომლის, რომლებმაც ყველაფერი იღონეს, რათა ჩვენი მოსკოვში ყოფნა საინტერესო და შთამბეჭდავი ყოფილიყო.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა ვუთხრთ, ასევე, ბატონ ნ. სვენტიცკის, რომლის ინიციატივით მოხდა ჩვენი ჯგუფის მოსკოვში გამგზავრება.

და ბოლოს, დიდ მადლობას მოვახსენებთ ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელს, ქალბატონ ლიკა ომიაძეს, რომლისაგანაც ყურადღება, მზრუნველობა და საოცარი სითბო დელეგაციის ყველა წევრს გამგზავრებიდან თბილისში დაბრუნებამდე ერთი წუთითაც არ მოგვკლებია.

**დელეგაციის წევრები:**

**დ. იაკობაშვილი,**
**შ. ბუაძე,**
**ს. მირზოიანი,**
**ლ. რომანოვა,**
**რ. დარსაძე.**
**ქ. მოსკოვი,**
**7-11 მაისი, 2010 წ.**

## გამარჯობა, ჩვენო მოსკოვ ქალაქო!

**ფაშიზმზე გამარჯვების 65 წლისთავთან დაკავშირებით რუსეთში მცხოვრებ ქართველთა საზოგადოების მიერ (პრეზიდენტი მ. ხუბუტია) საქართველოდან ქ. მოსკოვში მიიწვიეს ომის ვეტერანთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიოდნენ ქ. თბილისიდან — ლ. რომანოვა, შ. ბუაძე, დ. იაკობაშვილი, ს. მირზოიანი და ქ. ქუთაისიდან — რ. დარსაძე.**

ჯგუფი გულთბილად მიიღო როგორც ქალაქის მოსახლეობამ და საზოგადოების წარმომადგენლობამ, ასევე იქ მცხოვრებმა ქართველთა წარმომადგენლობამ.

**წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ყველა ჩვენთაგანზე ქართველთა საზოგადოების მიერ გაწეულმა საქველმოქმედო საქმიანობამ. მათი დახმარებით ადგილობრივი საქალაქო მმართველობის მჭიდრო საქმიანი ურთიერთობით მოსკოვში ფუნქციონირებს 2 საშუალო სკოლა და ქართული ეკლესიები. შექმნილია კულტურისა და ხელოვნების ცენტრები, მრავალმხრივ საქმიანობას ეწევიან შემოქმედებითი ორგანიზაციები.**

ზედმიწევნით გულთბილი შეხვედრები იყო ადგილობრივ მოსახლეობასთან, რომელიც ხაზს უსვამდა ფაშიზმზე გამარჯვების ისტორიულ



მნიშვნელობას და ამ საქმეში ხალხთა ერთიანობის უდიდეს როლს. ყველა ჩვენთაგანზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა წითელ მოედანზე გამართულმა სამხედრო აღლუმმა, რომელზეც მიწვეული იყო ჩვენი ჯგუფი. ყველა შეხვედრაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ კაცობრიობამ ფაშიზმის წინააღმდეგ ერთიანი ძალით გაიმარჯვა.

**11 მაისს გულთბილად გამოგვაცილეს მოსკოვსა და რუსეთში მცხოვრებმა ქართველთა საზოგადოების ხელმძღვანელობამ და უდიდესი შთაბეჭდილებებით დავბრუნდით ჩვენს სამშობლოში.**

ულრმეს მადლობას ვუხდით ღირსეული მეგზურობისათვის ქალბატონ ლიკა ომიაძეს.

**დ. იაკობაშვილი,**
**ჯგუფის წევრთა სახელით დიდი სამამულო ომის, ქ. მოსკოვის დაცვის მონაწილე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ჩან კაიში — განდევნილი ტრიუმფატორი



**უძველესი დროიდან ჩინელები თავიანთ ქვეყანას ცისქვეშეთის იმპერიას უწოდებენ. გასულ საუკუნეში ამ ცის კაბადონზე რამდენიმე ვარსკვლავი ენთო. ერთი მათგანი ჩინეთის ანტიმონარქისტული რევოლუციის მამა სუნ იატსენი გახლდათ, მეორე — გენერალისიმუსი ჩან კაიში, მესამე — მაო ძედუნი, მეოთხე კი — რეფორმების არქიტექტორი დენ სიაოპინი.**

ჩან კაიშიზე, როგორც წესი, ამბობენ: იყო ერთი ჩინელი ლიდერი, რომელიც ჩინეთიდან მაო ძედუნმა განდევნაო... სინამდვილეში **ჩან კაიში მეოთხედი საუკუნის განმავლობაში იყო ასობით მილიონი ჩინელის ბელადი, ხოლო 25 წელი — კუნძულ ტაივანის ლიდერი.** კარიერის ზენიტში მას დიად ადამიანს, იმ პლეადის წარმომადგენელ გმირს ეძახდნენ, 500 წელიწადში ერთხელ რომ იბადება.

ჩან კაიში ჩინეთის პროვინციაში, საპორტო ქალაქ ნინბოს მახლობლად, 1887 წლის 31 ოქტომბერს დაიბადა. მატიანის თანახმად, იგი იმ გვარს მიეკუთვნებოდა, რომელიც სათავეს ჩინეთის ისტორიაში ცნობილი მმართველის ჯოუ გუნის შთამომავლობიდან იღებდა. **მისი ნამდვილი სახელი ძიან ჯუნჯენი (ოფიციალური) და ძიან ძეში (შინაურული) იყო, ხოლო ჩან კაიში მისი ნამდვილი სახელისა და გვარის დამახინჯებული ტრანსკრიფციაა.** ძიან — მისი გვარია. სახელი **ძეში** ანუ „კლდესავით უდრეკი“ დედამ დაარქვა. მეორე სახელი — **ჯუნჯენი**, „ცენტრში მყოფი, ოქროს კვეთის ამრჩევი და სამართლიანი, წესიერი კაცი“, შეურჩიეს იმიტომ, რომ უძველესი დროის ჩინეთში პირდაპირ ადამიანებს ამ სახელით მოიხსენიებდნენ.

10 წლის ჩან კაიშის მამა და ბაბუა დაეღუპა. ოჯახი სიდუხჭირეში აღმოჩნდა, მაგრამ დედის წყალობით ბიჭმა სწავლა განაგრძო ჯერ სოფლის, შემდეგ კი მაზრის სკოლაში, სადაც საბაზო დისციპლინების გარდა უძველეს კლასიკურ წიგნებს შეისწავლიდა. 19 წლისამ თავისი ცხოვრებისეული გზა განსაზღვრა — გადაწყვიტა, სამხედრო გამხდარიყო და სიცოცხლე ჩინელი ერის ინტერესებისთვის ბრძოლას მიეძღვნა.

20 წლისა პირველად ჩავიდა იაპონიაში, სადაც ჩინურ რევოლუციურ მოძრაობას შეუერთდა, 1908 წელს კი სუნ იატსენის მიერ დაარსებულ რევოლუციურ ორგანიზაციაში გაერთიანდა. ჩინეთში 1911 წლის ანტიმონარქიული რევოლუციის დაწყების შემდეგ, ძიან ჯუნჯენი იაპონიიდან სამშობლოში დაბრუნდა, სადაც აქტიურად მონაწილეობდა რევოლუციურ მოვლენებში, რომელთა შემდგომაც სუნ იატსენი ჩინეთის რესპუბლიკის დროებითი პრეზიდენტი გახდა, მაგრამ მალე იძულებული შეიქნა, ეს პოსტი დაეტოვებინა და მომხრეებთან ერთად იაპონიაში გაქცეულიყო. გაქცევა მოუხდა ძიან ჯუნჯენსაც. შანხაიში ძიან ჯუნჯენი სახსრებს აგროვებდა სუნ იატსენის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი რევოლუციური მოძრაობისთვის. 1917 წელს სუნ იატსენმა იგი თავის კონსულტანტად დანიშნა სამხედრო საკითხებში.

**1921 წელს სუნ იატსენი ჩინეთის რესპუბლიკის საგანგებო და დიდ პრეზიდენტად აირჩიეს. მომდევნო წელს ძუან ჯუნჯენი სუნ იატსენს სამხედრო ამბოხის ჩახშობაში დაეხმარა და ამ დროიდან პრეზიდენტი მას თავის მემკვიდრედ და უმცროს ძმად მიიჩნევდა.**

1923 წელს სუნ იატსენმა გადაწყვიტა, რომ აუცილებელი იყო საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნა და ძიან ჯუნჯენი მოსკოვში გააგზავნა სამხედრო თანამშრომლობის დამყარების მიზნით.



ჩან კაიშის და მაო ძედუნის ბოლო შეხვედრა

**მოსკოვში ყოფნისას ძიან ჯუნჯენი კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ მაშინდელ ლიდერს ლ. ტროცკის (არ უნახავს სტალინი), კომინტერნის ხელმძღვანელს — გ. ზინოვიევსა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს — გ. ჩიჩერინს შეხვდა. ამასთან, რუსული ენის შესწავლაც დაიწყო. მოსკოვში ყოფნისას მისთვის ნათელი შეიქნა, რომ ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკა არც ერთ ქვეყანას ტოლს არ უდებდა უახლესი შეიარაღების შექმნაში, ისევე, როგორც საერთოდ, სამხედრო საქმეში.**

1925 წელს, სუნ იატსენის გარდაცვალების შემდეგ, გომინდანში ძიან ჯუნჯენი ყველაზე ძლიერი სამხედრო ფიგურა აღმოჩნდა. მან ხელთ იგდო ძალაუფლების სადავეები პარტიასა და მთავრობაში და ფაქტობრივად, გომინდანის ლიდერი გახდა.

1911 წლის რევოლუციის შემდეგ ჩინეთი, ფაქტობრივად, რამდენიმე ცალკეულ რეგიონად დანაწევრებული აღმოჩნდა, რომელთაგან თითოეულს სათავეში ედგა სამხედრო ხელმძღვანელობა, ესა თუ ის სამხედრო მმართველი. ამ პერიოდში ძალზე მწვავედ იდგა ჩინეთის გაერთიანების საკითხი ერთი ცენტრალური მთავრობის ძალაუფლების ქვეშ. ამ ამოცანის გადაჭრა კი მხოლოდ ძლიერი არმიის მეშვეობით შეიძლებოდა, რომლის შექმნაც ჯერ კიდევ სუნ იატსენმა დაიწყო. მაშინ მისი მთავრობა სამხრეთ ჩინეთში, ქალაქ გუანჯოუში (კანტონში) იმყოფებოდა. ამიტომ არმიას ქვეყნის ჩრდილოეთით ლაშქრობისთვის ამზადებდნენ. აღსანიშნავია, რომ გომინდანის პარტიის შეიარაღებული ძალები საბჭოთა კავშირის ფინანსური დახმარებით იქმნებოდა და მოსკოვი ჩინეთში ერთობ ნიჭიერ სარდლებსაც აგზავნიდა. მათ შორის **ყველაზე გამორჩეული გახლდათ მომავალი მარშალი ვ. კ. ბლიუხერი, რომელიც ჩინეთში ზოი ვსევოლოდის ძე გალინის სახელით მუშაობდა. ამბობდნენ, რომ ძიან ჯუნჯენს ბლიუხერზე მზე და მთვარე ამოსდიოდა.** ბლიუხერისა და სხვა საბჭოთა სამხედროების წყალობით, ძიან ჯუნჯენის არმიამ გადამწყვეტ გამარჯვებას მიაღწია ჩრდილოეთის ლაშქრობის დროს.

1928 წელს ძიან ჯუნჯენმა ქვეყნის გაერთიანება შეძლო. ეს მისი ტრიუმფი იყო. 1931 წელს, როცა იაპონიამ აშკარა ინტერვენცია წამოიწყო მანჯურიის ხელში ჩაგდების მიზნით, ძიან ჯუნჯენი ერთდროულად სამი მოწინააღმდეგის წინაშე აღმოჩნდა: იაპონიის, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის. მაშინ ჩინეთმა და სსრკ-მა დიპლომატიური ურთიერთობები აღადგინეს.

1936 წლის ბოლოს ქალაქ სიანში ძიან ჯუნჯენის დაქვემდებარებაში მყოფმა ორმა გენერალმა იგი დააპატიმრა და მთავრობის გადადგომა და იაპონიის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ომის დაწყება მოსთხოვა. ხსენებული გენერლები მაო ძედუნის გავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ, რის გამოც ძიანის სიცოცხლეს რეალური საფრთხე ემუქრებოდა. ამის შეტყობისთანავე ჩინეთის მთავრობის მეთაურის მოვალეობის შემსრულებელი კუნ სიანსი შანხაიდან სასწრაფოდ ჩავიდა მაშინდელ დედაქალაქ ნანკინში, სადაც სსრკ-ის საელჩოს მდივანს ი. მ. ოშანინს შეხვდა და პირდაპირ განუცხადა: „თუ ძიან ჯუნჯენს მოკლავენ, ჩინეთი უთუოდ იაპონიას დაეყრდნობა და ჩინეთის მატერიალური და ადამიანთა რესურსები იაპონელი მილიტარისტების ხელში აღმოჩნდება, რაც სერიოზულ საფრთხეს წარმოშობს აზიისა და სსრკ-სთვის. ვიმედოვნებ, რომ სსრკ გამონახავს საშუალებას ძიან ჯუნჯენის სიცოცხლის საგარანტიოდ.“

**სტალინმა ზეწოლა მოახდინა მაო ძედუნზე და ძიან ჯუნჯენის მკვლელობა არ დაუშვა. ჯუნჯენი გაათავისუფლეს და იგი ნანკინში დაბრუნდა, რის შემდეგაც ჩინეთის კომუნისტურ პარტიასთან ერთად იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნას დათანხმდა.**

1937 წელს დაიწყო იაპონიის ფართომასშტაბური აგრესია ჩინეთის წინააღმდეგ. ძიან ჯუნჯენი ჩინეთის რესპუბლიკის გენერალისიმუსად დანიშნეს. 1938 წელს ძიან ჯუნჯენმა ოფიციალურად და ფორმალურად მიიღო უმაღლესი ძალაუფლება ჩინეთის რესპუბლიკაში. ამ დროიდან იგი საყოველთაოდ აღიარებულ ბელადად იქცა.

1941 წელს ძიან ჯუნჯენის საიდუმლო სამსახურმა ტყვე იაპონელებისგან შეიტყო, რომ იაპონია ჰავაის კუნძულებზე განთავსებულ აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალებზე თავდასხმას აპირებდა. ვაშინგტონში ჩინეთის რესპუბლიკის სამხედრო ატაშეს მეშვეობით ეს ცნობა ამერიკელებს გადასცეს. აშშ-მა კი მიიჩნია, რომ ჩინეთის დაზვერვა ამ გზით ცდილობდა ამერიკა-იაპონიის ურთიერთობების გაფუჭებას. მაშინ **რუზველტმა ძიან ჯუნჯენს არ დაუჯერა და შედეგად პერლ-ჰარბორი მიიღო.**

ძიან ჯუნჯენმა კი მხოლოდ 1941 წლის დეკემბერში, როცა აშშ წყნარ ოკეანეში გაჩაღებულ ომში ჩათრეული აღმოჩნდა, ფორმალურად ომი გამოუცხადა იაპონიასა და მის მოკავშირეებს: გერმანიასა და იტალიას. 1942 წლის იანვარში ჩინეთის რესპუბლიკა სსრკ-ის, აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მოკავშირე გახდა მეორე მსოფლიო ომში.

ამ დროიდან, ჩინეთის მონაწილეობის წყალობით, გერმანიის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტი მართლაც საყოველთაო გახდა. მართალია, ჩინეთი მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას აქტიურ მოქმედებებს არ მიმართავდა, მაგრამ თავად მისი მოკავშირეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა. ძიან ჯუნჯენი ამ გარემოების გამოყენებით ლამობდა დასავლეთის ქვეყნების იძულებას, ჩინეთი თანასწორუფლებიან მოკავშირედ ეცნოთ და მიაღწია კიდეც მიზანს. სტალინის თანხმობით კი ჩინეთის რესპუბლიკა გაეროს უშიშროების საბჭოს ერთ-ერთ მუდმივ წევრად იქცა. 1945 წელი იაპონიაზე გამარჯვებისა და ძიან ჯუნჯენის, როგორც ნაციის სამხედრო და სახელმწიფო ხელმძღვანელის ტრიუმფის წლად იქცა.

1945 წლის აგვისტო-ოქტომბერში ჩუნცინში ერთმანეთს შეხვდნენ ძიან ჯუნჯენი და მაო ძედუნი, რომლებიც მას შემდეგ, რაც გომინდანისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის გზები გაიყარა, არ ურთიერთობდნენ. ეს შეხვედრა უშედეგო და უკანასკნელი აღმოჩნდა. ხელისუფლებისთვის ბრძოლა ძიან ჯუნჯენსა და მაო ძედუნს შორის უკომპრომისო იყო. 1946 წელს დაიწყო ფართომასშტაბიანი სამოქალაქო ომი გომინდანსა და კომუნისტურ პარტიას შორის. იმავე წლის შუა ხანებში კომუნისტური პარტია იერიშზე გადავიდა.

1949 წელს ძიან ჯუნჯენი სიჩუანის პროვინციიდან კუნძულ ტაივანზე გაფრინდა, სადაც მისი მოღვაწეობის ტაივანური პერიოდი დაიწყო. იგი 60 წლისა იყო და უკვე პოლიტიკიდან წასვლაზე ფიქრობდა, მაგრამ ისეთი ვითარება შეიქნა, რომ იძულებული გახდა, პასუხისმგებლობა აეღო ჩინელი ხალხის იმ ნაწილზე, რომელსაც არასოდეს უცხოვრია მაო ძედუნის მმართველობის ქვეშ და არც სურდა, ეცხოვრა. ტაივანზე ძიან ჯუნჯენმა, უპირველესად, წესრიგი დაამყარა თავის პოლიტიკურ პარტიაში და აგრარული რეფორმის განხორციელება დაიწყო. გლეხებს საზოგადოებრივი მიწების შესყიდვის საშუალება მიეცათ.

1972 წელს ძიან ჯუნჯენის ვაჟი ძიან ძინგო ტაივანის მთავრობის ხელმძღვანელი გახდა. ძიან ჯუნჯენი მაშინ უკვე 86 წლის იყო და მძიმედ ავადმყოფობდა. 1975 წლის 5 აპრილს იგი გულის უკმარისობით გარდაიცვალა, ჩინელებს კი ანდერძად დაუბარა სუნ იატსენისეული სამი პრინციპი: **გაეჯანსაღებინათ ჩინეთის კონტინენტური ნაწილი, აეღორძინებინათ ეროვნული კულტურა და თავდადებით დაეცვათ დემოკრატია...**



ჩან კაიში, რუზველტი და ჩერჩილი



ჩან კაიში და მისი მეუღლე გენერალ-ლეიტენანტ ჯოზეფ სტილველთან ერთად

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ირლანდიის რესპუბლიკური არმია

**ირლანდიის რესპუბლიკური არმია (Irish Republican Army) გასამხედროებული ირლანდიური დაჯგუფებაა, რომლის საყრდენსაც ჩრდილოეთ ირლანდიის კათოლიკური მოსახლეობის ნაწილი წარმოადგენს. მისი მიზანი ირლანდიის სრული დამოუკიდებლობის მიღწევა — უპირატესად, ჩრდილოეთ ირლანდიის (ოლსტერი) ირლანდიასთან გაერთიანებაა. უმთავრეს მოწინააღმდეგეებად ირა გაერთიანებული სამეფოს შემადგენლობაში პროვინციის შენარჩუნების მომხრეებს მიიჩნევს; უპირისპირდება ბრიტანეთის ძალოვან სტრუქტურებსა და პროტესტანტულ ტერორისტულ დაჯგუფებებს.**



პატრიკ პირსი



„ჭეშმარიტი“ ირა-ს ტერაქტი ომაში



მაკკევითის დაკავება



ირა-ს ბოევიკი

ირა-ს ისტორია სათავეს 1916 წლის დუბლინში მომხდარი სააღდგომო ამბოხიდან იღებს. აჯანყებას პატრიკ პირსი ხელმძღვანელობდა, რომელმაც 24 აპრილს, ამბოხის დაწყებისას, პირადად გამოაცხადა ირლანდიის დამოუკიდებლობა. მეამბოხეებმა დუბლინის ცენტრში რამდენიმე შენობა აიღეს, მათ შორის ფოსტამტი და ვაგზლებიც; შექმნეს დროებითი მთავრობა, მაგრამ ფართო მასებმა აჯანყებას მხარი არ დაუჭირეს და ის დუბლინის ქუჩებში ბრიტანულ არმიასთან, რომელსაც გენერალი მაქსუელი ხელმძღვანელობდა, სისხლიან შეტაკებაში გადაიზარდა. 1916 წლის 3 მაისს კი, სამხედრო სასამართლოს განაჩენით, პირსი და კიდევ ექვსი ლიდერი დახვრიტეს. რამდენიმე წლის შემდეგ კი ინგლისსა და ირლანდიას შორის ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებას, რომლის თანახმადაც ირლანდიამ დამოუკიდებლობა მიიღო, თუმცა ოლსტერის 6 საგრაფო დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩა.

**ირლანდიის რესპუბლიკური არმია 1916 წელს „ირლანდიელი მოხალისეებისა“ და „ირლანდიის სამოქალაქო არმიის“ შერწყმით შეიქმნა. „ირლანდიელი ვოლონტიერები“ შინ ფეინის (ირლანდიის პოლიტიკური ორგანიზაციების ერთობა, რომელიც სათავეს იღებდა 1905 წელს არტურ გრიფიტის მიერ შექმნილი ნაციონალისტური პარტიიდან) პარტიის შეიარაღებულ რაზმებსა და ფეინების (საიდუმლო ორგანიზაცია — „ირლანდიის რევოლუციური საძმო“) ორგანიზაციის მემკვიდრეებს აერთიანებდა, ხოლო „ირლანდიის სამოქალაქო არმია“ აღდგენის აჯანყების გმირმა ჯეიმს კონოლიმ მუშათა მოძრაობის დასაცავად შექმნა.**

ირა 1920-იან წლებში მარქსისტული სოციალიზმის იდეების მატარებელი იყო. 1920 წელს ინგლისის პოლიციის რეპრესიების საპასუხოდ ირლანდიის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრმა კატალ ბრუგამ გადაწყვიტა, სამხედრო მოქმედებები მეტროპოლიის ტერიტორიაზე გადაეტანა. ოპერაციებს ირა-ს ტექნიკური სამსახურის უფროსი ო'კონორი ხელმძღვანელობდა.

**ლონდონში, ლივერპულში, მანჩესტერში, გლაზგოსა და ნიუკასლში ირა თავს ესხმოდა სამრეწველო და სავაჭრო ობიექტებს, ტერაქტებს აწყობდა ოფიცრებზე, პოლიციელებსა და ჯარისკაცებზე. ბოევიკები თავდასხმას ამზადებდნენ ჩერჩილსა და ლოიდ ჯორჯზეც, მაგრამ ისინი დააკავეს.**

ინგლის-ირლანდიის შეთანხმების ხელმოწერისა და ირლანდიის პარლამენტის მიერ მისი რატიფიკაციის შემდეგ, ირა-ს რიგებში განხეთქილება მოხდა — მისი მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის, ისეთი თვალსაჩინო ფიგურები, როგორიც იყვნენ მაიკლ კოლინზი, რიჩარდ მულკაჰი და ოუენ დაფი, ახალშექმნილ ირლანდიის თავისუფალ სახელმწიფოს მიემხრნენ და საკვანძო პოსტები დაიკავეს „ნაციონალურ არმიაში“, დანარჩენებმა კი იარაღი ყოფილი თანამოაზრეების წინააღმდეგ მიმართეს. თუმცა ბრიტანეთის მხარდაჭერით გაძლიერებული ნაციონალური არმია უფრო ძლიერი აღმოჩნდა და 1923 წლის 24 მაისს ირა-ს შტაბის უფროსმა ფრენკ აიკენმა იარაღის დაყრის ბრძანება გასცა. დამორჩილებულებმა 1926 წელს შექმნეს ფიანა ფაილის პარტია იმონ დე ვალერას ხელმძღვანელობით, ურჩებმა კი იატაკქვეშეთს შეაფარეს თავი.

**1949 წელს ირა-მ თავისი საქმიანობის ცენტრი ჩრდილოეთ ირლანდიაში გადაიტანა, ხოლო 1969 წლიდან ქალაქი გერილის (ქალაქში პარტიზანული ბრძოლები) ტაქტიკაზე გადავიდა და რამდენიმე კონსპირაციულ ავტონომიურ ბირთვად დაიყო.** ზოგიერთი ჯგუფი შემდგომში ბრძოლის წმინდა ტერორისტულ მეთოდებზე გადავიდა, როგორც ჩრდილოეთ ირლანდიის, ასევე დიდი ბრიტანეთის დანარჩენ ტერიტორიაზე. 1969 წლის 14 აგვისტოს კონფლიქტის დასარეგულირებლად ლონდონმა რეგიონში ჯარები გაგზავნა.

**ძალადობამ „სისხლიანი კვირის“ (Bloody Sunday) შემდეგ იფეთქა, როცა ბრიტანელმა ჯარისკაცებმა სამოქალაქო უფლებებისთვის მებრძოლი უიარაღო დემონსტრანტები ჩაცხრილეს დერიში** (ჩრდილოეთ ირლანდია).

1972 წლის 30 მაისს ირა-მ აქტიური საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შესახებ განაცხადა. თუმცა რაკი ბრიტანეთის მთავრობა სეპარატისტებთან მოლაპარაკებებს უგულებელყოფდა, ირა-ს ბოევიკებმა ოლსტერისა და ინგლისის ტერიტორიაზე ტერაქტები განაახლეს. ირა-ს უმთავრესი ხელწერა იყო ასაფეთქებელი ნივთიერებებით გამოტენილი მანქანის აფეთქებამდე 90 წუთით ადრე დარეკვა და გაფრთხილება, რაც ადამიანურ მსხვერპლს ამცირებდა, მაგრამ შიშს თესდა. ზოგიერთი ცნობით, ირა იარაღს ლიბიისგან შესყიდიდა. ირა-ს ძირითადი სამიზნეები ბრიტანული არმიის ჯარისკაცები, პოლიციელები და მოსამართლეები იყვნენ.

1985 წლის 15 ნოემბერს ჰელსბოროს ციხესიმაგრეში დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიის რესპუბლიკას შორის დაიდო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ირლანდიის რესპუბლიკა კონსულტანტის სტატუსს იღებდა ჩრდილოეთ ირლანდიასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას. დიდ ბრიტანეთსა და ირლანდიას შორის გამართული ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, **1993 წლის 14 დეკემბერს ხელი მოეწერა „დაუნინგ-სთრითის დეკლარაციას,“ რომელმაც განამტკიცა ძალადობის უგულებელყოფის პრინციპები და ადგილობრივი პარლამენტისა და მთავრობის ჩამოყალიბება დაუშვა.** მაგრამ შეთანხმება არ შესრულდა ირა-ს ახალი ტერაქტების, კერძოდ კი ლონდონის ჰითროუს აეროპორტის ნაღმტყორცნით დაბომბვის გამო.

1998 წლის 15 აპრილს ბელფასტში დიდი ბრიტანეთის მთავრობამ და ჩრდილოეთ ირლანდიის ძირითადი პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა ხელი მოაწერეს „ვნების კვირის შეთანხმებას“ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისთვის ძალაუფლების გადაცემისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სტატუსის განსასაზღვრად რეფერენდუმის ჩატარების შესახებ. ჩრდილოირლანდიელ პროტესტანტებსა და კათოლიკებს შორის მოლაპარაკებები ჩაიშალა ქალაქ ომაში გამართული მორიგი ტერაქტის შემდეგ, რომლის შედეგადაც 29 კაცი დაიღუპა.

2006 წელს შოტლანდიის ქალაქ სენტ-ენდრიუსში მოლაპარაკებები გაიმართა ჩრდილოირლანდიურ პარტიათა ლიდერებსა და ირლანდიისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრებს შორის ადგილობრივი მმართველობის ორგანოებისთვის ოლსტერის გადაცემის საკითხზე.

ირა-ს პოლიტიკურ ფრთას წარმოადგენს შინ ფეინის პარტია, რომლის სახელწოდებაც ირლანდიურად ნიშნავს: „ჩვენ თვითონ“. 1969 წელს ხსენებული პარტია „დროებით“ და „ოფიციალურ“ პარტიებად დაიშალა. „ოფიციალურები“ მარქსიზმისკენ იხრებიან და მათ „შინ ფეინის მუშათა პარტია“ ეწოდებათ.

დროებითი ფრთა 1969 წლის აგვისტოში ჩამოყალიბდა, ლოიალისტური არეულობების ფონზე, რის შედეგადაც ბელფასტში კათოლიკეთა ასობით სახლი დაინგრა. **„დროებითები“ არ აღიარებდნენ ირლანდიის რესპუბლიკისა და გაერთიანებული სამეფოს ლეგიტიმურობას და ირლანდიის ერთადერთ კანონიერ მთავრობად ირა-ს არმიის საბჭოს მიიჩნევდნენ.** ახალი დაჯგუფება ტერორის მასშტაბური კამპანიის ინიცირებას აპირებდა. დაჯგუფების შემადგენლობაში შედიოდა „შიდა უსაფრთხოების ქვედანაყოფები,“ რომლებიც ბრიტანეთის ხელისუფლებასთან მოთანამშრომლე სამოქალაქო პირების ლიკვიდაციას ახდენდა. „დროებითები“ პატრულირებდნენ კათოლიკურ კვარტლებში, სადაც ოლსტერის სამეფო პოლიციისა და ბრიტანეთის არმიის გამოჩენა არასასურველი იყო. ოლსტერის უნივერსიტეტის მონაცემებით, **„დროებითებმა“ 1800 კაცის ლიკვიდაცია მოახდინეს, ხოლო სხვათა ცნობით, 6 ათასამდე სამხედრო და პოლიციელი იმსხვერპლეს.**

„მემკვიდრე“ ირა „დროებითებს“ შორის მომხდარი განხეთქილების შედეგად ჩამოყალიბდა. ახალი ფრაქციის შექმნის საბაბად იქცა უთანხმოება მმართველობის ოფიციალურ ორგანოებში მონაწილეობის თაობაზე, რაც ფართოდ განიხილეს 1986 წელს არმიის გენერალურ სხდომაზე.

„ჭეშმარიტი“ ირა კი 1997 წლის 12 ოქტომბერს შექმნეს „დროებითი“ ირა-ს ყოფილმა ოფიცერმა მაიკლ მაკკევითმა და მისმა 12 თანამოაზრემ. უთანხმოების მიზეზად შერიგების საკითხი იქცა. ჩამოყალიბებისთანავე „ჭეშმარიტებმა“ ტერორი დაიწყეს და 1998 წლის 7 იანვარს ბენბრიჯში ტერაქტის მოწყობას შეეცადნენ. 1998 წლის 15 აგვისტოს ტერაქტი განახორციელეს ომში, ტირონის საგრაფოში. 2001 წელს ირლანდიის სპეცსამსახურებმა, ბრიტანეთის კონტრდაზვერვის ხელშეწყობით, დუბლინში მაკკევითი დააკავეს და 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. თუმცა, „ჭეშმარიტმა“ ირა-მ აქციები მაინც არ შეწყვიტა. დღეს ორგანიზაცია 150 აქტიურ წევრს ითვლის. ბოლო ტერაქტი მათ 2010 წლის 12 აპრილს განახორციელეს.

**ირა-სთვის იარაღის ძირითად მიმწოდებლებად ლიბია და ამერიკელი ირლანდიელები, კერძოდ, ორგანიზაცია NORAID-ი მიიჩნევა. თუმცა ეს არხები მნიშვნელოვანწილად შეიზღუდა 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ. ასევე იარაღის ძირითად მიმწოდებლებად სახელდებიან კუბა, „პალესტინის გამათავისუფლებელი ორგანიზაცია,“ „ჰეზბოლაჰი,“ კოლუმბია და ესტონეთის გასამხედროებული ორგანიზაცია „კაიტესელიიტი.“**

ირა-ს პირველი მნიშვნელოვანი ინფილტრაცია 1970-იან წლებში მოხდა — იქ ბრიტანეთის სპეცსამსახურების აგენტებმა შეაღწიეს. **აგენტები ირა-ს უმაღლესი ჩინოსნები იყვნენ, მათ შორის, შინ ფეინის წევრი დენის დონალდსონი, რომელმაც 2005 წლის 16 დეკემბერს ტელევიზიით გამოსვლისას აღიარა, რომ 20 წლის განმავლობაში ბრიტანეთის აგენტი იყო.** ურთიერთშეტაკებისას ირა-მ 63 საკუთარი წევრის ლიკვიდირება მოახდინა იმ ეჭვების საფუძველზე, რომ ისინი ინფორმატორები იყვნენ.

დღეს ამ დაჯგუფების ძალას წარმოადგენენ რამდენიმე დუჟინი მონაწილე და მრავალი თანამოაზრე. მოქმედების ადგილი ჩრდილოეთ ირლანდია, ირლანდიის რესპუბლიკა, დიდი ბრიტანეთი და ევროპაა. ოპერაციების ჩატარების სტილით მას ეტა-ს ბასკურ დაჯგუფებას ამსგავსებენ და მასთან კავშირშიც ადანაშაულებენ.



ირა-მ ტერაქტები განაახლა დერიში



ირა-ს წვრთნები

გვერდები მოამზადა ნანა ჩარკვიანმა

გსურთ, გამოიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ბრძოლა მოსკოვთან

**ადოლფ ჰიტლერი სსრ კავშირის დედაქალაქისა და ყველაზე დიდი საბჭოთა ქალაქის — მოსკოვის აღებას „ბარბაროსას გეგმის“ ერთ-ერთ უმთავრეს სამხედრო და პოლიტიკურ მიზნად განიხილავდა. გერმანულ და დასავლეთის ქვეყნების სამხედრო ისტორიაში მოსკოვის აღება „ოპერაცია ტაიფუნის“ სახელწოდებითაა ცნობილი.**


მარშალი ჟუკოვი


ნოემბრის ყინვებში


მოსკოვის მისადგომებთან

**ბლიცკრიგის თავდაპირველი გეგმა („ბარბაროსას ოპერაცია“) მოსკოვის აღებას ომის პირველ სამ-ოთხ თვეში ითვალისწინებდა. მიუხედავად ვერმახტის წარმატებებისა ომის პირველ თვეებში, საბჭოთა ჯარების მძლავრმა წინააღმდეგობამ მის განხორციელებას ხელი შეუშალა.** კერძოდ, სმოლენსკისათვის ბრძოლამ (1941 წლის 10 ივლისი-10 სექტემბერი) გერმანიის იერიში მოსკოვზე ორი თვით შეაფერხა.

ასე რომ, მოსკოვზე იერიში მხოლოდ 30 სექტემბერს დაიწყო.

**1941 წლის 6 სექტემბერს ვერმახტის მთავარსარდალმა ადოლფ ჰიტლერმა თავის №35 დირექტივაში ზამთრის დადგომამდე საბჭოთა ჯარების განადგურების ბრძანება გასცა. 16 სექტემბერს, როცა კიევისათვის ბრძოლა დასასრულს უახლოვდებოდა, არმია „ცენტრის“ დაჯგუფების სარდლობამ დირექტივა გამოსცა მოსკოვის აღების ოპერაციის მომზადების შესახებ.** ოპერაცია „ტაიფუნი“ ითვალისწინებდა მძლავრი იერიშის მიტანას იმ დიდ დაჯგუფებებზე, რომლებიც დუხოვშჩინის (მე-3 სატანკო ჯგუფი), როსლავლის (მე-4 სატანკო ჯგუფი) და შოსტკის (მე-2 სატანკო ჯგუფი) რაიონებში იყო თავმოყრილი, მოსკოვის დამცველი წითელი არმიის ძირითადი ძალების ალყაში მოქცევას და მათ განადგურებას ბრიანსკისა და ვიაზმის რაიონებში, შემდეგ კი ჩრდილოეთიდან სამხრეთით მოსკოვისთვის შემოვლას მისი აღების მიზნით.

2 ოქტომბერს არმია „ცენტრის“ დაჯგუფების მთავარი ძალები მოსკოვის მიმართულებით იერიშზე გადავიდნენ. სსრკ უმაღლესმა მთავარსარდლობამ გადაწყვიტა ორიოლის თავდაცვის რეზერვიდან პირველი გვარდიული მსროლელთა კორპუსი ჩამოეყალიბებინა, მაგრამ გენერალ გუდერიანის ჯარების სწრაფი წინსვლის გამო გადაწყდა, რომ თავდაცვას უფრო ჩრდილოეთით განახორციელებდნენ. **3 ოქტომბერს 24-ე გერმანული მოტორიზებული კორპუსი ორიოლში შეიჭრა. 6 ოქტომბერს მე-17 სატანკო დივიზიამ — ბრიანსკი, ხოლო მე-18 სატანკო დივიზიამ კარაჩაევი დაიკავა და ბრიანსკის ფრონტის ძალებს გზა მოუჭრა. ფრონტის ხელმძღვანელი ა. ერემენკო იძულებული გახდა „ამოტრიალებული ფრონტის“ ბრძოლების გამართვის ბრძანება გაეცა.**

ბრიანსკის ალყაში აღმოჩნდნენ მე-3, მე-13, მე-15 საბჭოთა არმიები: 27 დივიზია, 2 სატანკო ბრიგადა, 19 საარტილერიო პოლკი. ალყის გარღვევის მცდელობისას ერემენკო დაიჭრა და სპეციალური თვითმფრინავით მოსკოვში გადაიყვანეს.

გერმანულმა ჯარებმა საბჭოთა თავდაცვის ფრონტი გაარღვიეს და 4 ოქტომბერს დაიკავეს სპას-დემენსკი და კიროვი, 5 ოქტომბერს — იუხნოვი. იმავე დღეს მოწინააღმდეგე ვიაზმის რაიონში შევიდა. ალყაში მოექცა 37 საბჭოთა დივიზია, 9 სატანკო ბრიგადა, 31 საარტილერიო პოლკი. 11 ოქტომბრამდე საბჭოთა ჯარები ალყის გარღვევას ლამობდნენ, მაგრამ იქიდან გამოღწევა მხოლოდ 85 ათასმა კაცმა შეძლო. **ვიაზმასა და ბრიანსკთან ტყვედ ჩავარდა 688 ათასზე მეტი საბჭოთა ჯარისკაცი და ოფიცერი. „ვიაზმის ქვაბურაში“ დაატყვევეს მე-19 არმიის მეთაური, გენერალ-ლეიტენანტი მ. ლუკინი და 32-ე არმიის მეთაური, გენერალ-მაიორი ს. ვიშნევსკი.**

ვიაზმისა და ბრიანსკის რაიონში სამხედრო მოქმედებათა წარუმატებელმა განვითარებამ დიდი საფრთხე შეუქმნა მოსკოვს. დასავლეთის მიმართულების ჯარების ხელმძღვანელობის გაერთიანების მიზნით, სარეზერვო ფრონტის დარჩენილი ჯარები 10 ოქტომბერს დასავლეთის ფრონტის შემადგენლობაში გადაიყვანეს და მეთაურად არმიის გენერალი გ. ჟუკოვი დაუნიშნეს. 12 ოქტომბერს დასავლეთის ფრონტს დაუქვემდებარეს მოჟაისკის თავდაცვის ხაზის ჯარები, დასავლეთის ფრონტის ჯარები კვლავ მძიმე მდგომარეობაში რჩებოდნენ: **მოსკოვის ზღვიდან (ივანოვოს წყალსაცავიდან) კალუგამდე ფრონტის შემადგენლობა მხოლოდ 90 ათას კაცს ითვლიდა. ამ პირობებში ფრონტის სარდლობა ცდილობდა მოსკოვისკენ მიმავალი გზები — ვოლოკოლამსკის, მოჟაისკის, მალოიაროსლავეცისა და კალუგის მიმართულებები გადაეკეტა.**

13 ოქტომბერს დაეცა კალუგა, 16 ოქტომბერს — ბოროვსკი, 18 ოქტომბერს — მოჟაისკი და მალოიაროსლავეცი. მოწინააღმდეგემ შეჩერება მხოლოდ მდინარე პროტვასა და ნარას მიჯნაზე მოხერხდა.

16 ოქტომბერს დაიწყო ვერმახტის გენერალური შეტევა ვოლოკოლამსკის მიმართულებით. მიუხედავად საბჭოთა ჯარების თავგანწირული წინააღმდეგობისა, 1941 წლის ოქტომბრის ბოლოს გერმანიის მე-4 არმიისა და მეოთხე სატანკო ჯგუფის ჯარებმა დასავლეთის ფრონტის მთელ ხაზზე საბჭოთა დაჯგუფებებს ნელ-ნელა უკან, მოსკოვისკენ დაახევინეს. **ოქტომბრის ბოლოს ბრძოლები უკვე დედაქალაქიდან 80-100 კმ-ში მიმდინარეობდა.**

15 ოქტომბერს სსრკ-ის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მოსკოვის ევაკუაციის გადაწყვეტილება მიიღო. მეორე დღესვე **დაიწყო გენშტაბის, სამხედრო აკადემიის, სახალხო კომისარიატებისა და სხვა დაწესებულებების ევაკუაცია მოსკოვიდან კუიბიშევსა და სარატოვში; დაინაღმა ქარხნები, ელექტროსადგურები, ხიდები.** 16 ოქტომბერს ქალაქში პანიკა დაიწყო. 20 ოქტომბერს თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მოსკოვსა და მიმდებარე რაიონებში საალყო მდგომარეობა შემოიღო.

ამავდროულად გერმანიის მე-3 სატანკო ჯგუფი კალინინისკენ შებრუნდა და 14 ოქტომბერს აიღო კიდეც ქალაქი. ასეთი ქმედების ძირითადი ამოცანა მე-9 არმიისა და მე-3 სატანკო ჯგუფის ძალებით ახალი „ქვაბურის“ შექმნა იყო არმიის „ცენტრის“ დაჯგუფების ჩრდილოეთ ფლანგზე.

ჩრდილო-დასავლეთიდან დედაქალაქის დასაცავად 17 ოქტომბერს დასავლეთის ფრონტის მარჯვენა ფრთის ჯარების ბაზაზე შეიქმნა კალინინის ფრონტი (გენერალ-პოლკოვნიკი ს. კონევი). ფრონტის ჯარები, ავიაციის მხარდაჭერით ყოველდღიურად უტევდნენ გერმანელებს კალინინის რაიონში. შედეგად, 23 ოქტომბერს ფონ ბოკმა დირექტივა გამოსცა კალინინის იერიშის შეწყვეტაზე.

მოსკოვის იერიშის გასაახლებლად ვერმახტმა 51-ე, მათ რიცხვში 13 სატანკო და მე-7 მოტორიზებული დივიზია მიმართა. გერმანული სარდლობის ჩანაფიქრით, საბჭოთა ჯარების თავდაცვის საფლანგო ნაწილები უნდა გაენადგურებინათ და მოსკოვი ალყაში მოექციათ. საბჭოთა სარდლობამ ფრონტის საშიში მონაკვეთები რეზერვებითა და დამატებითი ძალებით გაამაგრა.

**დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა 1941 წლის 7 ნოემბერს წითელ მოედანზე გამართულ პარადს, რითაც სსრკ-ის მთავრობამ და პირადად სტალინმა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლის გადაწყვეტილების დემონსტრირება მოახდინა.**

გერმანულმა ჯარებმა მოსკოვზე შეტევა ჩრდილო-დასავლეთიდან 15-16 ნოემბერს, ხოლო სამხრეთ-დასავლეთიდან 18 ნოემბერს განაახლეს. მთავარ დარტყმებს მოწინააღმდეგე კლინ-როგაჩევისა და ტულუ-კაშირის მიმართულებით ახორციელებდა. ნოემბრის ბოლოსთვის მოწინააღმდეგემ კლინის, სოლნეჩნოგორსკის, ისტრის რაიონები აიღო და იახრომის რაიონში კრასნაია პოლიანა დაიკავა, მოსკოვიდან 27 კმ-ში. ჩრდილოეთის მიმართულებით გერმანელების შემდგომ წინსვლას ხელი შეუშალა ისტრის, ივანკოვოსა და მოსკოვის სახელობის წყალსაცავებიდან წყლის ვეება ნაკადებმა. მარშალ შაპოშნიკოვის მოგონებებით, **როგორც კი გერმანელები ამ მიჯნას მიუახლოვდნენ, წყალსაცავთა წყალგამშვებები ააფეთქეს, რის შედეგადაც წარმოიქმნა 2.5 მ სიმაღლის წყლის ნაკადი 50 კმ-ის მანძილზე. გერმანელებმა ვერაფრით ვერ გადაკეტეს წყალგამშვებები.**

ნოემბრის ბოლოს სასტიკი ბრძოლები მიმდინარეობდა კაშირისა და ტულის რაიონებში. 27 ნოემბერს საბჭოთა ჯარებმა კონტრიერიში მიიტანეს მე-2 სატანკო არმიაზე და ჯერ კაშირიდან გააძევეს, შემდეგ კი საწყის პოზიციებზე დააბრუნეს.

1 დეკემბერს არმია „ცენტრის“ დაჯგუფებამ ხელახლა სცადა მოსკოვისკენ გაჭრა არალევკის რაიონში, მაგრამ ეს მცდელობაც მარცხით დასრულდა. გენერალ მ. ეფრემოვის 33-ე არმიამ პოზიციები შეინარჩუნა. 2 დეკემბერს პირველი მოიერიშე და მე-20 არმიის მოწინავე ნაწილებმა მოსკოვის ჩრდილოეთით, დიმიტროვის რაიონში მოწინააღმდეგის ყველა შეტევა მოიგერიეს და აიძულეს, შეტევა შეეწყვიტა. 3-5 დეკემბერს პირველმა მოიერიშე და მე-20 არმიებმა რამდენიმე ძლიერი კონტრშეტევა განახორციელეს იახრომისა და კრასნაია პოლიანას რაიონში და მტერი შეავიწროვეს. მე-16 არმიის მარცხენა ფლანგის დივიზიებმა მე-5 არმიასთან ერთად მოწინააღმდეგე მდინარე მოსკოვის განშტოებებიდან ზვენიგოროდის ჩრდილო-აღმოსავლეთით გადაისროლა.

მოსკოვის ბრძოლის თავდაცვითი ეტაპის მიმდინარეობისას საბჭოთა სარდლობამ მოწინააღმდეგეს თავს მოახვია „გამოფიტვამდე ბრძოლა,“ როცა ბრძოლაში ერთვება უკანასკნელი ბატალიონი, რომელმაც მისი ბედი უნდა გადაწყვიტოს და თუ ორთაბრძოლებისას გერმანული სარდლობის ყველა რეზერვი ამოიწურა, საბჭოთა სარდლობამ ძირითადი ძალების შენარჩუნება შეძლო (სტრატეგიული ბრძოლებში მხოლოდ პირველი დამრტყმელი და მე-20 არმიები ჩართეს).

გერმანიის მე-2 სატანკო არმიის სარდალმა გუდერიანმა თავის რეზიუმეში ჩაწერა: **„მოსკოვზე იერიში ჩაიშალა. ჩვენი მამაცი ჯარების ყველა ძალისხმევა და მსხვერპლი ამაო გამოდგა. ჩვენ სერიოზული მარცხი განვიცადეთ, რომელმაც უმაღლესი მთავარსარდლობის სიჯიუტის გამო საბედისწერო შედეგებამდე მიგვიყვანა... გერმანული არმიის ძალები და მორალური სულისკვეთება განადგურდა“.**

5 დეკემბერს კალინინის ფრონტის ჯარები (გენერალ-პოლკოვნიკი ს. კონევი), ხოლო 6 დეკემბერს დასავლეთისა (არმიის გენერალი გ. ჟუკოვი) და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების (მარშალი ს. ტიმოშენკო) მარჯვენა ფრთები კონტრიერიშზე გადავიდნენ. ამ დროისათვის საბჭოთა ჯარები 1 მლნ ჯარისკაცსა და ოფიცერზე მეტს ითვლიდა. მოსკოვთან საბჭოთა კონტრიერიშის მიმდინარეობისას განხორციელდა კალინინის, კლინსკო-სოლნეჩნოგორსკის, ნაროფომინო-ბოროვის, ელეცის, ტულის, კალუგისა და ბელევო-კოზელის მოიერიშე ოპერაციებიც.

19 დეკემბერს **მოსკოვიდან უკან დახევის შემდეგ, სახმელეთო ჯარების მთავარსარდლის თანამდებობიდან გადააყენეს გენერალ-ფელდმარშალი ფონ ბრაუხიჩი, არმიის სარდლობა თავად ჰიტლერმა ჩაიბარა. იმავე დღეს გენერალ-ფელდმარშალი ფონ ბოკი არმია „ცენტრის“ დაჯგუფების ხელმძღვანელის პოსტიდან გაათავისუფლეს** და მის ადგილზე მე-4 არმიის სარდალი, გენერალ-ფელდმარშალი ფონ კლიუგე დანიშნეს.

საბჭოთა ჯარების მიერ განხორციელებული კონტრიერიშის შედეგად გერმანიის ჯარები 100-250 კმ-ზე იქნა გადასროლილი და მთლიანად გათავისუფლდა ტულის, რიაზანისა და მოსკოვის ოლქები.



1941 წლის 7 ნოემბრის პარადი

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ოპერაცია «მონასტერი» და აგენტ მაქსის საქმე



პაველ სუდოპლატოვი

**1941 წლის ზაფხულში საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს ოპერაცია, რომელიც სადაზვერვო საქმის სახელმძღვანელოებში შევიდა და დღემდე სტრატეგიული რადიოთამაშების ეტალონად მიიჩნევა. ის პრაქტიკულად მთელი ომის განმავლობაში მიმდინარეობდა და სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა კოდურ სახელწოდებას ატარებდა: „მონასტერი,“ „კურიერი,“ „ბერეზინო.“**





რუდოლფ აბელი



ნაუმ ეიტინგონი



ვილჰელმ კანარისი

გენერალ სუდოპლატოვის მოგონებით, ოპერაცია „მონასტრის“ მიზანი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მოქმედ აბვერის აგენტურულ ქსელში საბჭოთა მზვერავების ჩანერგვა იყო. ამისათვის **სასწრაფოდ შეიქმნა პროგერმანული ანტისაბჭოთა მონარქისტული ორგანიზაცია „პრესტოლი,“ რომელიც გერმანიის უმაღლეს სარდლობასთან კოტაქტების გამოძებნას ცდილობდა.** მის ხელმძღვანელად დაინიშნა ნიჟეგოროდელი თავადების ყოფილი წინამძღოლი გლებოვი, ორგანიზაციის წევრებს შორის იყვნენ სამეფო კარის ყოფილი პოეტი ბორის სადოვსკი და ხელოვნებათმცოდნე ალექსეი სიდოროვიც. თავის დროზე ორივე გერმანიაში სწავლობდა და გერმანიის სპეცსამსახურების თვალთახედვის არეშიც მოექცა.

**„თამაშში“ ჩართეს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის საიდუმლო თანამშრომელი ალექსანდრე დემიანოვი, რომლის ოპერატიული ფსევდონიმიც გახლდათ „ჰაინე.“** ომის დაწყებამდე **დემიანოვით დაინტერესდნენ გერმანიის საელჩოს დიპლომატები, რომლებმაც მას მეტსახელად „მაქსი“ შეარქვეს, მაგრამ მისი გადაბირება ვეღარ მოასწრეს.** ენ-კა-ვე-დეს გამოცდილმა აგენტრმა მალე მოიპოვა პოეტი-მონარქისტის, ბორის სადოვსკის ნდობა, რის შემდეგაც კონტაქტი დაამყარა „პრესტოლის“ სხვა წევრებთანაც.

1942 წლის თებერვალში დემიანოვმა გჟატსკთან ფრონტის ხაზი გადაკვეთა და გერმანული კონტრდაზვერვის წარმომადგენლებთან შეხვედრა მოითხოვა. ადგილზე გამოცხადებულ აბვერის ოფიცერს „ლტოლვილმა“ იატაკქვეშა ორგანიზაცია „პრესტოლზე“ უამბო და განუცხადა, რომ ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ გერმანულ სარდლობასთან კონტაქტის დასამყარებლად იყო გამოგზავნილი. თავიდან, ცხადია, არ დაუჯერეს და წაუყენეს ულტიმატუმი: თუ სიმართლეს იტყვი, სიცოცხლეს შეგინარჩუნებთ და ომის დასასრულამდე საკონცენტრაციო ბანაკში გამყოფებთო. მოსაფიქრებლად ნახევარი საათი მისცეს და „მესამე ხარისხის წამებითაც“ დაემუქრნენ. ამას დაკითხვებისა და მკაცრი შემოწმებების სერია მოჰყვა, დახვრეტის იმიტაციის ჩათვლით. მაგრამ მზვერავმა მაინც არ უგულებელყო პირვანდელი ნათქვამი და შესაშური თავშეკავება გამოამჟღავნა. საბოლოოდ, „ანტისაბჭოური იატაკქვეშეთის ემისარს“ მაშინ დაუჯერეს, როცა ბერლინიდან დასტური მოვიდა: „დემიანოვი ნამდვილად ისაა, რადაც თავს ასაღებს.“ ამგვარად, აბვერის ხელმძღვანელობა მაქსის გამოყენებას დათანხმდა.

ამის შემდეგ სმოლენსკში მდებარე ერთ-ერთ ბინაში დემიანოვის მომზადება დაიწყეს საბჭოთა ზურგში სამუშაოდ: ასწავლიდნენ რადიოკავშირის დამყარებას, საიდუმლო დამწერლობას, შიფრს, ხოლო 1942 წლის 15 მარტს პარაშუტით ჩამოსვეს იაროსლავლის ოლქში. დემიანოვი მშვიდობიანად დაეშვა მიწაზე, თუ არ ჩავთვლით ნაღრძობ ფეხსა და ადგილობრივი გლეხების მტრულ შეხვედრას, რომლებმაც „გერმანელი ჯაშუში“ დააკავეს. კონვოის თანხლებით დემიანოვი ქალაქში გადაიყვანეს, საიდანაც მოსკოვში დარეკვა შეიძლებოდა და შესაბამისად, სირთულეებიც აღარ შექმნილა. ორკვირიანი პაუზის შემდეგ მაქსმა თავისი ახალი პატრონებისთვის პირველი ინფორმაციების გადაცემა დაიწყო.

ანატოლი სუდოპლატოვი იხსენებდა, რომ **გერმანულ არქივებში ოპერაცია „მონასტერი“ „აგენტ მაქსის საქმის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. თავის მემუარებში გელენი დიდ შეფასებას აძლევდა აგენტ მაქსს, როგორც ომის ყველაზე მძიმე წლებში სტრატეგიული სამხედრო ინფორმაციის მთავარი წყაროს საბჭოთა უმაღლესი მთავარსარდლობის გეგმების შესახებ.** იგი ვერმახტის სარდლობას საყვედურობდა კიდეც, მაქსის მიერ საბჭოთა ჯარების კონტრშეტევის შესახებ მოსკოვიდან გადმოცემული დროული ცნობების იგნორირება რატომ მოახდინეთო.

1942 წლის აგვისტოში მაქსმა გერმანელებს აცნობა, რომ „პრესტოლის“ განკარგულებაში მყოფი რადიოგადამცემი ფუჭდებოდა. მალე დემიანოვის ბინაში საბჭოთა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი აბვერის ორი კურიერი — სტანკევიჩი და საკუროვი გამოცხადდნენ. ფული და სურსათ-სანოვაგე მიუტანეს და ახალი რადიოგადამცემის ადგილსამყოფელი შეატყობინეს.

**„ჩემი წინადადებით, გერმანელ აგენტთა პირველი ჯგუფი 10 დღის განმავლობაში არ უნდა დაგვეკავებინა, — იხსენებდა მოგვიანებით სუდოპლატოვი, — ამ შემთხვევაში შეგვეძლო შეგვემოწმებინა მათი შეხვედრის ადგილები და გაგვეგო, კიდევ ხომ არ ჰქონდათ ვინმესთან კავშირი... ბერიამ გამაფრთხილა: თუ ჯგუფი მოსკოვში ტერაქტს ან დივერსიას მოაწყობს, მხრებზე თავი არ შეგრჩებაო.“**

დემიანოვის ცოლმა ტატიანამ მოახერხა და სტუმრებს ჩაიში სპეციალური აბები ჩაუყარა. მათ ჩაეძინათ, ხოლო გამოცდილმა საბჭოთა ექსპერტებმა გააუვნებლეს მათი საბრძოლო მასალები, ხელყუმბარები და საწამლავები. მალე მეკავშირეები დააკავეს, სტანკევიჩი გადაიბირეს, იგი „ჰაინეს“ პარალელურად, მეორე რადიოგადამცემთან მუშაობდა.

ორი თვის შემდეგ ფრონტის ხაზი გადმოკვეთა კიდევ ორმა მეკავშირემ — დივერსანტებმა ზიუბინმა და ალაევმა, ორი რადიოგადამცემითა და სხვადასხვა ჯაშუშური აღჭურვილობით. მათ დავალებული ჰქონდათ, დახმარებოდნენ მაქსს, დამკვიდრებულიყვნენ მოსკოვში, შეეგროვებინათ და გადაეცათ ინფორმაცია მეორე რადიოგადამცემით. ორივე აგენტი საბჭოთა დაზვერვამ გადაიბირა, ხოლო მათ ცენტრს შეატყობინეს, რომ წარმატებით შეუდგნენ დავალების შესრულებას.

**ამ დროიდან ოპერაცია ორი მიმართულებით ხორციელდებოდა: ერთი მხრივ — ანტისაბჭოთა ორგანიზაცია „პრესტოლისა“ და რეზიდენტ მაქსისა; მეორე მხრივ, აბვერის აგენტების — ზიუბინისა და ალაევის სახელით, რომლებიც საკუთარ კავშირებს ეყრდნობოდნენ მოსკოვში. დაიწყო ოპერაცია „მონასტერის“ ახალი სტადია, რომელსაც „კურიერი“ ეწოდა.**

1942 წლის ნოემბერში იაროსლავლში, მურომსა და რიაზანში ახალი აგენტების გადასროლის თაობაზე საკითხის წამოჭრისას მაქსმა გადასცა, რომ ამისათვის ყველაზე შესაფერისი ქალაქი გორკი იყო, რადგან იქ უკვე მოქმედებდა „პრესტოლის“ ერთ-ერთი ბირთვი. გერმანელები დათანხმდნენ, ხოლო საბჭოთა კონტრმზვერავებმა კურიერების შეხვედრაზე იზრუნეს. შემდგომში საგანგებოდ შერჩეულ ბინებში იძახებდნენ მტრის დაზვერვის ახალ-ახალ აგენტებს, ხოლო აბვერს სსრკ უშიშროების სახელმწიფო სამმართველოში მომზადებულ დეზინფორმაციებს აწვდიდნენ. დემიანოვმა გერმანელებს შთაბეჭდილება შეუქმნა, რომ მისმა ჯგუფმა გორკის მახლობლად დივერსიული აქტი განახორციელა რკინიგზაზე. აბვერის თვალში აგენტის რეპუტაციის განსამტკიცებლად საბჭოთა დაზვერვამ პრესაში რამდენიმე ცნობა გამოაქვეყნა რკინიგზაზე მომხდარი მავნებლობის შესახებ. გარდა ამისა, მაქსმა ცენტრს აცნობა, რომ გორკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, 15 კმ-ში, ვოლგის მარცხენა სანაპიროზე სამხედრო აეროდრომი აღმოაჩინა. ამ დეზინფორმაციის გადასაცემად საგანგებოდ შეირჩა აეროდრომისთვის გამოსადეგი მოედანი და ზედ მსუბუქი, თვალის მოსატყუებელი ნაგებობაც აიგო. გარკვეული ხნის შემდეგ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სამსახურმა შესაბამის ორგანოებს შეატყობინა, რომ მოწინააღმდეგის თვითმფრინავები ამ კვადრატში გამოჩნდნენ და აეროფოტოგადაღებაც განახორციელეს. მოკლე ხანში კი ცარიელ მინდორზე ასობით ბომბი ჩამოყარეს.

გერმანიის დაზვერვაში დემიანოვის მდგომარეობის გასამყარებლად მისი მეშვეობით მოწინააღმდეგისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის დეზინფორმაციის გადასაცემად, **იგი გენშტაბის ხელმძღვანელ მარშალ შაპოშნიკოვთან კავშირგაბმულობის ოფიცრად „მოაწყვეს.“ აბვერის შეფმა, ადმირალმა კანარისმა ეს უდიდეს წარმატებად მიიჩნია და ამაზე თავის მეტოქესთან, ეს-ესის ბრიგადენფიურერთან, ვალტერ შელენბერგთან დაიკვეხა.** მანაც, თავის მხრივ, ომის შემდგომ, ინგლისელების ტყვეობაში ყოფნისას დაწერილ მემუარებში შურით დაადასტურა, რომ სამხედრო დაზვერვას მარშალ შაპოშნიკოვის გვერდით „თავისი კაცი ჰყავდა“...

ბერლინში ძალიან კმაყოფილი იყვნენ აგენტ მაქსისა და ორგანიზაცია „პრესტოლის“ მუშაობით. **1942 წლის დეკემბერში ადმირალმა კანარისმა თავის მოსკოველ რეზიდენტს „რკინის ჯვრითა და ხმლით“ დაჯილდოება მიულოცა. რადიოთამაშების: „მონასტერისა“ და „კურიერის“ შედეგად დაკავებული იქნენ 23 გერმანელი აგენტი და მათი თანამოაზრენი, რომლებსაც თან ჰქონდათ 2 მლნ საბჭოთა რუბლზე მეტი, რამდენიმე რადიოსადგური, აუარება დოკუმენტი, იარაღი და ჯაშუშური აღჭურვილობა.**

მოგვიანებით გენერალი სუდოპლატოვი იმასაც წერდა, რომ: „ჰაინე-მაქსის მიერ გადაცემული დეზინფორმაციის წყალობით, გერმანელებმა არაერთგზის გადაიტანეს კურსკის შვერილზე შეტევის თარიღი, რაც ძალიან ხელსაყრელი იყო საბჭოთა არმიისათვის, რადგან ამან დიდწილად განაპირობა საბოლოო გამარჯვება“.

1944 წლის აგვისტოში მაქსმა თავის ადრესატებს აცნობა, რომ მდინარე ბერეზინოს რაიონში ალყაში იმყოფებოდა ვერმახტის 2-ათასკაციანი შენაერთი, არმია „ცენტრის“ დაჯგუფების შემადგენლობაში მყოფი 286-ე დივიზიის მეთაურის, პოდპოლკოვნიკ გერჰარდ შერჰორნის ხელმძღვანელობით. შერჰორნის კანდიდატურა შემთხვევით არ შეურჩევიათ: მის დაქვემდებარებაში მყოფ 36-ე პოლკს ცუდად იცნობდნენ გერმანიის ჯარებში და მწირი ცნობები ჰქონდათ თავად შერჰორნზეც.

წითელი არმიის სარდლობასა და დაზვერვას განზრახული ჰქონდათ არა მარტო გერმანიის სადაზვერვო ორგანოებისა და ავიაციის მუშაობის დესტაბილიზაცია, არამედ ვერმახტისთვის ზარალის მიყენებაც; ფრონტის ხაზთან უნდა მიეტყუებინათ გერმანული სამხედრო ნაწილი, რომელიც „თავისიანებისკენ“ გაჭრისას, საბჭოთა მოიერიშე დაჯგუფებას მოწინააღმდეგის ღრმა ზურგისკენ გზას გაუხსნიდა.

ერთი კვირის შემდეგ მაქსს გერმანულმა დაზვერვამ ალყაში მოქცეულ გერმანულ ნაწილთან დაკავშირებაში დახმარება სთხოვა და აცნობა, რომ მათთვის სხვადასხვა ტვირთის მიწოდება და რადისტის გაგზავნა სურდა. იმავე დღეს **პესჩანოეს ტბის რაიონისკენ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის, ნ. ეიტინგონის ხელმძღვანელობით დაიძრა ოპერატიული ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც 16 გამოცდილი ჩეკისტი, მათ შორის, პოდპოლკოვნიკი ისიდორ მაკლიარსკი (მას შერჰორნის როლი უნდა ეთამაშა) და ტექნიკური უზრუნველყოფის სპეციალისტი მაიორი ვილჰელმ ფიშერიც იყვნენ (ომის შემდეგ იგი მთელმა მსოფლიომ რუდოლფ აბელის სახელით გაიცნო).** ასე დაიწყო „მონასტერის“ მესამე ეტაპი — ოპერაცია, კოდური სახელწოდებით „ბერეზინო,“ რომელიც 8 თვეს გაგრძელდა და რომლის შედეგადაც ენ-კა-ვე-დემ გერმანელების მიერ საბჭოთა ზურგში გადმოსმული 22 დივერსანტი დააკავა; შერჰორნის შენაერთმა კი აბვერისაგან 13 რადიოსადგური, საბრძოლო მასალები და აღჭურვილობა, მედიკამენტები, სურსათ-სანოვაგე და 1.8 მლნ რუბლი მიიღო. ბოლო რადიოგრამაში, რომელიც „შერჰორნმა“ (ისიდორ მაკლიარსკიმ) აბვერიდან 1945 წლის 5 მაისს აგენტ მაქსის (დემიანოვი) მეშვეობით მიიღო, ნათქვამი იყო: „...შექმნილი გარემოებები გვაიძულებს თქვენთან რადიოკავშირის შეწყვეტას. რაც უნდა მოხდეს, მუდამ გვემახსოვრებით...“



„მონასტერის“ მესამე ეტაპი, ოპერაცია „ბერეზინო“

გვერდები მოამზადა **ნანა ჩარკვიანმა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# ბალიჭის შემოგარენი

## დბანის ხევი

**მას შემდეგ, რაც ქვეშის ციხიდან ჩრდილო-დასავლეთით ვიმოგზაურეთ და ქვეშეთი მოვიარეთ, ტანძიისა და გეტისწყლის ხეობათა სახით, უკან უნდა გამოვბრუნდეთ და მდინარე მაშავერას ავუყვეთ სამხრეთით. ვახუშტი ბატონიშვილი ამ ადგილების ცენტრად ბალიჭს და მის ხეობას ასახელებს, თუმცა დღეს აქ მთავარი კაზრეთია.**



კაზრეთის „სამება“ და მისი ბარელიეფი



სოფელ ქვეშთან, ცენტრალური საავტომობილო ტრასიდან აღმოსავლეთით, საკმაოდ გამართული და მკვიდრი გზა შედის თვალთაგან მოფარებულ ერთ პატარა და მშვენიერ, გაშლილ ხეობაში. ხეობის შუაგულში, ტყითა და მდელოებით გარსშემოწერილ ალაგზე, გაშენებულია სოფელი მუშევანი, რომელსაც სარწყავი წყლის გარდა, თითქოს, არაფერი აკლია. სამაგიეროდ, მიწაა უნოყიერესი, რომელზეც, რა გინდა სული და გული, რომ არ მოიწევა. ალბათ, მკითხველი მიმიხვდება, რისი თქმაც მსურს: აქ ქართველის ჭაჭანება არაა.

სოფლის ცენტრში, ერთადერთ დიდ წყაროსთან, მუდამ რიგია. მოდიან ტრაქტორებით, ავტომობილებით, ურიკებით, ცხენებით, სახედრებითა და მოაქვთ ლითონის თულუხჩები, რომ 2-3 დღის სასმელი წყალი მოიმარაგონ. ვერ ვიტყვით, ამ გაჭირვების გამოა თუ არა, მაგრამ აქაურები, ქვემოქართლის სხვა თარაქამებში, უცხვირპირობითა და ფარული აგრესიულობით გამოირჩევიან. კიდევ კარგი, ნატაძრალი, რომელსაც ვეძებთ, სწორედ ამ წყაროს თავზე, ერთ ტყიან გორაზე დგას, თორემ მიგნება ნამდვილად გაგვიჭირდებოდა. ავდივართ და რას ვხედავთ — ჩვენს თვალწინ დგას განვითარებული შუასაუკუნეების ნაეკლესიარის ერთადერთი, ჩრდილოეთის კედელი, კოხტად აყვანილი, პილასტრის ლამაზი კაპიტელებითა და კრონშტეინებით, აქა-იქ შემორჩენილი ჩუქურთმებით. ჩრდილოეთ კედლის ფასადზე მოკლე ასომთავრული წარწერაა შემონახული: **„ქრისტე, შეიწყალე“.**

დანარჩენი კედლის ფრაგმენტები: წყვილ-წყვილად შედუღაბებული ლოდები თუ ცალკეული ქვები ირგვლივ არის მიმოფანტული. მავანსა და მავანს საქეიფოდ ქვის მაგიდა და ჩამოსასხდომიც გაუმართავს პერანგისა და კამარის ამ ლოდებით. ტაძარი ჟამთა სვლას კი არა ჟამთა სიავეს დაუნგრევია, თანაც არც თუ ისე დიდი ხნის წინათ — იგი აფეთქებულს ჰგავს. კარგა ხნის წინათ ფოლადაურის ხეობაში ე. წ. ფორთ-ფორთის ტერიტორიაზე ნანახი, უძველესი რელიეფური ასომთავრულწარწერიანი „წმიდა გიორგი“ გვახსენდება, რომლის მთავარ დარბაზში სამხრეთის



მუშევანის ნანგრევები



კედლის ძირში ორი ხვრელი ვნახეთ. დინამიტისთვის ხომ არ იყო გამზადებული ის ხვრელები? იქნებ მუშევანის ტაძარი სწორედ ასე ააფეთქეს და ახლა ფოლადაურის საყდარსაც იგივე ელოდება? ვინ იცის, მსგავსი ეჭვები რამდენჯერ გაგვჩენია მოგზაურობის დროს...

ცენტრალურ საავტომობილო ტრასას ვუბრუნდებით და სამხრეთით მივუყვებით. სოფელ კიანეთში შევდივართ. გზის მარცხენა კიდეზე ერთი კოხტა, გალავანში მდგარი საყდარია. ეს კიანეთის „სამებაა“. ხუროთმოძღვრული ნიშნების ანალიზის საფუძველზე, ძეგლი X საუკუნისაა, მაგრამ მის კედლებში ჩასმული მოჩუქურთმებული და წარწერიანი ქვები ამ ძეგლისათვის უცხოდ გამოიყურება, ზოგიერთი მათგანი VII საუკუნეს განეკუთვნება. კიანეთის ტაძრის მთავარი მორთულობა — ეს უცხო ორნამენტიანი ქვები სამხრეთ და აღმოსავლეთ ფასადებს ავსებს. თავად X საუკუნის ეკლესიის მშენებლის ნახელავი აქ მხოლოდ აღმოსავლეთ სარკმლის თასმა და იქვე ამოკვეთილი ჯვარია.

აღმოსავლეთ ფასადის ჩრდილოეთ კუთხეში აპირქვავებითაა ჩასმული წითელი ბაზალტის ქვა, რომელსაც ბოლნური ჯვარი და ოთხსტრიქონიანი ასომთავრული წარწერა აქვს. ეს ქვა, როგორც ჩანს, ქვაჯვარის ბაზისი უნდა ყოფილიყო და წარწერაც შესაბამისად გაიშიფრა: **„წმიდაო სამებაო, მე გლახაკმან სტეფანე ბოლნელ ეპისკოპოზმან აღვმართე ესე ჯუარი სალოცველად სულისა ჩუენთათვის. და ვინ აღმოიკითხოს, ლოცვასა მოგვიხსენეთ ჩუენ და ამის ჯურისა შემწენი. უფალო შეიწყალე სტეფანე ეპისკოპოსი“.** ეს წარწერა, თითქოს, IX საუკუნისა უნდა იყოს. წარწერა ინტერიერშიც არის.

სოფელ კიანეთში კიდევ ორი ეკლესიაა. ისინი ზედა უბანში დგანან. სასაფლაოს ეკლესია ძველ ნაფუძარზე უნდა იყოს აგებული, რადგან სამხრეთ კედლის წყობაში, ზედ ზეძირკველზე მუქი რუხი ქვაჯვარის ფრაგმენტებია ჰორიზონტალურად ჩატანებული. ეს ქვაჯვარი, ორნამენტების ხასიათიდან გამომდინარე, ადრეშუასაუკუნეებისა უნდა იყოს.

კიდევ უფრო საინტერესოა ამ საყდრიდან სამხრეთით მდგარი წმინდა გიორგის ეკლესია. მას კამარა აღარა აქვს. ქვათა სუფთა თლა და წყობა თვალშისაცემია, თუმცა შეკეთების ზოგიერთი კვალიც იკითხება.

ამ ტაძარში ყურადღებას იქცევს არქიტრავზე ამოკვეთილი დახვეწილი ბოლნური ჯვარი და ინტერიერში იმპოსტების მოჩუქურთმება. ჩრდილოეთ კედლის იმპოსტზე ჩუქურთმის თავზე შემორჩენილია გალეული ასომთავრული წარწერა, რომელშიც კიდევ ერთი ბოლნელი ეპისკოპოსის სახელი გვხვდება: **„აიგო წმიდაი ესე ეკლესიაი ხელითა მიქაელ ეპისკოპოზისაითა“.**

წარწერაცა და ტაძარიც X-XI საუკუნეებით თარიღდება.

დაბა კაზრეთის გადასახვევის შემდეგ, დმანისის მიმართულებით, გზიდან მარცხენა მხარეს, რომელსაც ორსაყდრები ჰქვია, ორი ეკლესიაა. ზედა ეკლესია შედარებით გვიანდელია და ვერაფრით იქცევს ყურადღებას. ქვედა ეკლესია გაცილებით ადრინდელია და საინტერესოც. იგი მეორედ აშენებულს ჰგავს, რადგან მის კედლებში ძველისძველი ქვაჯვარი, ბაზისი და სხვადასხვა დანიშნულების ლოდია ჩართული. ამ მხრივ განსაკუთრებით ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლები გამოირჩევა. ორსაყდრების ორივე ეკლესია დღეისათვის რესტავრირებულია.

დაბა კაზრეთისკენ ვუხვევთ. მის მახლობლად, მადნეულის კარიერისკენ მიმავალი გზის პირას, პატარა მდინარე კაზრეთულას მარჯვენა ნაპირზე, ისპიანად წოდებულ ადგილზე, აღმართულია XII-XIII საუკუნეების „სამების“ ჩინებული დარბაზული საყდარი. ეს ალაგი ტაძრის მშენებლებს შემთხვევით და ოდენ სილამაზის გამო არ შეურჩევიათ — როგორც არქეოლოგიური კვლევა ადასტურებს, აქ ჯერ კიდევ ადრებრინჯაოს ხანაში ყოფილა საცხოვრებელი, ადრერკინის ეპოქიდან კი მოზრდილ დასახლებას არსებობა არასდროს შეუწყვეტია.

კაზრეთის ტაძარი გალავანში ყოფილა მოქცეული. აქვე ყოფილა მოზრდილი სატრაპეზო.

კაზრეთის სამება, განვითარებული შუასაუკუნეების, კერძოდ კი XIII საუკუნის დასაწყისისთვის დამახასიათებელი დარბაზული ეკლესიების ალიკვალია: ზემსწრაფი სხეული, უზადოდ ნათალი და ერთმანეთზე მორგებული ქვები, დახვეწილი ჩუქურთმები, აღმოსავლეთ ფასადის დომინანტი, სამკაულებიანი, ჯვარი, მკვეთრი ბარელიეფები...

ლაშა-გიორგის მეფობის პერიოდში აგებული „სამება“ ერთხანს იავარქმნილა, მაგრამ 1672 წელს ბოლნელ მთავარეპისკოპოს ნიკოლოზს აღუდგენია.

რაკი ტაძარს მისასვლელი გზა ჩრდილოეთიდან ჰქონდა, ამიტომ მისი მთავარი კარი ამ მხრიდანაა გაჭრილი და მინაშენიც აქედან აქვს.

მეორე, ასევე ჩუქურთმებიანი პორტალი დასავლეთიდან აქვს ტაძარს და ყველაზე საუკეთესოდ სწორედ ამ მხარის ფასადია გაფორმებული. საყდარი მოქმედია...

კაზრეთს ზედ ეკვრის ძველი სოფელი ბალიჭი. ეს ადგილები, როგორც ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს **„ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა ნაყოფიერი“** ყოფილა და ამასთანავე **„ითხრებოდა ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლაჟვარდისა“.** დღეს ბალიჭში სპილენძის საბადოების ერთ-ერთი კარიერია. ძველი ეკლესია სრულიად დანგრეულა და მის ნაცვლად ახალი, კოხტა დარბაზული საყდარია წამომართული. იგი მოქმედია.

ბალიჭიდან სათხეში ავდივართ. გზაში გაგვიწვიმდა და მანქანასაც გაუჭირდა. ამიტომ, გარკვეულ მონაკვეთს ფეხით მივეშურებით. ტოპონიმი სათხე ჯავახეთშიც, კერძოდ კი ნინოწმინდის რაიონშიც გვხვდება, სადაც X საუკუნის კამარაჩამონგრეული ეკლესია დგას. ჯავახურ სათხესთან შედარებით, ქვემო ქართლის ტყიან მთაში ჩადგმული სათხის ხუროთმოძღვრული კომპლექსი უფრო მძაფრ განცდას იწვევს.

**მთავარი, დიდი ტაძარი, რომელიც ჩინებულად გათლილი და ერთმანეთზე მორგებული ოქროსფერი, მოვარდისფრო და ზოგან მუქი მწვანე კვადრებითაა აგებული, X საუკუნის ძეგლია. ტაძარს სამი მხრიდან მიდგმული აქვს XII საუკუნის ეგვტერი და სხვადასხვა სათავსო, რომელთა კედლებში უძველესი ეკლესიის ქვებია ჩაყოლებული.**

მთავარი შესასვლელი სამხრეთის მინაშენიდანაა. ძირითადი ტაძრის საკურთხევლის აფსიდის კედლებში, აქეთ-იქით სამკვეთლო და სადიაკვნოა შეჭრილი. სარკმლები შემკულია დახვეწილი ჩუქურთმებით.

სათხის „სამება“, როგორც ჩანს, მოხატულიც ყოფილა.

ტაძარს აქვს რამდენიმე წარწერა. მათ შორის ერთ-ერთი — სამხრეთ ფასადის აღმოსავლეთ კუთხეში — გვაუწყებს: **„ქრისტე შეიწყალე კვირიკე გალატოზი“.** ამავე სამთხრეთ ფასადის მარჯვენა სარკმლის წარწერა ასე იკითხება: **„ქრისტე, შეიწყალე ივანე ნიკოლოზის ძე და შეუნდვენ მას. ამენ!“** ეს პიროვნება, ალბათ, ხუროთმოძღვარია. ამავე ფასადის კიდევ ერთ წარწერაში ნახსენები არიან ვინმე იოვანე და გიორგი. მთავარი, ქტიტორული წარწერა მოთავსებულია აღმოსავლეთ ფასადზე, სარკმლის ჩუქურთმიანი თასმის ქვეშ; **„ქრისტე, შეიწყალე მიქაელ ციცი** (თუ ცოდვილი) **ბუწატი. ამენ!“**

სათხის ტაძარი, წერაქვის, კაზრეთის, ბინაძორისა და თედორეწმიდის საყდრებთან ერთად, დარბაზული ეკლესიების მშვენიერ ხუთეულს ქმნის ქვემო ქართლში.

**გელა ქოქიაშვილი**
ავტორის ფოტოები



სტეფანე ეპისკოპოსის წარწერიანი ქვა





კიანეთის „სამება“ და „წმ. გიორგი“ მიქაელ ეპისკოპოსის წარწერიანი პილასტრით



სათხის ეკლესია

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გენერალი პეტრე ბაგრატიონი

**სახელგანთქმული მხედართმთავარი პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი, საქართველოს სამეფო გვარეულობის შთამომავალი, დაიბადა 1765 წელს ყიზლარში. 17 წლის ასაკში ის სამხედრო სამსახურში შევიდა და მთელი სიცოცხლე მას შესწირა. ჩვენ არ ვეხებით ბაგრატიონის მოღვაწეობის ყველა პერიოდს, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იგი, მოყოლებული XVIII საუკუნის 80-იანი წლებიდან, მონაწილეობდა რუსეთის ყველა ომში და უბადლო გმირობით უკვდავყო თავისი სახელი და დიდება დაიმსახურა. პეტრე ბაგრატიონის განსაკუთრებული მხედართმთავრული ნიჭი ერთხელ კიდევ გამოვლინდა 1812 წელს, რუსეთის სამამულო ომში.**



პეტრე ბაგრატიონის ძეგლი მოსკოვში

ომის მოახლოებამ რუსეთის სამხედრო წრეები შედარებით ადრე აამოქმედა. ომისათვის მზადების პროცესში იმპერატორმა და უმაღლესმა სარდლობამ განიხილეს საომარი მოქმედების წარმართვის სხვადასხვა გეგმა. გეგმა წარმოადგინა ბაგრატიონმაც. მან თავისი მოსაზრებები მომავალი ომის ხასიათსა და მსვლელობაზე ჩამოაყალიბა სპეციალურ გეგმა-წერილში იმპერატორ ალექსანდრე I-ის სახელზე. გეგმის ძირითადი იდეა შეტევითი ომის წარმოება იყო.

ბაგრატიონის აზრით, რუსეთი არ უნდა დალოდებოდა მტრის თავდასხმას, არამედ თვითონ დაეწყო ომი, ვიდრე მოწინააღმდეგე მის საზღვრებთან ძალებს შეაგროვებდა და გაეშალა აქტიური საომარი მოქმედება საფრანგეთის მოკავშირე ქვეყნების (პოლონეთი, პრუსია, ავსტრია) ტერიტორიაზე. „ამრიგად, — წერდა ბაგრატიონი, — მიმაჩნია რა ომი არა მარტო გარდუვალად, არამედ აუცილებლადაც რუსეთის უსაფრთხოებისა და მისი წმიდათაწმიდა უფლებების დასაცავად, მე მგონია, რომ ამ შემთხვევაში უმთავრესია, ერთი მხრივ, თავი დავიზღვიოთ მოულოდნელი თავდასხმისაგან, ხოლო მეორე მხრივ, — მოვიგოთ დრო, სულ ცოტა ექვსი კვირა მაინც, რათა მივაყენოთ პირველი დარტყმები და ვაწარმოოთ შეტევითი და არა თავდაცვითი ომი“.

მოულოდნელად დაწყებული ომი, ჯარების სწრაფი გაადგილება და ამით მიღწეული წარმატებები, ბაგრატიონის აზრით, დააბნევდა მოწინააღმდეგეს, შეიტანდა მის რიგებში არევ-დარევას და, რაც მთავარია, ჩამოაცილებდა მას მოკავშირეებს — ავსტრიასა და პრუსიას, გაანეიტრალებდა პოლონეთს.

მიუხედავად იმისა, რომ ბაგრატიონის გეგმას ბევრი დადებითი მხარე ჰქონდა, რომელთა განხორციელებას დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო, ალექსანდრე პირველმა უარყო იგი და უპირატესობა გენერალ ფულის გეგმას მიანიჭა.

გენერალი კარლ-ლუდვიგ-ავგუსტ ფონ-ფული იმპერატორის ახლომყოფთაგან ყველაზე უნიჭო და კურიოზული ფიგურა იყო. ეს თავის თავში ჩაკეტილი, გარე სამყაროს მთლიანად მოწყვეტილი ადამიანი მხოლოდ თეორიას სცნობდა და წარმოუდგენლად სძულდა პრაქტიკა. მისთვის მთავარი იყო ომის ძირითადი ეტაპების ქაღალდზე გადატანა. იგი სრულიად არ ფიქრობდა იმაზე, თუ რა წინააღმდეგობები შეიძლებოდა აღმართულიყო კაბინეტში შემუშავებული გეგმის წინ, შეიძლებოდა თუ არა ამ გეგმის განხორციელება. ეს საკითხი მას სრულიად არ აწუხებდა. ცნობილია, რომ ფულმა თავისი სამშობლო — პრუსია ნაპოლეონთან ომში სრულ კატასტროფამდე მიიყვანა, რის შემდეგ იძულებული გახდა გადახვეწილიყო რუსეთში, სადაც 1806 წელს იგი დიდი პატივით მიიღო თვით იმპერატორმა. ალექსანდრე I-ს ოდნავ რომ ჰქონოდა ადამიანების გამოცნობის უნარი, ცხადია, ახლოსაც არ გაიკარებდა სამშობლოს მოღალატესა და უნიჭო პრუსიელ გენერალს. მან კი არა მარტო მიიღო იგი, არამედ უსაზღვრო ნდობაც გამოუცხადა, როდესაც მის მიერ შედგენილი საომარი მოქმედების გეგმა მიიღო.

ამ გეგმის ყველაზე სუსტ მხარეს რუსეთის ჯარების სამ ნაწილად დაყოფა წარმოადგენდა, რაც მაქსიმალურად გამოიყენა ნაპოლეონმა. მან ყველაფერი იღონა იმისათვის, რათა არ დაეშვა დაქუცმაცებული ძალების შეერთება. არანაკლებ დამღუპველი იყო გენერალ ფულის წინადადებით საზღვრიდან 150 კილომეტრის დაშორებით დრისას გამაგრებული ბანაკის მოწყობა.

არც ადგილმდებარეობით, არც შესრულებული სამუშაოების ხარისხით და არც რიმე სხვა თვალსაზრისით ეს ბანაკი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ჯარების თავმოყრისა და მტრისთვის პირველი სერიოზული წინააღმდეგობის გაწევის საიმედო სიმაგრე. მისი აღების შემდეგ, რაც აღნიშნული მიზეზების გამო არც ისე ძნელი იყო, ნაპოლეონს გზა ეხსნებოდა იმპერიის ორივე დედაქალაქისაკენ — მოსკოვისა და პეტერბურგისაკენ. სწორედ ამაში ხედავდნენ სამხედრო სპეციალისტები დრისას გამაგრებული ბანაკის უვარგისობას. ისინი პირდაპირ ეუბნებოდნენ იმპერატორს, რომ დრისაზე პოზიციის მოწყობის იდეა შეეძლო თავში მოსვლოდა ან გიჟს, ან სამშობლოს მოღალატეს და რომ საჭირო დაუყოვნებლივ მასზე უარის თქმა. რუსეთისათვის, რომელსაც მტრის 600-ათასიანი არმიის წინააღმდეგ შეეძლო მხოლოდ 200 ათასზე ოდნავ მეტი ჯარისკაცის გამოყვანა, სრულებით არ იყო ხელსაყრელი საზღვარზე, დრისას ბანაკთან გენერალურ ბრძოლაში ჩაბმა, როგორც ეს ფულის გეგმით იყო გათვალისწინებული. მაგრამ ალექსანდრე I გაჯიუტდა, ყურად არ იღო ეს გაფრთხილება, დაამტკიცა პრუსიელი გენერლის დამღუპველი გეგმა და შეუდგა მის მიხედვით მზადებას საომარი მოქმედებისათვის.

ამ „ბრძნული“ გეგმის შესაბამისად, როგორც უკვე ვთქვით, რუსეთის შეიარაღებული ძალები სამ არმიად დაიყო. პირველი არმია, რომელიც თავის შემადგენლობაში 120 ათას კაცს ითვლიდა, მდინარე ნემანზე იყო განლაგებული და მთავარი შტაბი ვილნოში ჰქონდა. მისი სარდალი გენერალი ბარკლაი დე ტოლი იყო. მეორე არმია, რომლის სარდალი პეტრე ბაგრატიონი იყო, 40 ათასამდე კაცს ითვლიდა, იდგა სამხრეთ ლიტვაში, ხოლო მთავარი შტაბი ვოლკოვისკში ჰქონდა. მესამე, ეგრეთ წოდებული სარეზერვო არმია, დაახლოებით 46 ათასი მებრძოლისაგან შედგებოდა, მისი სარდალი იყო გენერალი ტორმასოვი. ეს არმია დაბანაკებული იყო ვოლინის მხარეში მთავარი შტაბით — ქ. ლუცკში. პირველივე წარუმატებლობის შემთხვევაში ბარკლაის არმის დრისას ბანაკისაკენ უნდა დაეხია და იქ ჩაბმულიყო გენერალურ ბრძოლაში, რომელიც მისთვის არსებითად დამღუპველი იქნებოდა. რაც შეეხება მეორე არმიას, მას ამ დროს უნდა ემოქმედა მოწინააღმდეგის ფლანგებსა და ზურგში.

**დასასრული შემდეგ ნომერში**


ბაგრატიონი და კუტუზოვი




**გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეექვსე ნომერი**

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.




არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 38-41-97.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# 10 ყველაზე ახალგაზრდა და წარმატებული ბიზნესმენი

**ჟურნალმა CEO-მ გამოაქვეყნა თანამედროვეობის ყველაზე ახალგაზრდა და ცნობილ ბიზნესმენთა სია. რეიტინგში მოხვდნენ მხოლოდ ის ბიზნესმენები, რომლებმაც დამოუკიდებლად შექმნეს თავიანთი ბიზნესიმპერია 30 წლის ასაკამდე. საგულისხმოა, რომ ათეულის თითქმის ყველა წევრმა წარმატებას ინტერნეტისა და მაღალი ტექნოლოგიების წყალობით მიაღწია. მათი ინოვაციები და ბიზნესგადაწყვეტილებები კი ახლა მთელ მსოფლიოში გამოიყენება.**



პირველი ადგილი უკავია 24 წლის ამერიკელ **მეთ მულენვეგს**, ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული უფასო ბლოგების სერვისის — **Wordpress**-ის შემქმნელს. მეთმა Wordpress-ზე მუშაობა 19 წლისამ დაიწყო. თავისუფალ დროს წარმატებული ბიზნესმენი საქსოფონზე უკრავს.



მეორე ადგილზეა უდიდესი სოციალური ქსელის — **Facebook**-ის შემქმნელი და მსოფლიოში ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი, 23 წლის ამერიკელი **მარკ ცუკენბერგი.** ჟურნალმა „ფორბსმა" მისი ქონება 1.5 მლრდ დოლარად შეაფასა.



მესამე პოზიცია 18 წლის ამერიკელ **ეშლი ქუოლზს** უკავია, რომელმაც 15 წლის ასაკში შექმნა საიტი გოგონებისათვის — **Whateverlife.com**. მისი საიტის ტრაფიკი რამდენჯერმე აჭარბებს პოპულარული საიტების Seventeen, Teenvogue და Cosmogirl-ის ტრაფიკს და შესაბამის სარეკლამო შემოსავლებსაც იღებს.



ნუსხაში მეოთხე ადგილზეა 22 წლის ინდოელი **სუჰას გოპინატი,** რომელმაც 14 წლისამ დააარსა კომპანია Globals Inc და გინესის რეკორდების წიგნშიც მოხვდა. ახლა ის 11 ქვეყანაში არსებულ ოფისებს ხელმძღვანელობს.



ჩამონათვალში მეხუთე ადგილზე მოხვდა 31 წლის ამერიკელი **ჩად ჰერლი**, ვიდეო **YouTube**-ს სერვისი შექმნელი, რომელმაც თავისი პირმშო Google-ს 1.65 მლრდ დოლარად მიჰყიდა, მაგრამ დღემდე კურირებს.



მეექვსე ადგილი ერგო 19 წლის ინგლისელ **თომ თერლოუს**, რომელმაც ჯერ კიდევ მოწაფეობისას დააარსა საბავშვო წიგნების სავაჭრო კომპანია **Epi-culture**, რომელიც გამოსაწერ გამოცემებზეა სპეციალიზებული; ვაჭრობდა „ჰარი პოტერითაც."



მეშვიდე პოზიციაზე აღმოჩნდა **Comcate**-ის დამაარსებელი, 21 წლის **ბენ კასნოჩა**, რომელმაც, ასაკის მიუხედავად, უკვე დაწერა მემუარები ხმამაღალი სახელწოდებით: „ჩემი ცხოვრების სტარტი," რომელშიც ყველას ურჩევს, საკუთარი ბედის გენერალურ დირექტორებად იქცნენ.



მერვე ადგილი დაიკავა 30 წლის ინგლისელმა **ენდრიუ გოვერმა**, რომელმაც ჯერ კიდევ კემბრიჯში სწავლისას გამოიგონა თამაში **RuneScape.** მილიონობით გეიმერი მთელ მსოფლიოში თავგანწირვით ებრძვის გობლინებსა და ათასი ჯურის უწმინდურებს, ხოლო თამაშის რეგულარული განახლებები მათ იარაღის დაყრის საშუალებას არ აძლევს.



მეცხრე პოზიციაზეა 27 წლის ამერიკელი **ნოა გლასი,** რომელსაც თავის დროზე რესტორნებში რიგში დგომა მობეზრდა და მობილური ტელეფონებით შეკვეთების გაფორმების სერვისი შექმნა. ახლა ეს სისტემა მთელ მსოფლიოშია გავრცელებული.



ათეულს ასრულებს 26 წლის ინდური წარმოშობის ამერიკელი **გურბაკშ ჩენელი**, რომელმაც თავისი ონ-ლაინ რეკლამების სააგენტო გიგანტ Yahoo-ს 300 მლნ დოლარად მიჰყიდა.



# ქალური ცივი იარაღი

ფიქრობთ, რომ ის მსუბუქი, კომპაქტური და ნამდვილად ქალურია? სულაც არა, ნაგინატა ბასრპირიანი ორმეტრიანი კეტია, რომელიც ტრადიციულ იაპონურ ხმალს ჩამოჰგავს. თუმცა არა, ხმალი უფროა, რომელსაც ძალიან გრძელი ტარი აქვს. ბასრი პირის სიგრძე 30-60 სმ-ია (ძველ დროში 1.5 მ-საც აღწევდა) და სამართებელზე მჭრელია. ამიტომ სპეციალური ქარქაშიც აქვს. ტარის მეორე ბოლოზე ე. წ. იშიზუკი მაგრდება, რაც ბრძოლის დროს იარაღის ოპტიმალურად გამოყენების საშუალებას იძლევა. რასაკვირველია, ნაგინატა ყოველთვის არ ყოფილა ქალის იარაღი. იაპონიაში იგი ჩინეთიდან მოხვდა (ჩინეთში ამგვარ იარაღს დადაო ეწოდება) და ქვეყნის კულტურული ტრადიციების შესატყვისად შეიცვალა. ნაგინატა უნივერსალური იარაღია, რადგან ხმლის, შუბისა და ლატანის უპირატესობებს ითავსებს. ძალიან ეფექტიანია ერთდროულად რამდენიმე მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად. სამურაების ცოლები და ქალიშვილები ნაგინატათი ვარჯიშს იმდენსავე დროს უთმობდნენ, რამდენსაც მათი ქმრები და ძმები — ხმლით ვარჯიშს. ნაგინატა-ძიუცუს (ნაგინატათი ბრძოლის) უნარ-ჩვევების მქონე ქალი მარტოც იოლად უმკლავდებოდა სახლში შემოჭრილ თავზეხელაღებულთა ბანდას. ნაგინატა-დო, ალბათ, ერთადერთი თანამედროვე სპორტული ორთაბრძოლაა, რომელშიც, ძირითადად, ქალები მონაწილეობენ.

# უცნაური ეკლესია



ეს კათოლიკური ეკლესია გერმანიაში, სოფელ ტრუტცაინში მდებარეობს. ის ყოფილი საკონცენტრაციო ბანაკია, სადაც ამჟამად უმთავრესად მიგრანტები ცხოვრობენ. სოფელში რამდენიმე პატარა ფაბრიკა-სახელოსნო, კაფე, ბუხრების მაღაზია და ეს ეკლესიაა, რომელიც ომის შემდგომ აშენდა და არავითარ საეკლესიო კანონიკას არ შეესატყვისება. ნაგებობის ფორმა მიწიერი ცხოვრების წარმავლობას უსვამს ხაზს, ხოლო კედლებზე, ქრისტეს ფრესკების გვერდით გამოსახულია ბორკილები და საზარელი ელექტროსკამები.

# უჩვეულო მეტრო



სტოკჰოლმის მეტროს მსოფლიოში ყველაზე გრძელ სამხატვრო გალერეას უწოდებენ. 100 მეტროსადგურიდან 90 ტურისტებს საშუალებას აძლევს, ხელოვნების სხვადასხვა სახეობისა და მიმართულების წარმომადგენელთა შემოქმედებას გაეცნოს. აქ ნახავთ ზღაპრულ გროტებსაც (ბევრი სადგური კლდეშია ნაკვეთი) და ქანდაკებებსაც, კლასიკური არქიტექტურის კუთხეებსაც და კედლის რელიეფებსაც, მოზაიკებს, გრაფიტისა და ვიდეოინსტალაციებსაც კი. მეტროში ხშირად ეწყობა გამოფენები, სტოკჰოლმის მეტროს თავის ნამუშევრებს რამდენიმე ასეული მხატვარი აწვდის. უწინ სახელმწიფო ამ მიწისქვეშა გალერეაში ყოველწლიურად 1.5 მლნ დოლარის ინვესტიციას აკეთებდა.



# ყველაზე მაღალი მოდელი



კაროლინა ველცი მსოფლიოში ყველაზე მაღალი მოდელია. ნებისმიერ სტანდარტულ კარში შესვლისას მას მოხრა უხდება, ჩვეულებრივ მანქანაში ძლივს ეტევა, ხოლო სტანდარტული დივანი მისთვის მეტისმეტად პატარაა. ამიტომაც კაროლინა სპეციალურ ავეჯს იყენებს და სამოსსაც უკვეთავს. ველცი გერმანიაში, ქალაქ კელნში დაიბადა 1986 წლის 6 ივლისს. მისი სიმაღლე 2 მ და 6 სმ-ია, ხოლო ფეხების სიგრძე 1 მ-სა და 30 სმ-ს აღწევს. ქალიშვილი 117 კგ-ს იწონის.

# უდიდესი სარკე — უიუნის ტბა

ზღვის დონიდან 3650 მ-ზე, ბოლივიაში, ალტიპლანოს გაუკაცრიელებულ დაბლობზე მდებარეობს უიუნის დამშრალი ტბა, რომლის ფართობი 10.582 კვ.მ-ს შეადგენს და მსოფლიოში ყველაზე მლაშეა. მისი შიდა ნაწილი 2-8 მ სისქის საკვები მარილის ფენისგან შედგება. წვიმების სეზონზე მლაშობი წყლის თხელი ფენით იფარება და მსოფლიოში უდიდეს სარკედ გადაიქცევა, რომელიც სამხრეთ ამერიკის ლაჟვარდოვან ცას ირეკლავს...





ზოგიერთის შეფასებით, უიუნის მლაშობი 10 მლრდ ტონა მარილის მარაგს შეიცავს, საიდანაც ყოველწლიურად 25 ათას ტონა მარილს მოიპოვებენ. განვითარებული ტურიზმის წყალობით, უიუნის მლაშობზე ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მარილის ბლოკებისგან ოტელების მშენებლობა დაიწყეს. ყოველწლიურად აქ გასამრავლებლად სამხრეთამერიკული ფლამინგოს სამი სახეობის წარმომადგენელი — ჩილიური, ანდებისა და ჯეიმსის ფლამინგოები მოფრინავენ.

# ყველაზე იდუმალი ადგილი



პლანეტის ყველაზე იდუმალი ადგილი კალიფორნიაში მდებარეობს — აქ არ მოქმედებს ფიზიკის კანონები. ბურთები ქვევით კი არა, ზევით მიგორავენ, საგნები, რომლებიც ვერტიკალურ მდგომარეობაში უნდა იდგეს, იხრება, ხოლო ადამიანებს კედლებზე სიარული შეუძლიათ. ამბობენ, რომ ეს ადგილი ინდიელებმა, ოლონის ტომის მებრძოლებმა, აღმოაჩინეს და აქ მისტიკურ რიტუალებსაც მართავდნენ. აქ, რამდენიც უნდა იწვალო, სწორად ვერ დადგები, უთუოდ მიწისკენ გადაიხრები. ამასთან, აქ უფრო დაბალი ან უფრო მაღალი ჩანხარ, ვიდრე სინამდვილეში ხარ. საყოველთაო მიზიდულობის კანონიც თავისებურად მოქმედებს. ამ იდუმალ ტყეში ხშირად ჩამოდიან მეცნიერები, უამრავ ვერსიასაც განიხილავენ, მაგრამ აქაურ მოვლენებს ახსნას მაინც ვერ უძებნიან.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# განსაკუთრებით უჩვეულო შენობები


La Pedrera, ბარსელონა, ესპანეთი


Turning Torso, მალმო, შვედეთი


Burj al Arab, დუბაი, არაბთა გაერთიანებული საამიროები


The Wave Tower, დუბაი, არაბთა გაერთიანებული საამიროები


Raffles Dubai in Wafi city, დუბაი, არაბთა გაერთიანებული საამიროები


Eden project, დიდი ბრიტანეთი


Hallgrimur, რეიკიავიკი, ისლანდია


Tate Modern Addition, ლონდონი, დიდი ბრიტანეთი.


The Museum of Play, როჩესტერი, ნიუ იორკის შტატი, აშშ

# ყველაზე უჩვეულო აღსასრული

ჩვ. წ. აღ.-მდე 270 წელს, ლიარის პარადოქსის გამოყვანისას, პოეტი **ფილეტასი** უძილობით გარდაიცვალა;

ჩვ. წ. აღ.-მდე 207 წელს ბერძენი ფილოსოფოსი **ქრისიპე** სიცილით მოკვდა იმის ცქერისას, თუ როგორ ჭამდა მისი მთვრალი სახედარი ლეღვს;

1277 წელს **პაპი იოანე XXI** თავისი სამეცნიერო ლაბორატორიის ნანგრევებში დაიღუპა;


პაპი იოანე XXI

1478 წელს კლარენსის ჰერცოგი **ჯორჯ პლანტაგენეტი** სიკვდილით დასაჯეს — ღვინით სავსე კასრში დაახრჩვეს;

1671 წელს **ლუდოვიკო XIV მზარეულმა** თავი მოიკლა იმის გამო, რომ სამეფო სუფრაზე თევზის მიტანა დააგვიანა;

1850 წელს აშშ-ის მეთორმეტე პრეზიდენტმა **ზაქარი ტეილორმა** 4 ივლისის დღესასწაულის შემდეგ ძალიან ბევრი ნაყინი მიირთვა და სიმაძღრით გარდაიცვალა;

1884 წელს დეტექტივი **ალან პინკერტონი** განგრენით გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც ტროტუარზე წაქცევისას ენის წვერი მოიკვნიტა;

1927 წელს მოცეკვავე **აისიდორა დუნკანი** საკუთარმა ყელსახვევმა დაახრჩო, როცა მანქანიდან გადმოსვლისას ყელსახვევის წვერი ბორბალში მოყვა;


აისიდორა დუნკანი

1941 წელს მწერალ **შერვუდ ანდერსონს** კბილების საწმენდი ჩხირი გადაეყლაპა და მუცლის ღრუს ანთებით მოკვდა;

1943 წელს კრიტიკოსი **ალექსანდრ ვულკოტი** ადოლფ ჰიტლერის გაკიცხვისას გულის შეტევით გარდაიცვალა;

1944 წელს გამომგონებელი და ქიმიკოსი **თომას მიდგლი** შემთხვევით გაიგუდა მისსავე შექმნილი მექანიკური საწოლის კონსტრუქციაში;

1993 წელს **ბრუს ლის** ვაჟი **ბრენდონ ლი** ფილმ „ყვავის" გადაღებისას შემთხვევით მოკლეს. არავინ იცოდა, რომ პისტოლეტში ფუჭ ვაზნებთან ერთად ერთი ნამდვილიც იდო;

2003 წელს ამერიკელი ზოოლოგი **ტიმოთი ტრედველი**, რომელმაც 13 წელი ალასკაზე თეთრ დათვებთან გაატარა, ერთმა მათგანმა შეჭამა...

# ყველაზე უჩვეულო სასტუმროები

ჟურნალმა „ფორბსმა" გამოაქვეყნა აშშ-ის ყველაზე უჩვეულო სასტუმროების ნუსხა. რეიტინგის სათავეში სასტუმრო Dog Bark Park Inn-ი აღმოჩნდა, რომელიც აიდაჰოს შტატში მდებარეობს. ამ ოტელში სტუმრებს ხის გიგანტურ ძაღლში შეუძლიათ დაბინავდნენ, ხოლო არკანზასის შტატში სტუმრებს საშუალება აქვთ, ღამე ბუნგალოში გაათიონ, რომელიც კატების ოჯახის მოზრდილი წარმომადგენლებისთვის ლომების, ვეფხვებისა და ლეოპარდებისთვის გათვალისწინებული საშენის ტერიტორიაზე მდებარეობს. ფლორიდის შტატში მდებარე ოტელის ნომრები კი წყალქვეშ, 6.5 მ-ის სიღრმეშია განთავსებული. ამიტომ სტუმრები იქ აკვალანგებით ჩადიან. კონექტიკუტის შტატის სასტუმროში სტუმრებს 18 სხვადასხვაგვარ კოტეჯს, მათ შორის, ხეზე განთავსებულ სახლსა და შვეულმფრენისგან გაკეთებულ ოთახს სთავაზობენ. Liberty Hotel ბოსტონში, ციხის ყოფილ შენობაშია განთავსებული.



გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 38-41-97, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## კანადაში მონსტრი იპოვეს



**კანადის პატარა დასახლებაში, კიტჩენამეიკუსიბიში იპოვეს მკვდარი ცხოველი, რომლის რომელიმე ბიოლოგიური სახეობისათვის მიკუთვნება ამ დრომდე ვერ მოხერხდა.**

ძაღლმა სემმა გამელოტებული წავის მაგვარი ეს უჩვეულო არსება ტბიდან ამოათრია. სემის პატრონმა ნანადირევს სურათი გადაუღო და ქალაქის ხელისუფალთ აჩვენა.

ადგილობრივი პოლიციის ხელმძღვანელი აცხადებს, რომ წარმოდგენა არ აქვს, რა ჯიშის ცხოველი ამოიყვანა სემმა ტბიდან, ვინაიდან სპეციალისტებმა მის გვამსაც კი ვეღარ მიაგნეს.

უცნაური არსება მხოლოდ სურათებზეღა შემორჩა და სწორედ ამ სურათების მიხედვით მას უკვე უწოდეს მონტაუკის ახალი მონსტრი. პირველად ეს სახელწოდება ქალაქ მონტაუკის პლაჟზე 2008 წელს აღმოჩენილ მკვდარ არსებას დაერქვა, რომელიც სინამდვილეში, როგორც ბოლოს მეცნიერებმა დაასკვნეს, გამელოტებული ენოტი იყო.

## დედამიწელებს თავშესაფარს გვთავაზობენ



**ამერიკულმა კომპანია „Vivos"-მა პლანეტის მოსახლეობას შესთავაზა, ლუქსის კლასის ბუნკერში ადგილები დაჯავშნონ. კომპანიის აზრით, ამ ბუნკერში აპოკალიფსს უნდა შევაფაროთ თავი.**

ფირმის დამფუძნებელი რობერტ ვისინო მიიჩნევს, რომ სამყაროს აღსასრული, შესაძლოა, ნებისმიერ წუთს დადგეს. დედამიწის დაღუპვის მიზეზი შესაძლოა ბირთვული ომი, ბუნებრივი კატასტროფები ან სულაც პლანეტაზე ანარქიის გამეფება გახდეს. მართალია, ბუნკერი, რომელშიც ადგილების დაჯავშნა უკვე იწყება, ჯერაც არ აშენებულა, მაგრამ ვისინო ირწმუნება, რომ ეს იქნება თავშესაფარი, რომელიც მოვლენების ნებისმიერი სირთულით განვითარების შემთხვევაშიც კი გადაარჩენს სიცოცხლეს.

უდაბნოში აგებულ კომფორტულ მიწისქვეშეთში სულ 132 ადამიანის ადგილი იქნება. კომპლექსი, საცხოვრებელი ოთახების გარდა, მოიცავს საავადმყოფოს, სავარჯიშო ოთახებს, კომპიუტერულ კომპლექსს და ციხესაც კი. ბუნკერში ცხოვრება 50 000 დოლარი ღირს, ვისინო ირწმუნება, რომ ადგილების ნახევარი უკვე დაჯავშნულია.

მაგრამ არ იდარდოთ, კომპანიის ოფიციალურ საიტზე აღნიშნულია, რომ მსგავსი ნაგებობები აშშ-ის მთელ მიწისქვეშეთს მოიცავს და სულ 4 000-ზე მეტ ადამიანს შეიფარებს.

## აშშ-ის ფეხბურთელებს მოჩვენება აედევნათ



**აშშ-ის ნაკრების ფეხბურთელთა სავარჯიშო ბანაკში, რომელიც სამხრეთ-აფრიკულ პროვინცია გაუტენგში მდებარეობს, XIX საუკუნის დასაწყისის ინგლისელი ჯარისკაცის აჩრდილი დაბორიალობს.** მოჩვენება, ძირითადად, ღამღამობით ჩნდება. ადგილობრივი მცხოვრებლები ირწმუნებიან, რომ ეს იმ ჯარისკაცის აჩრდილია, რომელიც სწორედ ამერიკელი ფეხბურთელების ბანაკის ადგილას მოკლეს დაახლოებით 200 წლის წინათ.

# ობამა ახალი ომისთვის ემზადება?



**ბარაკ ობამას ადმინისტრაციის განცხადებები და ქმედებები, რომელთაც ის ბოლო პერიოდში ახორციელებს, მხოლოდ იმაზე მიუთითებს, რომ მსოფლიოში აშშ-ის საომარი აქტივობა გაიზრდება. არსებული ინფორმაციისა და დოკუმენტების მიხედვით, ამერიკის მომავალი ომია, თანაც უფრო მასშტაბური ომი, ვიდრე ოდესმე ყოფილა.**

განცხადებებსა და ქმედებებზე საუბრისას იგულისხმება თავდაცვის პოლიტიკის ოთხწლიანი მიმოხილვა (the Quadrennial Defense Review (QDR), ბირთვული პოტენციალის მდგომარეობის მიმოხილვა (the Nuclear Posture Review), ანგარიში ბალისტიკური რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ (the Ballistic Misisle Defense Report), ამასთანავე ნიუ იორკში 11-12 აპრილს ჩატარებული ბირთვული უსაფრთხოების სამიტი და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების მონაწილეთა 3-28 მაისის კონფერენცია. ამას უნდა დავუმატოთ ახლო აღმოსავლეთსა და ცენტრალურ აზიაში მიმდინარე ომები და პენტაგონის გადაწყვეტილება 2011 წლის თავდაცვის ბიუჯეტის „ოპტიმიზირების" თაობაზე.

**2010 წლის თებერვალში გამოქვეყნებული თავდაცვის პოლიტიკის ოთხწლიანი მიმოხილვის ავტორები ირწმუნებიან, რომ ამერიკას ათასი მხრიდან ემუქრება საფრთხე. ამიტომ აუცილებელია, ალყაშემორტყმული სამშობლოს დასაცავად ტრილიონობით დოლარი დაიხარჯოს უკვე მიმდინარე და მომავალში დაგეგმილი ომებისთვის.**

ბირთვული პოტენციალის მდგომარეობის ამსახველ მიმოხილვაში საუბარია იმაზე, რომ აშშ-ის მიზანია მსოფლიო ბირთვული იარაღის გარეშე, მაგრამ, მიუხედავად საკუთარი არსენალების დეკლარირებული შემცირებისა, პენტაგონი, აცხადებს რა, რომ მზადაა, გამოიყენოს და გაზარდოს „ბირთვული შეჩერების ჩვეულებრივი საშუალებები", რომელთაც ერთი საათის განმავლობაში მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში შეუძლიათ სამიზნის განადგურება.

**სხვა ყველაფერთან ერთად, 2010 წლის აპრილში გამოქვეყნებული ეს დოკუმენტი აშშ-ს უფლებას უტოვებს, ბირთვული საფრთხის შემთხვევაში, მოახდინოს ელვისებური საპასუხო რეაქცია და გამოიყენოს ბირთვული იარაღი არა მხოლოდ ბირთვული შეკავების, არამედ შეტევითი ოპერაციების დროსაც. დოკუმენტი პირველად ითვალისწინებს ბირთვული იარაღის გამოყენების უფლებას არაბირთვული ქვეყნების წინააღმდეგაც კი.**

პარალელურად, ობამა თავდაჯერებით აგრძელებს ბუშის ადმინისტრაციის მიერ დაწყებულ ომებს და კიდევ უფრო ზრდის ისედაც შეუდარებლად ძლიერ აშშ-ის სამხედრო შესაძლებლობებს.

თავდაცვის პოლიტიკის ოთხწლიანი მიმოხილვა არის 128-გვერდიანი დოკუმენტი, რომელიც კონგრესის კონტროლით ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ მზადდება და უახლოესი 20 წლის მანძილზე აშშ-ის სამხედრო აქტივობის პროგნოზს წარმოადგენს. პენტაგონისა და კონგრესის მიერ დანიშნული 20 ექსპერტისგან შემდგარი კომისია დოკუმენტს აანალიზებს და „დამოუკიდებელი" თვალთახედვით წარადგენს შესწორებებს. **კომისიის 11 წევრი, მათ შორის თავმჯდომარეები — თავდაცვის ყოფილი მინისტრი ვილიამ პერი და ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ყოფილი მრჩეველი სტივენ ჰედლი ამ კომისიაში სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ინტერესებს იცავენ.**

მართალია, პენტაგონი შესაძლო მესამე მსოფლიო ომისთვის მზადებას აუცილებლად მიიჩნევს, მაგრამ ახალი ანგარიში, ძირითადად, ახლო მომავალს მოიცავს და გრძელვადიან პერსპექტივებს არ განიხილავს. მასში აღნიშნული პრიორიტეტებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას სამი მათგანი იმსახურებს:

1. აუცილებელია უპირატესობის მოპოვება ავღანეთში, პაკისტანში, ერაყში, იემენსა და ყველა იმ მიმდინარე ომებში, რომლებშიც 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ჩაება ამერიკა. **ბუშისა და ობამას ადმინისტრაციების თავდაცვის მინისტრი რობერტ გეიტსი, წარადგენდა რა ანგარიშს 1 თებერვალს, განაცხადა: „მომავალ ომებში წარმატება დამოკიდებული იქნება წარმატებაზე იმ ომებში, რომელთაც ახლა ვაწარმოებთ". მინისტრს არ დაუკონკრეტებია, რომელ „მომავალ" ომებს გულისხმობდა.** ანგარიშში კი აღნიშნულია, რომ ერაყსა და ავღანეთში აშშ-ის გამარჯვება იქნება „პირველი ნაბიჯი სტრატეგიული მიზნების მიღწევის საქმეში";

2. თუ ადრე აშშ ცდილობდა, ორ დიდ ომში ერთდროულად ებრძოლა, ახალი ანგარიშის მიხედვით, ერთდროული სამხედრო ოპერაციების რაოდენობა კიდევ უფრო იზრდება. **ობამას ადმინისტრაცია აცხადებს, რომ „აუცილებელია დიდი ძალა, რომელიც დაიცავს აშშ-ის ინტერესებს მრავალრიცხოვანი საფრთხისგან, მათ შორის, იმ საფრთხეებისგანაც, რომლებიც ორი მტრული სახელმწიფოსგან მომდინარეობს". ამავე სქემაში იგულისხმება ავღანეთის ანალოგიური მასშტაბების „ანტიტერორისტული" ოპერაციები. სხვა სამიზნეებად მოიაზრებიან „ალ-ქაიდა", სომალის მსგავსი არშემდგარი სახელმწიფოები და სავსებით თავდაცვისუნარიანი ქვეყნები, რომელთაც არ სურთ, ამერიკას დაემორჩილონ (ირანი, კორეა და, შესაძლოა, ვენესუელაც);**

3. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშში ღიად არაა აღიარებული, ცხადია, ობამას ადმინისტრაციაში თვლიან, რომ ჩინეთი და რუსეთი არის ის ორი აგრესორი, რომელთან შეტაკებისთვისაც უნდა მოემზადოს ვაშინგტონი.

**საბოლოოდ აშშ, რომლის მოსახლეობაც პლანეტის მოსახლეობის 4,54%-ს შეადგენს, ომებსა და ომებისთვის მზადებაში უფრო მეტ ფულს ხარჯავს, ვიდრე დედამიწის სხვა ყველა ქვეყანა ერთად. 2010 წლისთვის ობამას მიერ პენტაგონისთვის დამტკიცებულმა ბიუჯეტმა 680 მილიარდი დოლარი შეადგინა, მაგრამ ვაშინგტონის მიერ ნაციონალურ უშიშროებაზე, ბირთვულ იარაღზე, 16 სადაზვერვო სააგენტოსა და სხვა დანარჩენ წვრილმანებზე გაღებული თანხების დაჯამებით სინამდვილეში ორჯერ მეტი აღმოჩნდა.**

აშშ-ის ყოველწლიური სამხედრო დანახარჯები ტრილიონ დოლარს აღემატება. 2010 წლის იანვარში ობამა ხალხისადმი მიმართვაში ამბობდა, რომ, ეკონომიის მიზნით, ზოგიერთი სახელმწიფო პროგრამა გაიყინება, მაგრამ ამ სიაში პენტაგონის ხარჯები, ცხადია, არ მოხვედრილა. თავად ობამა ცალსახად მიესალმება აშშ-ის სამხედრო ოპერაციებში უდიდეს ინვესტიციებს. **ობამას გადაწყვეტილებით, 2011 ფინანსურ წელს პენტაგონი 708 მილიარდ დოლარს (გარდა კონგრესის მიერ დამტკიცებული 33 მილიარდისა, რომელიც ავღანეთის ოპერაციაში დაწინაურებისთვის უნდა დაიხარჯოს) მიიღებს და ეს ბუშის ადმინისტრაციის 2009 წლის რეკორდულ ბიუჯეტსაც (651 მილიარდი დოლარი) აჭარბებს.**

**ამ დროისთვის აშშ-ის სამხედრო აქტივობა მთელ მსოფლიოს მოიცავს. როგორც ოთხწლიან ანგარიშშია აღნიშნული, აშშ არის ზესახელმწიფო გლობალური პასუხისმგებლობით. 400 000-მდე ამერიკელი ჯარისკაცი მთელი პლანეტის სხვადასხვა ობიექტზე განლაგებული.**

პენტაგონს მთელ მსოფლიოში ათასამდე სამხედრო ბაზა (მათ შორის, უშუალოდ კონფლიქტის ზონებშიც) აქვს, ყველა ოკეანეში მძლავრი ფლოტი ჰყავს, აქვს გლობალური საავიაციო ქსელი, კოსმოსური სამხედრო თანამგზავრები. მისი ბირთვული რაკეტები სრული მზადყოფნის მდგომარეობაშია და პოტენციური მოწინააღმდეგეების ქალაქებსა და სამხედრო ბაზებზეა დამიზნებული. ანგარიში ცხადყოფს, რომ არც ერთ ზემოჩამოთვლილ ობიექტზე დაცვა არ შესუსტდება, პირიქით, ის მხოლოდ გაძლიერდება ახალი შეტევითი სისტემების ექსპლოატაციაში ჩაშვების ხარჯზე.

**თუ გავითვალისწინებთ, რომ ერთადერთი, ვინც აშშ-ს ღიად ემუქრება, „ალ-ქაიდაა", ცხადი გახდება, რომ ამერიკის უპრეცენდენტო სამხედრო ძლიერება სხვა მიზნისკენაა მიმართული. ეს სხვა მიზანი კი მსოფლიო ჰეგემონიის შენარჩუნებაა, თუნდაც საამისოდ ყურებამდე იყოს ვალებში ჩაფლული.**

**ოთხწლიანი მიმოხილვის ავტორები შეშფოთებულნი არიან იმით, რომ ზოგიერთი სახელმწიფო თავის სტრატეგიულ ობიექტებთან წვდომას ზღუდავს. ეს კი, შესაძლოა, იმას ნიშნავდეს, რომ ისეთი ქვეყნები, როგორიც რუსეთი და ჩინეთია, აშშ-ის ხელთ არსებული იარაღის საპირისპირო სუპერთანამედროვე იარაღს ქმნიან და ამით ამერიკის სამხედრო ძალების მოძრაობას ყველგან, სადაც ეს პენტაგონს მოესურვება, წინ აღუდგებიან.**

ამ ტენდენციის აღსაკვეთად პენტაგონს შემდეგი გეგმები აქვს: „გაგრძელდეს განადგურების სისტემების განვითარება, გამოყენებულ იქნას უპირატესობა მიწისქვეშა ოპერაციებში, გაუმჯობესდეს სამხედრო პოტენციალი და ინფრასტრუქტურა, გარანტირებულ იქნას კოსმოსური სივრცის ხელმისაწვდომობა და მისი შესაძლებლობების გამოყენება. ამაღლდეს დაზვერვისა და თვალთვალის სისტემების საიმედოობა, განადგურდეს მოწინააღმდეგის შპიონური სისტემები და განხორციელდეს საზღვარგარეთ აშშ-ის ძალების აქტივიზება". **ამავე დროს ამერიკა ჩინეთისა და რუსეთის გარშემო ათავსებს ანტისარაკეტო სისტემებს, რომლებიც, ამერიკული შეტევის შემთხვევაში, საპასუხო დარტყმებს დაბლოკავს. ჩინეთის ავიაციის პოლკოვნიკი, აღიარებული სამხედრო სტრატეგი ცაი კსიუ ახლახან წერდა, რომ ჩინეთი მჭიდრო რაკეტსაწინააღმდეგო ალყაშია. სავსებით ნათელია, რომ ამერიკის „პოტენციურ მოწინააღმდეგეთა" სიას სათავეში სწორედ ჩინეთი უდგას, მეორე ადგილზე კი რუსეთია.**





*newsland.ru*

# ბერძნული ტრაგედია

**1919 წელს, პირველი მსოფლიო ომის დასრულებისას, გერმანელები (რომლებიც თავს ომში დამარცხებულებად არ მიიჩნევდნენ) მოკავშირე ხელისუფლებებმა და განსაკუთრებით, საფრანგეთმა, აიძულეს, ხელი მოეწერათ ვერსალის შეთანხმებაზე, რაც მათ რეპარაციის მძიმე ტვირთად დააწვა. მოთხოვნილ იქნა იმდენად ბევრი, ხელშეკრულების განხილვის მონაწილე ბრიტანელი ექსპერტი ჯონ მ. კეინსი თავის წიგნში „მშვიდობის ეკონომიკური შედეგები“ ასკვნის, რომ გერმანიისთვის მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსავლად კიდევ ერთი ომის დაწყება რჩებოდა.**



1920-იან წლებში გერმანია უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისს განიცდიდა, ინფლაცია იმდენად მაღალი იყო, რომ ხალხი მაღაზიაში ფულით სავსე კალათით მიდიოდა და ღამით ეშინოდათ, რომ მოპარავდნენ არა ფულს, არამედ — კალათს. ეროვნული ვალუტის დევალვაცია ისეთი იყო, რომ ერთი აშშ დოლარი 2,5 მილიონი გერმანული მარკა ღირდა.

**უმუშევრობის, შიმშილისა და ნულოვანი უსაფრთხოების მდგომარეობამ მესამე რეიხის დიქტატორული რეჟიმის წინაპირობა შექმნა. ამ რეჟიმის წყალობით კი გაჩნდა მრავალი სამუშაო ადგილი და მიღწეულ იქნა შედარებითი კეთილდღეობა, ოღონდ იმ რეცეპტების გამოყენებით, რომელთაც მოგვიანებით კეინსისეული უწოდეს. ამავე დროს დაიწყო შეჯიბრი შეიარაღებაში, რაც თავდაპირველად დადებითად შეაფასა უბრალო ხალხმა, მოგვიანებით კი მეორე მსოფლიო ომის მიზეზი გახდა.**

ინფლაციისგან დაზარალებული გერმანია სახელმწიფოებრივი და საოჯახო ფინანსების ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელებას შეუდგა.

დღეს ევროკავშირში გერმანიის ხმელთაშუაზღვისპირელი პარტნიორი საბერძნეთი საკუთარი წარმოების (ბიუჯეტის დიდი დეფიციტი, დიდი სახელმწიფო ვალი და გადახდაზე უარის თქმის დიდი ალბათობა) უმძიმეს კრიზისს განიცდის.

**ევროზე მიჯაჭვულობის გამო საბერძნეთს არ შეუძლია თავისი ვალუტის მკვეთრი დევალვაცია გამოიყენოს, რათა ანგარიშები „ამოქაჩოს“ და კონკურენტუნარიანობა გაზარდოს. ერთადერთი, რაც დარჩენია, ხელფასების შემცირებაა, მაგრამ „მონეტარული ილუზიის“ ტყვეობაში მყოფი პროფკავშირები ამის კატეგორიული წინააღმდეგი არიან.**

თუ საბერძნეთი თავის ვალებს არ უზრუნველყოფს, საერთაშორისო ფინანსური სისტემის დიდი ნაწილი (მათ შორის, გერმანული ბანკებიც) დაზარალდება. სწორედ ამიტომ იყო, რომ ეკონომისტ-ანალიტიკოსები და საერთაშორისო სავალუტო ფონდი ევროკავშირს (და განსაკუთრებით გერმანიას) თავისი რესურსების მნიშვნელოვანი ნაწილის საბერძნეთის გადასარჩენად გაღებას ურჩევდნენ. მათი აზრით, ეს გაცილებით იაფი დაუჯდებოდათ გადამრჩენებს, ვიდრე კრიზისის მომწიფების ლოდინი, მაგრამ პუნქტუალური გერმანელები თვლიან, რომ არასამართლიანია საკუთარი თავის მსხვერპლად შეწირვა იმისათვის, რომ ბერძნებმა უდარდელი ცხოვრება განაგრძონ.

**მსოფლიო სავალუტო ფონდი და საერთაშორისო საზოგადოება მართლები იყვნენ — გადარჩენა გაცილებით იაფი ჯდება, ვიდრე საბერძნეთის გაკოტრების შემდეგ პრობლემების აღმოფხვრა დაჯდება. მაგრამ მართლები იყვნენ მოკლევადიან პერსპექტივაში და არა — გრძელვადიანში, ვინაიდან ნებისმიერი გადარჩენა ზრდის „მორალურ რისკს“, ეს კი საზიანოა.**

სწორედ ასე გარისკეს გაკოტრებისთვის ძალიან დიდმა და ზედმეტად ურთიერთდაკავშირებულმა ფინანსურმა სტრუქტურებმა თავის დროზე. სწორედ ამან გამოიწვია მოგვიანებით ამერიკაში იპოთეკური კრიზისი, რომელმაც შემდგომ მთელი ევროპა ჩაითრია. ამ ფინანსურმა სტრუქტურებმა მშვენივრად იცოდნენ, რომ უარეს შემთხვევაში მათ ხელისუფლება გადაარჩენდა. სწორედ ასევე უპასუხისმგებლო ქმედების საშუალება აქვს საბერძნეთსაც, რომელმაც მშვენივრად იცის, რომ საბოლოო ჯამში „საერთაშორისო სოლიდარობა“ იზრუნებს მის გადარჩენაზე.

**საერთაშორისო საზოგადოებამ გადაწყვიტა, დაეხმაროს საბერძნეთს, მაგრამ მკვეთრი მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის პირობით, რაც დასაწყისში ბერძნების სოციალურ მდგომარეობაზე აისახება, მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში უკეთესობას განაპირობებს. პირობები მინი-ვერსალის ხელშეკრულებას სულაც არ მოგვაგონებს.**

*perevodika.ru*

# კრიზისი მხოლოდ იწყება

**ეკონომიკური კრიზისების წინასწარმეტყველება და შემდეგ მათზე დაკვირვება ჟაკ ატალის ერთ-ერთი საყვარელი საქმეა. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ყოფილი პრეზიდენტი საბერძნეთის კრიზისის შედეგებითაა გატაცებული. როგორი იქნება გაგრძელება? ევრონიუსისათვის მიცემულ ინტერვიუში ჟაკ ატალი პესიმისტურად აფასებს მოვლენებს, მათ შორის — საბერძნეთის დასახმარებელ ევროკავშირის სამიტსაც.**



სამიტი ძალიან დაგვიანებულია. სამი კვირით ადრე რომ ჩატარებულიყო, 40 მილიარდით გავიდოდა იოლად. ჯერ იყოყმანეს, იძახეს, რომ არ გააკეთებდნენ ამას, მაგრამ გააკეთეს. ეს ყველაზე უარესი გადაწყვეტილებაა, თქვა „არა“ და შემდეგ პირიქით მოიქცე.

მეორე, შემოთავაზებული მექანიზმი არაქმედითია. უზარმაზარ თანხებზე საუბრობენ, მაგრამ ბერძნებისთვის შემუშავებული ეკონომიის გეგმა აბსოლუტურად განუხორციელებელია. მათი დანახარჯების ძირითად ნაწილს შეადგენს თავდაცვის ბიუჯეტი, რომლის შეზღუდვაც არავის დაუვალებია.

**დღეს ევროპული ხელისუფლებები უარს აცხადებენ ერთადერთი სწორი და ქმედითი გადაწყვეტილების მიღებაზე — ევროპული ფასიანი ობლიგაციების გამოშვებასა და მათი დახმარებით მთელი ევროპის სახელით სესხებაზე. ეს ერთადერთი გადაწყვეტილებაა, რომელსაც ვალის შემცირება შეუძლია. ეკონომიკური ზრდის განახლების მოლოდინში, ვიდრე ეკონომიის ზომები იმოქმედებდეს, კატასტროფების თავიდან აცილებაა საჭირო. კატასტროფების თავიდან აცილებას ფულადი სესხები სჭირდება, საიმედო მსესხებლად კი მხოლოდ ევროკავშირი შეიძლება გამოდგეს. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე საამისოდ არაფერი გაკეთებულა.**

თავიდან იყო პატარა ამერიკული იპოთეკური კრიზისი, რომელიც შეიძლებოდა სულ 10 მილიარდი დოლარი დამჯდარიყო. არაფერი გაკეთდა და ის მსოფლიო საბანკო კრიზისში გადაიზარდა, რომელიც უკვე 500 მილიარდი ღირდა. ისევ არაფერი გაკეთდა, გარდა იმისა, რომ ყველაფერი გადასახადების გადამხდელებს დაეკისრათ და დაიწყო სახელმწიფო ვალების კრიზისი, რომელიც ახლა 7-8 ტრილიონი დოლარია.

**გადაწყდა, რომ კერძო ვალები სახელმწიფო ვალებში გადავიდოდა და სახელმწიფომ თანხმობა განაცხადა ყველანაირი ბანკის დანაკარგების დაფინანსებაზე, ანუ ხვალინდელმა გადასახადების გადამხდელმა უნდა აანაზღაუროს თავისი ვალიც და ეს შეცდომებიც.**

**ბანკები კვლავაც განაგრძობენ სპეკულაციას. საერთაშორისო ფინანსური წრეების ხელთ არსებულ სისტემაში აბსოლუტურად არაფერი შეცვლილა.**

საბერძნეთის გადასარჩენად მსოფლიო სავალუტო ფონდისთვის მიმართვა ულირსობა იყო, ვინაიდან ამით არაევროპელებს მიანდეს იმ პოლიტიკის არჩევის საქმე, რომლითაც ევროპულ ქვეყანას უნდა ეხელმძღვანელა, ანუ აირჩიეს ევროპული იდენტურობის დამანგრეველი სტრატეგია; არადა, მთავარი ტვირთი სწორედ ევროპელებს დააწვებათ. ამ კრიზისს ნებისმიერ შემთხვევაში ევროპელები აანაზღაურებენ.

**უკვე ათი წელია, ვამბობ, რომ თუ ერთიან ევროპულ ბიუჯეტს არ შევქმნით, ევრო გაქრება. ერთიან ვალუტას არ შეუძლია არსებობა ერთიანი ფისკალური და საბიუჯეტო პოლიტიკის გარეშე, ეს შეუძლებელია. მაგრამ მოხერხდება ამის გაკეთება? ჯერჯერობით საქმე გვაქვს XX საუკუნის პოლიტიკოსებთან, რომლებიც მთელი საუკუნით ჩამორჩნენ რეალობას.**

**ასე რომ, ყველაზე უარესი წინ გველის — 2-3 წელიწადში ან უფრო მალეც ევროპა დაიშლება. კრიზისი ჯერ მხოლოდ იწყება, ვინაიდან სახელმწიფო ვალები იზრდება და რეცესიაც არსად გამქრალა. ეს არ ეხება ჩინეთს, ინდოეთსა და აზიას, მაგრამ ევროპაში, აშშ-ში, იაპონიაში, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ყველა ქვეყანაში კრიზისია.**

ევროპას აქვს შანსი, კრიზისი გამოიყენოს როგორც საშუალება ყველაფრის გასაუმჯობესებლად. იმედს არ ვკარგავ, რომ მიხვდება, მისთვის ერთადერთი გამოსავალი, „ნაკლები ევროპა“ კი არა, „მეტი ევროპაა“.

**ბაზრები აუცილებლად გადაამოწმებენ, რას იზამენ პოლიტიკოსები, რომლებმაც არაფერი გააკეთეს საბერძნეთისთვის, ჯერ პორტუგალიისა და ესპანეთის, შემდეგ კი ბრიტანეთისთვისაც. ჩვენ ამ ქვეყნების სახელმწიფო ვალების ზრდის მომსწრენი გავხდებით.**

კატასტროფული სცენარია, მაგრამ პოლიტიკური კლასის გამოსაღვიძებლად ეს გზა აუცილებლად გასავლელია.

*Евроньюс*

## ბედნიერების ელექსირი



**ღვინისა და ლუდის მოყვარულები გაცილებით ჯანმრთელები და ბედნიერები აღმოჩნდნენ, ვიდრე ისინი, ვინც სასმელს ახლოს არ ეკარება. ამის თაობაზე დასკვნა გააკეთეს ფრანგმა ექსპერტებმა, რომლებმაც ჩაატარეს გამოკვლევა, თუ როგორ მოქმედებს ადამიანის ცხოვრების წესი მის ჯანმრთელობასა და ემოციურ მდგომარეობაზე.**



კვლევის შედეგების თანახმად, მოზრდილი ადამიანები, რომლებიც დღეში ორ ლიტრამდე ლუდს ან ორიოდე ბოკალ ღვინოს მიირთმევენ, გაცილებით ნაკლებად უჩივიან დეპრესიას, ნაკლებად ემუქრებათ გულსისხლძარღვთა და ფილტვების დაავადებებს. გარდა ამისა, ეს კატეგორია არამსმელებზე კარგად იკვებება და მათზე ხშირად მისდევს სპორტს.

ამ შედეგების გამოქვეყნებისას ფრანგი მეცნიერები იძულებულნი იყვნენ, აღენიშნათ, რომ, მიუხედავად მათ მიერ მიღებული დასკვნებისა, სამედიცინო თვალსაზრისით, ალკოჰოლი სამკურნალო საშუალებას არ წარმოადგენს და დაავადებათა პროფილაქტიკის ან დეპრესიის თავიდან აცილების მიზნით მისი გამოყენება რეკომენდებული არაა.

## წყალქვეშა ფეხბურთი თევზებისთვის



**ტოკიოს აკვარიუმების კომპლექსში თევზ-ქირურგებისა და თევზ-ანგელოზების საფეხბურთო ნაკრებებს შორის მატჩი გაიმართა.**

ქირურგები იაპონიის ეროვნული გუნდის სახელით გამოდიოდნენ, ანგელოზები კი — დანიის ნაკრებისა. იმისათვის, რომ თევზებს ბურთისადმი ინტერესი გასჩენოდათ, ბურთად პატარა გამჭვირვალე სფერო გამოიყენეს, რომელიც მათი საყვარელი საკვებით გამოტენეს. სამწუხაროდ, უცნობია, რა ანგარიშით დამთავრდა მატჩი, მაგრამ დანამდვილებით ვიცით, რომ ის მოახლოებულ მსოფლიო ჩემპიონატს ეძღვნებოდა, რომელიც სამხრეთ აფრიკაში გაიმართება. ამ ჩემპიონატზე E ჯგუფში ერთმანეთს სწორედ დანიისა და იაპონიის ნაკრებები დაუპირისპირდებიან.

## ბანქოში მოგებული შერიფობა




**ამერიკის ნებრასკას შტატში შერიფის თანამდებობაზე კანდიდატის ვინაობა ბანქოს თამაშით გაირკვა.**

თამაშის აუცილებლობა მას შემდეგ გაჩნდა, რაც კენჭისყრაზე რესპუბლიკელების ორმა კანდიდატმა — მაილო კარდენასმა და ტრევის პეტერსონმა — ხმათა თანაბარი რაოდენობა დააგროვა. შტატის კანონის შესაბამისად, მსგავს შემთხვევებში გამარჯვებული ნებისმიერი აზარტული თამაშის შედეგის მიხედვით უნდა გამოვლინდეს.

ზემოხსენებულმა კანდიდატებმა მარტივი გამოსავალი მოძებნეს და გადაწყვიტეს, გამარჯვებულად ის ელიარებინათ, ვინც მოწინააღმდეგეზე მაღალი მაჩვენებლის ბანქოს ამოიღებდა შეკვრიდან. მაილო კარდენასმა გაიმარჯვა. მან პეტერსონის ექვსიანს ცხრიანით მოუგო. ამრიგად, რესპუბლიკელთა კანდიდატიც შერიფის თანამდებობის დასაკავებლად სწორედ ის გახდა. შტატის შერიფს 2010 წლის ნოემბერში აირჩევენ.



# ბეზეკი

**ეკოლოგიურად სუფთა, ქართული წარმოების პროდუქტი დიდ იშვიათობად იქცა. ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ საქართველოში ერთ-ერთ (თუ არა ერთადერთ, რადგანაც მისი ანალოგი ჯერ ვერ მოვიძიეთ) საუკეთესო ხარისხის, ეკოლოგიურად სუფთა ქართული ფქვილისაგან წარმოებულ პროდუქციას, ვიტამინებისა და ყოველგვარი დანამატების გარეშე. შპს „ბეზეკის“ პროდუქცია უნიკალურია, ერთადერთია და მისი ყველა სახეობა — დაპატენტებული. მიღებული აქვს მრავალი ჯილდო. წელსაც, აპრილის თვეში, მიიღო სერტიფიკატი ნომინაციაში „დამზადებულია თბილისში“. ხოლო ამ კომპანიის „რუხ პურს“ მიღებული აქვს ხარისხის სერტიფიკატი — „საქართველოს ხარისხის ნიშნის ფონდისაგან“. ამჯერად, მკითხველს ვთავაზობთ ამ კომპანიის მიერ წარმოებული პროდუქციის რამდენიმე სახეობის მოკლე დახასიათებას, რათა ვიცოდეთ, რას მივირთმევთ.**



**პური მდოგვით** — ამ პროდუქტის წარმოებაში გამოყენებულია დაპატენტებული ტექნოლოგიური სიახლენი, რაც ძირეულად განასხვავებს მას სხვა ქვეყნებში წარმოებული ანალოგიურ პროდუქტისაგან, სადაც გამოიყენება მდგოვის ცხიმოვანი ზეთი. **მდოგვიან პურში** კი დამატებით შეტანილია ორგანული იოდის დონორი — ზღვის კომბოსტოს (ლამინარიის) ფხვნილი ან კონცენტრატი, ბიოლოგიურად აქტიური კომპლექსით (მაკრო და მიკროელემენტები, სტერინები, ქლოროფილის წარმოებულები და სხვა) პური ახდენს პირის ღრუსა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დეზინფიცირებას, სასარგებლოა დიეტის მიმდევართა და იმ პირთათვის, რომლებიც უჩივიან დიაბეტს, ნაწლავთა დისბაქტერიოზსა და აქვთ წინამდებარე ჯირკვლის (პროსტატის) ადენომას საწყისი სტადია.მდოგვიან პურს აქვს პიკანტური გემო და მისაღებია ბუტერბროდების, ცივი საუზმეების, სენდვიჩების, ჰოთ-დოგებისა და სხვ. დასამზადებლად.



**პური „ცეხვილი“** — დამზადებულია „ბეზეკის“ მიერ წარმოებული ფქვილისაგან, რომელიც მიღებულია 95%-იანი გამოსავლიანობით. ეს ტექნოლოგია გულისხმობს ხორბლის მასის ერთიან დაფქვას, რაც უზრუნველყოფს მის ნატურალურ ფერსა და გემოს. მისგან გამომცხვარი პური შეიცავს კვებით ბოჭკოებს: ცელულოზას, გემიცელულოზას, პროტოპექტინს და ლიგინინს, რომელიც აუმჯობესებს კუჭ-ნაწლავის ნორმალურად მუშაობას და რეკომენდირებულია პროფტოლოგიური დაავადების პროფილაქტიკისთვის.

**პური „თბილისური“** — დამზადებულია ხორბლის ცეხვილი ფქვილის 70%-იანი და ხორბლის პირველი ხარისხის ფქვილის 30%-იანი ნარევისაგან, რომელიც წარმოადგენს შუალედურს ცეხვილ ფქვილსა და მეორე ხარისხის ფქვილს შორის.

პური **„თბილისური“** აუმჯობესებს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლას. ის შეიცავს ხორბლის ქატოს და ჩანასახს, რომელიც მდიდარია სრულფასოვანი ცილებით, ვიტამინებითა და მინერალური ნივთიერებებით.





ახალი თაობის პური **„პიკანტური“** დამზადებულია მცენარეული, დიეტური და ანტიდიაბეტური კომბინირებული სანელებლების დანამატებით. შავი პური **„პიკანტური“** დამზადებულია ცეხვილი ფქვილისაგან, რომელიც შეიცავს შაქრისდამწევ მცენარეულ კომპონენტებს, რომლებიც ახდენენ ნახშირწყლების ათვისების ინჰიბირებას. შავი პური **„პიკანტური“** სასარგებლოა იმ პირთათვის, რომლებიც უჩივიან დიაბეტს, სიმსუქნეს, ნაწლავურ დისბაქტერიოზსა და სხვა დაავადებებს.

1995 წლიდან საქართველოში შეწყდა და მივიწყებას მიეცა ცეხვილი ფქვილის წარმოება, რომელიც შპს **„ბეზეკმა“** აღადგინა 2007 წელს იგი დღემდე წარმატებით აწარმოებს ხორბლის ცეხვილ ფქვილს სტანდარტების სრული შესაბამისობით.

**ფქვილის საშუალო ქიმიური შემადგენლობა: 100 გრ. ფქვილში არის ნახშირწყლები 60,8 გრ; მინერალური ნივთიერებები Na-7მგ; K-310მგ; Ca-39მგ; Mg-94მგ; P-336მგ; F-4,7მგ; ვიტმინები: B1-0,41მგ; B2-0,15მგ; Pp-5,5მგ; ბეტაკაროტინი-0,01მგ. ენერგეტიკული ღირებულება 298 კკალ.** ცეხვილი ფქვილი ასევე შეიცავს საკვებ ბოჭკო-ცელულოზას, გემიცელულოზას, პროტოპექტინს, ლიგინინს, რომლებიც ხელს უწყობს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ნორმალურ მოქმედებასა და პროქტოლოგიური დაავადების პროფილაქტიკას.

**პროდუქცია შემუშავებულია: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებათა კვლევის სამეცნიერო პრობლემურ ცენტრში.**

მისამართი:
შპს ბეზეკი, თბილისი 0120,
გ. ნადარეიშვილის №5;
ტელ.: 71-70-11;
ტელ/ფაქსი: 711710
899-301-701 (რეალიზაციის განყოფილება)
www.bezeki.ge info@bezeki.ge


# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგეგნლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21. 890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**


# წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლო

| | |
|---|---|
| ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“ | 602602 |
| შპს „ახტელი“ | 700818 |
| შპს „მაგთიკომი“ | 200320 |
| შპს „ჯეოსელი“ | 700305 |
| შპს „ბილაინი“ | 200333 |

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:
ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენიუში: სხვადასხვა — ქველმოქმედება — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილაიას:
ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3,
ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563,
e-mail: eparqia-f@mail.ru



საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
რეკლამის მენეჯერი ეთერ კასრელიშვილი (899 110 200)
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. №166/5
ტელ.: 38-41-97; e-mail:info@geworld.net